PRIME Time
N18 (268) ორშაბათი, 12 მაისი, 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



# რატომ ასაიდუმლოებს თეა წულუკიანი ანტიდისკრიმინაციული კანონის საკუთარ EXCLUSIVE ვერსიას

## ალასანიას ინიციატივა – პროვოკაცია თუ რეიტინგების დევნა



**გიორგი თავდგირიძე:** „ალასანია სილამაზის კონკურსზე ხომ არ არის, ლაიქებს რომ დასდევდეს... ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯისთვის ემზადება“

EXCLUSIVE

## სოფლის მეურნეობის მინისტრი ევროკავშირის საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობებზე საუბრობს



„ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რადგან სწორედ ის მოიცავს ეკონმიკური ინტეგრაციის მექანიზმს და ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს“

EXCLUSIVE

## 17 მაისს – პირველი და სკანდალური ფილმის პრეზენტაცია ქართველ გეებზე



## ქართველი მექალთანე გეი

EXCLUSIVE

## „X ფაქტორის“ მეორე ეტაპი



**თამუნა შავერდაშვილი:** „ეკრანზე იმხელა გამოვჩნდი, გაოგნებული დავრჩი, ძალიან გამიტყდა. რეალურად არ ვარ ასეთი მსუქანი“



SCANDAL

## რა სქემა იშიფრება ეკა კვესიტაძის ფარული ჩანაწერების უკან

# SCANDAL



## ექსკლუზიური ინტერვიუ პატიმრობაში მყოფ ნოშრევან ნამორაძესთან EXCLUSIVE



## ერეკლე კოდუას წინააღმდეგ ახალი ბრალდება მზადდება?

**დავით ზეიკიძე:** „გია მიყვებოდა, ვიცი, ნარკოტიკები რა გზებით შემოდის, როგორ ხორციელდება მისი ტრანზიტი და ვინ მფარველობსო. მეტიც, მითხრა, ერთ ადგილას ამ ჯგუფს ხელი შევუშალე და ამიტომ გადამეკიდნენო“ EXCLUSIVE

# პირველად „პრაიმტაიმში“



# დავით კეკუასთან ერთად დაკავებული ექსპერტი შვიდწლიან დუმილს არღვევს

## რა კავშირშია ეკა ზღულაძე ცნობილი ექსპერტის ზაზა ალთუნაშვილის დაკავებასთან

EXCLUSIVE

„დამირეკეს, მინისტრის მოადგილე გელოდებათო, ეკა ზღულაძეზე მითხრეს. სახლიდან ზღულაძის თანაშემწის ზარზე გამოვედი და მაშინვე დამაკავეს“

# NDI-ს კვლევები შეთქმულების საფუძველი ხდება?

**გია ხუხაშვილი:** „ირაკლი ალასანიას ირაკლი ღარიბაშვილზე წინ დაყენება „შეთქმულების თეორიაა“ EXCLUSIVE



EXCLUSIVE

## „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური რეპორტაჟი ხუან ბაგრატიონისა და ქრისტინე ძიძიგურის ქორწილიდან



## რატომ ემუქრებიან სასულიერო პირები მრევლს უზიარებლობით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა სქემა იშიფრება ეკა კვესიტა

ქეთი ხატიაშვილი

**სკანდალი, რომელშიც ნაციონალები ხელისუფლებას ადანაშაულებენ, ხელისუფლება კი – „ნაციონალურ მოძრაობას“. „გამტარი“ – „რუსთავი 2“ და გადაცემა „სხვა აქცენტები“. სოციალურ ქსელებში ფარული ჩანაწერების გასაჯაროებას ხმაური მოჰყვა, შეფასებები სხვადასხვაგვარია, თუმცა „რუსთავი 2“-ის პოლიტიკურ თამაშში ჩართვას თავად არხის გუნდიც სხვადასხვა პოზიციებით ხვდება. ჟურნალისტებისთვის ამ სკანდალის დასასრულიც ბუნდოვანი და გაუგებარია.**



ეს არ არის უბრალოდ ტელევიზია, ეს მთელი ინდუსტრია და ისტორიაა. „რუსთავი 2“, შეიძლება ითქვას, დაიბადა ქართულ პოლიტიკასთან ერთად და ყველა ცვლილება გადაიტანა, თანაც ისე, რომ არც რეიტინგი დაუკარგავს და არც მაყურებლის ინტერესი. მაგრამ ეს შეძლო ერთადერთი მიზეზით – მუდმივი ცვლილებებით.

შემთხვევითი არ იყო, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მაშინდელმა ხელისუფლებამ თითქმის მთლიანად გამოცვალა „რუსთავი 2“-ის შემადგენლობა, არხი დათმო მისმა მფლობელმა ეროსი კიწმარიშვილმაც. შეიცვალნენ საინფორმაციოს უფროსები, წამყვანები, ჟურნალისტების ძირითადი ბირთვი.

თუმცა ეს ცვლილებები ისე განხორციელდა, რომ სისტემა არ დანგრეულიყო – ტელევიზიაში გარედან არავინ მისულა. მაგალითად, სანამ ნინო შუბლაძე საინფორმაციოს უფროსი გახდებოდა, მანამდე ის არხზე წამყვანად მუშაობდა. ასე რომ, თითოეული ცვლილების დროს „რუსთავი 2“-ის სკოლა და სტილი გაგრძელდა, ის არც გაწყვეტილა და არც შეცვლილა. ამიტომაც, „რუსთავი 2“ უწყვეტობის შეგრძნებას გიტოვებს.

მიაჩნიათ, რომ ასეთი ცვლილებები „რუსთავი 2“-ზე 2012 წლის არჩევნების შემდეგაც უნდა განხორციელებულიყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კადრები შეიცვალა, რათა მაყურებელს შევარდნაძის ეპოქა ან „ვარდების რევოლუცია“ არ გახსენებოდა, რომ ყველას გასჩენოდა სიახლისა და რაღაც ახლის დაწყების „ილუზია“. „რუსთავი 2“-ში მიაჩნიათ, რომ შესაძლოა, მაყურებელი ძველ სახეებში ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკას ხედავს.

არხზე ვითარება დაძაბულია. მოსმენებთან დაკავშირებული სკანდალის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ამბობენ, რომ ყველაზე მეტად აღიზიანებთ, თუკი მაყურებელი მათში პროფესიონალს კი არა, პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელ ჟურნალისტს ხედავს. ამიტომაც, არხზე იყვნენ ისეთებიც, ვინც იგივე ეკა კვესიტაძის „რუსთავი 2“-ზე გამოჩენას აპროტესტებდა. მათი არგუმენტი მარტივია – ეგებ ნაციონალებთან ასოცირებული სახეებისგან დისტანცირება გავაკეთოთო. „პრაიმტაიმთან“ საუბარში ადრე ნიკა გვარამიამ იგივე ეკა კვესიტაძესთან დაკავშირებული წინააღმდეგობები დაადასტურა.

და შეიძლება მოხდა ის, რისიც არხზე ეშინოდათ. სკანდალური გადაცემის შემდეგ სოციალურ ქსელებში აქცენტი ზოგმა მოსმენების შესაძლებლობაზე გააკეთა, ანუ ვინ უსმენს რეალურად მაღალი თანამდებობის პირებს – ხელისუფლება თუ ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასული ნაციონალები; ზოგიც ეკა კვესიტაძის პერსონამ აღაშფოთა, შოთა უტიაშვილის ცოლია და ახლა როგორ იღებს ხმას მოსმენებზე, თავის დროზე მოეყოლა შავ ყუთებსა და მიყურადების სქემებზეო.

არადა, გადაცემაში, ალბათ, მთლიანად იყო გაშიფრული მოსმენების მთელი სქემა და მექანიზმი. კვესიტაძემ, სოციალური ქსელების მიხედვით, სწორედ ის სისტემა ახსნა და გაშიფრა, რომლის შექმნისთვისაც ნიკა გვარამიამ ბოდიში მოიხადა ღიად და საჯაროდ.

ბევრმა ჩათვალა, რომ, თუკი ნიკა გვარამიას ასეთი სისტემის ჩამოყალიბებაში აქვს მონაწილეობა მიღებული და ეს სისტემა აღიარა, როგორც დანაშაულებრივი, აქვე ისიც დაუშვა, რომ ამით მორალური და საქმიანი ზარალი მიადგათ ადამიანებს, მაშინ ამის შემდეგ ის უნდა გადამდგარიყო.



ნიკა გვარამიას ბოდიშის მოხდამაც, ისევე როგორც ფარულმა ჩანაწერებმა, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგმა დაიჯერა და ბევრმაც – არა. „რუსთავი 2“-ს ცხრაწლიან დუმილს ამ საკითხზე არ პატიობენ, და არც ეკა კვესიტაძის სჯერათ. სოციალურ ქსელებში ამბობენ, რომ მასში ჟურნალისტს ვერ აღიქვამენ.

„სხვა აქცენტებში“ ჟურნალისტმა და წამყვანმა ეკა კვესიტაძემ ფარული ჩანერების სქემაზე ისაუბრა და გაასაჯაროვა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავას, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის, ასევე ბიზნესმენების საუბრების ჩანაწერები.

კახი კახიშვილის განმარტებით, ჩანაწერები 2013 წლით თარიღდება, მაშინ კი ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

– „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერები შეეხება მხოლოდ 2013 წლის პერიოდს. ჩანაწერების შინაარსიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ მიშა იყო პრეზიდენტი. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსაც, რომელიც მიშას დაქვემდებარებაში იყო, ჰქონდა ტელეფონების მოსმენის საშუალება, ამიტომ, ჩემი აზრით, ცალსახად იმის მტკიცება, რომ შსს უსმენდა „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერების საფუძველზე შეუძლებელია. თუმცა შსს-მ ნამდვილად უნდა დაადგინოს ამ ჩანაწერების შემსრულებელი.



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლევან იზორიამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პორტატული ტექნიკის საშუალებით დღესაც ხორციელდება მოსმენები და მას შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ მყოფი პირებიც ახორციელებდნენ:

– მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ გასულ წელს ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც ის ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, საზოგადოებას ამცნო იმის შესახებ, რომ ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ შეძენილი იყო გარკვეული პორტარული ტიპის აპარატურა. მოსახლეობას განვუმარტავ, რომ ეს არის ხელით გადასატანი ტექნიკური საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფარული მიყურადება და მოსმენა გარკვეულ რადიუსში, გარკვეულ პირთა წრის. ამ აპარატურის გამოყენებით შესაძლებელია კვლავაც ხორციელდებოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელდასხმით ფარული მიყურადება და მოსმენა. გამომდინარე იქიდან,


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ძის ფარული ჩანაწერების უკან




# „რუსთავი 2“-ის პოლიტიკური თამაში

**კახი კახიშვილი: „ცალსახად იმის მტკიცება, რომ შსს უსმენდა, „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერების საფუძველზე, შეუძლებელია. თუმცა შსს-მ ნამდვილად უნდა დაადგინოს ამ ჩაწერების შემსრულებელი“**



რომ ეს ოპერატიული ინფორმაცია გვქონდა, საჭიროდ ჩავთვალეთ, დაგვეწყო გამოძიება. გამოძიების ფარგლებში უკვე არსებობს კონკრეტული ჩვენებები, რომელიც ადასტურებს სწორედ იმას, რომ ფარულად, ოპერატიული ხარჯების გამოყენებით მოხდა მათი შეძენა 2010-2011 წლებში. თითოეულის ღირებულება მილიონ დოლარს აღწევს, გამომდინარე სხვადასხვა მასშტაბებიდან, შეიძლება ეს თანხა უფრო მეტიც იყოს. სწორედ ამ პორტატული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აგორდა დიდი სკანდალი ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების მოსმენების შესახებ. გამომდინარე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან, ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი კითხვის ნიშანი, აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ პროკურატურამ გამოძიება გააგრძელოს და შესაბამისად, უშუალოდ დაიქვემდებაროს ეს საქმე. უახლოეს დღეებში ძალიან ინტენსიური ფორმით გაგრძელდება გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით. ნიკა გვარამიამ თავად განაცხადა, რომ ფლობს ამ ტექნიკური საშუალებით მოპოვებულ ჩანაწერებს, სხვათა შორის, ესეც უკანონობაა. კერძოდ, 158-ე მუხლი ითვალისწინებს ამისთვის პასუხისმგებლობას. საჯაროდ ვამბობ, რომ ფარული ჩანაწერების შენახვა არის უკანონობა, ნიკა გვარამია პროკურატურაში დაბარებულია მოწმის სახით და ამაზეც იქნება საუბარი იქ. რაც შეეხება პორტატულ ტექნიკას, ის დღეს არსად არ არის აღრიცხული, შესაბამისად, დაკარგულია. არსებობს დიდი ალბათობა და ეჭვი, რომ ამ ტექნიკას ვიღაც იყენებს. ამ ტექნიკით შესაძლებელია, ჩვენც გვისმენდნენ. მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ სახელმწიფოს არ აქვს მონოპოლია მოსმენებზე, საუბარია კანონიერ მოსმენებზე. მოსმენები შესაძლებელია, ყველა სუბიექტის მიერ განხორციელდეს, თუ აქვს ეს პორტატული აპარატურა. რაც შეეხება კანონს, ის ითხოვს დახვეწას. ჩვენ ადრეც განვაცხადეთ ამის შესახებ. ამ მიმართულებით სერიოზულად ვმუშაობთ და ახლო მომავალში საპარლამენტო განხილვები დაიწყება.

შსს-დან გამქრალი პორტატული ტექნიკის ძებნა გამოძიებამ უკვე დაიწყო.

პორტატული აპარატის გარდა, ექსპერტების ცნობით, მოსმენების განხორციელება შეიძლება ფიჭური კავშირის მეშვეობითაც, ანუ მობილურებით. რა თქმა უნდა, მოსმენების საშუალება აქვს შსს-ს და თავდაცვის სამინისტროს.

კახი კახიშვილის განმარტებით, თვითნებური მოსმენებისგან დაცული არავინ არის და საკანონმდებლო რეგულაციებიც კი ამ მხრივ გარანტიებს ვერ იძლევა: კანონით მკვლელობაც ისჯება, მაგრამ მაინც ხდება, ქურდობაც ისჯება და ეს დანაშაულიც ხდება, – განმარტავს კახიშვილი.



ამ შეფასებებს არ იზიარებს ყოფილი მერი გიგი უგულავა. ის დარწმუნებულია, რომ მოსმენები შსს-მ განახორციელა:

– თავისთავად ცხადია, ეს შსს-ის მიერაა გაკეთებული. სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში სამინისტრო საცერს დაემსგავსა და შავი ბაზარი ჩამოყალიბდა – როგორც ჩანს, იმ ხალხს გამოაქვს ეს, ვისაც დავალებებს აძლევენ, შემდეგ სამსახურიდან ყრიან და უბედურება ხდება ქვეყანაში, სამწუხაროდ. ვიცი, რომ წინა წლის თებერვლიდან ოფიციალურად მისმენენ და ყველა საუბრის წინ ვესალმები ხოლმე კონკრეტულ ოპერატორს და მერე გადავდივარ საუბარზე, თუმცა მიუხედავად ამისა, როცა ჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება, მისი შენახვა დაუშვებელია.




„ნაციონალური მოძრაობა“ დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების „რუსთავი 2“-თან დაპირისპირებით ხელისუფლება მხოლოდ წააგებს. არგუმენტად და მაგალითისთვის კი შევარდნაძის ხელისუფლება მოჰყავთ.

უკანონო ფარულმა ჩანაწერებმა ყველას სნოუდენის ისტორია გაახსენა. უკანონო ჩანაწერების გავრცელებისთვის ამერიკული მხარე დაჟინებით მოითხოვს მის გადაცემას. სნოუდენი თავს მოსკოვს აფარებს. მანამდე იყო ასანჟი, რომლის ფარულმა ჩანაწერებმაც მსოფლიო შოკში ჩააგდო. სპეცსამსახურებს ისიც ემალება. ასე რომ, ექსპერტების მინიშნებით, უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების გავრცელებისთვის პასუხს ყველს და ყველგან სთხოვენ და საქართველო, ამ მხრივ, გამონაკლისი ვერ იქნება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პირველად „პ



## დავით კეკუასთან ერთად დაკავებული ექსპერტი შვიდწლიან დუმილს არღვევს

## რატომ დადეს ამერიკელებმა ყალბი დასკვნა ნიკა ლომინაძის მკვლელობაზე?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

საექსპერტო-კრიმინალისტიკის სფეროში ზაზა ალთუნაშვილს ყველა კარგად იცნობს, თუმცა უკვე 7 წელია, ის სულ სხვა საქმიანობას ეწევა და ამას თავისი საბედისწერო წინაპირობაც აქვს:

**2007 წლის 25 ოქტომბერს მე-7 იზოლატორში საკანში ზეწრით ჩამოიხრჩო თავი 42 წლის გენერალ-მაიორმა, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, დავით კეკუამ. მისი თვითმკვლელობა დღესაც საეჭვოდ რჩება. 6 თვით ადრე, 2007 წლის 2 მაისს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, დავით კეკუა დააკავეს და სასამართლომ მას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. დავით კეკუა 2002 წლის 14 აგვისტოს მოკლული „ეი-ი-ეს თელასის“ მენეჯერის, ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობის საქმის მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და ექსპერტიზის ყალბი დასკვნის გაცემის წაქეზებაში დაადანაშაულეს. მაშინ მას შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილისა და კრიმინალური პოლიციის უფროსის თანამდებობა ეკავა.**

გენპროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ნიკა ლომინაძის მკვლელობის ადგილის განმეორებითი დათვალიერებისას დავით კეკუამ იატაკზე ფარულად დააგდო მის მიერვე მიტანილი ტყვია, რაც ოქმში ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის ტყვიად აისახა. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, კეკუამ შემთხვევის ადგილზე გამოყენებული ტყვია სხვა, დეფორმირებული, სისხლისმაგვარი ლაქებით დასვრილი ტყვიით შეცვალა და შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს – ზაზა ალთუნაშვილსა და მიხეილ ივანიკაშვილს ყალბი დასკვნის გაცემა მოსთხოვა. სოდ-მა ისინიც 2 მაისს დააკავა...

არსებობდა ვერსია, რომ მაღალი თანამდებობის პირების დაკავებით ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო საზოგადოებაში მზარდი შფოთის გადაფარვა უნდოდა, თუმცა არსებობდა სხვა ვერსიაც: თუ ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამო იმ დროისთვის ბრალდებული (მოგვიანებით კი მსჯავრდადებული) გია გვიჩიანი სტრასბურგში წავიდოდა, ლომინაძის საქმეში გავლენიანი პირის გვარი ამოტივტივდებოდა...

დავით კეკუას ბედისწერა ფართო საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი. რაც შეეხება ექსპერტს, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ:

**მაშ ასე, საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზაზა ალთუნაშვილი შვიდწლიან დუმილს არღვევს და პირველად „პრაიმტაიმში“ საუბრობს, ვის და რა საქმისთვის დასჭირდა მისი გაწირვა და ახალი საქმის შეკერვა...**

– ეს ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო. 2002 წელს აგვისტოში, ოჯახთან ერთად, საირმეში ვისვენებდი. დამირეკა დავით კეკუამ და მკითხა, იყო თუ არა დიდუბის რაიონის დაცვის პოლიციის იარაღი აღრიცხვაზე აყვანილი. იმ დროს აღრიცხვაზე ეტაპობრივად აგვყავდა ყველა ტაბელური იარაღი. სამსახურში გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ დიდუბის რაიონის დაცვის პოლიციის კუთვნილი ტაბელური იარაღი ჯერ არ იყო აღრიცხვაზე აყვანილი. ეს შევატყობინე კეკუას. იმავე დღეს დარეკა ისევ და მითხრა, რომ ჩვენს სამსახურში მივიდოდნენ დიდუბის რაიონის დაცვის თანამშრომლები, თავის იარაღს მიიტანდნენ და აღრიცხვაზე უნდა აგვეყვანა ცენტრალურ კარტოთეკაში.

**– მაშინ თქვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსი იყავით, არა?**

– არა, მოადგილე ვიყავი...

**– დავით კეკუამ აგიხსნათ, რა საქმის ფარგლებში ჰქონდა ეს კითხვები?**

– არა. ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესი იყო. არც ვიცოდი რამე ნიკა ლომინაძის მკვლელობის შესახებ. უბრალოდ, ოპერატიული სამსახური რეკავდა და სვამდა კითხვებს. სულ ეს იყო... ერთი სიტყვით, ჩვენს სამსახურს შევატყობინე, რომ მივიდოდნენ პოლიციის თანამშრომლები. ასეც მოხდა. იმ სამ პოლიციელს თან მიჰყვა დაცვის პოლიციის უფროსი, ვინმე ბელქანია.

**– ასე სასწრაფო წესით რატომ უნდოდა ოპერატიულ სამსახურს, რომ დაცვის თანამშრომლების იარაღი აღრიცხულიყო?**

– შემდგომში გამოჩნდა, რომ ეს პოლიციელები მორიგეობდნენ იმ ავტოსადგომზე, სადაც ნიკა ლომინაძე აჩერებდა მანქანას ღამით. ალბათ, ამიტომაც მიიტანეს ოპერატიულმა თანამშრომლებმა მათზე ეჭვი. იმავდროულად საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურში მოიტანეს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვია და უნდოდათ მასთან იმ ტყვიების შედარება, რაც აღრიცხვაზე აყვანისთვის ამ სამი პოლიციელის იარაღში იქნებოდა გასროლილი. შედარებას ახდენდა ერთ-ერთი ექსპერტი, რომელიც კავშირზე იყო ჩემთან. მაგრამ მერე, რატომღაც შეწყდა ეს კავშირი. მერე ოპერატიული სამსახურისგან შევიტყვე,



ზაზა ალთუნაშვილი

**„მე მაშინვე ვაფრთხილებდი პროკურატურას, მჭედლიშვილი მარტო ამ დასკვნის საფუძველზე არ დააკაოთ, რადგან არ არის ამ იარაღიდან გასროლილი-მეთქი“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კავშირშია ეკა ზღულაძე ცნობილი ექსპერტის დაკავებასთან?



დავით კეკუა

**„ესენი გვეუბნებოდნენ, შემთხვევის ადგილზე ტყვია არ არსებობდა და კეკუამ ჩადოო და თქვენ გააყალბეთო. კეკუამ ტყვია ჩადო, თუ არ ჩადო, ეს საუბრის სულ სხვა თემაა. მე კი მეკითხებოდნენ, ბრალში რა ჩაგიწეროთო“**

რომ ჩემს ექსპერტს ამ სამი პოლიციელიდან ერთ-ერთის ტყვიასა და შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ტყვიას შორის მსგავსება დაუფიქსირებია. როცა ჩამოვედი, შევიტყვე, რომ ამ დამთხვევის შესახებ უკვე მოხსენებული ჰქონდათ. გამიკვირდა, ჩემს თანამშრომლებს ვუთხარი კიდეც, ერთ დღეში რა ექსპერტიზა ჩაატარეთ და როგორ დაადგინეთ ეს, რა საჩქარო იყო-მეთქი. მეტიც, როცა საქმეს გავეცანი, ვთქვი კიდეც, ეს ტყვია ამ იარაღიდან არ არის გასროლილი-მეთქი.

**– საუბარი გაქვთ დაცვის პოლიციის თანამშრომელ მჭედლიშვილზე, რომელიც გვიჩიანამდე დააკავეს მკვლელობის ბრალდებით?**

– კი, ოღონდ ეს პოლიციელი მოგვიანებით დააკავეს. მანამდე კი ამ საქმის მოსმენა მოხდა ქალაქის სამმართველოში. ეს მოსმენა ამერიკელებმა მოითხოვეს და ჩამოსული იყო „ეფ-ბი-აი“-ს ჩვენი, რეგიონალური უფროსი, რომელიც თურქეთში იჯდა. დიდი განხილვა იყო. ამ განხილვაზე დავსვი კითხვები – ტყვია დეფორმირებული იყო, მასზე ქსოვილის ნაწილაკები იყო, რომელიც მიკროსკოპში ჩანდა...

**– დეფორმირებულმა ტყვიამ რატომ დაგაეჭვათ?**

– ლომინაძეს ჰქონდა შუბლში გამავალი დაზიანება. ტყვიას კი უკანა მხარეს ჰქონდა დეფორმაცია. იქვე გამოვხატე ჩემი აზრი, რომ ეს ტყვია მჭედლიშვილის იარაღიდან არ იქნებოდა გასროლილი. „ეფ-ბი-აი“-ს წარმომადგენელმა იქვე დააფიქსირა, ზაზას ვიცნობ, ვენდობი და მასთან პრობლემა არ მაქვსო...

**– გიცნობდათ ამერიკაში „ეფ-ბი-აი“-ში თქვენი სტაჟირებიდან?**

– დიახ... გვკითხა, რაში გჭირდებათ ჩემი დახმარებაო. მე ვთხოვე, რომ მოეწვიათ „დეენემის“ სპეციალისტები და ექსპერტი ბალისტები. სამსახურში რომ დავბრუნდი, ექსპერტებს ვუთხარი, მუშაობას თავი დაანებეთ, ექსპერტები ჩამოვლენ ამერიკიდან და დასკვნას ისინი დაწერენ-მეთქი. ამ დროს, იარაღიც უკვე ჩვენთან იყო, რადგან ექსპერტმა, რომელმაც განაცხადა, რომ ტყვია მჭედლიშვილის იარაღიდან იქნებოდა გასროლილი, პროკურატურისგან იარაღიც მოითხოვა.

**– ვინ იყო ეს ექსპერტი?**

– კარტოთეკის უფროსი, მეშველიანი, რომელიც მოგვიანებით მთავარ მოწმედ გამოჩნდა ჩემს საქმეში. სხვათა შორის, ეს ქალი ახლაც მუშაობს იქ... რამდენიმე ხანში ამერიკიდან მართლაც ჩამოდიან ექსპერტები, მაგრამ მხოლოდ ტრასოლოგი და ბალისტიკოსი. მათ დაახვედრეს ნივთმტკიცება. ჩაატარეს ექსპერტიზა და დაწერეს, რომ გასროლა მჭედლიშვილის იარაღიდან იქნა განხორციელებული...

**– ეს როგორ?**

– ამას მოგვიანებით მიხვდებით. მე მაშინვე ვაფრთხილებდი პროკურატურას, მჭედლიშვილი მარტო ამ დასკვნის საფუძველზე არ დააკაოთ, რადგან არ არის ამ იარაღიდან გასროლილი-მეთქი. იქვე ვთავაზობდი, დამავალეთ და დავწერ ამაზე დასკვნას-მეთქი. რაკი ის ამერიკიდან ჩამოვიდა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მას აუცილებლად მეტი ცოდნა უნდა ჰქონოდა. იყო მსგავსება, მაგრამ იყო ისეთი განსხვავებებიც, რომ კატეგორიულად ამ დასკვნის გაკეთება არ შეიძლებოდა. ამის გარდა, სხვა მომენტიც არის. ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო არ იყო გამოძიებისთვის. გამოძიებას კატეგორიული ექსპერტიზა რომ ჰქონოდა კიდეც, ის სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა შეეფასებინა და ისე წაეყენებინა ბრალი. ამის მიუხედავად, არ დამიჯერეს და ექსპერტიზის დასკვნით ბრალი წაუყენეს მჭედლიშვილს.

**– ანუ, ამერიკელების დასკვნით?..**

– დიახ, თუმცა ამ დასკვნას ხელს ერთი ჩვენი ექსპერტიც აწერდა.

**– თქვენ არ მოგიწერიათ ხელი?**

– არა. მე რომ მომეწერა ხელი, მე უნდა ჩამეტარებინა, ჩემთვის კი ეს არავის დაუვალებია. ერთი სიტყვით, დაიჭირეს პოლიციელი მჭედლიშვილი, რომელიც მერე რამდენიმე თვე იჯდა, უკანონო პატიმრობა ჰქონდა. მისი დაკავება არ შეიძლებოდა (მჭედლიძეს წინასწარი პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობით შეეცვალა, ხოლო 2003 წლის 25 მარტს პატიმრობიდან განთავისუფლდა. – მ.ნ.).

მჭედლიშვილი რომ გაუშვეს, ეს საქმე გაუხსნელი დარჩა. 2006 წელს აკავებენ გვიჩიანს. ამ საქმის ნიუანსების გარჩევა ჩემი კომპეტენცია არ არის, მაგრამ ერთ-ერთ მტკიცებულებას შევეხები, ტყვიას, რომელიც ამჯერად უკვე გვიჩიანის საქმეში გადიოდა.

**– ისევ იმ დეფორმირებულ ტყვიაზე ვსაუბრობთ?**

– დიახ. აღმოჩნდა, რომ ტყვია საერთოდ გამქრალია...

**– როგორ? თქვენ ხომ ნახეთ?**

–კი. ეს 4 წლით ადრე იყო. მერე კი, როცა გვიჩიანის საქმეზე შეფასებებს აკეთებდნენ, აღმოჩნდა, რომ ტყვია პროკურატურას თურმე არ აქვს.

**– სად წავიდა?**

– არავინ იცის... გვიჩიანი სტრასბურგში ჩიოდა. ამიტომ, პროკურატურას გამოსავალი უნდა ენახა და დაიწყეს საქმის შეკერვა იმისთვის, რომ ტყვია დაუშვებელ მტკიცებულებად ყოფილიყო ცნობილი. აკავებენ მეშველიანს, ექსპერტს.

**– რატომ? მან მოაწერა ხელი დასკვნას?**

– არა, არ მოუწერია, ვინაიდან მას ოპერატიული ცნობა ჰქონდა გაცემული და ექსპერტიზაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, თუმცა, მთელი ნივთმტკიცებები მაგასთან არ იყო? მაშინ ჩემს დაკავებასაც შეეცადნენ, თუმცა რომ ვუთხარი, რა სისულელეს მეუბნებით, იქით გედავებოდით ამაში-მეთქი, შერცხვათ. ბრალი ვერ დაწერეს. ჩვეულებრივ გავაგრძელე მუშაობა. მეშველიანი რომ დააკავეს, ერთი წლის განმავლობაში 14-ჯერ დაკითხეს თურმე. ზეწოლის ქვეშ ჰყავდათ. უკვე 2007 წლის 27 აპრილს, ბოლოს და ბოლოს, მისცა ჩვენება: კეკუა მოვიდა, ტყვია მოიტანა და ალთუნაშვილმა დამავალა, ტყვია შეცვალეო. მე ამას როგორ ვიზამდიო? ისინი ერთად დადიოდნენ, ტყვიაც მათ შეცვალეს და ამერიკელები რომ ჩამოვიდნენ, ნივთმტკიცება დაახვედრესო. ამას ამბობს ქალი, რომელთანაც სულ იმაზე მქონდა დავა, რომ იმ იარაღიდან არ იყო გასროლილი ეს ტყვია... სანამ ამ ჩვენებას მიიღებდნენ, მითვალთვალებდნენ, მისმენდნენ. ამას მეც ვხვდებოდი, თანაც ინფორმაციები მომდიოდა, დაგდევენო. ბოლოს და ბოლოს, იმდენი წელი ვიმუშავე იქ და მომივიდოდა ინფორმაციები, ცხადია. ზოგჯერ გამიჩერებია მოთვალთვალე მანქანა და მითქვამს, ბიჭებო, ტყუილად ნუ იღლებით, აქა და აქ მივდივარ და პირდაპირ შეგიძლიათ, წახვიდეთ და ახლა იქ დამიდარაჯდეთ-თქო. მერე მივედი მერაბიშვილთან და ჩავაყენე საქმის კურსში. მან მიპასუხა, – ეს საქმე გავარკვიეთ, რომ შენ არაფერ შუაში ხარ. გულთან ახლოს არ მიიტანო, გდიონ, რამდენიც უნდათო. მეც დავდიოდი ძალიან წყნარად. მერე დამაკავეს...

**– რას გედავებოდნენ პირადად თქვენ?**

– ესენი გვეუბნებოდნენ, შემთხვევის ადგილზე ტყვია არ არსებობდა და კეკუამ ჩადოო და თქვენ გააყალბეთო. კეკუამ ტყვია ჩადო, თუ არ ჩადო, ეს საუბრის სულ სხვა თემაა. მე კი მეკითხებოდნენ, ბრალში რა ჩაგიწეროთო. მეცინებოდა, ამას რომ მეუბნებოდნენ, რადგან ახლა იმაზე მედავებოდნენ, რაზეც თავის დროზე მე ვეუბნებოდი მათ, რომ ეს ტყვია მჭედლიშვილის იარაღიდან არ იყო გასროლილი.

**– აბა, თქვენგან რა უნდოდათ?**

– „გაპრავება“ სჭირდებოდათ საქმიდან გამქრალი ტყვიის. ანუ მისი, როგორც ნივთმტკიცების დაუშვებლად ცნობა სჭირდებოდათ. ამისთვის ვინმეს უნდა ეთქვა, რომ ტყვია გაყალბდა, შესაბამისად, გამყალბებელიც უნდა მოძებნილიყო. გვიჩიანი ნივთმტკიცებას ითხოვდა და ნივთმტკიცება არ ჰქონდათ. მე რომ დამაკავეს, იქაც იგივეს ვიმეორებდი, ეს ტყვია იმ იარაღში გასროლილი არ იყო-მეთქი. ვითხოვდი, მომიტანეთ ტყვია და დაგიმტკიცებთ-მეთქი. თურმე რას მომიტანენ, რაც არ აქვთ? თან საქმეს ადებენ საიდუმლო გრიფს. ვინმემ რომ არ ნახოს. ოღონდ რა იყო აქ საიდუმლო, არ ვიცი. მეუბნებოდნენ, მეშველიანის ჩვენება არის, რომელიც თქვენ გადებთ ხელსო. ჯერ ერთი, მედავებიან იმაში, რასაც მე წლების წინათ იქით ვამტკიცებდი. თანაც, ეს რომ გამეკეთებინა, მოტივი ხომ უნდა მქონოდა?.. სოდ-ის საგამოძიებოს სამსახურის უფროსმა, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, პაატა კუპრაშვილმა მითხრა, აქედან საქმე უნდა წავიდეს ისე, რომ ტყვია უნდა იყოს დაუშვებელი მტკიცებულება. ეს საქმე ამ შენობაში (შსს-ში) არ წყდება. ადეიშვილი პირადად ავალებს სოდ-სო... თუ არ აღიარებ, 14 წელი გექნებაო... რაღაცას მოიფიქრებდნენ, რა პრობლემა იყო?

**– რას გააკეთებდნენ?**

– 2007 წელს?!. თვითონ კუპრაშვილმა მითხრა, ცოლ-შვილს არ დამიტოვებდნენ და მე რას მიზამდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ...

**– ბოლოს და ბოლოს, რაზე შეთანხმდით?**

– 2 წელი სამსახურებრივი უფლებამოსილების აკრძალვა და 5000 ლარი ჯარიმა. პანჩური რომ ამოერტყა ვინმესთვის, ასეთ კაცს არ გამოუშვებდნენ მაშინ 5000 ლარად... თვითონაც კარგად იცოდნენ, რომ არაფერ შუაში ვიყავი... სულ 2 დღე ვიყავი დაკავებული... სხვათა შორის, ის ბიჭი, სოდ-ის საგამოძიებოს უფროსი, პაატა კუპრაშვილი მალე ინფარქტით გარდაიცვალა, ახალგაზრდა კაცი. ისეთ საქმეებს აკერინებდნენ, რომ გულმა ველარ გაუძლო და მოკვდა...

**– პროკურატურის ვერსიით, გაყალბებისთვის რა მოტივაცია უნდა გქონოდათ?**

– საქმეც ეს არის... სხვა ექსპერტი რომ ვყოფილიყავი, თუნდაც მეშველიანი, შეიძლებოდა კიდევ ყოფილიყო მოტივაცია, რომ კეკუა თანამდებობას, ან წოდებას მომიმატებდა. ჩემთვის რა უნდა გაეკეთებინა კეკუას? მთავარი სამმართველოს უფროსი ვიყავი უკვე და მთელი კარიერის განმავლობაში წოდებაც და თანამდებობაც ყოველთვის კეკუაზე მეტი მქონდა... სხვათა შორის, როდესაც 2002-ში ლომინაძის საქმეზე ის მოსმენა შედგა, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ, სამსახურში დაბრუნებულმა მეშველიანს ვუთხარი, ამერიკელები დადებენ დასკვნას და თუ შენი ცნობა არ დადასტურდება, რა უნდა ქნა-მეთქი? ეტყობა, შეეშინდა...

**– ანუ მან გააყალბა?**

– მე ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ იარაღიც მას ჰქონდა და ტყვიაც. ამერიკელებს კი დახვდათ დაცვის პოლიციელის იარაღი, საიდანაც ის ტყვია იყო გასროლილი...

**– რა ვითარებაში დაგაკავეს?**

– სახლიდან გამოვედი და მაშინ დამაკავეს. სხვათა შორის, სახლიდან გამოსვლა იმ დღეს დავაგვიანე. ამათ დაგეგმილი ჰქონდათ დრო, უნდოდათ 12-საათიანი „კურიერისთვის“ მოესწროთ ეს ყველაფერი. ეტყობა, რაკი სახლში შევყოვნდი, დამირეკეს, მინისტრის მოადგილე გელოდებათო, ეკა ზღულაძეზე მითხრეს.

**– მას უნდა შეხვედროდით?**

– კი, წინა დღეს მინისტრთან მივედი. არ დამხვდა. ზღულაძე იყო ჩემი კურატორი. ის ლიფტთან შემხვდა, პარლამენტში გავრბივარ და ხვალ მოდიო. უნდა მეთქვა, სოდ-ი რომ დამდევდა. მალაზიაში რომ შევდიოდი, იქაც მიღებდნენ. იმდენი წელი იქ ვმუშაობდი და კარგად ვიცოდი მათი ტექნოლოგიები, როგორ აკეთებდნენ ამას... ერთი სიტყვით, სახლიდან ეკა ზღულაძის თანაშემწის ზარზე გამოვედი და მაშინვე დამაკავეს. თან ყველა ისეთი ხალხი იყო, ვინც კარგად მიცნობდა. ბოდიშებს მიხდიდნენ... აქ ორი საქმე ერთად გაკეთდა: დაუშვებელი მტკიცებულებაც მიიღეს და თანაც ჩემი იქ ყოფნაც არ აწყობდათ, რადგან მათ შეკვეთებს ხელს არასდროს მოვაწერდი.

ნიკა ლომინაძე



**„გენპროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ნიკა ლომინაძის მკვლელობის ადგილის განმეორებითი დათვალიერებისას დავით კეკუამ იატაკზე ფარულად დააგდო მის მიერვე მიტანილი ტყვია, რაც ოქმში ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის ტყვიად აისახა“**

**„სახლიდან გამოვედი და მაშინ დამაკავეს. სხვათა შორის, სახლიდან გამოსვლა იმ დღეს დავაგვიანე. ამათ დაგეგმილი ჰქონდათ დრო, უნდოდათ 12-საათიანი „კურიერისთვის“ მოესწროთ ეს ყველაფერი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE ინტერვიუ პატიმრ



## ● ინანიებს თუ არა ნოშრევან ნამორაძე დანაშაულს?
## ● რატომ დაუპირისპირდა ქუჩური ანგარიშსწორებით დავით კოდუას?
## ● რა ურთიერთობა აქვს შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძესთან?
## ● რას პასუხობს ყოფილი ბიზნესპარტნიორის, გიორგი ზაქაიძის ბრალდებებს?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**დავით კოდუას ცემაში ბრალდებული ნოშრევან ნამორაძე წინასწარ პატიმრობას გლდანის #8 დაწესებულებაში იხდის. „პრაიმტაიმმა" მოახერხა სკანდალური საქმის მთავარ ფიგურანტთან ციხეში კომუნიკაციის დამყარება და მასთან ინტერვიუს ჩაწერა.**

**ინანიებს თუ არა ნოშრევან ნამორაძე დანაშაულს? რატომ დაუპირისპირდა ქუჩური ანგარიშსწორებით დავით კოდუას? რა ურთიერთობა აქვს შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძესთან და რას პასუხობს ყოფილი ბიზნესპარტნიორის, გიორგი ზაქაიძის ბრალდებებს?**

**მკითხველს შევახსენებ, რომ „ტიფლის დეველოპმენტის" დირექტორი გიორგი ზაქაიძე დავით კოდუასა და ნოშრევან ნამორაძეს კომპანიის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს. როგორც ზაქაიძე ამბობს, ნოშრევან ნამორაძის ოჯახი „ტიფლის დეველოპმენტში" 50%-იან წილს ფლობდა, საიდანაც 25% არაოფიციალურად დავით კოდუას ეკუთვნოდა. თუმცა, ნამორაძემ და კოდუამ ვალდებულება არ შეასრულეს და კომპანიაში ინვესტიციის განხორციელებაზე უარი თქვეს. მიუხედავად ამისა, ზაქაიძის თქმით, მათ კომპანიიდან მილიონი ლარის ღირებულების ქონება გაიტანეს.**



**მაშ ასე, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს წინასწარ პატიმრობაში მყოფ ნოშრევან ნამორაძესთან.**

**– პირველ რიგში, მინდა გკითხოთ ზაქაიძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ირწმუნება, რომ თქვენ წილის სანაცვლოდ ერთობლივი კომპანიიდან მართლაც გაიტანეთ ქონება... აქვე ზაქაიძე თქვენც და დავით კოდუასაც ერთნაირად გდებთ ბრალს... რეალურად, რა მოხდა თქვენ შორის?**

– ზაქაიძე ქონების გატანაში, ალბათ, გულისხმობს 250 კვ.მ-ს, რომელიც არანაირად არ გადიოდა წილში. ეს იყო ჩემი ოჯახის საკუთრება თავიდანვე. მშენებლობის დროს ისედაც გათვალისწინებული იყო, რომ ყოველგვარი წილის მიღმა ეს ფართი ჩემს ოჯახს ეკუთვნოდა. ეგენი იმასაც ამბობენ, თითქოს მაშინ, როცა დამიჭირეს, საპროცესო თანხითაც კი დამეხმარნენ, რაც სრული აბსურდია. ეს 250 კვ.მ სწორედ იმიტომ გავყიდე, რომ საპროცესოს თანხა გადამეხადა, ისიც არასრულად. ანუ იძულებული გავხდი, გამესხვისებინა, რა. ნახევარი მილიონი გადამახდევინეს საპროცესოში, თანხის ნაწილი სწორედ იმ ფართის რეალიზაციით შევიტანე, ნაწილზე კი სესხის აღება გახდა საჭირო. ამ ვალის ნაწილს ახლაც კი ვიხდი. მოკლედ, სრული ტყუილია, რომ თითქოს წილების დათმობის სანაცვლოდ, მე რაიმე ქონება მივიღე.

**– საინტერესოა თქვენეული ახსნა, რა ამოძრავებს ზაქაიძეს?**

– სხვათა შორის, კარგი კითხვაა, რადგან ზაქაიძის როლი მთელ ამ საქმეში ძალიან საინტერესოა. თავის დროზე, როდესაც მე ნარკოტიკი ჩამიდეს და დამაკავეს, ერთი დღით ადრე დაკავებული ჰყავდათ ზაქაიძე. ეს იყო 16 სექტემბერი. მის დაკავებას ესწრებოდა ერთ-ერთი პიროვნება, ნიკა რაზმაძე. ჩემმა ადვოკატმაც გამოკითხა ეს პიროვნება. როდესაც ორივე – ზაქაიძე და რაზმაძე გადაიყვანეს განყოფილებაში, ზაქაიძე დაიტოვეს იქ, რაზმაძე კი მალევე გამოუშვეს. შემდეგ რაზმაძე ყვება, რომ განყოფილებაში იმყოფებოდა უშუალოდ ერეკლე კოდუა. ამის შემდეგ, სრულიად საეჭვო ვითარებაში გაათავისუფლეს. საინტერესოა, საერთოდ ბრალი წაუყენეს თუ არა? რატომ და რა პირობით მოხდა მისი განთავისუფლება? ზაქაიძის განთავისუფლების შემდეგ, აბსოლუტურად იცვლება მისი დამოკიდებულება, რაც მაფიქრებინებს, რომ გარიგება მოხდა მასა და კოდუას შორის. ამის შემდეგ, დაიწყეს ერთობლივი ზეწოლა ჩემზე. ასე რომ, დღეს ზაქაიძის განცხადება, რომ თითქოს ის ნოშიკო ნამორაძესთან ერთად კოდუასაც ადანაშაულებს, ჩემთვის ძალიან ადვილად ასახსნელია. ზაქაიძეს რომ დღეს ეთქვა, კოდუა ძალიან კარგი ადამიანია და მას არანაირი ინტერესი არ ჰქონდაო, გაიშიფრებოდა, რომ რეალურად ზაქაიძე და კოდუა ერთობლივად მოქმედებდნენ ჩემს წინააღმდეგ. დღეს ზაქაიძის გააქტიურებაც დადგმული სპექტაკლია. კოდუებმა ის შეგნებულად ალაპარაკეს ის შუალედური განცხადებები, თითქოს ის განტევების ვაცია და დაზარალებულია როგორც კოდუასგან, ისე ნამორაძისგან. აქედან გამომდინარე, ჩემთვის გასაგებია, რატომ ლანძღავს ზაქაიძე კოდუების ოჯახსაც, ეს დადგმული სპექტაკლია, რათა არ გამოვლინდეს მისი ალიანსი კოდუებთან.

**„დადგინდა, რომ გასროლა მეორე მხრიდან მოხდა და ქუსლში დამჭრა ძირს დაცემულ მდგომარეობაში"**

**– ამ გადმოსახედიდან, ახლა, როდესაც საკანში იმყოფებით, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ანგარიშსწორების ის ფორმა, რომელსაც მიმართეთ... ხომ არ ნანობთ, რაც გააკეთეთ?**

– რა თქმა უნდა, ეს ფორმა გამართლებული არ არის. მე რომ ეს გამართლებულად მიმაჩნდეს, აქამდეც გავუსწორდებოდი. არავის მოვუწოდებ, რომ გამოვიდნენ და ქუჩაში გამართონ ცემა-ტყეპა. შესაძლოა, მე არასწორად მოვიქეცი, მაგრამ იმ მომენტში ეს იყო ადეკვატური რეაგირება. ეს იყო გამოძახილი წლების განმავლობაში დაგროვილი ტკივილის, რომელიც მე და ჩემს ოჯახს მოგვადგა. თვითონ კოდუამ ადამიანურად ხომ იცის, რაც მოხდა ამ წლების განმავლობაში. მე, რა თქმა უნდა, არ მქონია მოლოდინი, რომ ის ბოდიშს მოიხდიდა, მაგრამ როდესაც შეხვდები და უტიფრად გიყურებს თვალებში, გაგრძნობინებს, რომ ფეხებზე კიდია ყველაფერი, აი, მანდ შეიძლება ველარაფერი გაიაზრო. მისმა დამოკიდებულებამ კიდევ ერთხელ მაგრძნობინა თავი შეურაცხყოფილად და ველარ მოვითმინე.

**– დაზარალებულის მხარეც და პროკურატურაც ამბობს, რომ თქ-**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ობაში მყოფ ნოშრევან ნამორაძესთან



**ვენ მარტო არ იყავით... პრინციპში, ერთი ადამიანის მიერ ამ ტიპის დაზიანებების მიყენება მართლაც საეჭვოა...**

– ეს კითხვა ხშირად ისმის... და მე რა უნდა ვამტკიცო? როგორ მოვერიე კოდუას? ექსპერიმენტს ხომ არ ჩავატარებ, არა? მე ვარ გამწარებული ადამიანი, რომელიც უსამართლობის მსხვერპლია, აქვე გაითვალისწინეთ, რომ წლების მანძილზე სპორტით ვიყავი დაკავებული, კოდუებს მართლა ხომ არ ჰგონიათ, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ვარ. იმ მომენტში ძალაც მომეცა და ყველაფერი. ეს იყო მართალი კაცის ძალა ბოროტი ადამიანის წინააღმდეგ. ჩხუბის დროს შევამჩნიე, რომ ხალხი იყო გარშემო, თუმცა ჩხუბით მხოლოდ მე ვჩხუბობდი. იქ ჩემი თანმხლები პირი არავინ ყოფილა. ეგენი იმასაც ამბობენ, რომ თითქოს ელექტროშოკი იქნა გამოყენებული. ელექტროშოკი საერთოდ არასდროს მჭერია ხელში.

**– ინციდენტის ადგილას თუ შენიშნეთ დავით კოდუას მცირეწლოვანი შვილი?.. ითქვა, რომ ბავშვმა ამ ყველაფერს უყურა...**

– მე როცა ჩხუბი დავიწყე, გარშემო ვინ რას აკეთებდა, ყურადღება აღარ მიმიქცევია, მაგრამ, როცა კოდუას შევხვდი და ველაპარაკებოდი, მასთან ბავშვი საერთოდ არ იმყოფებოდა. ეს ზუსტად მახსოვს. მათგან განსხვავებით, არ ვარ ის კაცი, რომელმაც არ ვიცი, რას ნიშნავს ბავშვისთვის ტრავმის მიყენება. ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე, როდესაც სწორედ მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით შეცვივდნენ სახლში და ნარკოტიკი ჩამიდეს. მაშინ სახლში მხოლოდ ქალები და ჩემი პატარა ბავშვი იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგად ვიცი, რამდენად მძიმე ტრავმაა ეს ბავშვისთვის და მშობლისთვისაც. რა თქმა უნდა, ამას ბავშვის თანდასწრებით არ გავაკეთებდი. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ბავშვი იქ არ იმყოფებოდა. ჩემი ადვოკატისგან გავიგე, რომ მოწმეების ჩვენებითაც ბავშვის იქ ყოფნა არ დასტურდება. მაგალითად, კოდუას ბავშვის ძიძას უთქვამს, რომ, როდესაც ეს შეხლა-შემოხლა დაინახა, იძულებული გახდა, უკან, სალონში შებრუნებულიყო, რადგან სწორედ სალონში იმყოფებოდა ბავშვი.

**– წარსულში ბიგ-ბენთან მომხდარ სროლებში თქვენს მონაწილეობაზე რას იტყვით?.. ამ დღეებში თქვენმა გვარმა ამ კონტექსტშიც გაიჟღერა... რა მოხდა მაშინ, შეგიძლიათ გაიხსენოთ?**

– 2006 წელს, ბიგ-ბენთან შელაპარაკება მოხდა პოლიციის თანამშრომელთან, რასაც სროლა მოჰყვა, რა დროსაც ფეხში დამჭრეს. მე იმ დროს ბრალდებულის სახით დამაკავეს, საავადმყოფოში ვიყავი და ფეხი მქონდა ჩამოკიდებული, თავზე მადგა ბადრაგი. დაზარალებულად ის პოლიციელი ცნეს. მე და ჩემი ოჯახიც მთლიანად ჩემს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვიყავით გადართულნი, შესაბამისად, პოლიციაში საჩივრის შეტანაზე მაშინ არც გვიფიქრია. სამაგიეროდ მეორე მხარემ შეიტანა საჩივარი და გამოძიების პირველ ეტაპზე მე მცნეს ბრალდებულად, ის კი – დაზარალებულად. ამის შემდეგ, ჩემი ადვოკატების ძალისხმევით, შემთხვევის ადგილზე ექსპერტიზა ჩატარდა. დაიდო დასკვნა, რომელსაც გამოძიება ვერ შეეწინააღმდეგა. დადგინდა, რომ გასროლა მეორე მხრიდან მოხდა და ქუსლში დამჭრა ძირს დაცემულ მდგომარეობაში. ამის შემდეგ, ის პიროვნება გახდა ბრალდებული და მე მაღიარეს დაზარალებულად. არაფერი უკანონო არ გამიკეთებია.

**– დაბოლოს, მინდა გკითხოთ... სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად ხართ გადაღებული... საინტერესოა, რა ურთიერთობა გაქვთ ალექსანდრე ჭიკაიძესთან?**

– არანაირი. ზუსტად აღარც მახსოვს, ეს ფოტო კონკრეტულად როდის არის გადაღებული. ერთ-ერთ საქველმოქმედო ღონისძიებაზე ვიყავით მე და ჩემი მეუღლე, სადაც მიწვეულნი გახლდნენ სხვადასხვა ცნობადი პიროვნებები, მათ შორის იყვნენ პოლიტიკოსებიც. სრულიად შემთხვევით მოვხვდი კადრში, სადაც ჩანს ჭიკაიძეც. არანაირი ნაცნობობა მასთან არ მაკავშირებს. ისე კი ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ ქალაქში, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი მათ შორის ნამდვილად არ არის.



## „ჩემთვის გასაგებია, რატომ ლანძღავს ზაქაიძე კოდუების ოჯახსაც, ეს დადგმული სპექტაკლია, რათა არ გამოვლინდეს მისი ალიანსი კოდუებთან“

## „რა თქმა უნდა, ეს ფორმა გამართლებული არ არის. მე რომ ეს გამართლებულად მიმაჩნდეს, აქამდეც გავუსწორდებოდი. არავის მოვუწოდებ, რომ გამოვიდნენ და ქუჩაში გამართონ ცემა-ტყეპა“

## „მათგან განსხვავებით, არ ვარ ის კაცი, რომელმაც არ ვიცი, რას ნიშნავს ბავშვისთვის ტრავმის მიყენება“



## „ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ ქალაქში, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი მათ შორის ნამდვილად არ არის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ერეკლე კოდუას წინააღმდეგ

## ვის განცხადებას მიიღებს დღეს მთავარი პროკურატურა?

მარიამ ნადირაძე

შესაძლოა, ძალიან მალე ერეკლე კოდუას პროკურატურამ ახალი, რიგით მესამე ბრალი წაუყენოს. ამ შემთხვევაში საქმე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფარგლებს გასცდება...

ყოველ შემთხვევაში ასეთი მოლოდინი აქვს ცნობილი პოლიციელის, გია თელიას ოჯახს, რომელიც პროკურატურას განცხადებით დღეს მიმართავს, **2006** წლის **15** თებერვალს ნინოშვილის ქუჩაზე განხორციელებული სპეცოპერაციის მართლზომიერების გამოძიების თხოვნით. სწორედ ამ სპეცოპერაციის დროს მოკლეს პოლკოვნიკი გია თელია, რომელიც შემთხვევამდე **3** თვით ადრე აცხადებდა, რომ მას მოსაკლავად ერეკლე კოდუა დასდევდა. ოჯახი დარწმუნებულია, რომ გია თელიას მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი.

ვის და რატომ აწყობდა პოლიციელის თავიდან მოშორება? – სანამ ამ



**კითხვას გავცემთ პასუხს, მოკლე პრეისტორიასაც მოგახსენებთ:**

პოლიციურ წრეებში თელია ცნობილი 80-იანი წლების სპეცოპერაციის შემდეგ გახდა, სახელწოდებით „მშრალი მორფინი“. მაშინდელი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესდა, როგორ აღწევდა ყაზახეთიდან, კონკრეტულად კი ქალაქ ჩიმკენტში მდებარე ნარკოტიკების გადამამუშავებელი ქარხნიდან ნარკოტიკი გამყიდველებამდე, მერე კი – შავ ბაზრამდე. თელია მოხერხებული სცენარით ჩაინერგა ნარკოტრაფიკის ხელმძღვანელთან, რომელმაც ისე შეიყვარა პოლიციელი, რომ სპეცოპერაციის შემდეგ, როცა ამ საქმეზე185 კაცი დააკავეს, მათ შორის 12 დაქირავებული მკვლელი და, რაღა თქმა უნდა, ეს კრიმინალური ლიდერიც, მას ბოლომდე არ სჯეროდა, რომ გია თელია პოლიციელი იყო და მან „ჩაუშვა“ ეს საქმე. ამ ისტორიის შესახებ ქვემოთ შემოთავაზებული სტატიის ავტორს წლების წინათ თავად თელიამ უამბო. მეტიც, მას ყაზახეთში, სასტუმროშიც მიუგზავნეს ქილერი და სასწაულებრივად გადარჩა. ამ საქმის ფარგლებში დანაშაულის კვალი ბრეჟნევის სიძემდე, ე.წ. „დუბოვი გენერლამდეც“ მივიდა. ამიტომაც საკავშირო სამინისტრომ ხელი დაიბანა და თავად უთხრეს ქართველ პოლიციელს, რომ ისინი მას ვერ დაიცავდნენ. საქართველოში მან სატვირთო ეშელონით ჩამოაღწია, რომელსაც ქვანახშირი გადაჰქონდა.

ამ ისტორიის შემდეგ თელია სულ მოჭიმული ცხოვრობდა და ბუნებრივია, იარაღი ყოველთვის თან ჰქონდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ხსენებული სპეცოპერაციის დროს გაუსინჯა მან გემო ნარკოტიკს და იმის შემდეგ მისი გავლენიდან ველარ გამოვიდა. თუმცა, რაკი მსხვერპლი იყო, პოლიციაში მისთვის მუშაობა არავის აუკრძალავს, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით პერიოდს, როდესაც ის შოთა კვირაიამ დააპატიმრა. თელია მას ყელში მაშინ გაეჩხირა, როდესაც მან შეიტყო, რომ თბილისის აეროპორტში უნდა დამჯდარიყო ტაჯიკეთიდან ევროპაში მიმავალი თვითმფრინავი საწვავის შესავსებად. თვითმფრინავს ნარკოტიკების დიდი პარტია მიჰქონდა და ხელშეუხებლობის გარანტიაც ჰქონდა, რადგან ამ საქმეს, ინფორმაციის შესაბამისად, უშიშროების მინისტრი, შოთა კვირაია აგვარებდა. ეს ამბავი პოლიციელმა ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს, დავით ზეიკიძეს გააცნო. ამას მოჰყვა ცნობილი სკანდალი, როდესაც დავით ზეიკიძე „იმელში“ შეიჭრა შევარდნაძისთვის ამ ინფორმაციის მისაწოდებლად, მაშინ როდესაც პარლამენტი კვირაიას მინისტრად ამტკიცებდა. შედეგად მათ სახელმწიფო გადატრიალებაში დასდეს ბრალი. ციხეში მოხვედრილ თელიას კი ბოლო პერიოდში მომხდარ თითქმის ყველა სკანდალურ მკვლელობაზე მიაცემინეს აღიარებითი ჩვენება. მას შემდეგ, რაც ციხიდან თავი დააღწია, პოლიციელმა სასამართლოს გზით მიაღწია რეაბილიტაციას და ყველა საქმეზე მოეხსნა ნასამართლობა...

2003 წელს პოლიციიდან პენსიაში გავიდა, თუმცა მის მიმართ დაინტერესება რევოლუციურ ხელისუფლებას არ განელებია. რაკი ყველამ იცოდა მისი მიდრეკილებების შესახებ ნარკოტიკის მოხმარებაზე, ხელისუფლებისთვის პრობლემა არ იყო ამ სახის ობიექტისთვის ნარკოტიკების რეალიზატორის სახელიც მიეწებებინა... მისი სახელი და გვარი ერთ-ერთ პირველ ნომრად სახელდებოდა სიაში, რომელიც ცნობილი აქციის – „ქალაქში მკვლელიას“ ფარგლებში ქვეყნდებოდა. ამის გამო თელიამ სასამართლოში ჩივილი გადაწყვიტა და ადვოკატსაც მიმართა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ მას ბულაჩაურის ქუჩაზე ესროლეს... ტყვიამ შუბლი გაუკაწრა. თელიამ მკვლელი იცნო...

**9 წლის შემდეგ მისი ყოფილი შეფი, თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი, დავით ზეიკიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას იხსენებს:**

– რომ ესროლეს, მაშინ მოვიდა ჩემთან.

**– როგორ გადარჩა?**

– ტყვიამ შუბლი გაუჩხაპნა. მიყვებოდა, მკვლელი ჩასაფრებული იყო, მაგრამ მიზანში ვერ მომახვედრაო. დაინახა კიდეც, ვინც ესროლა. ადვოკატთან ვიყავი. რომ გამოვედი, დავინახე, ვიღაც კედელთან იყო ჩასაფრებული და პირდაპირ მესროლაო. რომ წამოდგა და გარბოდა, ვიცანი, ვინც იყოო. გია თითქმის ყველას იცნობდა პოლიციაში. სამწუხაროდ, არ დავუჯერე – კარგი, რა, გია, რას ლაპარაკობ-მეთქი.

**– რატომ არ დაუჯერეთ? გქონდათ საფუძველი, მისი მონაყოლი არ დაგეჯერებინათ?**

– გიას ცოტა ტრიპაჩობა უყვარდა და მეგონა, რომ ახლაც აბუქებდა. დაიფიცა, მართლა ასე იყოო. მერე უკვე სერიოზულად გამოვკითხე. მითხრა, ჩემი მოკვლა უნდათო.

**– რატომო?**

– ნარკოტიკებზე საუბრობდა... ვიცი, ნარკოტიკები რა გზებით შემოდის, როგორ ხორციელდება მისი ტრანზიტი და



> „თავიდან მისი გვარი არ დაუსახელებია. როცა იმ ადამიანზე ვსაუბრობდით, ვინც ესროლა, ვკითხე, პოლიციელია-მეთქი? კოდუასთან მუშაობსო...“

> „ბავშვებმა მოისმინეს საუბარი, ერთი ეუბნებოდა მეორეს, ვერ წამოიფხატე ეს ქუდი და ვერ ესროლე ცოლსო?“




გია თელია

## გია თელია: „მაგათ ერთი და ორი კაცის სისხლში კი არა აქვთ ხელები გასვრილი, კორიდორებში ეძახიან ერთმანეთს, – ეს კაცი სალიკვიდაციოა და რას აკეთებთ, დროზე ღონისძიება შეიმუშავეთო“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი ბრალდება მზადდება?

## დავით ზეიკიძე: „გია მიყვებოდა, ვიცი, ნარკოტიკები რა გზებით შემოდის, როგორ ხორციელდება მისი ტრანზიტი და ვინ მფარველობსო. მეტიც, მითხრა, ერთ ადგილას ამ ჯგუფს ხელი შევუშალე და ამიტომ გადამეკიდნენო“

ვინ მფარველობსო. მეტიც, მითხრა, ერთ ადგილას ამ ჯგუფს ხელი შევუშალე და ამიტომ გადამეკიდნენო.

**– უფრო მეტად არ დაგიკონკრეტათ, როგორ შეუშალა ხელი?**

– მე სიღრმეებში არ ჩავძიებივარ. რა ჩემი საქმე იყო, ბინძური საქმეა და თანაც პოლიციაში ხომ აღარ ვმუშაობდი? რაში მაინტერესებდა, ვის რა ტრანზიტი ჰქონდა? რატომ უნდა ჩავრეულიყავი პოლიციის საქმეებში?

**– პირდაპირ გითხრათ, ერეკლე კოდუას შევუშალე ხელიო?**

– თავიდან მისი გვარი არ დაუსახელებია. როცა იმ ადამიანზე ვსაუბრობდით, ვინც ესროლა, ვკითხე, პოლიციელია-მეთქი? კოდუასთან მუშაობსო. მე ერეკლე კოდუას არც ვიცნობდი. გიამ მითხრა, სოდ-ის უფროსიაო. მერე, კოდუასთან რა საქმე გაქვს, კაცი მოსაკლავად რატომ უნდა გამოეგზავნა-მეთქი? აი, მაშინ მითხრა, მისი საქმეები ვიცი, ნარკოტიკების ტრანზიტს რომ მფარველობს. მე რომ ვიცი, ამის შესახებ, კოდუამდე გაჟონა ამ ამბავმაო. ეჭვი გამოვთქვი, რომ შეიძლებოდა სოდ-ი და მისი ხელმძღვანელი ყოფილიყო ჩარეული ასეთ ბინძურ საქმეში. ჩემამდე ეს არ დადიოდა...

**– რატომ ამბობთ, ბატონო დათო, ამას? თქვენ დროს არ იყო კვირაიას შესახებ რომ მიიღეთ ინფორმაცია, შუააზიური ნარკოტიკის ტრანზიტს რომ მფარველობდა? ამის შესახებ შევარდნაძისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად არ შევარდით „იმელის“ შენობაში, რის გამოც გადატრიალების მცდელობაში დაგადანაშაულეს?**

– არა... არა... ეს სხვა საქმე იყო... ჩვენს დროს პოლიცია ასეთ საქმეებში არ ერეოდა. იმ დროს უშიშროება და ქალაქის პოლიციის სამძებრო მუშაობდა ყველაზე პატიოსნად. თუმცა, ყველაფერი შედარებითია. როდესაც ნარკომანიის უფროსი ვიყავი, პირველად მაშინ გავიგე, რომ ერთ-ერთმა თანამშრომელმა „კანონიერ ქურდს“, ნარკომანს დაუწესა ყოველთვიური გადასახადი. ძალიან გამიკვირდა. მანამდე ასეთი რამ გაგონილიც არ მქონდა.

**– გია თელია მაშინ მუშაობდა თქვენთან?**

– არა. ჩემს დაქვემდებარებაში ის აღმოჩნდა მაშინ, როცა სამმართველოს უფროსი გავხდი.

**– ჩიმკენტის სპეცოპერაცია უკვე ჩატარებული იყო?**

– კი... და არც ვმალავდით, რომ ის ნარკოტიკებს მოიხმარდა ამ სპეცოპერაციის შემდეგ. ვინახავდით, რადგან სახელმწიფომ გაანარკომანა და გვეცოდებოდა. კარგი ოპერატიული მუშაკი იყო, ჭკვიანი და პატივს ვცემდი....

**– რა ურჩიეთ გია თელიას, რომელმაც მასზე თავდასხმის შესახებ გიამბოთ?**

– ვურჩიე, პოლიციაში წასულიყო და განეცხადებინა. პოლიციაში რა მინდა, ისინი დამდევენ მოსაკლავადო. მაშინ მასმედიას მიმართე-მეთქი. ასეც მოიქცა. აგორდა კიდეც ამბავი, რომ მისი მოკვლა უნდოდათ. მაინც მოკლეს. მაშინ განუკითხაობა იყო. მოკლული რომაა, ხომ ფაქტია? ცაცია იყო და მარჯვენა ხელში ჩაუდეს იარაღი, ვითომ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა...

სიკვდილამდე თელიამ პროკურატურასაც მიმართა და განაცხადა, რომ დევნიდნენ. ამის გამო მას დასცინეს და ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარეს. მანამდე „ კოკა-კოლა“ და ყავა შესთავაზეს. პოლიციელი მიხვდა, რომ ნარკოტიკით გაჯერებულ სასმელს სთავაზობდნენ... ამიტომაც საკუთარი სიცოცხლის დაცვა მასმედიის საშუალებით გადაწყვიტა და გაზეთ „რეზონანსს“ სკანდალური ინ-




ტერვიუც მისცა. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ამონაწერებს ამ ინტერვიუდან. მაშ ასე, რას წერდა თელია სიკვდილის წინ: „5 ოქტომბერს მივედი ადვოკატთან, დავსახეთ გზები. გამოვდივარ მისი ოფისიდან, უნდა ჩავჯდე მანქანაში და ამ დროს მესვრიან ზურგიდან 3-4 მეტრის მანძილზე. ტყვია მომხვდა კეფაში, თავის ქალამ აისხლიტა, კანქვეშ იარა 6,5 სანტიმეტრი, გამოვარდა ყურთან. რესპუბლიკურ საავადმყოფოში წამიყვანეს. ექიმი აჩიკო ჯვარშიშვილი გაკვირვებული იყო, როგორ გადარჩიო... მანამდე, 4 ოქტომბერი თენდებოდა, ჩემს სახლში მივიდნენ ტაბახმელაში ნიღბიანები და მოსაკლავად მეძებდნენ. ტაბახმელაში მაქ სახლი, რომელშიც ცხოვრობს ჩემი უბნელი ბიჭი, რომლის სახლი მიწისძვრის შედეგად დაზიანდა. ამხანაგებმა

**„ვურჩიე, პოლიციაში წასულიყო და განეცხადებინა. პოლიციაში რა მინდა, ისინი დამდევენ მოსაკლავადო“**

მთხოვეს, შენთან ავალთ და ბილიარდს ვითამაშებთო, მე თანხმობა ვუთხარი. ავიდა ჩემი მეგობარი, ეტყობა, ინფორმატორს ჩემს მეგობარში შევეშალე. 4 ოქტომბერი რომ თენდებოდა, ღამის 4 საათზე ნიღბიანი, შეიარაღებული პირები დაადგნენ მძინარე სლავიკას, მაგრამ მარტო სლავიკა შერჩათ ხელში. მე რახან არ ვიყავი, ყაჩაღობის იმიტაცია მოაწყვეს, თუმცა, ფაქტობრივად, არაფერი წაუღიათ და წავიდნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ ვიფიქრე, ამ სიტუაციას გავეცლები-მეთქი, სახლში არ ვჩერდებოდი. ორი დღის წინ ჩემს მეუღლეს არასრულწლოვან ბავშვებთან ერთად ორი პიროვნება ძალით უვარდებოდა სახლში. ჯერ მე მიკითხეს, კარი რომ არ გაუღო მეუღლემ, ის პიროვნება ლამობდა შემოჭრას. შემდეგ ბავშვებმა მოისმინეს საუბარი, ერთი ეუბნებოდა მეორეს, ვერ წამოიფხატე ეს ქუდი და ვერ ესროლე ცოლსო? ამით ისინი ყოველ ზღვარს გადადიან...

მე მდევნიან შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი კოდუა და მისი მოადგილე კახა მისირელი.

ინფორმაცია მაქვს, იქ რაც ხდება. რომ გადავრჩი, სასწრაფო თათბირი მოიწვია ირაკლი კოდუამ. ჯერ ის კაცი დაიბარა, ვინც მესროლა. „თუ სროლა არ შეგიძლია, ბიჭო, მაშინ რას იღებ შენს თავზე, სხვას დავავალებდი და შეასრულებდაო“, შემდეგ სხვებს მიუტრიალდა და უთხრა: „რა ვქნათ, თელია გაშიფრავს, ვინ ესვრის და სასწრაფოდ არის მოსაფიქრებელი, რა ვქნათო“.

ერთმა თქვა, სახლში შევუვარდეთო. არა, სახლში შევარდნა არ გამოვა, ჩვენ მოწმით უნდა მივიდეთო. შემდეგ მოიფიქრეს, გარეთ რომ გამოვა, იარაღით დავაკავოთო. მერე თქვეს, იარაღით დაკავება რას მოგვცემს, სამ წელიწადს მისცემენ, მერე პრობლემები შეიქმნება, სანამ მომენტი გვაქვს, ლიკვიდაციაა საჭიროო.

მაგათ ერთი და ორი კაცის სისხლში კი არა აქვთ ხელები დასვრილი, კორიდორებში ეძახიან ერთმანეთს – ეს კაცი სალიკვიდაციოა და რას აკეთებთ, დროზე ღონისძიება შეიმუშავეთო.

მასთანაც (ერეკლე კოდუასთან. – მ.ნ.) მქონდა ერთხელ შელაპარაკება. სანამ „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა, კოდუა მუშაობდა ჩუღურეთის რაიონში არასრულწლოვანთა ინსპექციაში. მესტუმრა ბიძაშვილი გურიიდან, რომელიც გლეხი კაცია და ყანაში თოხნის მეტი არაფერი უკეთებია მთელი ცხოვრება. როდესაც გავიგე, მეზობლები შემოვიდნენ და მითხრეს, შენს ბიძაშვილს ოთხი მანქანით დაესხნენ თავსო და წაიყვანესო.

ჩავედი ჩუღურეთის პოლიციაში და რას ვხედავ? კალია რომ შეესევა ყანას, აი, ისე იყვნენ შესეული ამ მანქანას, გადმოყრილი „სიდენიები“ და ჩამძვრალი არიან მანქანაში. უხეშად მოვკიდე ერთ-ერთს ხელი და გამოვათრიე, ვუთხარი, – თუ ჩხრეკთ მანქანას, წესიერად გააკეთეთ-მეთქი. ამათ რომ ვეჩხუბებოდი, ამ დროს მესამე სართულიდან გადმოდგა კოდუა და მითხრა, – ჩემი გამოგზავნილები არიანო. შენ ვინღა ხარ, თუ აკეთებ რაღაცას, როგორც წესი და რიგია, ისე გააკეთე-მეთქი. მოკლედ, ძალიან უხეშად ვილაპარაკეთ და ისე დავცილდით ერთმანეთს. მაგისი გულისთვის თუ მკლავს, მაშინ გადარეული ყოფილა.

ის სტატიაც (სადაც გია თელია ნარკორეალიზატორად იყო მოხსენიებული. – მ.ნ.) იმისთვის იყო შეთხზული, რომ ჩემი მოკვლა ჰქონდათ დაგეგმილი და წინასწარ მოემზადნენ, რომ ეთქვათ, აი, ბატონო, ნარკობარიგებმა ერთმანეთს ესროლეს და თავიანთი ბინძური ნარკოტიკების გულისთვის ჩახოცესო.

მერაბიშვილამდე ვერ მივიდოდი. ხომ გეუბნებით, პარტიზანის მდგომარეობაში ვარ, იმის გულისთვის, რომ ტყვია არ მომხვდეს, გარეთ ვერ გავდივარ. არა მგონია, ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში იყოს შს მინისტრი.

თუ მომკლეს ისეთ სამხილს დავტოვებ, რომ ეს პიროვნებები ვერ გაექცევიან სამართალს. ჯერ მაინც იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლების წევრები დაინტერესდებიან ამ ინფორმაციით და შეისწავლიან ამ პიროვნებას და ჩამოაცილებენ ამ საქმეს. თუ, არადა, მერე მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციებს...“

გია თელიას ოჯახი პროკურატურას გამოძიების დაწყების თხოვნით დღეს მიმართავს. სავარაუდოა, რომ, თუ გამოძიება კეთილსინდისიერად წარიმართება, სწორედ მის ფარგლებში გამოჩნდეს მკვლელობამდე გია თელიას დაანონსებული სამხილები... მანამდე კი გარდაცვლილი ყოფილი პოლიციელის ოჯახის წევრები პრესასთან ურთიერთობას თავს არიდებენ.

**„თუ მომკლეს ისეთ სამხილს დავტოვებ, რომ ეს პიროვნებები ვერ გაექცევიან სამართალს“**

„თუ გამოძიება რეალურად დაიწყება, მხოლოდ მაშინ ღირს ამ ყველაფერზე საუბარი. მანამდე კი ყველა საუბარი ჰაერის ფუჭი ნაყვა იქნება“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ გია თელიას ძმამ, დათო თელიამ.

**დაბოლოს, ისე, შენიშვნისთვის:**

გია თელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით 8 წლის წინათ პარლამენტში განმარტების გაკეთება შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილსაც მოუხდა. აი, რას აცხადებდა ის ამ საქმესთან დაკავშირებით: „დიახ, თელია თვეების განმავლობაში აცხადებდა, რომ მას უპირებდნენ მოკვლას მაღალჩინოსნები სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტიდან. აცხადებდა ყველასთან, დადიოდა ყველა პოლიტიკოსთან. პოლიტიკოსთან ბრჭყალებში, ანუ ყველა ოპოზიციონერთან. თელიას ჰქონდა მცდელობა, მოეხდინა საკუთარი პოლიტიკური რეაბილიტაცია იმ დაგეგმილი დანაშაულის, ან მკვლელობის წინ, რომელსაც ის აპირებდა, განეხორციელებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ“. არადა 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განმარტებით, ის ნარკოტიკების შენახვასა და რეალიზაციაში იყო ეჭვმიტანილი და სწორედ ამ ბრალდებით ჩატარდა მისი აყვანის სპეცოპარაცია, რა დროსაც თურმე ცაცია თელია მარჯვენა ხელიდან გასროლით უწევდა „სპეცნაზს“ შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

როგორც ჩანს, გამოძიების მსჯელობის საგანი გახდება „სპეცნაზის“ დახმარებით სპეცოპერაციის ჩატარების მოტივიც, სადაც გაირკვევა, რომელი ვერსიაა სწორი – მერაბიშვილის თუ სოდ-ის?



დავით ზეიკიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ ასაიდუმლოებს თეა წულუკიანი ანტიდისკრიმინაციული კანონის საკუთარ ვერსიას

ქეთი ხატიაშვილი

**თეა წულუკიანის სკანდალური ანტიდისკრიმინაციული კანონი. რატომ ასაიდუმლოებს მინისტრი წულუკიანი საკუთარ პროექტს და რა მიზნით დაუჭირეს მხარი ამ სკანდალურ დოკუმენტს ალასანიამ და უსუფაშვილმა.**



## დიდი შეთქმულება, უნიჭო ხაფანგი თუ, უბრალოდ, უცოდინრობა – რა გამოწვევის წინაშე დადგა ირაკლი ღარიბაშვილი?

რა იყო დაგეგმილი, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა წულუკიანის პროექტს არჩევნების წინ და რატომ შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილი ილია მეორეს.

დიდი შეთქმულება, უნიჭო ხაფანგი თუ, უბრალოდ, უცოდინრობა – რა გამოწვევის წინაშე დადგა ირაკლი ღარიბაშვილი?

როგორ განვითარდება მოვლენები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რთული სათქმელია. ვერსია ბევრია, წინასწარმეტყველური ხმები – კიდევ უფრო მეტი. თუმცა, მოსწონს ეს ვინმეს და ეთანხმება თუ არა, ფაქტია – კოალიციაში ლიდერის როლში ირაკლი ღარიბაშვილი გამოიკვეთა. მასზე აკეთებს დღეს სწორებას ხელისუფლება. მათ შორის ალასანია, უსუფაშვილი და მარგველაშვილი. ისინი საკუთარ განცხადებებში ღარიბაშვილს აღიარებენ, როგორც ლიდერს.

მაგალითად, ამერიკაში ვიზიტის დროს ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ ის მთავრობის დავალებებს ასრულებს, ანუ ღარიბაშვილის.

დავით უსუფაშვილმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროს დიდი მადლობა გადაუხადა პრემიერს კანონპროექტის დახვეწისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილზე აქვს სწორება ოპოზიციასაც. მათ შორის, „ნაციონალურ მოძრაობას“. შემთხვევითი არ არის, რომ ოპოზიცია პასუხს ყველაფერზე ღარიბაშვილს სთხოვს. რა თქმა უნდა, ეს ლოგიკურია, პრემიერი ღარიბაშვილია და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც ქვეყანაში სწორედ ის იღებს. თუმცა, გასათვალისწინებელია ოპოზიციისთვის დამახასიათებელი ტაქტიკაც – მიზანში ამოიღოს ყველაზე ძლიერი ფიგურა და, მისი შესუსტების მიზნით, მუდმივად აკრიტიკოს. ეს ნაცადი ტაქტიკაა და ოპოზიციის როლში ამ ტაქტიკას ვერც ნაცები ასცდნენ. როდესაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში, მაშინდელი ოპოზიცია პასუხს ყველაფერზე ვანო მერაბიშვილს სთხოვდა ხოლმე და ესეც არ იყო შემთხვევითი.

თუმცა, ანტიდისკრიმინაციულ კანონს დავუბრუნდეთ.

პროექტი თეა წულუკიანის უწყებაში დაიწერა და წულუკიანმა გადაგზავნა ის კანცელარიაში. როცა მინისტრი დოკუმენტს უკვე მთავრობას უგზავნის დასამტკიცებლად, ეს ნიშნავს: წულუკიანი პროექტს გაეცნო, მოიწონა და ჩათვალა, რომ ის მზად არის, კანონის ფორმა მიიღოს. ამიტომაც მშვიდად გადაგზავნა პროექტი კანცელარიაში.

თუმცა, ღარიბაშვილს რომ ეს პროექტი იმ სახით შეეტანა პარლამენტში, ნამდვილი ომი ატყდებოდა. ამ ფონზე ძალიან ცინიკურად გაისმა **იუსტიციის მინისტრის,** წულუკიანის განცხადება:

– ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ შეწყდეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე პატივსაცემი პირის კათოლიკოს-პატრიარქის ნერვიულობა...

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფრაზამ ამორალურადაც კი გაიჟღერა, რადგანაც სწორედ წულუკიანის ვალდებულება იყო, პროექტი საბოლოო კონდიციამდე მიეყვანა, შეეთანხმებინა ის სხვადასხვა ჯგუფებთან, პირველ რიგში კი ეკლესიასთან. ეს სწორედ წულუკიანის ვალდებულება იყო. საერთოდ, ეს ქალი რით არის დაკავებული სამინისტროში, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, მას არანაირი გამოცდილება არ გააჩნია და არც იმათი მოსმენა სურს, ვინც იცის, როგორ იწერება კანონი. ალბათ, ახლაც იტყვის, ეს კრიტიკა მე არ მეხება, ეს დაკვეთილი წერილებია ჩემს წინააღმდეგო.

თუმცა ფაქტია, მინისტრ წულუკიანს პროექტი არავისთან შეუთანხმებია. ის, რაც კანცელარიაში გადაგზავნა, იმდენად სკანდალური იყო, რომ მისი გამოჩენის შემდეგ ქვეყანაში, ალბათ, ახალი რევოლუცია დაიწყებოდა. თუ ეს ტყუილია, მაშინ მინისტრმა იქნებ გაასაჯაროოს თავისი პროექტი.

წულუკიანის პროექტის მიხედვით, ანტიდისკრიმინაციულ კანონში ფართოდ იყო გახსნილი საზღვრები „ელჯიბიტების“ პროპაგანდისთვის. ეს პროექტი, ფაქტობრივად, პროპაგანდა იყო, რასაც ეკლესია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მაგალითად, კანონის მოქმედების სფეროდ განსაზღვრული იყო სკოლამდელი აღზრდა და განათლება... წულუკიანს სურდა, ინსპექტორის საგანგებო პოსტი შემოეღო.

საინტერესოა, რომ პოლიტსაბჭოზე წულუკიანის ამ პროექტს მხარი დაუჭირეს ირაკლი ალასანიამ და დავით უსუფაშვილმა. სწორედ იმ უსუფაშვილმა, რომელმაც შემდეგ ღარიბაშვილს პროექტის გადამუშავებისთვის მადლობა გადაუხადა, თავდაცვის მინისტრმა კი დუმილი არჩია. ღარიბაშვილი პროექტის ამ სახით მიღების წინააღმდეგი გამოვიდა. როგორც ამბობენ, პრემიერმა პოლიტსაბჭოზე წუკულიანი მკაცრად გააკრიტიკა.

პრემიერი იძულებული გახდა, პროექტზე მუშაობა უსაფრთხოების საბჭოს მდივნისთვის და საპარლამენტო მდივნისთვის ჩაებარებინა. წულუკიანის პროექტიდან ამოიღეს პროპაგანდა, პროექტში ჩაიდო კონკორდატის მუხლი და გაუქმდა ინსპექტორის პოსტი.

საპატრიარქოს კულუარებიდან ცნობილი ხდება, რომ ღარიბაშვილი პირადად შეხვდა პატრიარქს და პროექტის დეტალებში გაარკვია. საპატრიარქოში ამბობენ, რომ პრემიერმა პატრიარქს ისიც უთხრა, რომ კანონის მიღება მხოლოდ ევროპის თვალისასახვევად იყო საჭირო, რათა საქართველომ ისარგებლოს ყველა იმ სარგებლით, რასაც ევროკავშირთან დაახლოება მოიცავს. პირველ რიგში კი, ეს არის უვიზო მიმოსვლა, ვაჭრობის გაფართოება და ასე შემდეგ.

ამ საუბრის შემდეგ პატრიარქმა ღარიბაშვილს კურთხევა მისცა. ილია მეორე დარწმუნდა, რომ კანონი არანაირად არ გულისხმობს არც პროპაგანდას და არც ერთსქესიანთა ქორწინებას. პარალელურად პრემიერი კონსტიტუციაში ოჯახის ცნების განმარტების ინიციატივით გამოვიდა და თქვა, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის კავშირი და რომ ეს გამყარებული უნდა იყოს კონსტიტუციით.

ასე რომ, მოგვიანებით, – როცა პარლამენტმა ღარიბაშვილის გადამუშავებული კანონი მიიღო, – იგივე წულუკიანმა თქვა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ერთობა შენარჩუნდა. და ეს სულაც არ იყო მისი დამსახურება. მხოლოდ დავით უსუფაშვილს ეყო გულწრფელობა, ღიად გადაეხადა მადლობა პრემიერისთვის.

ისე, საინტერესოა, წულუკიანმა არ იცოდა, თუ ალასანია ვერ ხვდებოდა, რომ მათ მიერ მოწონებული პროექტი უკიდურესად დაძაბავდა ეკლესიასთან ურთიერთობას არჩევნებისა და ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ხელმოწერის წინ. და თუ იცოდნენ, განგებ გააკეთეს? და მაშინ ვის წინააღმდეგ იყო მათი ქმედებები მიმართული – ღარიბაშვილის?

ეს მხოლოდ კითხვებია. არც წულუკიანსა და არც ალასანიას ამ კითხვებზე პასუხები ჯერ არ გაუციათ. და სანამ ეს კითხვები ისმის, პასუხები კი – არა, ეჭვები, რომ კოალიციის შიგნით ზოგიერთებს ღარიბაშვილის შესუსტების ინტერესი აქვთ, იარსებებს. ირაკლი ალასანიას პოლიტიკური ამბიციები საყოველთაოდ ცნობილია.

ანტიდისკრიმინაციული კანონი კანცელარიას რომ არ შეეცვალა და საპატრიარქოსთან ურთიერთობა არ დაელაგებინა, რა თქმა უნდა, სწორედ ის აღმოჩნდებოდა მთავარი დარტყმის ქვეშ. და მერე თეა წულუკიანი ისევ იტყოდა, როგორ შეიძლება პატრიარქის ნერვიულობაო. დუმილს დაარღვევდა ალასანიაც. თავად პარლამენტში, მმართველ კოალიციაში კი რღვევის პროცესი დაიწყებოდა.

მოკლედ, ამ კანონს შეეძლო, ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა და საეჭვოა, რომ ამდენის გათვლა წულუკიანს არ შეეძლო.



**პროექტი თეა წულუკიანის უწყებაში დაიწერა და წულუკიანმა გადაგზავნა ის კანცელარიაში. როცა მინისტრი დოკუმენტს უკვე მთავრობას უგზავნის დასამტკიცებლად, ეს ნიშნავს: წულუკიანი პროექტს გაეცნო, მოიწონა და ჩათვალა, რომ ის მზად არის, კანონის ფორმა მიიღოს. ამიტომაც მშვიდად გადაგზავნა პროექტი კანცელარიაში...**

**ამერიკაში ვიზიტის დროს ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ ის მთავრობის დავალებებს ასრულებს, ანუ ღარიბაშვილის...**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალასანიას ინიციატივა - პროვოკაცია თუ რეიტინგების დევნა

ქეთი ხატიაშვილი

**ირაკლი წერეთელს ნამდვილად არ გაუმართლა. 90-იან წლებში პირველმა სწორედ მან იყვირა, საქართველოში ნატო შემოვიყვანოთო. პიარი არ უვარგოდა, თორემ გახდებოდა გმირი. გმირი ვერ გახდა, სამაგიეროდ ყველას გვახსოვს, როგორ ყვიროდა წერეთელი, ნატო გვჭირდებაო. მართალიც იყო, თუმცა მაშინ სამოქალაქო ომისა და შიდა კონფლიქტების ფონზე ნატო დიდი ილუზია იყო.**

ახლა ირაკლი ალასანიამ კი არ იყვირა, განცხადება გააკეთა საქართველოში ნატოს საჰაერო თავდაცვითი მოწყობილობების განთავსების თაობაზე. და მისი განცხადება ქუჩაში კი არ გაისმა 90-იანი წლებივით, არამედ მედიით გაპიარდა.

და ერთი შეხედვით, მართლაც, ძალიან დროული და ლოგიკურია ირაკლი ალასანიას განცხადება. ნატო, როგორც უსაფრთხოების ქოლგა, ჩვენი ქვეყნისთვის უკვე დიდი ხანია განიხილება და ეს მოლოდინი და სურვილი საქართველოს მოქალაქეების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს. თუმცა, არის ერთი „მაგრამ“, რაც შს მინისტრმა თქვა და დაინტერესებულმა პირებმა დასცინეს. „ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული NATO რას განაცხადებს, ეს NATO-ს გადასაწყვეტია“. – ეს ალექსანდრე ჭიკაიძემ განმარტა. მის შეფასებებს ექსპერტები ეთანხმებიან.

## „ალასანია სილამაზის კონკურსზე ხომ არ არის, ლაიქებს რომ დასდევდეს... ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯისთვის ემზადება“



EXCLUSIVE



**ექსპერტის თავდაცვის საკითხებში, გიორგი თავდგირიძის განმარტებით, ნატო ასეთი ტიპის შეიარაღებას მხოლოდ და უშუალოდ ნატოს წევრ ქვეყნებში განალაგებს, თუკი რაიმე მისია არ არის, რომელიც, მაგალითად, გაეროს ეგიდით მიმდინარეობს:**

– შესაბამისად, ეს საკითხი ნატოს წევრი ქვეყნების შიგნით განიხილება, შემდეგ ხდება შეთანხმება პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, თავდაცვის მინისტრის გადასაწყვეტი საკითხი ეს არ არის, ეს თავდაცვის მინისტრის თემა არ გახლავთ. მეორეც, შეგახსენებთ, რომ რუსეთს ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდა, როცა ამ ტიპის შეიარაღება პოლონეთში ჩეხეთსა და თურქეთში უნდა განლაგებულიყო. ამან სერიოზულად დაძაბა ვითარება ნატოსა და რუსეთს შორის. საერთოდაც, როგორც წესი, ამ ტიპის გადაწყვეტილებები ასე არ ჟღერდება. კულუარებში ჯერ საკითხის მომზადება, დეტალებზე შეთანხმება მიმდინარეობს, შემდეგ ამ თემას საზოგადოებას აცნობენ, მას ამზადებენ... ეს ხანგრძლივი პროცედურაა. ის, რაც ალასანიამ თქვა, თითიდან გამოწოვილი თემაა, ეს ასე არ ხდება...

**– ეს პროვოკაციას ჰგავს?**

– კი, შეიძლება პროვოკაციაც იყოს, თუმცა, ძნელია თქვა, რომ ეს შეგნებული პროვოკაციაა. ირაკლი ალასანია იმდენად არის გამოკიდებული რეიტინგებს, რომ ბევრი რამ სწორედ ამას ეწირება.

**– რას გულისხმობთ?**

– თუნდაც, ეგრეთწოდებული ჯიჰადის მიერ გავრცელებულ ვიდეოს, როცა ალასანიამ თქვა, რომ, თუკი სხვა ვერ იძიებდა ამ საქმეს, ის თავად გამოიძიებდა. ამ განცხადებამ მაშინ ორ უწყებას შორის ურთიერთობა დაძაბა. მაგალითად, ავღანეთში ქართულ ბაზაზე სამი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის ფაქტი, როცა მან ეს შემთხვევა არ გამოიძია და დანაშაულს დააფარა ხელი. შედეგად კი რამდენიმე დღეში ისევ მოხდა ქართულ ბაზაზე თავდასხმა და თუ არ ვცდები 11-მდე ჯარისკაცი დაიღუპა. ეს ნიშნავს იმას, რომ ვიღაცამ ბაზაზე შეცდომა დაუშვა, ის არ იყო სათანადოდ დაცული და ტერორისტებმა იქ შეღწევა მოახერხეს. ირაკლი ალასანიას რომ პირველი შემთხვევა სათანადოდ გამოეძიებინა და დამნაშავე ოფიცრები, ან ვინც იყო, დაესაჯა, მეორედ უფრო მეტ ჯარისკაცს არ დავკარგავდით. მაგრამ ალასანია კომუნისტურ ნირვანას ქმნის, რომ ჯარში ყველაფერი საუკეთესოდაა, არავის არაფერი ეშლება და ასე შემდეგ.

არ შეიძლება, მას არ ესმოდეს, რომ ნატოს თავდაცვითი შეიარაღების საქართველოში ახლა განლაგება ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალების ტოლფასია.

**– და რატომ აკეთებს ამას ალასანია? დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშისთვის ემზადება?**

– ალასანია სილამაზის კონკურსზე ხომ არ არის, ლაიქებს რომ დასდევდეს... ის პოლიტიკოსია და რეიტინგი სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯისთვის ემზადება. გადადგამს ამ ნაბიჯს თუ არა, ჯერ ძნელი სათქმელია. მას ჰქონდა ამის შანსი, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადადგა... ისე კი, როცა გუნდში ხარ და გუნდურად არ თამაშობ, მუდმივად იმის დემონსტრირებას ახდენ, რომ ერთი მაგარი მინისტრი ხარ და წვეტიანი აზრები მხოლოდ შენ მოგდის თავში, ეს ამორალურიც არის.

**ექსპერტ თორნიკე შარაშენიძის განმარტებით, ასეთი ტიპის შეიარაღების საქართველოში განლაგებამ რუსეთი შესაძლოა, მართლაც გააღიზიანოს:**



– მეტაფორულად რომ ვთქვათ, ყველაფერი შუაღამისას უნდა გადაწყდეს: რუსეთმა დილით უნდა გაიღვიძოს და ნახოს, რომ აქ ნატო დგას. აი, ამ შემთხვევაში იქნება კარგი, თორემ ისე თუ გაიწელა ეს ყველაფერი და, საბოლოო ჯამში, რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია, ბუნებრივია, ეს მაინცდამაინც კარგი ვერ იქნება საქართველოსთვის. თუ ეს პროცესი დიდხანს გაიწელება, მე ვერაფერს გამოვრიცხავ. იმიტომ, რომ არ ვიცი, რა მდგომარეობაშია ჩვენი თავდაცვა. მეორეც, საქართველოში პრორუსული ძალები ძალიან გააქტიურდნენ, ბევრ მიტინგს მართავენ უკვე და მესამე, რაც ყველაზე სახიფათოა: თვითონ რუსეთია მოსული ბრძოლის ჟინზე, ის თავს გამარჯვებულად გრძნობს, საბრძოლველ სულზეა მოსული და ამ სამი ფაქტორის კომბინაცია საქართველოსთვის კარგს არაფერ ნიშნავს.

**თუმცა, ირაკლი ალასანიამ საპასუხო განმარტებაში თითქმის გაოცებით იკითხა: კი მაგრამ, მე თავდაცვის მინისტრი ვარ და ვიოლინოებს ხომ არ მოვითხოვდიო:**

– მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ვითხოვ შეიარაღებას და ეს, ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად, ეტაპობრივად უნდა გაკეთდეს. მე, ბუნებრივია, ვერ მოვითხოვდი ვიოლინოების პარტიას ჩვენი ჯაზ-გუნდებისთვის. ჩემი საქმეა, რომ თავდაცვისუნარიანობა ავამაღლოთ. შეიძლება ზოგიერთ ჩვენს გუნდის წევრსაც ბოლომდე არ აქვს გააზრებული ის საფრთხე, რომლის წინაშეც დგას ევროპა, მათ შორის ჩვენც.

**პოლიტოლოგ კახა გოგოლაშვილის განმარტებით:**

– არ ვიცი, რატომ გაკეთდა ღიად ეს განცხადება, ამაზე საუბარი, ალბათ, დახურულ ფორმატში სჯობია. რატომ უნდა მივიქციოთ რუსეთის ყურადღება, თუ როგორ ვაპირებთ საკუთარი ტერიტორიის დაცვას.

ასე რომ, ექსპერტების შეფასების ფონზე რომლებიც ალასანიას პოზიციაში დილეტანტიზმს უფრო კითხულობენ, ვიდრე საკითხის ცოდნასა და რისკების გააზრებას, თავად ირაკლი ალასანია გამოიყურება მევიოლინედ.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ ემუქრებიან სასულიერო



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელი 17 მაისის მთავარი ორგანიზატორები წლევანდელ აქციას მკაცრად გაემიჯნენ, როგორც ჩანს, არეულობა მაინც გარდაუვალი იქნება. ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისთვის ორივე მხარე ემზადება: უმცირესობაც და უმრავლესობაც. უფრო სწორად სექსუალური უმცირესობა, რომელიც აქციის გამართვას იუსტიციის სახლთან აპირებს დილის ათ საათზე და სასულიერო პირები, რომლებიც ასე, თორმეტი საათისთვის პარლამენტის შენობასთან იკრიბებიან. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასეთი გეგმა არსებობს. მას შემდეგ, რაც სასულიერო პირები გაარკვევენ, რომ „ლგბტ“ პირები მთელი ორი საათით ადრე აპირებენ აქციის გამართვას, თანაც სხვა ადგილას, არ არის გამორიცხული, საკუთარი სამოქმედო გეგმები თავადაც შეცვალონ.

აქ საინტერესო რამდენიმე დეტალია. ერთი ის, რომ სექსუალური უმცირესობა აცხადებს, რომ საკუთარი უფლებების დაცვა ყველაფრის ფასად ულირს, თუმცა ნაწილი მაინც თავშეკავების გზას ირჩევს. მაგალითად, „იდენტობამ“ საკუთარ, მწარე გამოცდილებაზე დაყრდნობით აზრი შეიცვალა და გადაწყვიტა, ამ დღეს საერთოდ „გაქრეს“ დედაქალაქიდან, რომ რაიმე ტიპის არეულობა, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები შემთხვევით მას არ დაჰბრალდეს. პრინციპში, ბევრმა მოუწონა ირაკლი ვაჭარაძეს გადაწყვეტილება. თუმცა არის მეორე ნაწილი, „იდენტობასთან“ დაპირისპირებული და აქციას ამჯერად სწორედ ესენი გეგმავენ. მართალია, ბევრად მცირერიცხოვანს, მაგრამ მეტად სახიფათოს და აი, რატომ: ორგანიზატორების განცხადებით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს მეზობელი სახელმწიფოს უმცირესობების წარმომადგენლებთან, რომ საქართველოში სწორედ 17 მაისის აქციისთვის ჩამოვიდნენ და მასში მონაწილეობა მიიღონ. ტრანსგენდერების აქციაზე გამოჩენა რა რეაქციებს გამოიწვევს, ამის წარმოსადგენად მაინცდამაინც დიდი ფანტაზია ნამდვილად არ არის საჭირო. გარდა ამისა, თავად „იდენტობის“ წევრი, ირაკლი ვაჭარაძე წინასწარვე აანონსებს, რომ არეულობით ქვეყნის მტერი აუცილებლად დაინტერესდება.



## ჩვენ გვინდა, რომ 17 მაისს, ქართული ტრადიციული ოჯახის ხსენების დღე დაწესდეს...

EXCLUSIVE

**ირაკლი ვაჭარაძე, „იდენტობის“ ხელმძღვანელი:**

– ძალიან ცუდი რაღაცები მესმის. რუსული მედია ძალიან გააქტიურდა და ისეთი თემებით ინტერესდება, რაც უკრაინის კრიზისის დასაწყის თემებს მაგონებს... მოკლედ, ფაქტია, რომ 17 მაისის წინ სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. თუმცა, გარეგნულად ეს დაძაბულობა ჯერ არ ჩანს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ 17 მაისს ფილარმონიიდან მართლმადიდებელი მრევლის 30.000-კაციანი მსვლელობა-ლოცვაა დაგეგმილი, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რა მაღალი იქნება დუღილის ტემპერატურა, თუკი აქცია მაინც ჩატარდება.

17 მაისის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გიორგი ჩხარტიშვილია. ბუნებრივია, ის დამოუკიდებლად არანაირ ძალას არ წარმოადგენს, მაგრამ ფაქტი ერთია, მისით რუსული პრესა უკვე დაინტერესდა და ეს უკვე არის მიმანიშნებელი. მით უფრო მაშინ, როცა თავად ჩხარტიშვილი ღიად აცხადებს, რომ დაანონსებულ აქციას რუსეთი საკუთარი ინტერესებისთვის თუ გამოიყენებს, ეს მას სულაც არ ადარდებს...

**გიორგი ჩხარტიშვილი, უმცირესობის წევრი:**

– თუ ვინმე გამოიყენებს, გამოიყენოს, თუ რუსეთს უნდა, რომ ჩვენი შეკრება გამოიყენოს იმისთვის, რომ ოკუპაცია კიდევ უფრო გაზარდოს, ეს სულ არ მაინტერესებს. ჩვენ არავის დავალებას არ ვასრულებთ, გვაქვს კონსტიტუციური უფლება და მას ვიყენებთ. ბუნებრივია, ისიც მესმის, რომ ჩვენი დარბევა პირდაპირ ხელისშემშლელი გარემოება იქნება ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოხდეს ჩვენი უსაფრთხოების უზურნველყოფა.

**– ზუსტად ამიტომ შეცვალა საკუთარი გეგმები „იდენტობამ“, არ ფიქრობ, რომ პროვოკაციაზე მიდიხარ?**

– არის ეს პროვოკაცია, მაგრამ „იდენტობას“ პროვოკაციისა და არეულობის გამო არ გადაუფიქრებია, არც იმის გამო, რომ უმცირესობების შეკრება შესაძლოა, ხელისშემშლელი გამხდარიყო ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის. „იდენტობამ“ ძალიან მარტივი, კომერციული გათვლა გააკეთა, აქციის ჩატარება იმის გამო გადაიფიქრა, რომ შარშან მათ მიიღეს მილიონობით გრანტი, წელს ძალიან კარგად იცოდა, რომ მას თანხას არავინ გადაუხდიდა და სწორედ ეს იყო მიზეზი. რაც შეეხება ჩვენს გადაწყვეტილებას, ჰომოფობიის დღე არის 17 მაისს და აქედან გამომდინარე, ჩვენი აქცია სიმბოლურია და ის ატარებს კონკრეტულ დატვირთვას. ჩვენი შეკრების მიზანია: სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა, სექსუალური უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მოთხოვნა, საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების აღიარება, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ დიდი რაოდენობით გრანტების მისაკუთრების, ფინანსების არამიზნობრივი და არასწორი განკარ-



გიორგი ჩხარტიშვილი

## გიორგი ჩხარტიშვილი: „თუ ვინმე გამოიყენებს, გამოიყენოს, თუ რუსეთს უნდა, რომ ჩვენი შეკრება გამოიყენოს იმისთვის, რომ ოკუპაცია კიდევ უფრო გაზარდოს, ეს სულ არ მაინტერესებს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პირები მრევლს უზიარებლობით

გვის, ფულის გათეთრების ფაქტები ჩვენ მიერ მთავარ პროკურატურაში წარდგენილ დოკუმენტაციაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი „ლგბტ“ პირების უფლებების სათანადოდ დაცვა.

**– თუ იცით წინასწარ, რა რაოდენობის ადამიანები იქნებით წარმოდგენილი აქციაზე?**

– დაზუსტებული ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, თხუთმეტ ადამიანამდე შევიკრიბებით. თუმცა ჩვენ ამავდროულად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ კავკასიის რამდენიმე ქვეყანასთან, საიდანაც მოხდება ტრანსგენდერების ჩამოყვანა თბილისში.

**– გაქვთ ინფორმაცია, რომ იგეგმება ანტიაქციის ჩატარება?**

– კი, ვიცით, რომ სასულიერო პირები აპირებენ მსვლელობის გამართვას პარლამენტის შენობასთან. სწორედ ამიტომ ჩვენ მოვერიდეთ და აქციას ვგეგმავთ იუსტიციის სახლთან. ბუნებრივია, დაპირისპირებას ველოდებით.

არანაკლებ სერიოზული პრობლემაა სასულიერო პირების პოზიცია. ისინი უკვე ემზადებიან აქციის ჩასატარებლად და როგორც ამბობენ, საკუთარ მრევლს ორგანიზებისკენ მოუწოდებენ. თბილისის პარლამენტის შენობასთან ერთი კვირით ადრე დაიწყო გამაფრთხილებელი აქციები. მართალია, ადგილზე მცირე რაოდენობა იკრიბება, მაგრამ ესეც საკმარისი ნიშანია იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში 17 მაისს ნებისმიერ ადგილას შეკრებილ თუნდაც 15 ადამიანს მარტივად მიაგნებენ და ასევე, მარტივად გაუსწორდებიან. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ სასულიერო პირები უზიარებლობით ემუქრებიან საკუთარ მრევლს იმ შემთხვევაში, თუ ისინი აქციაზე არ გამოცხადდებიან. ბუნებრივია, ამაზე ხმამაღლა საუბარი არავის სურს და ასევე, ბუნებრივია, რომ ინფორმაციას უარყოფენ, თუმცა არასამთავრობოებს ინკოგნიტოდ აწვდიან მოქალაქეები ინფორმაციას.

**ირაკლი ვაჭარაძე:**

– ვფიქრობ, საიდუმლო აღარ არის, რომ 17-ში ეკლესიები გამალებული ემზადებიან აქციისთვის. ვრცელდება ინფორმაციები, რომ მღვდლები უზიარებლობით ემუქრებიან მრევლს, თუ რუსთაველზე არ გამოვლენ. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხალხის მობილიზებას ვერ ახერხებენ, რადგან მრევლი ეკითხებათ: კი მაგრამ, ვის წინააღმდეგ გამოგვყავართ, ვერ გავიგეთო.

სიტუაციის არევას, მაქსიმუმ, 15 ადამიანი შეეცდება, რომლის დაიგნორება ბევრად უკეთეს შედეგს მოიტანს, მაგრამ სასულიერო პირების დიდი ნაწილი პირიქით ფიქრობს. მაგალითად, მამა დავით ისაკაძეს მიაჩნია, რომ ქართული ტრადიციული ოჯახის დღე უმცირესობების ჯინაზე სწორედ 17 მაისს უნდა დაწესდეს.

**მამა დავით ისაკაძე:**

– ჩვენ გვინდა, რომ 17 მაისს, ქართული ტრადიციული ოჯახის ხსენების დღე დაწესდეს. როდესაც ეს საზოგადოება ჰომოფობიის დღეს აღნიშნავს, ამის საწინააღმდეგოდ, მათაც, მთელ საზოგადოებასაც და მთელ საქართველოსაც ჩვენ შევახსენებთ ქართული ტრადიციული ოჯახის არსებობის შესახებ.

სოციალურ ქსელში ასევე შექმნილია ჯგუფები, რომლებიც სწორედ 17 მაისის აქციის წინააღმდეგ აგროვებენ მომხრეებს. ისინი საზოგადოებას მოუწოდებენ გარეთ გამოსვლას და საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას. საკუთარ მიზნებს კი ასე გამოხატავენ: ჯგუფის მიზნებია – „არა სოდომიზაციას, არა გარყვნილების პროპაგანდას, არა ოჯახური ღირსების შელახვას: ქართველნო, ერთად ღვთისკენ“...

17 მაისის არეულობა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დააანონსა მამა ბასილ ახვლედიანმა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას. თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ შარშანდელი აქციის ორგანიზატორები გეგმებს შეიცვლიდნენ. ირაკლი ვაჭარაძე დღეს აცხადებს, რომ 17 მაისს საქართველოში საერთოდ არ იქნება. ამით „იდენტობა“ ცდილობს, მოსალოდნელ არეულობას გაემიჯნოს, თუმცა ქაოსის შექმნის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება არც ორგანიზატორს და არც აქციის მთავარი როლის შემსრულებელს...







## ირაკლი ვაჭარაძე:

## „ვრცელდება ინფორმაციები, რომ მღვდლები უზიარებლობით ემუქრებიან მრევლს, თუ რუსთაველზე არ გამოვლენ. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხალხის მობილიზებას ვერ ახერხებენ, რადგან მრევლი ეკითხება: კი მაგრამ, ვის წინააღმდეგ გამოგვყავართ, ვერ გავიგეთო“

**მამა ბასილი ახვლედიანი:**

– 17 მაისს რაც მოხდა, წელს იგივე ნამდვილად არ გველის, გველის უარესი. ამის პირობა შემიძლია მოგცეთ, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში და ჩვენი მრწამსით ეს ცოდვა სასიკვდილო ცოდვად ითვლება. იოანე ოქროპირი ამბობს, თუ არსებობს ასეთ ცოდვაში მყოფი ადამიანი, ან ზოგადად ღვთის დამგმობი ადამიანი, ის თავისთვის არსებობდეს, მაგრამ, თუ ის გამოვა მოედანზე, რათა დაგმოს ჩვენი ღმერთი, მიდი და შეაგონეო. თუ ვერ გაიგებს, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო. ამას გვასწავლის ჩვენი უდიდესი მამა იოანე ოქროპირი. თუ წინა წლის 17 მაისის მაგალითი ვინმესთვის საკმარისი არ იყო და არ ეყო, მაშინ წელს ბევრად უფრო მკაცრ შედეგებზე შეიძლება გავიდეს. თუმცა აქაც შეიძლება არსებობდეს მრავალწერტილი, რადგან ვილაცებს შეიძლება ეს მკაცრი შედეგები სწორედ გეგმად ჰქონდეს განსაზღვრული და სცენარიც სწორედ ამ კუთხით ჰქონდეს დაწერილი. მღვდელმთავრები, ალბათ, გადაწყვეტენ, როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ ხელმეორედ ასეთი ადამიანების გარეთ გამოსვლაზე.

**არ არის გამორიცხული, 17 მაისს სტუდენტებიც შეუერთდნენ სასულიერო პირებს. ამის შესახებ განაცხადი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ერთხელ უკვე გააკეთეს. ისინი აცხადებენ, რომ ქაოსის შექმნას არ დაუშვებენ და პირიქით, იზრუნებენ იმაზე, რომ დღემ მშვიდობიანად ჩაიაროს. ბექა ცხადაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:**

– ეს არ იქნება კონტრაქცია. ზუსტად არ ვიცი, რამდენი ვიქნებით, შევიკრიბებით ფილარმონიასთან. არ ვაპირებთ, რომ ქაოსი შევქმნათ. ფილარმონიასთან შეკრების შემდეგ მსვლელობას ვგეგმავთ სამების ტაძრისკენ. დარბევა და ქაოსი გამორიცხულია.




## მამა ბასილი ახვლედიანი:

## „17 მაისს რაც მოხდა, წელს იგივე ნამდვილად არ გველის, გველის უარესი. ამის პირობა შემიძლია მოგცეთ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ლოტუსი“ - ინოვაციური მეთოდები და იდეალური სხეული უმოკლეს დროში!

## ახალი სიტყვა ტანის მოვლის სფეროში

თეა ხომერიკი

სულ ცოტა ხნის წინ, ესთეტიკური მედიცინის ცენტრმა „ლოტუსმა“ უპრეცედენტო პროექტი წამოიწყო. იმისთვის, რომ მათ ცენტრებში არსებული უნიკალური აპარატურის შედეგი უფრო ნათელი გამხდარიყო, თვე–ნახევრის განმავლობაში პროგრამა **Slim Factor** ორ გოგონაზე გამოსცადეს. კრიოსაუნა, ელპიჯი, ვაკუფიტი, პრესო თერაპია და ლიპოლაზერი - ეს იმ აპარატურების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც საქართველოში პირველად სწორედ „ლოტუსმა“ შემოიტანა და უკვე სამი წელია წარმატებით იყენებს. რაც მთავარია, შედეგი გარდაუვალია. ის, ვისაც გახდომა, ან უბრალოდ სხეულის გამკვრივება და ფორმაში მოყვანა სურს, ამ აპარატურების კომბინაცია საუკეთესო საშუალებაა სასურველი მიზნის მისაღწევად. **Slim Factor**-ში მონაწილე ორი გოგონა ამის ნათელი მაგალითია. ერთმა სასურველ ფორმებს მიაღწია, მეორემ კი 18 კილო დაიკლო, თანაც ისე, რომ სხეულის ლამაზი ფორმები შეინარჩუნა. მოკლედ, „ლოტუსი“ გთავაზობთ სრულიად ახალ სიტყვას ტანის მოვლის მსოფლიო სფეროში - ლიპოლაზერს, რომელიც დაგეხმარებათ მოიცილოთ ცელულიტი და კანი პირველივე პროცედურის შემდეგ გლუვი და ხავერდოვანი გახდება. ლიპოლაზერის ულტრათანამედროვე აპარატი ჭარბ წონას და ცელულიტს რევოლუციური ტექნოლოგიით – ლაზერის საშუალებით მკურნალობს. შედეგად: იშლება და ორგანიზმიდან სწრაფად გამოიდევნება ცხიმოვანი უჯრედები და ცელულიტი. შედეგი, პირველივე პროცედურის შემდეგ შესამჩნევია. ლიპოსლიმი - ეს კიდევ ერთ–ერთი უნიკალური აპარატია, რომელიც „ლოტუსმა“ პირველმა შემოიტანა. ლიპოსლიმი, იგივე სხეულის სკულპტორი მსოფლიოში პირველი აპარატია, რომლის მოქმედების პრინციპი არაინოვაზიურ მეთოდს-სიცივის გამოყენებით არასასურველი კანქვეშა ცხიმის შემცირებასა და სხეულის მოდელირებას ემყარება. ერთსაათიანი პროცედურის განმავლობაში მიმდინარეობს ცხიმოვანი უჯრედების ბუნებრივი კვდომის პროცესი, რაც ცხიმის სისქეს 20-25%-ით ამცირებს. რაც მთავარია, პროცედურა აბსოლუტურად უსაფრთხოა და არ საჭიროებს ანესთეზიას.




● ლიპოლაზერი დაგეხმარებათ მოიცილოთ ცელულიტი და კანი პირველივე პროცედურის შემდეგ გლუვი და ხავერდოვანი გახდება. ლიპოლაზერის ულტრათანამედროვე აპარატი ჭარბ წონას და ცელულიტს რევოლუციური ტექნოლოგიით – ლაზერის საშუალებით მკურნალობს



● კიდევ ერთი საინტერესო რამ, რაზეც თქვენი ყურადღების გამახვილება აუცილებლად ღირს, ეს Vacu-Fit-ის ტრენაჟორია, რომლის ერთ პროცედურაზე 1 კგ-მდე დაიკლებთ




● ლიპოსლიმი - ეს კიდევ ერთი უნიკალური აპარატია, რომელსაც „ლოტუსის“ ცენტრებში შეხვდებით. ლიპოსლიმი, იგივე სხეულის სკულპტორი, მსოფლიოში პირველი აპარატია, რომლის მოქმედების პრინციპი არაინოვაზიურ მეთოდს-სიცივის გამოყენებით არასასურველი კანქვეშა ცხიმის შემცირებისა და სხეულის მოდელირებას ემყარება

თუ სიცივის მეთოდით გახდომამ გაგაკვირვათ და არ გსმენიათ ყინვის შესახებ, რომელიც ალამაზებს და აახალგაზრდავებს, მაშინ კიდევ ერთი ინოვაციური აპარატის შესახებ მოგითხრობთ, რომელიც ექსკლუზიურად მხოლოდ „ლოტუსში“ შეხვდებით. კრიოსაუნა - კაბინა გარეგნულად ვერტიკალურ სოლარიუმს ჰგავს - 3 წუთით ცივი თხევადი აზოტის ორთქლში მხრებამდე ეფლობით. მისი მოქმედების პრონციპი ჩვეულებრივი საუნის საპირისპიროა და დაფუძნებულია -120 – 180 გრადუსიან მშრალი ჰაერით თერაპიაზე. ნამდვილი „კოსმიური ყინვა“ - მინუს 180 გრადუსი ადამიანზე წარმოუდგენლად სწრაფ გამაახალგაზრდავებელ შედეგს ახდენს, მკურნალობს უამრავ ქრონიკულ დაავადებას და ამაღლებს იმუნიტეტს. სულ რამდენიმე სეანსის შემდეგ კანი ხავერდოვანი ხდება.

ლოტუსი
ესთეტიკური მედიცინის ცენტრი

კრიოსაუნასთან ერთად ელპიჯი აპარატის კავიტაციის მეთოდით მკურნალობა ძალიან ეფექტურია. ეს ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდთაგანია ზედმეტი ცხიმისგან გასათავისუფლებლად. ეს მეთოდი გამოიყენება ცელულიტის სამკურნალოდ და ზედმეტი ცხიმის მოსაშორებლად. როგორც ცნობილია უჯრედები შეიცავენ დიდი რაოდენობით სითხეს, შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ ცხიმოვან უჯრედებში შესაძლებელია კავიტაციური ეფექტის ანუ მიკრობუშტუკების წარმოქმნა. აკუსტიკური კავიტაციის პროცედურის ხანგრძლივობა 45 წუთია. სეანსი 5 დღეში ერთხელ ტარდება და ერთ სეანსზე ორგანიზმიდან 15 კუბ.სმ. ცხიმი გამოიდევნება, რაც 5სმ-ით ზომაში მოკლებას შეესაბამება.

## რატომ არის „ლოტუსი“ პოპულარული ქართველ ქალებში?!

კიდევ ერთი საინტერესო რამ, რაზეც თქვენი ყურადღების გამახვილება აუცილებლად ღირს, ეს Vacu-Fit-ის ტრენაჟორია, რომლის ერთ პროცედურაზე 1 კგ-მდე დაიკლებთ. Vacu-Fit ე.წ. სარბენი ბილიკის ტრენაჟორის დახურული ვარიანტია, რაც დაგეხმარებათ 4-ჯერ მეტი ენერგია დახარჯოთ, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური დატვირთვის დროს.

სწრაფად და ეფექტურად გასახდომად ამ პროცედურებთან ერთად ზუმბა ფიტნესი (ცეკვითი ფიტნესი) და სხვადასხვა სახის მასაჟები დაგეხმარებათ. უფრო დეტალურად ამ პროცედურებზე, **„ლოტუსის“ ექიმი-მასაჟისტი თამუნა ოძელაშვილი საუბრობს.**

- ზოგი პაციენტი მოდის, რომელსაც არა წონაში დაკლება არამედ ტანის კორექცია სურს. ამ შემთხვევაში საკორექციო პროცედურებს ვთავაზობთ. თუ ორივე უნდა, მაშინ ზუმბა ფიტნესი და Vacu-Fit-ი ძალიან ეფექტური და აუცილებელია. ელპიჯი-ს აპარატით აქტიურად ხდება მოცულობაში დაპატარავება. ლიპოლაზერიც ზუსტად იგივეს აკეთებს, მაგრამ აპარატებს მაინც ვცვლით ხოლმე, რადგან კომბინაციაში უფრო უკეთესი შედეგია. გვაქვს ასევე, ჯინჯერის შეფუთვები, ანუ ხდება კანის პილინგით დამუშავება, მერე ტალახში ნახევარსაათიანი შეფუთვა, მერე მთლიანი მასაჟი პრობლემურ ზონებზე ანტიცელულიტური შრატით და კრემით დამუშავება. ამ ყველაფერს პაციენტმა, რა თქმა უნდა, კვებით უნდა შეუწყოს ხელი. აუცილებელია სწორად შერჩეული კვების რაციონი. ღამე ჭამა იკრძალება და აუცილებელია დღეში დიდი რაოდენობით წყლის მიღება. პროცედურების დაწყებიდან, ორ კვირაში უკვე აქტიური კლება იწყება.

**- პროცედურები ინდივიდუალურად ინიშნება?**

- ამ პროცედურების მინიმალური ასაკი 16 წელია. ანუ 16 წლიდან შეიძლება ნებისმიერი პროცედურის ჩატარება. ამიტომ პირველ რიგში ტარდება კონსულტაცია, ვნახულობთ კანის სტრუქტურას, კუნთის მდგომარეობას, ზოგადად ცელულიტის ხარისხს და ამის შემდეგ უკვე ხდება პროცედურების ინდივიდუალური შერჩევა.

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქართველი მექალთანე გეი

ქეთი ხატიაშვილი

**ის ოცნებების ახდენის მოლოდინშია. წარმატების ცერემონიალი თითქოს უკვე დეტალურად აქვს წარმოდგენილი. თუმცა, ეს არც წითელი ხალიჩაა და არც უხვი აპლოდისმენტები. ფილმის პრემიერაზე ხმაურსა და სკანდალებს უფრო ელოდებიან. და ესეც უკვე თავისებური წარმატებაა, განსაკუთრებით საქართველოში და განსაკუთრებით იმ ფილმისთვის, რომლის გადაღება უკვე დასრულებულია, პრემიერა კი კინოთეატრებში 17 მაისს გაიმართება.**

**თარიღი სულაც არ არის შემთხვევით შერჩეული. ეს პირველი ქართული ფილმია გეებზე. არატრადიციული კომედია არამხოლოდ შინაარსითა და ფორმით არის ორიგინალური, მას პიარიც საგანგებო დაუგეგმეს. ფილმი გადაღებულია, თუმცა ფილმის ფინალი ჯერ კიდევ საიდუმლოა. სულ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ კომედიას ოთარ მიქელაძე იღებს. და მხოლოდ ახლაღა გახმაურდა ფილმის მთავარი გმირის ვინაობაც.**

## ვინ თამაშობს გეის როლს და რა კომპლექსი გაუჩინა მას ფილმზე მუშაობამ




**ბექა კენკებაშვილი არატრადიციულ კომედიაში გეის როლს განასახიერებს. ეს მისი დებიუტია. ოცნების ახდენის მოლოდინიც სწორედ მას აქვს – სწამს, რომ არა მხოლოდ ფილმი იქნება წარმატებული, არამედ მისთვის, როგორც მსახიობისთვის, დიდ კინოში ყველა კარი გაიხსნება. დიახ, ასე მარტივად. ის თავდაჯერებული და მხიარულია. ჟესტიკულაციით უფრო მეტს გამოხატავს, ვიდრე სიტყვებით – ბევრი საუბარი არ უყვარს. ამბობს, რომ სცენარის გაცნობის შემდეგ ფილმზე დათანხმება არ გასჭირვებია:**

– რატომ უნდა მეფიქრა? სცენარი წავიკითხე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ჩემი როლი იყო. პირველ რიგში, იუმორის გამო, ძალიან ბევრი ვიცინე, ეს შესანიშნავი სცენარია და ფილმიც კარგი გამოვიდა. ყოველთვის საინტერესოა, ითამაშო ის, რაც შენ არ ხარ, რაც აბსოლუტურად განსხვავებულია და შორს არის შენგან. ამიტომაც, არც შემშინებია და არც მიფიქრია, როცა მითხრეს, რომ გეის როლი უნდა მეთამაშა, უყოყმანოდ დავთანხმდი... ეს ჩემთვის საინტერესო გამოწვევა იყო და ვფიქრობ, ამ ამოცანას თავი კარგად გავართვი. ყველა, ვინც მიცნობს, მიხვდება, რამდენად განვსხვავდები ფილმში საკუთარი თავისგან, რამდენად სხვანაირი ვარ, გაუკვირდებათ კიდეც... მსახიობისთვის ეს მთავარია.



ბექა ამბობს, რომ კომპლექსები არ აქვს და რომ საქმეს პროფესიონალურად მიუდგა. არც მოძღვრისგან აუღია კურთხევა და არც მეგობრებისთვის უკითხავს რჩევა, თუმცა, მაინც დებიუტანტია, პროფესიონალიზმი კი გამოცდილებას მოაქვს. ამიტომაც, საუბარში მაინც ცდილობს, ხაზი გაუსვას, რომ ის ტრადიციული ორიენტაციის არის და რომ მამაკაცები არ იზიდავს. დარწმუნებულია, რომ ფილმის გამოსვლის შემდეგ საზოგადოება მასში მსახიობს დაინახავს და არა გეის, ამიტომაც ფიქრობს, რომ ლამაზი გოგოებისთვის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით „ჩვენების“ მიცემა არ მოუწევს. ჩვენ მას მექალთანე გეი შევარქვით.

**ფილმის რეჟისორი ოთარ მიქელაძე საკუთარი აღმოჩენით კმაყოფილი ჩანს, ამბობს, რომ ბექასგან ნამდვილი ვარსკვლავი შედგება.**

– ბექა კასტინგზე აღმოვაჩინე, ჩვენ ახალ სახეს ვეძებდით ფილმისთვის. ერთი და იგივე სახე მოსაბეზრებელია მაყურებლისთვის. ინტერნეტში არის ღია კასტინგი და იქ ვნახე ფოტო...

**– და ფოტოთი რა დაასკვენით?**

– რაღაც მეგრული დავიჭირე მასში... ერთ-ერთი როლის შემსრულებელი ხომ მეგრელია...

**– კი მაგრამ, ფილმში მთავარი აქცენტი მეგრელზე არ არის... მთავარია, რომ მთავარი გმირი გეია...**

– ეს ხომ კომედიაა. შეხედავ, სასაცილო კაცია, ხმას ამოიღებს და ქალია... სხვა შემთხვევაში კომედია აღარ იქნება... ის როლზე მარტივად დაგვთანხმდა. იცით, რატომ? ნამდვილი კაცია და გეის თამაში არ შეშინებია – კომპლექსი არ აქვს. ისე მარტივად ითამაშა ეტიუდი, რომელიც მივეცი, რომ გაკვირვებული დავრჩი. მას დიდი მომავალი ექნება ნამდვილად.

ბექა 22 წლის არის, დაამთავრა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის თეატრალური ფაკულტეტი. ეს მისი პირველი როლია, მოუთმენლად ელოდება პრემიერას და ხალხის რეაქციას.

პრემიერა კი მშვიდად არ ჩაივლის. ბექა ყველას ურჩევს, ჯერ ფილმი ნახოს და „აგრესია მერე გამოხატოს, თუკი ეს საჭირო იქნება“.

## 17 მაისს – პირველი და სკანდალური ფილმის პრეზენტაცია ქართველ გეებზე



EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნოშრევან ნამორაძეს ბრალი დაუმძიმდება?!

მარიამ ნადირაძე

**პროკურატურის კეთილსინდისიერების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, თითქმის პირდაპირპროპორციულია ამ საზოგადოების პოლიტიკური შეხედულებების... შესაბამისად, სამართალდამცველების მიდგომაც სისხლის სამართლის ამა თუ იმ საქმის მიმართაც თითქმის ყოველთვის საკამათო ხდება.**

**ასე გახდა საკამათო ის კვალიფიკაციაც, რაც ბრალის სახით პროკურატურამ ნოშრევან ნამორაძეს 5 მაისს, აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ წარუდგინა.**

**როდესაც დავით კოდუას ცემის ავტორი, ნოშრევან ნამორაძე სამართალდამცველების წინაშე წარდგა და ანგარიშსწორების მოტივიც გაიშიფრა, კოდუას ოჯახის წევრებმა პროკურატურას ერთგვარი ტესტი დაუდეს – ვნახოთ, რა კვალიფიკაციით აღძრავს საქმეს და როგორი სიმძიმის სხეულის დაზიანებას დაუფიქსირებს სუნთქვით აპარატზე შეერთებულ დავით კოდუასო. პროკურატურამ კი საქმე სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებით დააკვალიფიცირა...**

# რა სიმძიმის დაზიანება მიიღო დავით კოდუამ?





# რა დასკვნას დადებს დამოუკიდებელი ექსპერტი?

**თუმცა, დამოუკიდებელი ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი არ იზიარებს გამოძიების ამ მიდგომას და მას თავისი არგუმენტებიც აქვს:**

– დათო კოდუა ვნახე 5 მაისს, მართვით სუნთქვაზე იყო. ამასთანავე, იყო სედაციის ქვეშ, ანუ მას სძინავს. ეს არის, ასე ვთქვათ, დამცავი ნარკოზი...

**– ტკივილების გამო?**

– არა, ამას აგიხსნით მოგვიანებით... სტაციონარში შეყვანისას გაუკეთდა ოპერაცია ცხვირის ძვლების მოტეხილობის გამო, სახის ძვლების მიდამოშიც არის მოტეხილობის ხაზი...

**– თავის ტვინი დაზიანებული აქვს?**

– პირველ ეტაპზე კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ არ აჩვენა ტვინის დაზიანება, მაგრამ ნევროლოგიურად აშკარად ჩანდა. ახლა უკვე წაკითხული მაქვს და უკვე გავეცანი ყველა სამედიცინო დოკუმენტაციას. აქედან გამომდინარე ვაკეთებ ასეთ დასკვნებს.

**– რატომ გახდა საჭირო მისი აპარატზე შეერთება?**

– ექიმებმა ჩათვალეს, რომ ხელოვნური სუნთქვისა და დამცავი ნარკოზის გაგრძელება საჭირო იყო სედაციის ფონზე. როცა დათო კოდუა ვნახე, მაშინ ის იყო ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე, ხელოვნურ სუნთქვაზე და ძილის მდგომარეობაში. ეს არ არის ტკივილების გამო. ეს არის თავის ტვინის დამზოგავი, დამცავი რეჟიმი. მოსალოდნელიც იყო და ასეც მოხდა, რომ უკვე მეორე ტომოგრამაზე გამოჩნდა თავის ტვინში კონტუზიის, ანუ დაჟეჟილობის კერები, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. ქალა-ტვინის ტრავმა ჩემი ინტერესის საგანია. მე წლები ვიმუშავე ქალა-ტვინის ტრავმაზე და საკმაოდ კარგად ვერკვევი მის კლინიკაშიც და ნევროლოგიურ გამოვლინებებშიც. ეს ნარკოზი აუცილებელიც კი არის მისი დღევანდელი მდგომარეობისთვის. რეფლექსების ნაწილი ვერ ისინჯება იმიტომ, რომ ის სედაციის ფონზეა. სხეულზე აღინიშნება საკმაოდ დიდი რაოდენობის დაზიანებები, ეს არის სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები. ძირითადად სახის მიდამოში და ხელებზე.

**– სახის ძვლების მოტეხილობა თავიდანვე დაფიქსირდა სამედიცინო დოკუმენტაციაში. ამის გამო მიეცა მის დაზიანებას „ნაკლებად მძიმე“-ს ხარისხი? ახალი ტომოგრამის პასუხი ამ ეტაპზე უკვე გაძლევთ საშუალებას, დადოთ დასკვნა დაზიანების ხარისხზე? რამდენად ემთხვევა ის პროკურატურის მიერ დაკვალიფიცირებულ ხარისხს?**

– როგორც უკვე მოგახსენეთ, თავდაპირველად ტომოგრაფიით თავის ტვინში დაზიანება არ იყო (არ იყო, თუ არ ჩანდა – ეს ძალიან სუბიექტური საკითხია). იყო მხოლოდ სახის ძვლებისა და ცხვირის ძვლების მოტეხილობა, რაც, მე როგორც ვიცი, ნაკლებად მძიმე დაზიანებაა. მაგრამ, სანამ არ არსებობს ექსპერტის ბეჭედდასმული საბოლოო დასკვნა, მიკვირს დანაშაულის ეს კვალიფიკაცია. სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებით საქმის აღძვრა მიკვირს იმიტომ, რომ ეჭვი მეპარება, სამართალდამცველებს იმ დღესვე ჰქონოდათ ექსპერტის დასკვნა. როცა საქმე ეხება დანაშაულს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, კვალიფიკაციის მიცემისთვის აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო ექსპერტის დასკვნას. ანუ, როდესაც დაზიანების სიმძიმის ხარისხს განსაზღვრავს ექსპერტი, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ასეთი ტიპის დანაშაული. ვერ გეტყვით, შეიძლება თქვან, რომ ერთ საათში მომზადდა ასეთი დასკვნა, მაგრამ ჩემთან, როგორც ექსპერტთან, რომ მოსულიყვნენ და ეთქვათ, რომ სახეზეა ცხვირის ძვლების მოტეხილობა და ა.შ. მე აუცილებლად ვნახავდი ავადმყოფს და ის ნევროლოგიური სტატუსი ჩემთვის იქნებოდა დიდი ძახილის ნიშანი. შესაბამისად, დაზიანების სიმძიმის ხარისხად ნაკლებად მძიმეს არ გავცემდი, დაველოდებოდი თავის ტვინის ტრავმის გამოვლინებებს იმიტომ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, მძიმე დაზიანება იყოს.

**– თქვენ დღეს უკვე შეგიძლიათ, თქვათ, რომ ცემის საფუძველზე დავით კოდუამ მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო?**

– მე ჯერ კიდევ ველოდები დოკუმენტებსა და დინამიკას, თუმცა უფრო მეტად შესაძლებელია, ეს იყოს მძიმე დაზიანება. თუ გამოძიებას სხვა დასკვნა აქვს, მე იმ ექსპერტის ადგილზე ნაკლებად მძიმე დაზიანებას არ გავცემდი, იმიტომ რომ ქალა-ტვინის ტრავმაა. აქედან გამომდინარე, თუ გამოძიებას ექსპერტიზის დასკვნა უკვე აქვს, ის ნაჩქარევად არის გაცემული. თუ ასეთი არ არსებობს და გამოძიებამ ვიღაცის შინაურული ზეპირსიტყვიერი განმარტებით აღძრა საქმე, აი, ეს ჩემთვის იცით, როგორი გაუგებარია? დღეს მე გამოძიებისგან ძალიან ბევრი რამ მიკვირს, გაოგნებამდე მიკვირს ის შეცდომები, რასაც ვხვდები ამ ტიპის დანაშაულებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში, შესაბამისად, ესეც ასეთივე გამაოგნებელი იქნება ჩემთვის, როგორც ექსპერტისთვის, თუ დასკვნის გარეშე მიეცა საქმეს ეს კვალიფიკაცია.

**– კვალიფიკაციაში შეცდა გამოძიება?**

– მოდით, არ ვთქვათ, რომ შეცდა. თუ გამოძიებას ექსპერტის დასკვნა არ ჰქონდა, გასაკვირია, როგორ აღიძრა საქმე ამ მუხლით. და თუ ექსპერტმა იჩქარა დასკვნის გაცემა, მაშინ გამოძიების მესმის, მაგრამ ექსპერტის მიმართ ჩნდება კითხვები, რატომ იჩქარა, როცა სახეზეა ქალა-ტვინის დაზიანება. თუ ასე არ ყოფილა, მაშინ გამოძიებამ საიდან მოიტანა სიმძიმის ეს ხარისხი? ყურში ჩაჩურჩულებით? ეს, უბრალოდ, არ შეიძლება, გამოძიებისთვის არასერიოზულია... როგორ მოხდა ეს რეალურად, არ ვიცი. ჯერჯერობით დასკვნა არ დამიწერია. მაინც საბოლოოდ მინდა დავრწმუნდე. შეიძლება გარკვეული მონახაზი მქონდეს, მაგრამ მაინც დოკუმენტები მჭირდება იმისთვის, რომ რა დასკვნასაც დავწერ, იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული. ამიტომ კიდევ ველოდები დოკუმენტებს...

**– ამიტომაც ჯერ არ ამბობთ გადაჭრით?**

– გადაჭრით არ ვამბობ, მაგრამ მაინც უფრო განწყობილი ვარ, რომ... ერთი სიტყვით, ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა სახეზეა.



**– ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი დასკვნას მძიმე დაზიანებაზე გასცემს?**

– შეიძლება. უბრალოდ, სანამ არ დამიწერია, ამიტომაც ვამბობ, რომ „შეიძლება“. მართალი გითხრათ, დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად საგანგაშოდ მეჩვენა, ვიდრე, ზოგადად, განწყობა იყო შექმნილი საზოგადოებაში...

**– ხშირად ადარებენ დათო კოდუასა და ვალერი გელაშვილის დაზიანებებს. ინფორმაციის გავრცელების პირველივე წუთებში გამოჩნდა კიდეც პარალელური ფოტოები სწორედ ამ მსგავსების დასაფიქსირებლად...**

– გარეგნულად, სახის დაზიანებებით ეს ორი შემთხვევა მართლაც ძალიან ჰგავს. სახეზე ორივე შემთხვევაში იყო საშინელი დაზიანებები. ორივე შემთხვევაში ცხვირის ძვლების მოტეხილობაა. მაგრამ მე არ ვიცი, ვალერი გელაშვილის შემთხვევაში იყო თუ არა ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, თორემ ქალა-ტვინის ტრავმა იქ ყველა შემთხვევაში იქნებოდა. იმიტომ, რომ ცხვირის ძვლების მოტეხილობა იმხელა დეფორმაციას იძლევა, რომ გამორიცხულია, ქალა ტვინის დაზიანება არ იყოს, ოღონდ გააჩნია ხარისხს. ვალერი გელაშვილის შემთხვევაში ტვინის დაჟეჟილობის კერები იყო თუ არა, არ ვიცი, უბრალოდ. დათო კოდუას შემთხვევაში ეს ყველაფერი არის, რაც საკმაოდ ამძიმებს მის მდგომარეობას.

**– აქამდე ძირითადად დაზიანების ხარისხზე ვსაუბრობდით... ახლა გეკითხებით, როგორც ექიმს, სახიფათოა დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

– ზუსტად ამაზე ვსაუბრობდი... მე ვიცი ქალა-ტვინის ტრავმა არა მარტო, როგორც ექსპერტმა, არამედ ასეთ ტრავმაზე 5 წელი ვმუშაობდი, კარგად ვიცი მისი კლინიკური გამოვლინებებიც... მე, როგორც ექსპერტს, ეს ტრავმა უფრო საგანგაშოდ მეჩვენა, ვიდრე ეს იმ ინციდენტის დღეს იყო აღიარებული. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეზე საუბრისგან დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესახებ დასკვნის დადებამდე თავს შევიკავებ, თუმცა ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა სახეზეა. ეს ფაქტია, აქ ორი აზრი არ არსებობს.

**– ეს კითხვა, მართალია, პირდაპირ კავშირში არ არის ჩვენი საუბრის მთავარ თემასთან, მაგრამ მაინც საინტერესოა თქვენი პასუხი: თქვენს ცხოვრებაში იყო 6 წელი, როდესაც თქვენს საქმიანობას იყავით ჩამოშორებული ცნობილი სკანდალის შემდეგ, როცა თქვენ დაგიჭირეს. ალბათ, ამის შემდეგ ეს შემთხვევა პირველი იყო, როცა შეხება მოგიწიათ ძველი ხელისუფლების ერთ-ერთი ხერხემლის, ერეკლე კოდუას ოჯახთან. ამან მორალური ბარიერი არ შეგიქმნათ?**

– არავინ თქვას, რომ მან საკუთარ თავზე ყველაფერი იცის. შეიძლება კონკრეტულ საკითხებში თავს მოერიო და რაღაც გააკეთო, პროფესიიდან გამომდინარე... თუმცა, მე აღმოვაჩინე, რომ არავითარი პრობლემა არ მქონდა ურთიერთობაში დედასთან, რომელსაც შვილი ჰყავდა ცუდად, არც დანარჩენებთან, რომლებიც გარკვეული პერიოდი ჩემგან განსხვავებული პოლიტიკური ხედვით ცხოვრობდნენ. იცით თქვენ, რა ტრავმა მივიღე ნაციონალური ხელისუფლებისგან. მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ამას არ უმოქმედია განწყობაზე ავადმყოფის მიმართ, რომელსაც დღეს მხოლოდ ჩემი ობიექტურობა სჭირდება. ოდნავადაც არ ყოფილა წარსულის თუნდაც მცირე ექო. მით უმეტეს, დავით კოდუა არაფერ შუაში იყო იმ ტრავმასთან, რაც ნაციონალურმა ხელისუფლებამ მომაყენა და რის გამოც ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ძალიან მძიმე 6 წელი.

**– როდის უნდა ველოდეთ დამოუკიდებელი ექსპერტის საბოლოო დასკვნას?**

– მე ჩემი პოზიცია უკვე მაქვს სიმძიმის ხარისხთან დაკავშირებით. ამას ახლა ქაღალდზე გადატანა სჭირდება.

**„დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად საგანგაშოდ მეჩვენა“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნაცემი დავით კოდუა კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაშია

სალომე გოგოხია

**სოდ-ის და კრიმინალური პოლიციის ყოფილი შეფის, ერეკლე კოდუას ძმის, დავით კოდუას მდგომარეობა კვლავ მძიმეა. უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც სასტიკად ნაცემი კოდუა საუნივერსიტეტო ე.წ. ინგოროყვას კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ის კვლავ ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა შეერთებული.**

როგორც „პრაიმტაიმს“ ინგოროყვას კლინიკაში განუცხადეს, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. პერიოდულად, სუნთქვის ხელოვნური აპარატიდან გამორთვა ხდება და პაციენტი დამოუკიდებლად სუნთქავს, რასაც ექიმები დადებითად აფასებენ.

ინგოროყვას კლინიკაში დავით კოდუა გასულ შაბათს, 3 მაისს, მძიმე დაზიანებებით მოათავსეს. კოდუას თავის ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ტვინის დაჟეჟილობა, კანქვეშა სისხლჩაქცევები, ყბა-სახის და ცხვირის ძვლების მოტეხილობები აღენიშნება.

ყბა-სახის და ცხვირის ძვლების ოპერაცია კლინიკაში მიყვანისთანავე გაუკეთეს.

როგორია პაციენტის ამჟამინდელი მდგომარეობა, საჭიროებს თუ არა საზღვარგარეთ მკურნალობას და რა პროგნოზები აქვთ მედიკოსებს დავით კოდუას გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებით, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ კოდუას ერთ-ერთ მკურნალ ექიმს ესაუბრა.

**კონსტანტინე მუმლაძე ექიმი-რეანიმატოლოგი:** - პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში დადებითია, რაც გამოიხატება იმაში, რომ პერიოდულად ხელოვნური სუნთქვიდან გამორთვა ხდება და თვითონ სუნთქავს. თავის ტვინის დახურული ტრავმის და ტვინის დაჟეჟილობის გამო, ამ ეტაპზე აპარატიდან სრულად მოხსნა ვერ ხდება. ცნობიერების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე წინა დღეებში იყო. მოტორული დეფიციტი არ ვლინდება. ტკივილის საპასუხოდ მიზანმიმართულ მოძრაობებს ასრულებს. თავის ტრავმიდან გამომდინარე ჯერჯერობით მწვავე პერიოდი არის და რეანიმაციაში რჩება.

**- კომაში იმყოფება თუ ხელოვნურად არ ხდება მისი მდგომარებიდან გამოყვანა, თუ გავითვალისწინებთ პაციენტის დიაგნოზის სირთულეს, შესაძლოა, ტკივილები ვერ აიტანოს?**

- დიახ, ხელოვნურად არ გამოგვყავს, სედატიურ მდგომარეობაში იმყოფება ანუ ზედაპირული ძილის ქვეშ. რათა თავის ტვინი ფიზიოლოგიური ძილის მდგომარეობაში იყოს. სხვა შემთხვევაში ტკივილის მიმართ გამძლე ვერ იქნება.

**- კოდუას ახლობლები აცხადებენ, რომ ის ჯერ ელექტროშოკით გათიშეს და შემდეგ სცემეს, თქვენ, როგორც ექიმი, რომელსაც მასთან პირველივე დღიდანვე გაქვთ კონტაქტი, რას გვეტყვით? შეინიშნება მსგავსი კვალი?**

- მე არ ვარ ექსპერტი, მე ვარ ექიმი. ელექტროშოკით გათიშეს თუ არა, ამას ექსპერტიზა დაადგენს.

**- რადგანაც ზედაპირული ძილის ქვეშ იმყოფება, რამდენად რეაგირებს ხმაზე, ფიზიკურ კონტაქზე?**

- ინსტრუქციის შესრულება ელემენტარულ დონეზე ხდენა. რაც იმას ნიშნავს, რომ ვეუბნებით ხელი მომიჭირე და გიჭერს, გაღიზიანებას იცილებს, ჩაძახილი ესმის.

**- პაციენტის საზღვარგარეთ მკურნალობის საჭიროება ხომ არ არის? ან ოჯახმა ხომ არ გამოთქვა ამის სურვილი?**

- ჩემთან, კლინიკის ხელმძღვანელობასთან ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა.

**- პაციენტის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით თუ შეგიძლიათ გვითხრათ, როდის მოვა გონზე?**

- თავის ტვინის დაზიანებიდან გამომდინარე, მწვავე პერიოდია. ჯერ არ გასულა დრო, რომ პაციენტი მოიხსნას ხელოვნური აპარატიდან, აღიდგინოს ნათელი, სრულყოფილი ცნობიერება. ამ ყველაფერს გარკვეული დრო სჭირდება, დაახლოებით 2-3 კვირა.

**- რა მდგომარეობაში იყო, როცა კლინიკაში შემოიყვანეს?**

- შემოყვანისას მისი მდგომარეობა მძიმე იყო. გამოხატული ქალა-ტვინის ტრავმით, თავის ტვინის დაჟეჟილობით, სისხლჩაქცევით, სახის ძვლების, ცხვირის ძვლის და ცხავის ძვლის მოტეხილობებით. შემოსვლისთანავე ჩაუტარდა ოპერაცია. ცხვირის ძვლების რეპოზიცია და პლასტიკა. გატეხილი ძვლების ფორმირება, გასწორება მოხდა. იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე, სამკურნალო დაცვითი ნარკოზის ქვეშ. დინამიკა შემოსვლიდან ამ დრომდე დადებითია. განაგრძობს მკურნალობას.

**- სხვა ოპერაცია დასჭირდა? ან თავის ტვინზე?**

- სხვა სახის ოპერაცია, ასევე, თავის ტვინზე მას არ დასჭირვებია. გულ-მკერდის მიდამოში, მუცლის ღრუში დაზიანებები არ აქვს. სხვა მხრივ ოპერაციული ჩარევა მას არ დასჭირდა. სხეულზე სხვა დაზიანებები არ აქვს.

**- რა დრომდე დარჩება რეანიმაციაში?**

- რეანიმაციაში დარჩება იმ დრომდე, სანამ სრულყოფილად არ მოვხსნით ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან. როცა აპარატიდან მოვხსნით, შემდეგ გადავიყვანთ პალატაში. სრულყოფილ მკურნალობას, რეაბილიტაციის საწყის ეტაპს დაახლოებით სამი კვირა დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენი დავით კოდუა 3 მაისს, ვაკეში, აბაშიძის 52 ნომერთან მდებარე სილამაზის სალონის წინ სასტიკად სცემეს. კოდუა მცირეწლოვან შვილთან და ძიძასთან ერთად სილამაზის სალონში იმყოფებოდა, როცა ტელეფონზე დაურეკეს. სალონიდან გამოსულს კი სასტიკად გაუსწორდნენ.

ოჯახის განცხადებით, კოდუა ჯერ ელექტროშოკით გათიშეს და შემდეგ სასტიკად სცემეს. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა ბიზნესმენი ნოშრევან ნამორაძე, რომელმაც განაცხადა, რომ კოდუას შურისძიების ნიადაგზე გაუსწორდა.





## „შემოყვანისას მისი მდგომარეობა მძიმე იყო. გამოხატული ქალა-ტვინის ტრავმით, თავის ტვინის დაჟეჟილობით, სისხლჩაქცევით, სახის ძვლების, ცხვირის ძვლის და ცხავის ძვლის მოტეხილობებით“

EXCLUSIVE




## „ელექტროშოკით გათიშეს თუ არა, ამას ექსპერტიზა დაადგენს“




## „პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში დადებითია, რაც გამოიხატება იმაში, რომ პერიოდულად ხელოვნური სუნთქვიდან გამორთვა ხდება და თვითონ სუნთქავს. თავის ტვინის დახურული ტრავმის და ტვინის დაჟეჟილობის გამო, ამ ეტაპზე აპარატიდან სრულად მოხსნა ვერ ხდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ალასანიას პირველობა არ არის სიურპრიზი არავისთვის, ის საკმაოდ პოპულარული ლიდერია“



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**„თავისუფალი დემოკრატები“ საკუთარი ლიდერის პირადი რეიტინგით არ ინტერესდებიან. ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებენ. ოპონენტები კი დარწმუნებულები არიან რომ ირაკლი ალასანია საკუთარ წარმატებულ რეიტინგს კოალიციას უნდა უმადლოდეს, მათი განცხადებით, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, დღევანდელი თავდაცვის მინისტრი კვლავ დაბალრეიტინგულ პარტიათა სიაში იქნებოდა, თანაც სადღაც ბოლოში...**

**პრინციპში, ამ კითხვებს პასუხი კოალიციაში ჩატარებულმა შიდა კვლევებმა გასცა. მართალია, შედეგებს მედიისთვის საჯაროს არ ხდიან, მაგრამ, როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ საპარლამენტო წევრი, გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, ერთ-ერთი ქართული კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები განსხვავდება NDI-ს შედეგებისგან. დეპუტატი ამბობს, რომ კვლევები შიდაპარტიული მოხმარებისაა და კარგად ასახავს რეალობას. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მასში ირაკლი ალასანია ნამდვილად არ არის უპირობო ლიდერი...**



## გიორგი ცაგარეიშვილი: „მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ კოალიციაში შიგნით უკვე ჩატარდა კვლევები, თუ არ ვცდები, დაახლოებით ერთი თვის წინათ... მეტ-ნაკლებად ემთხვევა NDI-ს შედეგებს, თუმცა არის თვალში მოსახვედრი სხვაობებიც“







**გიორგი ცაგარეიშვილი, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:**

– ალასანიას მაღალი რეიტინგი კარგია, როგორც თავდაცვის სამინისტროსთვის, ისე, რა თქმა უნდა, „თავისუფალი დემოკრატებისთვის“. ეს არ არის პირველი რეიტინგი, სადაც ალასანიას მაღალი რეიტინგები აღენიშნება. მანამდე იყო IRI-ს კვლევა, იყო წინა კვლევებიც. ის ყოველთვის პირველ სამეულშია ხოლმე, ხან ერთი მინისტრი უსწრებს წინ, ყოველ შემთხვევაში ეგრეთწოდებულ საპრიზო სამეულს არასოდეს შორდება ალასანია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ, როგორც მინისტრი, ძალიან ნაყოფიერად მუშაობს საკუთარ თანამდებობაზე, მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში, რეფორმები, რომლებსაც თავდაცვის უწყება ახორციელებს, პოპულარულია როგორც ჯარში, ისევე საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ალასანიას პირველობა არ არის სიურპრიზი არავისთვის. საკმაოდ პოპულარული ლიდერი და წარმატებული მინისტრია. რაც მთავარია, ის გუნდური მუშაობის სტილი, რომელიც კოალიციაშია დანერგილი, ხელს უწყობს მის წარმატებულობას. ცალკე აღებული მინისტრი, როგორი მობილიზებულიც არ უნდა იყოს, წარმატებული ვერ გახდება. ეს არის ძალიან ბევრი ადამიანის საერთო ძალისხმევა.

**– ანუ თქვენც ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ალასანიას რეიტინგი ჯარისა და კოალიციის დამსახურებაა?**



– ჯარის პოპულარობა, რა თქმა უნდა, ირიბად ხელს უწყობს უწყების ხელმძღვანელის პოპულარიზაციასაც. იცით, თუ კვლევის სეგმენტებს დააკვირდებით, ჯარს ყოველთვის მაღალი რეიტინგი აქვს, როგორც წესი. წინა პლანზეა ორი ხელშეუვალი პირველი-მეორე ადგილი რეიტინგში: პატრიარქი და ჯარი.

**– თუმცა გაჩნდა კითხვები გუნდის მხრიდან, ითქვა, რომ NDI საერთოდ არ იმსახურებს ნდობას, მაგალითად, მანანა კობახიძემ გაკვირვება გამოთქვა საერთოდ ალასანიას პირველობაზე...**

– როდესაც მანანა კობახიძე ეჭვებს გამოთქვამდა, მე ეს უფრო აღვიქვი კვლევების მიმართ ეჭვად და არა კონკრეტულად ალასანიას მიმართ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ალასანიას მაღალი რეიტინგი იგივე მანანა კობახიძის რეიტინგია. არა მგონია, გუნდში რაიმე ეჭვის საფუძველი უნდა გაჩნდეს ალასანიას მიმართ, იმიტომ რომ მას მაღალი ნდობა აქვს. ეს უნდა უხაროდეს ნებისმიერი პარტიის წევრს, რომლებიც კოალიციაში არიან. დღეს ჩვენ ვართ კოლიაციაში, დღეს ჩვენ ვართ ერთ გუნდში, რა იქნება შემდეგ წლებში, დღევანდელი გადმოსახედიდან ამის თქმა ცოტა რთული იქნება, თუმცა დღეს ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთმანეთს, ერთმანეთის ინტერესს და ყველაფერი უნდა შევაჯეროთ. ამიტომ ჩემზე გამაღიზიანებლად არ იმოქმედა არც მანანა კობახიძის განცხადებამ.

**– გიცდიათ, გაგეგოთ, როგორია ალასანიას პირადი რეიტინგი?**

– თუ ვართ ერთ ბლოკში, მაშინ ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის რეიტინგების კვლევაც ერთად უნდა ვაწარმოოთ. სხვათა შორის, რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია აწარმოებს კვლევებს NDI-სა და IRI-ს გარდა. მე ასევე მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ კოალიციაში შიგნით უკვე ჩატარდა მსგავსი კვლევები, თუ არ ვცდები, დაახლოებით ერთი თვის წინათ. არჩევნებამდე კვლავ ჩატარდება. ეს არის შიდა კვლევები, მე მეტ-ნაკლებად ვიცი ამ კვლევების შედეგები. ვფიქრობ, საკმაოდ მაღალი რეიტინგები აქვთ კოალიციის ლიდერებს საზოგადოებაში.

**– შიდა კვლევების შედეგები ემთხვევა NDI-ს კვლევის შედეგებს?**

– მეტ-ნაკლებად ემთხვევა NDI-ს შედეგებს, თუმცა არის თვალში მოსახვედრი სხვაობებიც. კითხვარი სხვანაირად არის შედგენილი, მეთოდიკაშიც იყო სხვაობა და მოგეხსენებათ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე. საერთოდ, საკვლევი ველი ძალიან დაზიანებული იყო წინა წლებში, არსებობდა და არსებობს კითხვები იმ ორგანიზაციების მიმართაც, რომლებიც NDI-სა და IRI-ს საველე სამუშაოებს უტარებს ხოლმე. ორივე შემთხვევაში იყო ჩავარდნები, დაახლოებით 20-30%-იანი სხვაობა იყო, ეს უნდა გამოიკვლიონ ამ სფეროს სპეციალისტებმა. მე ვურჩევ NDI-საც და IRI-საც, ეძებონ უფრო სანდო ორგანიზაციები, ასეთები საქართველოში არსებობენ და პროცესი გახადონ საჯარო. ასეთ შემთხვევაში შედეგები არავისში ეჭვებს არ აღძრავს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკოსები ყოველთვის დააყენებენ ეჭვქვეშ NDI-სა და IRI-ს კვლევებს და ვერც ვერავინ გაამტყუნებთ.

**– კოალიციაში ჩატარებულ შიდა კვლევებში ირაკლი ალასანია არ ლიდერობს და თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა?**

– კოალიცია, ბუნებრივია, ატარებს კვლევებს და ამაში გასაკვირი არაფერია. ეს არის შიდა კვლევები, პირველ რიგში, ის ტარდება ჩვენთვის, პარტიებისთვის. ეს არ არის ახალი მეთოდი, ასე იყო საპრეზიდენტო არჩევნების წინაც, ასე უნდა იყოს, წესით, ადგილობრივი არჩევნების დროსაც. ნებისმიერი კოალიცია, რომელიც მომართულია გამარჯვებისთვის, ატარებს კვლევებს. თუმცა ეს არის შიდა კვლევები, რომლებიც გასაჯაროებას არ ექვემდებარება.

**– ანუ ირაკლი ალასანია არ ლიდერობს? მხოლოდ ამის დაზუსტება მინდა...**

– ეს არის შიდა კვლევები, რომელიც გასაჯაროებას არ ექვემდებარება. ვინ ლიდერობს, რა ლიდერობს, არ ვიტყვი, ეს არის ჩვენთვის, პარტიებისთვის.

**– გია ხუხაშვილმა ალასანიას ლიდერობაში შეთქმულება დაინახა და განაცხადა, რომ ეს შეთქმულება საქართველოს გარეთ დაიგეგმა...**

– მე საერთოდ, ნაკლებად მჯერა შეთქმულების თეორიებისა და, შესაბამისად, აპოკალიფსური სურათების წარმოსახვის. ასე რომ, ხუხაშვილის გამონათქვამებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**– ნაციონალებს აინტერესებთ, როგორი იქნება ალასანიას დამოუკიდებელი რეიტინგი, რადგან აცხადებენ, რომ თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის რეიტინგი პირდაპირ მიბმულია კოალიციასთან...**

– რა არის ამაში ცუდი, ვერ ვხვდები, რა თქმა უნდა, ალასანიასაც და სხვა მინისტრებსაც, რომლებიც თანამდებობებზე არიან, აქვთ შესაძლებლობა, თავი წარმოაჩინონ. თანამდებობრივი რეიტინგი თანამდევია და ამაში არაფერი გასაკვირი არ არის. ვფიქრობ, ივანიშვილის ავტორიტეტი ხელშეუვალია კოალიციის წევრებში.

**– ოპონენტები გულისხმობენ იმას, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ცალკე გასვლის შემთხვევაში პარტია ისევ ისეთი დაბალრეიტინგული გახდება, როგორიც კოალიციაში შესვლამდე იყო.**

– როცა კოალიციიდან გავა და დამოუკიდებელი იქნება, შემდეგ ვისაუბროთ დამოუკიდებელ რეიტინგზეც. ახლა ჩვენ ვმუშაობთ საერთო წარმატებაზე, ვმუშაობთ იმაზე, რომ დავით ნარმანია გახდეს თბილისის მერი, მანამდე ვმუშაობდით, რომ გიორგი მარგველაშვილი გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი.

**„ეს არის შიდა კვლევები, რომლებიც გასაჯაროებას არ ექვემდებარება“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პოლიტიკური მათემატიკა




### გია ხუხაშვილი: „ირაკლი ალასანიას ირაკლი ღარიბაშვილზე წინ დაყენება „შეთქმულების თეორიაა“

## NDI-ს კვლევები შეთქმულების საფუძველი ხდება?

ხათუნა მგალობლიშვილი

**NDI-ს კვლევები ყოველთვის იყო დაძაბულობისა და დაპირისპირების საგანი. ლუის ნავარო უკვე წლებია, ლამის ყველაზე ხმაურიანი ფიგურაა. ის არა მხოლოდ ციფრებთან და რეიტინგებთან ასოცირდება, არამედ შიდაგუნდურ დაპირისპირებასთანაც. ასე იყო სააკაშვილის დროს და ხმები უგულავა-მერაბიშვილის ან უგულავა-სააკაშვილის დაპირისპირებაზეც NDI-ს კვლევებთან ერთად მძაფრდებოდა ხოლმე.**

მაგალითად, 2012 წელს გიგი უგულავას რეიტინგი 60%-ს უტოლდებოდა და ის არა მხოლოდ სააკაშვილის 58%-ს უსწრებდა, არამედ ვანო მერაბიშვილისასაც, რომელიც უკვე პრემიერი იყო და მოწონების რეიტინგი მხოლოდ 55%-ს ჰქონდა.

თუმცა, მაშინ თავისი გავლენებითა და პოპულარობით მერაბიშვილს აშკარა უპირატესობა ჰქონდა. ასე თვლიდნენ ნაციონალებში. განსაკუთრებით დედაქალაქში, სადაც გიგი უგულავა პოპულარული არ იყო, თუნდაც იმიტომ რომ დღის გადასახადი ნაგავზე იყო მიბმული.

როგორც ჩანს, NDI-ს კვლევები დამაჯერებელი არც სააკაშვილისთვის იყო, ამიტომაც, მან არჩევნების წინ პრემიერად სწორედ ვანო მერაბიშვილი დანიშნა და არა გიგი უგულავა და მაშინ მათ შორის დაპირისპირების შესახებ ხმები ისევ დაირხა, თანაც გაცილებით მწვავედ. ბევრი ამბობდა, რომ პრემიერის პოსტი უგულავასა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირებას იწვევდა. თუმცა, საბოლოოდ, მაღალი რეიტინგი უგულავას „დაუწერეს“, პრემიერის პოსტი კი მერაბიშვილს ჩააბარეს.

ასე იყო თუ ისე, NDI-ს კვლევებთან დაკავშირებით დღეს ისევ გაიხსენეს ყველა კაზუსი. მაგალითად, თუკი სააკაშვილის მმართველობის დროს ირაკლი ალასანიას ამ კვლევებში არასოდეს არ ჰქონდა რეიტინგი, მაშინაც კი, როცა ის გიგი უგულავას უწევდა კონკურენციას მერის არჩევნებზე (არადა სწორედ ის იყო მაშინ ყველაზე რეიტინგული ფიგურა), მაშინ რატომ გაუჩნდა ეს რეიტინგი ალასანიას ახლა?

**ან რატომ დაუვარდა რეიტინგი პრეზიდენტ მარგველაშვილს? თავად ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება იყო მისი მაღალი რეიტინგი წარსულში და მისი დამსახურებაა დაბალი რეიტინგიც. NDI-ს თანახმად, მარგველაშვილს მოწონების შკალაზე 47% აქვს, 2013 წლის ნოემბერში ეს მონაცემი 72% იყო. ყოფილმა პრემიერმა მარგველაშვილი გააკრიტიკა. გიორგი მარგველაშვილის განმარტებით:**

– აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო ჩემი რეიტინგის დაცემა. მე აქამდეც არაერთხელ მითქვამს, როგორც საარჩევნო კამპანიის დროს, ისე საარჩევნო კამპანიის მერე, რომ ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა დიდი წვლილი იმ წარმატებაში, რომელიც მე 62%-ის სახით დამიფიქსირდა. ბუნებრივია, რომ ბიძინას კრიტიკის შემდეგ იმ ადამიანებმა, ვინც მხარს მიჭერდნენ ბიძინას გამო, საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირეს. შესაბამისად, ეს ჩემთვის აბსოლუტურად ბუნებრივია და მისაღებიც.

და თუკი ივანიშვილის კრიტიკის მიმართ ასეთი მგრძნობიარეა საზოგადოება, მაშინ რატომ აქვს ივანიშვილს პრეზიდენტზე, სულ რაღაც, 4%-ით მაღალი რეიტინგი და როგორ უტოლდება მისი რეიტინგი დავით უსუფაშვილის რეიტინგს?

მოკლედ, ტრადიციულად, NDI-ს კვლევები კითხვებს უფრო აჩენს, ვიდრე პასუხებს იძლევა.

**თავისი ვერსია აქვს ექსპერტ გია ხუხაშვილს. ალასანიასა და ღარიბაშვილს შორის რეიტინგული სხვაობა, ექსპერტისთვის შეთქმულების ტოლფასია:**

– NDI-ს კვლევა აბსურდია! ნებისმიერი თავმოყვარე ორგანიზაცია ასეთ კვლევას თავს ანებებს, ეს გაკოტრების ტოლფასია. პირდაპირ ვიტყვი: ირაკლი ალასანიას ირაკლი ღარიბაშვილზე წინ დაყენება „შეთქმულების თეორიაა“, ოღონდ არა საქართველოში დაგეგმილი, არამედ მასშტაბური და გლობალური... მე ყოველთვის ვამბობდი, რომ NDI იყო ზედმეტად პოლიტიზებული რგოლი, რომელიც „აყენებდა“ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესის მაჩვენებელს. ეს რომ დღესაც ასეა, ნათლად ჩანს ერთი ფაქტიდან – ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი... არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენი პროცენტი „მიიღო“, ყველამ იცის, რომ დგანან ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტზე. მათ, ბიძინა რომ არა, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ, რადგან მათი პირადი რეიტინგი, ბიძინა ივანიშვილის გარეშე, შორსაა NDI-ს კვლევის მიერ გამოქვეყნებულ პროცენტებთან. ივანიშვილის გავლენის გარეშე, მათი დღევანდელი პარამეტრები ალოგიკურია!

**თავად ალასანია ამბობს, რომ მისი რეიტინგი სამინისტროს რეიტინგზეა მიბმული:**

– ძალიან კარგია, რომ საქართველოს მთავრობასა და მის ინდივიდუალურ წევრებს გვაქვს რეიტინგი, ხალხის ნდობა. რაც შეეხება კონკრეტულად ჩემთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ ეს პირველ რიგში, ჩვენი ჯარის დამსახურებაა და იმ ნდობის, რომელიც ქართველ საზოგადოებას ჯარისა და თავდაცვის სამინისტროს მიმართ აქვს. ძალიან მიხარია, რომ თავდაცვის უწყება ყველაზე სანდო ინსტიტუტია ქართველი საზოგადოებისთვის. ეს, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო ალასანია შეფასებისას, მაგრამ ის, რაც მან თქვა, რეალობაა. გაცილებით ადვილია, იყო რეიტინგული ხელისუფლებაში, განსაკუთრებით ძალოვანი უწყების პირველი პირის რანგში, ვიდრე ოპოზიციაში.

**პრემიერმა შეფასებისას აქცენტი ბიძინა ივანიშვილის რეიტინგზე გააკეთა და არა ირაკლი ალასანიაზე. მისი განმარტებით:**

– ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ვკითხოთ, ქუჩაში გავაჩეროთ 10 ადამიანი, დავრწმუნდებით, რომ ეს არის აბსოლუტური ტყუილი. მინდა დავაფიქსირო ჩემი ღრმა პატივისცემა ამ ინსტიტუტისადმი. რაც შეეხება ბრალდებებს, რომელიც NDI-ს ადგილობრივი ოფისის ხელმძღვანელზე ისმის, არ მინდა დისკუსიაში ჩავერთო და კომენტარი გავაკეთო. უბრალოდ, მსურს, ჩემი აზრი დავაფიქსირო, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ ინფორმაციაზე: სამწუხაროდ, NDI უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივ კომპანიას იყენებდა, რომელიც საველე სამუშაოებს ახორციელებდა. სამწუხაროდ, ეს ორგანიზაციები ყოველთვის იყვნენ ასოცირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

## გივი თარგამაძე: „ფარული ჩაწერები რომ ხდებოდა, სამწუხაროდ, ეს ფაქტია, ამას ჩვენ არ გავურბივართ და ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი, ყველას პასუხისმგებლობაა“

ხათუნა მგალობლიშვილი

**„ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარ შეცდომებს აღიარებს და აცხადებს, რომ ფარული ჩანაწერები ცხრაწლიანი რეჟიმის პერიოდში ხორციელდებოდა. ახლა ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რამდენად მიიღებენ ისინი თითქმის ათი წლით დაგვიანებულ ბოდიშს ყოფილი მმართველი გუნდიდან. მით უფრო მაშინ, როდესაც მანკიერ პროცესში ერთ-ერთი წამყვანი ტელევიზია იყო ჩართული. სწორედ ამის გამო იხდის დღეს ბოდიშს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია. თუმცა მის დაგვიანებულ წუხილზე უმრავლესობა ადეკვატურ რეაქციას იძლევა. ლევან ბერძენიშვილი გვარამიას შესაფასებლად ასე, ათი წლის შემდეგ შეხმიანებას სთხოვს. ნაციონალები საკუთარ განვლილ გზას „მწარე გამოცდილებას“ უწოდებენ და დარწმუნებულები არიან, რომ შეცდომების აღიარება სასურველ შედეგს მოიტანს...**

**გივი თარგამაძე, ნაციონალების წევრი:**

– ფარული ჩაწერები რომ ხდებოდა, სამწუხაროდ, ფაქტია, ამას ჩვენ არ გავურბივართ და ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი, ყველას პასუხისმგებლობაა. გარდა ამისა, ვფიქრობ, თავად ნიკა გვარამიამ ისაუბრა იმაზე, რომ ქვეყნდებოდა სანქცირებული ჩანაწერები და იმაზეც, რამდენად გამართლებული იყო ეს პრაქტიკა დღევანდელი გადასახედიდან. ჩანაწერები კეთდებოდა ჩვენ დროს, რაც დიდი დანაშაული იყო, მაგრამ ეს არ საჯაროვდებოდა და არც გაჟონვები ხდებოდა. გარდა ამისა, თუ ჩვენმა ოპონენტებმა სწორედ ამ მანკიერი შემთხვევების გამო გაგვიშვეს ხელისუფლებიდან, მაშინ მათაც ზუსტად ისევე გაუშვებენ ხელისუფლებიდან.

**– როდესაც გვარამიამ ამდენი წლის შემდეგ ბოდიში მოიხადა, ამას უმრავლესობის სერიოზული კრიტიკა მოჰყვა და ისიც კი ითქვა, ამ თემაზე კომენტარისთვის ათი წლის შემდეგ შეგვეხმიანეთო... მართლაც, ძალიან დაგვიანებული რეაქცია არ იყო?**

– ძალიან ბევრს უნდა ეცადონ, რომ ათი წელი გაძლონ ხელისუფლებაში, რადგან ასეთი ტემპებით ყველაზე შორს, როცა შეიძლება მათ კომენტარზე დაურეკონ, იქნება შემდეგი საპარლამენტო არჩევნები. ძალიან დარწმუნებულებიც ნუ იქნებიან საკუთარ თავებში.

**– როგორ გგონიათ, „რუსთავი 2“-ის შემთხვევა შეიძლება ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის?**

– ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ წარიმართება გამოძიება. გარდა ამისა, ხელმოწერისთვის საფრთხეს ვფიქრობ, უფრო ხელისუფლებაში მყოფი, პირდაპირ ვიტყვი, რუსები წარმოადგენენ, რომლებიც სხვადასხვა სფეროებს განაგებენ.

**– ვის გულისხმობთ?**

– როდესაც პარლამენტს, პრინციპში, გია ვოლსკი განაგებს და მინისტრთა კაბინეტში ზაქარეიშვილისნაირი სახელმწიფო მინისტრია, საფრთხე, ბუნებრივია, სერიოზულია.

**– ფიქრობთ, რომ ვოლსკისთან დაკავშირებით არსებული ხმები, თითქოს არჩევნების შემდეგ ის უსუფაშვილს ჩაანაცვლებს, რეალურია?**

– შეუძლიათ, არც შეწუხდნენ, რადგან პრაქტიკულად ვოლსკი აკონტროლებს უმრავლესობას, ფორმალურად ვინ იქნება თავმჯდომარე, ეს არ ვიცი. თუმცა, თუ ვოლსკი დაინიშნება, მაშინ ეს იქნება პრორუსულობის ღიად დეკლარირება.

**– რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს დასკვნას რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით...**

– თითქოს ვინმეს ეჭვები ჰქონდა, რომ ომი საქართველომ დაიწყო და ეს ეჭვები მოგვიხსნა ალასანიამ. სასიხარულოა, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ მაინც მიხვდა თავდაცვის მინისტრი, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრს ხელები უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა გაუხსნა. მსოფლიომ არათუ აღიარა, არამედ პირადად ნახა, როგორც ხდება და როგორ მოქმედებს რუსეთი, ამის შემდეგ არაფრის მტკიცებას აზრი არ აქვს.



**„ჩანაწერები კეთდებოდა ჩვენ დროს, რაც დიდი დანაშაული იყო, მაგრამ ეს არ საჯაროვდებოდა და არც გაჟონვები ხდებოდა...“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თაღლითობა ქველმოქმედების სახელით?!

სალომე გოგოხია

**დანამდვილებით იმის თქმა, გაჭირვებულების და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელით რამდენი ორგანიზაცია ითხოვს მოწყალებას, გაჭირდება. სამაგიეროდ, თბილისის ქუჩებსა თუ მეტროში ყუთით ხელში მოსიარულეებს მრავლად წააწყდებით. „დაეხმარეთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს“, „ვისაც რა საშუალება გაქვთ, დაეხმარეთ პატარა ნინოს“ და ა.შ. მსგავსი ფრაზებით ისინი გამვლელების ყურადღების მიქცევას ცდილობენ. ზოგი ჯიბეზე იკრავს ხელს და ხურდა ფულს აძლევს, ზოგიც დუმილით გაერიდება.**

ამას წინათ, საბურთალოზე მიმავალმა, ერთ ასეთ ყუთს მეც ჩავუარე და ახალგაზრდა მამაკაცმა ანალოგიური თხოვნით მომმართა - დაეხმარეთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებსო.

ჩემს ნათქვამზე, დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემ მიერ გაღებული ფული ადრესატთან მივა, ახალგაზრდამ სავიზიტო ბარათი გამომიწოდა, სადაც ორგანიზაცია „საქართველოს მადლის“ „ფეისბუქის“ მისამართი იყო მითითებული. ასევე, ორგანიზაციის ოფისის ტელეფონის ნომერი.

„შედით ჩვენი „ფეისბუქის“ გვერდზე და დარწმუნდებით, რომ ნამდვილად ვეხმარებით. ამის ამსახველი ვიდეოკადრებიც გვაქვს განთავსებული. სხვა ორგანიზაციებზე თავს ვერ დავდებ, ვიცი, რომ ბევრი თაღლითობს, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია მართლა ეწევა ქველმოქმედებას. სადაც ნახავთ ასეთ ყუთებს და იქვე მდგომს ჩვენი მაისური აცვია, იცოდეთ, რომ ისინი ნამდვილად ეხმარებიან. თუ არ გჯერათ, შემიძლია ახლავე შეგიყვანოთ ტექნიკის მაღაზიაში და გაჩვენებთ ჩვენზე მომზადებულ სიუჟეტებს“, - ამ სიტყვებზე სანდრო მახლობლად მდებარე ტექნიკის მაღაზიაში შემიძღვა. როგორც ამიხსნა, აქ მისი მეგობრები მუშაობენ და კომპიუტერით სარგებლობის პრობლემა არ აქვს. ჩემსავით გამოჩენილ „ურწმუნო თომას“ ხშირად ამ გზით უმტკიცებს თავის სიმართლეს.

„ფეისბუქის“ გვერდზე მართლაც ვნახე კადრები, სადაც ჩანს ამ ორგანიზაციის წევრები გაჭირვებულ ოჯახებს პროდუქტებით როგორ ეხმარებიან.

**- ქველმოქმედების სანაცვლოდ რას გიხდიან?**

- შემოსული თანხის 5-%-ს. თან მაქმევენ. სამუშაო ვერ ვიშოვე. ხელოვანი ვარ, სამხატვრო აკადემია დავამთავრე. ვხატავ, ვუკრავ. ცოლ-შვილი მყავს. ქუჩაში „ბირჟაზე“ დგომას არ სჯობს კეთილი საქმე გავაკეთო? ფული რომ მქონდეს უფრო მეტ სიკეთეს გავაკეთებდი.

დღეში 60-80 ლარი, ხანდახან 140 ლარი გროვდება. ზოგიერთი ორგანიზაცია ვიცი, სადაც შემოსული თანხის 50%-ს თავად იღებენ. ჩვენ ასე არ ვაკეთებთ.

**- ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენი ორგანიზაცია შემოსული თანხის გარკვეულ პროცენტს არ იღებს.**

- მართლა ასეა. ჩვენს ორგანიზაციას თავისი გამომცემლობა აქვს, სადაც ბეჭდავენ ხატებს, კალენდრებს, ამას აბარებენ საეკლესიო მაღაზიებში ან ზოგს მიაქვს და თვითონ ჰყიდის. არავის არ სჯერა, რომ მართლა ვეხმარებით. გამვლელებთან ბევრჯერ მოგვსვლია შელაპარაკება, კამათი, რადგან არ სჯერათ. ზოგი გვეუბნება, წადი და ივანიშვილს სთხოვეო, მაგრამ ამას ყურადღებას აღარ ვაქცევ.



**„თორნიკე დვალიშვილს საჭირო ოპერაცია სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთეს. ჯანდაცვის სამინისტრომ მას 20 ათასი ევრო გადაურიცხა, ცოტაც ოჯახმა დაამატა. ბავშვი უკვე საქართველოშია. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. თუმცა, ფონდი მისი სახელით დახმარებას კვლავაც ითხოვს“**

**„სხვა ორგანიზაციებზე თავს ვერ დავდებ, ვიცი, რომ ბევრი თაღლითობს, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია მართლა ეწევა ქველმოქმედებას. სადაც ნახავთ ასეთ ყუთებს და იქვე მდგომს ჩვენი მაისური აცვია, იცოდეთ, რომ ისინი ნამდვილად ეხმარებიან“**

**EXCLUSIVE**

**„მიმაჩნია, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ თაღლითობასთან და ბავშვების სახელით სპეკულირება მართებული არ არის“**

**- ვერც გაამტყუნებ, ძალიან ბევრი ამ გზით შოულობს ფულს და რეალურად ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელით ვაჭრობენ.**

- მართალი ხართ. ასეთებიც არიან. ძალიან ბევრმა მათხოვარმა ამ გზით ფულის შოვნა გადაწყვიტა. როცა ადამიანი ხედავს, რომ იმ ყუთიდან ამოღებულ ფულს ჯიბეში ჩაიდებენ, ცხადია, უნდობლობა გაუჩნდება, აგრესიაც იქნება. მე აქ რამდენიმე თვეა, რაც ვდგავარ. ჩემ წინ ერთი ქალი იჯდა და მათხოვრობდა. როცა ნახა, რომ ჩემთან ფულს აგდებდნენ და ის ვერ შოულობდა, ადგა და მანაც ყუთით ხელში დაიწყო სიარული. თუმცა, მას ფულს არავინ აძლევს. ჩვენთან გაჭირვებულები რეკავენ და დახმარებას გვთხოვენ. ჩვენც ვეხმარებით, მოგროვილი თანხით პროდუქტებს ვყიდულობთ და მათთან მიგვაქვს.

სანდროს თქმით, მათი ორგანიზაციის წევრები მეტროშიც დადიან. თუმცა, ბოლო დროს პოლიციის მხრიდან გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

„ძალიან ბევრი მათხოვარი დადის ყუთით, ამიტომ, პოლიციამ მათ მეტროში ჩასვლა აუკრძალა. სხვათა შორის, ჩვენც. თუმცა, დავარწმუნეთ, რომ მართლა ქველმოქმედებას ვეწევით და მეტროში ჩასვლის ნებართვა მოგვცეს. ხშირად ისეთი ადამიანი აგდებს ფულს, ვისგანაც არ მოელი და პირიქით. ერთხელ ბებო მოვიდა, რომელიც ჩემგან მოშორებით იჯდა და მათხოვრობდა, მერე მოვიდა და ყუთში ათლარიანს აგდებდა, მაგრამ არ ჩავაგდებინე“, - ამბობს სანდრო.

არის შემთხვევა, როცა ესა თუ ის ორგანიზაცია უკვე გამოჯანმთელებული ბავშვის სახელით შემწეობის თხოვნას აგრძელებს.

ერთ-ერთი ასეთი ჩვენც ვიპოვეთ - ფონდი „მომავლის იმედი ბაშვებს ს.ფ.“ რამდენიმე თვის წინ ამ ორგანიზაციის წევრები მეტროში 1 წლის თორნიკე დვალაშვილის დასახმარებლად, რომელსაც ხორხის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, დახმარებას ითხოვდნენ. ყუთებზე ბავშვის ფოტოები იყო აკრული და მგზავრებს დახმარებას სთხოვდნენ. შემოსული თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ოჯახისთვის ხელმისაწვდომი.

თორნიკე დვალიშვილს საჭირო ოპერაცია სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთეს. ჯანდაცვის სამინისტრომ მას 20 ათასი ევრო გადაურიცხა, ცოტაც ოჯახმა დაამატა. ბავშვი უკვე საქართველოშია. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. თუმცა, ფონდი მისი სახელით დახმარებას კვლავაც ითხოვს.

**„ზოგიერთი ორგანიზაცია ვიცი, სადაც შემოსული თანხის 50%-ს თავად იღებენ. ჩვენ ასე არ ვაკეთებთ“**



სამწუხაროდ, სახელმწიფო ვერ აკონტროლებს ამ ტიპის ორგანიზაციებს, რომლებიც ხშირად სხვისი გაჭირვებით სარგებლობენ. მეტროში საპატრულო პოლიცია მეტ-ნაკლებად უკრძალავს მათ ამ საქმიანობას. ქუჩაში, პრაქტიკულად, მათ არავინ აკონტროლებს.

„პრაიმტაიმმა“ მცირე გამოკითხვა ჩაატარა ქუჩებსა და მეტროში. გვაინტერესებდა რას ფიქრობენ ჩვენი მოქალაქეები ქველმოქმედების ასეთ ფორმაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრს მათ ქველმოქმედებაში ეჭვი ეპარება.

„მე ქველმოქმედება სხვანაირად მესმის. სიკეთე უანგაროდ უნდა გააკეთო. ვიცი, რომ ამაში ისინი გარკვეულ პროცენტებს იღებენ. ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემ მიერ გაღებული ფულიდან მათ თუნდაც ერთი თეთრი აიღონ. არ მესმის, რატომ უნდა დავაფინანსო ისინი ჩემი ფულით? მე პირადად ასეთებს ფულს არ ვაძლევ. მიმაჩნია, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ თაღლითობასთან და ბავშვების სახელით სპეკულირება მართებული არ არის. თუმცა, ამ ანკესზე ბევრი გულჩვილი ეგება, ოღონდ მე არა“, - გვითხრა გამვლელმა 34 წლის ზურაბმა.

„მე პირადად ასეთ ყუთში ფულს არ ვაგდებ, რადგან დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს თანხა ნამდვილად გაჭირვებულებს ან ლეიკემიით დაავადებულებს მოხმარდებათ, მირჩევნია ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულს მივცე, ზუსტად მეცოდინება, რომ გაჭირვებულს დავეხმარე. სიმართლე გითხრათ, ამ ყუთით მოსიარულეებს როცა ვხედავ, ბრაზიც კი მიპყრობს, დარმწუნებული ვარ, ჩვენნაირების ხარჯზე ჯიბეს ისქელებენ. კარგი იქნება თუ არავინ ჩაყრის ფულს, საინტერესოა მაშინ რა გზას გამონახავენ ფულის საშოვნელად“,- გვითხრა 45 წლის ლიანამ.

თუმცა, ზოგიერთს სჯერა, რომ მის მიერ გაღებული ფული ადრესატამდე მივა და ფულსაც არ ინანებს.

„იცით, ადამიანს სახეზე ეტყობა უჭირს თუ არა. როცა ფული მაქვს, ყუთში ვაგდებ. ხშირად მე თვითონ ვეხმარები ასეთ ადამიანებს. თუმცა, ამის აფიშირება საჭიროდ არ მიმაჩნია. ვერც იმაში ვხედავ პრობლემას შემოსული თანხის გარკვეულ პროცენტს ეს ადამიანები თუ აიღებენ, იმათაც ხომ უნდათ არსებობა?!“ - გვითხრა მარინა ბებომ.

რეპორტაჟის მომზადებისას ყუთით ხელში ახალგაზრდა ბოშა ქალს შევხვდით, რომელიც ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ითხოვდა დახმარებას, ვცადე გამერკვია რომელი ორგანიზაციიდან იყო, თუმცა, ჩემს კითხვებზე ცივად გამშორდა და მეტროს შეაფარა თავი.

ფაქტია, რომ მოწყალების მთხოვნელთა რაოდენობის მატებასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა იმ ორგანიზაციების თუ კერძო პირების რაოდენობაც, რომლებიც ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სახელით დახმარებას ითხოვენ. ასეთ დროს ადამიანს უჭირს გაერკვეს, რეალურად ვისთან მიდის მის მიერ გაღებული ფული - გაჭირვებულთან თუ მათ ჯიბეში, ვინც მათი გაჭირვებით სპეკულირებს.










© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან

## my View
**მირიან ბოქოლიშვილი**

**როგორ აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ლევან ბერძენიშვილი სახელისუფლებო რეიტინგებს? რას ფიქრობს ის ნიკა გვარამიას ბოდიშზე? პატრიარქის კრიტიკაზე და მე-5 კოლონაზე? „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ინტერვიუს დეპუტატ ლევან ბერძენიშვილთან.**

– ბატონი ირაკლი მოსწონთ. არის მთავრობის კარგი მინისტრი. თავდაცვის მინისტრი, ბუნებრივია, სარგებლობს მაღალი რეიტინგით. მგონი, ასეთი ჩაღრმავება 2-3-პროცენტიან განსხვავებებში, რომელიც შეიძლება მინისტრებს შორის იყოს, არასწორია.

**– ეჭვიანობას ხომ არ იწვევს ეს გუნდის შიგნით?**

– პირადად მე, ნამდვილად არავისზე ვეჭვიანობ. სხვების ამბავი არ ვიცი.

**– რით ხსნით ბიძინა ივანიშვილის რეიტინგის კლებას?**

– ბიძინა ივანიშვილი აღარაა პოლიტიკაში, მას, წესით, როგორც პოლიტიკოსს, არანაირი რეიტინგი არ უნდა ჰქონდეს. კითხვა თუ დაისმებოდა, ვის უყვარს და ვის – არა, გაირკვევა, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავაც ძალიან საყვარელი კაცია. ამიტომ ეს გამოკითხვა კორექტული არ არის. არ მინდა, „ენდიაის“ შენიშვნა მივცე, მაგრამ ამ ორგანიზაციაში რომ არის პრობლემები და ლუის ნავარო რომ პრობლემური კაცია მრავალი წელია, მე მგონი, ეჭვს არ იწვევს. მახსოვს, 12 პროცენტი დაგვიწერა და სინამდვილეში 60 ავიღეთ.

**– ნიკა გვარამიამ წარსულში ფარული მიყურადების საქმეებთან დაკავშირებით ბოდიში მოიხადა... თქვენ იყავით ერთ-ერთი, ვინც იმ პერიოდში ფარული ჩაწერის ობიექტი გახდა და ეს ყველამ იხილა მედიასაშუალებებით... იღებთ გვარამიას ბოდიშს?**

– ბოდიშის მოხდა ყველა შემთხვევაში არის ნაბიჯი სწორი მიმართულებისკენ. თუ შემდგომ ნაბიჯებს გადადგამს და კიდევ უფრო მეტს იტყვის ამის შესახებ, მისთვის კარგი იქნება. სასიამოვნოა გვარამიას გადაწყვეტილება, ახალგაზრდა კაცია და სინდისს შეუწუხებია. მაგრამ ეს მობოდიშებაც პოლიტიკის ნაწილი იყო. მადლობას ვერ ვეტყვით, მაგრამ თავისთავად შევუქებთ ამ გადაწყვეტილებას.

**– რაც შეეხება „რუსთავი 2“-ში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებს... ამ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე და ვის მოუწევს ბოდიშის მოხდა?**

– ეს ფაქტი უნდა გამოვიძიოთ, დამნაშავეები ვიპოვოთ და ადეკვატურად დავსაჯოთ. იმის თქმა, რომ, რახან „რუსთავი 2“-ის ახლანდელი ხელმძღვანელი წარსულში ცუდად იქცეოდა და გვისმენდა, ახლა ჩვენ უარესად უნდა მოვიქცეთ, მიუღებელია. არც იმის თქმა შემიძლია, ვინ დაამონტაჟა რეალურად იქ კამერა. შეიძლება ეს კამერა იქ დგას წლების განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილსაც შეეძლო, მოესმინა და სხვებსაც შეეძლოთ მოესმინათ. საერთოდ, სერიოზულმა დაწესებულებებმა პერიოდულად უნდა ჩაატარონ ხოლმე ე.წ. გაწმენდითი სამუშაოები, რათა საკუთარ დაწესებულებებში უკანონო მოსმენები აღკვეთონ, მაგრამ თქვენ გახსოვთ, ალბათ, რომ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების წინ მოახერხა და კომპიუტერში შემოგვიძვრა სპეციალური პროგრამით და ასე იქნა მოპოვებული ფარული ჩანაწერები. ეს ჩანაწერები „რუსთავი 2“-მა ისე გაუშვა, როგორც არაფერი. ამაზე ბოდიში არავის მოუხდია. საუბარი მაქვს ირაკლი ღარიბაშვილის, ასალანიასა და სხვების ფარული ჩანაწერების გავრცელებაზე. ამაზეც ველით ვიღაცისგან ბოდიშსა და გამოძიებას.

**„ეს ფაქტი უნდა გამოვიძიოთ, დამნაშავეები ვიპოვოთ და ადეკვატურად დავსაჯოთ. იმის თქმა, რომ, რახან „რუსთავი 2“-ის ახლანდელი ხელმძღვანელი წარსულში ცუდად იქცეოდა და გვისმენდა, ახლა ჩვენ უარესად უნდა მოვიქცეთ, მიუღებელია“**



**„სასიამოვნოა გვარამიას გადაწყვეტილება, ახალგაზრდა კაცია და სინდისს შეუწუხებია“**

**– გამოძიება ჩატარდა და თუ არ ვცდები, გასამართლდნენ კიდეც კუდ-ის კონკრეტული თანამშრომლები...**

– გასამართლდნენ, მაგრამ თქვენც ხომ იცით, რომ რეალურად სერიოზული არაფერი მომხდარა ამ მიმართულებით. ყოველ შემთხვევაში იგივე ნიკა გვარამიაზე მაშინ არავინ გასულა, ჩაითვალა, რომ მხოლოდ კუდია დამნაშავე, ტელესაშუალებები კი, რომლებიც ამის ტირაჟირებას ახდენდნენ, კანონით ასევე დამნაშავეები არიან. ასე რომ, გვარამიამ რომ თქვა, მორალური დანაშაული მაქვსო, მთლად მართალი არ არის. ის კანონითაც დამნაშავე იყო, როდესაც უდანაშაულო ადამიანებზე ავრცელებდა ყალბ მონაჭორს. მაგრამ, კი ბატონო, მთავარია, პირველი ნაბიჯი გადადგა და ბოდიში მოიხადა.

**– სხვა საკითხსაც რომ შევეხოთ... დიდი ვნებათაღელვის მიუხედავად, პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი დაამტკიცა, თუმცა პატრიარქის პოზიცია უცვლელი რჩება... ის ამ კანონს კვლავაც აკრიტიკებს...**

– ჩემი აზრით, პარლამენტი და ეკლესია ამ საკითხში ვერ შეთანხმდებიან. ეკლესია საკითხს უყურებს, როგორც ცოდვას, კანონი კი – როგორც უფლებას. ეს სრულიად სხვადასხვა ცნებებია. ამიტომ ისინიც მართალნი არიან და ჩვენც. ამიტომაც წერია კანონში, რომ ეკლესია და სახელმწიფო გაყოფილია ერთმანეთისგან. ეს ნიშნავს, რომ პარლამენტი იღებს კანონებს, ეკლესია ზრუნავს მორალზე. მე მაინც მადლობელი ვარ პატრიარქის, რადგან მისი განცხადება იყო გაცილებით ზომიერი და შეწუხებული კაცის პოზიციიდან გამომდინარე, ვიდრე ერთი-ორი ძალიან აგრესიულად განწყობილი სამღვდელოსი, რომლებიც იმუქრებოდნენ. მუქარა არ არის ის ტონი, რომელსაც ჩვენ ველით ეკლესიისგან. პარლამენტი ცდილობდა, რომ, რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო დაძაბულობა. ასეა თუ ისე, ჩვენ მივიღეთ კანონი, რომელიც მიღებული აქვს ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანას, რომელსაც ევროპასთან აქვს რაიმე ურთიერთობა, იქნება ეს მაკედონია, შვეცია, ჩერნოგორია თუ სხვა... ყველგან მოჰყვა ამ კანონის მიღებას ვნებათაღელვა და არც ერთი ეკლესია არ დაეთანხმა. ეს ბუნებრივია. სამაგიეროდ ყველამ ისარგებლა იმ სიკეთით, რაც, საბოლოო ჯამში, ამას მოჰყვა. თქვენ იცით, რომ ეს დაკავშირებულია ვიზების ლიბერალიზაციასთან. ახლა საუბარია იმაზე, მოგვთხოვა თუ არა ევროპამ ამ კანონის მიღება. ჩვენ გვინდა ევროპასთან უვიზო მიმოსვლა, თორემ ევროპას შეიძლება სულაც არ უნდოდეს ეს. ეს შედის ჩვენი მოქალაქეების ინტერესებში და არა ევროპის ინტერესებში. მოლდოვამ უკვე მიიღო ეს პრივილეგია, ჩვენ მივიღებთ გაისად.

**„რუსეთი არ გახლავთ ისეთი გულუბრყვილო, რომ თვალი ჩავუკრათ და ჩუმად შევიპაროთ ნატოში“**



**„მუქარა არ არის ის ტონი, რომელსაც ჩვენ ველით ეკლესიისგან“**

**– ამ კანონის მოწინააღმდეგეები შიშობენ, რომ შემდეგი ნაბიჯი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება იქნება...**

– ეს ორი საკითხი ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ გახლავთ. ერთსქესიანთა ქორწინება სრულიად სხვა საკითხია, რომელიც დისკრიმინაციასთან არანაირ კავშირი არ არის. საქართველოში ამის განხილვის არც საჭიროებაა, არც მოთხოვნა და საერთოდ არ დგას ეს საკითხი დღის წესრიგში. თუ ვინმე წინასწარ იშლის ნერვებს, მისი პრობლემაა. ბევრი ადამიანი, ვინც ანტიდისკრიმინაციულ პროექტს მხარს უჭერს, წინააღმდეგია ერთსქესიანთა ქორწინების. ასე რომ, ეს საკითხები ერთმანეთთან კავშირში არ არის.

**– გასულ კვირას ირაკლი ალასანიას მხრიდან გაკეთდა განცხადება საქართველოში ნატოს თავდაცვითი სისტემების შესაძლო განლაგებაზე... თქვენი დამოკიდებულება როგორია ამ საკითხზე?**

– მიმაჩნია, რომ ყველა ნაბიჯი, რომელსაც ნატო გადადგამს, ჩვენთვის სასარგებლო იქნება. თუ ნატო თავდაცვით ნაგებობას საქართველოში განალაგებს და ამისთვის მზად იქნება, ცხადია, საქართველოც მზად უნდა იყოს. თუ ნატო ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, მხოლოდ მისასალმებელია და არანაირი საფრთხე არ გველის ნატოსთან მჭიდრო ურთიერთობით. საქართველოს საფრთხე ელის ნატოსთან დაშორებისა და რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩენის შემთხვევაში.

**– უმრავლესობის რამდენიმე წარმომადგენელი, მაგალითად, მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ ალასანიას განცხადება იყო ნაჩქარევი...**

– უმრავლესობის წარმომადგენლები არ ვართ სამხედრო ექსპერტები და ყველას შეგვიძლია, ჩვენი აზრი გვქონდეს. მიმაჩნია, რომ, თუ ნატო მზად იქნება, ნაჩქარევი არაფერია. და თუნდაც ნაჩქარევი ყოფილიყო, რა დაშავდა ამ აჩქარებით? შევარდნაძემ რომ თქვა, მინდა საქართველო იყოს ნატოშია, მაშინაც შეგვეძლო გვეთქვა, – რა აჩქარებდაო. უნდა დაფიქსირებულიყო ოდესმე, რომ ჩვენ გვინდა ნატოში, გვინდა ადამიანური ცხოვრება, ევროპასთან ინტეგრაცია, უვიზო მიმოსვლა, გვინდა, ადამიანის უფლებები იყოს დაცული და ა.შ. ამის დამალვას არავითარი აზრი არ აქვს. რუსეთი არ გახლავთ ისეთი გულუბრყვილო, რომ თვალი ჩავუკრათ, ვუთხრათ, ვითომ ნატოში არ მივდივართ და ჩუმად შევიპაროთ. არ არის ასეთი მარტივი ქვეყანა, მას გააჩნია დაზვერვა და როგორც ხედავთ, უზარმაზარი მე-5 კოლონაც ჰყოლია საქართველოში. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ, გამოვიდნენ და თქვან, – რუსეთი სჯობია ევროპასო.

**– თავის დროზე სააკაშვილიც ხშირად საუბრობდა მე-5 კოლონაზე, მაგრამ მაშინდელი ოპოზიცია გაზვიადებულს უწოდებდა ამ მესიჯებს.... გამოდის, რეალურად არსებობს მე-5 კოლონა...**

– როცა მე მეძახდა მე-5 კოლონასა და რუსეთის აგენტს, ეს გაზვიადებული კი არა, უსინდისობა იყო. რა თქმა უნდა, რუსეთს ჰყავდა და ჰყავს მე-5 კოლონა საქართველოში, მაგრამ არჩილ ჭყოიძის დონეზე. ცხადია, ამით ქვეყანას ვერ გადააბრუნებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოფლის მეურნეობის მინისტრი ევროკავშირის საექსპო

სანდრო ბარათელი

# „სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირების მიზნით სახელმწიფო კვლავ ახორციელებს მხარდამჭერ პროგრამებს“



**ინფრასტრუქტურული პროექტების, სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, სურსათის უვნებლობის კუთხით გააქტიურებული სახელმწიფო კონტროლი, შეღავათიანი აგროკრედიტები და მალე თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ფიტო-სანიტარული ლაბორატორია... - თამამად შეიძლება ითქვას, რომ დარგი, რომელიც 2012 წლამდე ფორმალურად არსებობდა, თავიდან დაიბადა. ქალაქში ლუკმა-პურის საშოვნელად წამოსული გლეხი, სოფელში დაბრუნდა და მიწის დამუშავების სურვილი გაუჩნდა. სოფელში იმედი გაჩნდა - ქვეყანაში - სოფლის მეურნეობა...**

**რამდენიმე დღის წინ, სოფლის მეურნეობის მინისტრი, ევროპული კვირეულის ფარგლებში აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს სურსათის ეროვნულ სააგენტოში მასპინძლობდა. შალვა ფიფიასთან ინტერვიუ სწორედ ამ შეხვედრაზე და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თემაზე საუბრით დავიწყეთ.**

**შალვა ფიფია, სოფლის მეურნეობის მინისტრი:** - აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტებთან, ასეთი ტიპის შეხვედრებს ხშირად ვმართავთ. ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა სოფლის მეურნეობის დარგში დღეს მიმდინარე პროცესებში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ მიიღონ კარგი განათლება. ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენ შევძლოთ და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი გახდნენ პროფესიონალები და მათი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება მივცეთ. მათთან შეხვედრის დროს ვისაუბრე ასევე პრემიერის ახალი ინიციატივის შესახებაც, რაც სტუდენტებისთვის განათლების მიღებაში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას გულისხმობს და ერთმნიშვნელოვნად საუკეთესო საშუალებაა ჩამოყალიბდნენ თავიანთი საქმის კარგ მცოდნეებად, გახდნენ პროფესიონალები. შესაძლებლობების ფარგლებში, მათ შეეძლებათ გაიარონ სტაჟირება ჩვენს სისტემაში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ეს შეხვედრა ევროპის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა. სტუდენტებს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის მნიშვნელობაზე ვესაუბრე. მოგეხსენებათ, სულ მალე ჩვენი ქვეყანა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას გააფორმებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. მინდა მკითხველისთვის კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონამდე მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მოწოდებას. სოფლის მეურნეობის სამინისტრო სისტემურ და კომპლექსურ პროექტებს ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისთვის ევროკავშირის შიდა ბაზარზე. დარგში უპრეცედენტო სამუშაოები მიმდინარეობს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე დარგობრივი და სამეცნიერო პროექტების განხორციელების კუთხით.

**- რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტების, სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოებს, რა გაკეთდა და კიდევ რის გაკეთებას აპირებთ?**

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაციისთვის მასშტაბური სამუშაოები განახორციელა. საქართველოს მასშტაბით სარწყავი სისტემების პრაქტიკულად ყველა დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი გაწმენდილია და სარწყავი სეზონის დამთავრებისთანავე დაგეგმილია მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც ბოლო 25 – 30 წელია არ ჩატარებულა. 2013 წელს სარემონტო სამუშაოები დაიგეგმა 306 ობიექტზე, აქედან, 300 ობიექტზე სამუშაოები უკვე დასრულებულია. დღეისათვის, გაწმენდილი და შეკეთებულია სარწყავი სისტემების 1291.5 კილომეტრის მაგისტრალური არხი და პირველი რიგის გამანაწილებელი. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, საქართველოში წყალუზრუნველყოფილი გახდა 74.3 ათასი ჰექტარი სავარგული. გაიწმინდა და მოწესრიგდა საირიგაციო არხები. სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის განხორციელება საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 40-50%-ით, შეიქმნება მოსავლის სტაბილურად მიღების შესაძლებლობა, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამოწვეული უარყოფითი პროცესების გავლენა. საერთო ჯამში, 2014 წელს, წინა წლებთან შედარებით სამჯერ მეტი ფართობი გასარწყავდება - სულ 88 ათასი ჰექტარი. მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, გასარწყავიანებულ ფართობებს, წლების მიხედვით შევადარებ: 2011 წელს, 29 500 ჰექტარი, 2012 წელს 23 996 ჰექტარი, ხოლო 2013 წელს 74 300 ჰექტარი მიწის ფართობი გასარწყავიანდა. კომპანია აქტიურად მუშაობს ახალი წყალსაცავების მოწყობაზე. საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების პროექტის ფარგლებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავს. საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, პარაბოლური ღარები რკინა-ბეტონით მზადდებოდა. ექსპერიმენტის გამართლების შემთხვევაში კომპანია მთლიანად გადავა სარწყავ სისტემებზე ამ ტექნოლოგიით დამზადებული ღარების გამოყენებაზე. ახალი ტექნოლოგიის დანერგვა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, კერძოდ: თუ როგორ გაუძლებს კლიმატურ პირობებს და ტემპერატურის ცვალებადობას, ასევე, გარე ზემოქმედებებს, არხში წყლის გაშვების შემდეგ ადგილი ექნება თუ არა წყლის გაჟონვა-დაკარგვას. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტური მასალისგან დამზადებული ღარები, რომელსაც კომპანია დადებითი შეფასების შემთხვევაში სამომავლოდ სარწყავი სისტემების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად გამოიყენებს, წარმოებულია საქართველოში. იგი უფრო იაფი და მსუბუქია. მინდა აღვნიშნო, რომ 2013 წელს, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას გამოუყო 61 100 000 ლარი. 90-იან წლების შემდეგ, კომპანიამ პირველად შეიძინა 3 მილიონ 6 ათასი ლარის თანამედროვე სპეცმექანიზმები, კომპანია ასევე აღიჭურვა 4 მილიონ 5 ათასი დოლარის ღირებულების ტექნიკით, რომელიც ჩინეთის მთავრობამ საქართველოს გრანტის სახით გადასცა, რამაც კომპანიის სპეცტექნიკის საერთო რაოდენობა 100 ერთეულამდე გაზარდა. 2014 წლისთვის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ვვარაუდობთ, რომ წყალუზრუნველყოფილი ფართობის რაოდენობა 90 ათას ჰექტრამდე გაიზრდება, ხოლო დაშრობილი ფართობების რაოდენობა 35 ათას ჰექტრამდე.





**- გასულ წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სააგენტო შეიქმნა, მისი სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო რა პროგრამებს ახორციელებს?**

- მოგახსენებთ, რომ შარშან შევქმენით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სააგენტო და შემუშავდა კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო დარგი ახალ რელსებზე უნდა გადაიყვანოს. მისი მიზანია - ხელი შეუწყოს მსხვილ ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობებისა და შედეგად ძლიერი გლეხის ჩამოყალიბებას სოფლად, ახალი ტექნოლოგიებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას, მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებასა და ასევე რეალიზაციის გაუმჯობესებას. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ევროკავშირის რეკომენდაციით, მთავრობამ პარლამენტთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისა და წახალისების მიზნით მიიღო კანონი. აგრარული კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფერმერები შეღავათებით სარგებლობენ. სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირების მიზნით სახელმწიფო კვლავ ახორციელებს მხარდამჭერ პროგრამებს. მინდა გითხრათ, რომ პარალელურად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, დაწესებულია საგადასახადო შეღავათები. მიმდინარე წლის მარტიდან აქტიურად დაიწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების პროცესი. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში, ძირითადი მიწათმფლობელები მცირემიწიანი ფერმერები არიან. მნიშვნელოვანია, რომ მათ მოახდინონ საკუთარი რესურსების გაერთიანება. ამჟამინდელი მონაცემებით უკვე 40-მდე კოოპერატივია შექმნილი. მათი ძირითადი საქმიანობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მემარცვლეობა, მეფუთკრეობა, მეთევზეობა, კაკლისა და ჟოლოს ნერგების გამოყვანა, მეცხოველეობა, რძის პროდუქტების წარმოება, მეჩაიეობა, მეთხილეობა, მევენახეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება-რეალიზაციაა.

**„ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს“**








**- საექსპორტო ბაზარზეც მინდა გკითხოთ...**

- მოგეხსენებათ, რომ საექსპორტო ბაზარზე ნაყოფიერად იმუშავა სამინი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობებზე საუბრობს



## „დავიწყებთ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში შეღავათიანი სესხების გაცემას ახალ გადამამუშავებელ საწარმოებზე“

EXCLUSIVE

**„2013 წელს, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას გამოუყო 61 100 000 ლარი“**

სტრომ სურსათის მიმართულებით. მთელ ჩვენს პროდუქციაზე გაიხსნა საექსპორტო ბაზარი და ქართველ მეწარმეებს ჰქონდათ საშუალება, ექსპორტზე გაეტანათ თავიანთი პროდუქცია. ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურად აგრძელებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობას, როგორიცაა ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს ძალისხმევა მიმართულია, როგორც რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით, ასევე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ღვინის კომპანიებთან თანამშრომლობას, რომ მათ გააგრძელონ აქტიური მუშაობა ქართული ღვინის გასაღების ახალი ბაზრების ათვისებისა და სხვა, უკანასკნელ წლებში გახსნილ ბაზრებზე ღვინის ექსპორტის შემდგომი ზრდის მიმართულებით.

აპრილის თვეში მსოფლიოს 21 ქვეყანაში 4 მლნ-მდე (0,75 ლ) ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა. სულ 2014 წლის იანვარ-აპრილის მდგომარეობით, ღვინის ექსპორტმა 26 ქვეყანაში 19 მლნ-მდე ბოთლი შეადგინა, რაც 180%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**– სურსათის ეროვნულ სააგენტოში, ბოლო წელიწად-ნახევარის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, იქნებ ამ თემაზეც ვისაუბროთ?**

– 2013 წლიდან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განსაკუთრებით გააქტიურა სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლი. კერძოდ, ინსპექტირების რაოდენობა წინა სამ წელთან აღებული მთლიანად გაზრდილია 4-ჯერ, ხოლო საჯარიმო სანქციების რაოდენობა გაიზარდა 7-ჯერ. 2013 წლიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქვეყნის შიდა ბაზარზე ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა - შემდგომში ღონისძიებების გატარებით. ქვეყნის მასშტაბით, ვეტერინარული მოწმობა ფორმა N2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციის ფაქტებისა და ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა სურსათის 1 400 სარეალიზაციო ობიექტში. 2013 წელს, მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ გამოვლენილია ვადაგასული და მავნე პროდუქტები, რომელიც მათი ზედამხედველობით განადგურდა - 257 847 კილოგრამი მყარი, ხოლო 2 248 ლიტრი თხევადი სურსათი, 12 975 კილოგრამი ხორცი, ხორცპროდუქტები და ასევე 1 მილიონ ცალზე მეტი სასურსათო კვერცხი. მინდა აღვნიშნო, რომ წინა წლებში მსგავსი მონიტორინგი არ განხორციელებულა. გეგმური ინსპექტირება 2013 წელს, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 673 ბიზნესოპერატორთან განახორციელა. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2011 წელს განხორციელდა 202 გეგმური, ხოლო 16 არაგეგმური ინსპექტირება და 87 გადამოწმება. 2013 წელს კი არაგეგმური ინსექტირება 232 ბიზნესოპერატორთან განხორციელდა. ასევე მინდა ხაზი გავუსვა 2013 წლის ერთ-ერთ პრიორიტეტს, ბაგა-ბაღებს, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ კომპანიებს და სასაკლაოებს, რაც წინა წლებში არ ხორციელდებოდა. მოგეხსენებათ, რომ ცოტა ხნის წინ, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები სურსათის უვნებლობის კოდექსში. ეს არის ის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ჰარმონიზაცია და დაახლოება ევროკავშირის რეგულაციებთან. ამ პროგრამაში გაწერილია 2014-2020 წლებში მისაღები თუ შესაცვლელი იმ ნორმატიული აქტების ნუსხა, რომელიც როგორც სურსათის უვნებლობის ასევე ფიტოსანიტარიისა და მცენარეთა დაცვის კუთხით უნდა იქნეს მიღებული, რათა მოხდეს ჩვენი კანონმდებლობის მაქსიმალური გააქტიურება ევროკავშირის ფარგლებში. სოფლის მეურნეობის ლაბორატორიამ, ცოტა ხნის წინ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია სხვადასხვა ვეტერინარული და ზოო დაავადების კვლევაზე. ევროკავშირის ხელშეწყობით, ახლა ვქმნით ფიტო-სანიტარულ ლაბორატორიას, რაც ძალიან თანამედროვე და მაღალი დონის იქნება. მისი ამოქმედება წლის ბოლოსთვის იგეგმება.

**- რაც შეეხება სამეცნიერო კვლევით ცენტრს, როგორც ვიცი, უკვე შექმნილია, დაიწყო ფუნქციონირება?**

- სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ათწლეულებია არ განხორციელებულა. მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადმოეცა მთელი რიგი აქტივები აგრო „ქართუსგან“, რაც იქნება ბაზა, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის. ცენტრის შექმნამდე დავთესეთ საცდელი ნაკვეთები, როგორც ხორბლის, ასევე ქერის. ახლა გვინდა სიმინდისა და სოიოს საცდელი დათესვა. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნის შემდეგ, დარაიონდება სხვადასხვა კულტურები და შესაბამისად მოხდება სათესლე მასალის სერტიფიცირება, რაც ასევე არ ხორციელდებოდა ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში. თითქმის ყველა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში სახელმწიფო სამეცნიერი-კვლევითი ცენტრები ფუნქციონირებს. როგორც მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილმა ასეთი მნიშვნელობის ობიექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევით ცენტრს გადმოსცა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას, დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, მოსავლიანობის ზრდასა და არსებული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გაანალიზებასა და გადაჭრას, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შეფასების უზრუნველყოფას, საუკეთესო პრაქტიკის, სამეცნიერო გამოცდილების საშუალებით და მათზე დაყრდნობით.

სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის მომხმარებლები იქნებიან რაიონებისა და სოფლის მოსახლეობა, მათ შორის მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები, ფერმერული მეურნეობები, ფერმერული გაერთიანებები და კავშირები, რაიონებში არსებული აგრობიზნესის, მათ შორის გადამამუშავებელ სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, აგრარული პროფილის უმაღლესი და პროფესიული სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა.

**- რაც შეეხება შეღავათიან აგროკრედიტებს?**

- 2013 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, რაც დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. საზოგადოებას უკვე მოეხსენება, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც მორგებულია სოფლის მეურნეობის სფეროს საჭიროებებზე. ეს პროექტი, თავდაპირველად შედგებოდა სამი კომპონენტისგან: 1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის; 2. შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის; 3. შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის. ერთი წლის მანძილზე, ფერმერთა და მეწარმეთა მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, პროექტი დაიხვეწა და დაემატა სხვა კომპონენტები; 4. შეღავათიანი აგროლიზინგი; 5. შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისთვის; 6. შეღავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიებისთვის; 7. შეღავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. საერთო ჯამში, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ყველა კომპონენტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას ემსახურება. 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით, პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში გაცემულია 1 838 478 ლარი 4 309 ბენეფიციარზე. მე-2 კომპონენტში 187 387 335 ლარი 10 464 ბენეფიციარზე, მე-3 კომპონენტში 59 578 478 აშშ დოლარი 507 ბენეფიციარზე, მე-5 კომპონენტში 41 164 644 ლარი 42 ბენეფიციარზე და 4 831 363 აშშ დოლარი 6 ბენეფიციარზე, ხოლო მე-6 კომპონენტში 450,000 ლარი 2 ბენეფიციარზე. 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით გაცემულია 15 330 სესხი, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 344 915 727 ლარს.

ამას გარდა, დავიწყებთ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში შეღავათიანი სესხების გაცემას ახალ გადამამუშავებელ საწარმოებზე. ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი არის ის, რომ საქართველოში, ქართველმა მეწარმეებმა შეძლონ და აწარმოონ კომერციულად მდგრადი, მომგებიანი ეფექტური და კონკურენტური პროდუქცია, როგორც შიდა, ასევე საექსპორტო ბაზრისთვის.



**„ცოტა ხნის წინ, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები სურსათის უვნებლობის კოდექსში. ეს არის ის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ჰარმონიზაცია და დაახლოება ევროკავშირის რეგულაციებთან“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ და საიდან ქონავს ფარული ჩანაწერები?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ახალი ხელისუფლების პირობებში პირველი იყო „ფარესაშვილის სკანდალთან“ დაკავშირებული ფარული მიყურადების კადრები, რომელიც საჯარო სივრცეში განთავსდა. მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, რომ ეს ხმაურიანი ფარული ჩანაწერი პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ დეტალებს შეიცავდა. შინაგან საქმეთა იმდროინდელმა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ამ სკანდალს საკუთარი მოადგილე შესწირა. სწორედ გელა ხვედელიძე ამხილეს უკანონო ჩანაწერების ინტერნეტსივრცეში განთავსებაში. ამ საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში ამჟამადაც მიმდინარეობს.**

მალევე ინტერნეტსივრცეში მოხვდა მუხროვანის ამბოხებასთან დაკავშირებული სპეცოპერაციის „შავი მასალა“, სადაც ვანო მერაბიშვილი გასცემს სკანდალურ ბრძანებას ორ გვამთან დაკავშირებით. ამას მოჰყვა ჰაკიმ ფაშას სახელით „იუთუბიზე“ ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას ცხედრის ფოტომასალა. სულ ბოლო კი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ გასულ კვირას გავრცელებული ფარული მიყურადების კადრებია.

ვინ დგას ბოლო დღეებში გააქტიურებული კომპრომატების ომის უკან? ხელისუფლება ამტკიცებს, რომ „რუსთავი 2“-ით გავრცელებული კადრები თავად ამ ტელეკომპანიისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობლივი შემოქმედებაა, რათა წინასაარჩევნოდ მაქსიმალურად მოახდინონ მმართველი გუნდის დისკრედიტაცია. ღარიბაშვილის გუნდში მიიჩნევენ, რომ „რუსთავი 2“-მა ღია ბრძოლა გამოაცხადა, რის არგუმენტადაც არხის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მიერ დაანონსებული „ჯოჯოხეთი“ მოჰყავთ.

თავად „რუსთავი 2“ კი ფარულ მიყურადებაში ხელისუფლებასა და ტელეკომპანიის დაცვის სამსახურის ყოფილ უფროსს ადანაშაულებს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ამჟამად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განაგრძობს საქმიანობას და სოლიდურ გასამრჯელოსაც იღებს. ამის მიუხედავად, მმართველი გუნდი ფაქტთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ირწმუნება, რომ არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ხელისუფლებას ომი გამოუცხადა და ის ამ ომს წააგებს. იზორიას კითხვები აქვს, რატომ განახორციელა სააკაშვილის დაქვემდებარებაში არსებულმა სპეციალური დაცვის სამსახურმა კერძო ტელეკომპანიის შემოწმება.

„ამის კომპეტენცია ამ სამსახურს არ ჰქონდა, რომ კერძო კომპანია შეემოწმებინა და არც კერძო კომპანიას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, ამ სამსახურისთვის მიემართა. აქედან გამომდინარე, რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული სამსახურის ე.წ. შემოწმება, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და ეს ბატონმა გვარამიამ, რომელიც გვემუქრება და ომს გვიცხადებს, რომელიც იურისპრუდენციაში, როგორც ყოფილი პროკურორის მოადგილე, გარკვეულია, უნდა იცოდეს ამ სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის შესახებ“, – განაცხადა იზორიამ.

მისივე თქმით, 2012 წლის 5 ოქტომბერს, სულ რაღაც, 4 დღეში არჩევნებიდან, მაშინდელმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც მის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაუქვემდებარა შსს-ს სპეციალური კავშირების სააგენტო. „ამ გადაწყვეტილებით, გადავიდა მის ხელში მნიშვნელოვანი ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც არის შესაძლებელი თვალთვალი და მიყურადება“, – განაცხადა იზორიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, რისი თქმა გნებავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი უსმენდა „რუსთავი 2“-ს, იზორიამ განაცხადა, „რასაკვირველია“.

ასეთია მმართველი გუნდის ვერსია, თუმცა არსებობს საპირისპირო ვერსიაც, რომლის თანახმადაც ფარული ჩაწერა ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა და კადრები „რუსთავი 2“-ს ანონიმურმა წყარომ მიაწოდა შსს-დან. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რამდენად დაცულია შესაბამის უწყებებში არსებული ფარული ჩანაწერები, მიუხედავად იმისა, კანონიერად არის მოპოვებული ის თუ არა?

„პრაიმტაიმმა“ არცთუ დიდი ხნის წინ ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა ლევან იზორიასთან, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრი შიდა კონტროლის მექანიზმებზე საუბრობს. იზორიას თქმით, ფარული ჩაწერები ხორციელდება სპეციალური ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრის საიდუმლო ბრძანებით (#0014), თუმცა უახლოეს მომავალში შესაძლოა, ეს ინსტრუქციები გახდეს საჯარო და მოხდეს მისი საკანონმდებლო დონეზე გაწერა.

„ყველა სუბიექტი და უფლებამოსილი პირი, ვინც კანონიერ საფუძველზე შეიძლება ახორციელებდეს უშუალოდ მოსმენას, შესაბამის დაცულ ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ ბიომეტრიული კონტროლის სისტემით, ანუ თითის ანაბეჭდების საშუალებით, რაც აქამდე არ არსებობდა. ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, სადაც დეტალურად იწერება, რა დროს რა მოქმედებები განახორციელა ამ პირმა. ზოგადად, ეს მოსმენა ხორციელდება სპეციალური ინსტრუქციებით, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრის საიდუმლო ბრძანებით.

შემიძლია გითხრათ მხოლოდ ამ ბრძანების ნომერი, ეს არის #0014 ბრძანება. ეს ინსტრუქცია დაახლოებით 150 გვერდია, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროცედურები. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვა და ინიციატივაც, რომლის თანახმადაც, ეს რეგულაციები შესაძლოა, საკანონმდებლო დონეზე იყოს გამყარებული და ინსტრუქციების ნაწილი გახდეს საჯარო“, – განაცხადა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ლევან იზორიამ.

მისივე თქმით, უკანონო ფარულ მოსმენებთან და მიყურადებებთან დაკავშირებით ყველა ქვეყანაში არსებობს კანონი, ზოგან კარგი, ზოგან ნაკლებად კარგი, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ყველგან ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

„დიახ, სწორედ კეთილი ნება უნდა იყოს განმსაზღვრელი კანონის აღსრულებისა. წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა კანონი, რომელიც არასანქცირებულ მიყურადებასა და მოსმენას კრძალავდა, მაგრამ არ არსებობდა კეთილი ნება ამ კანონის აღსრულებისთვის. შედეგად კი მივიღეთ ის ათი ათასობით ფაილი, რომელიც ჩვენ გავანადგურეთ“, – ამბობს იზორია.

ტელეკომოპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ ფარულ ჩანაწერებზე „პრაიმტამმა“ კომენტარი სთხოვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორ თამარ ქალდანსაც. მისი თქმით, აუცილებელია, ობიექტურმა გამოძიებამ დაადგინოს, რეალურად რასთან გვაქვს საქმე.

**თამარ ქალდანი:**

– ჩვენ ამაზე განცხადებაც გავაკეთეთ და სამართალდამცველ ორგანოებს მოვუწოდეთ, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად გამოძიებულიყო ეს საქმე. ახლა უკვე საგამოძიებო ორგანოს მიერ უნდა შეფასდეს დანაშაულის არსი და თვითონ მოვლენის შინაარსი. როგორც თქვენ იცით, ჩვენ კანონმდებლობით ფარულ ჩანაწერებზე ზედამხედველობას ვერ ვახორციელებთ. ინსპექტორი პასუხისმგებელია, წელიწადში ერთხელ ანგარიშით შეაფასოს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა. ჩვენ ასეთი ანგარიში მარტში გამოვაქვეყნეთ. ამ ანგარიშში მოხვდა სწორედ ფარული მიყურადების თემაც. ანგარიშში აისახა ის წინგადადგმული ნაბიჯები, რომელიც შიდა კონტროლის თვალსაზრისით გადაიდგა. ასევე, ანგარიში მოიცავს რეკომენდაციებს, იმასთან დაკავშირებით, რა არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით.

„პრაიმტაიმმა“ გასულ კვირას გამოითხოვა სტატისტიკურ მონაცემები ფარულ სატელეფონო მოსმენებსა და თვალთვალთან დაკავშირებით. ჩვენ დავინტერესდით, რამდენად ხშირად მიმართავენ საგამოძიებო ორგანოები სასამართლოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე ნებართვის აღების მიზნით. უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფარულ მოსმენებსა და მიყურადებაზე 2012 წელს განხილულია 11 ათას 580 შუამდგომლობა, მათ შორის დაკმაყოფილდა 11 ათას 551. 2013 წელს განხილულია 3 ათას 699 შუამდგომლობა, დაკმაყოფილდა – 3419. 2014 წლის სამ თვეში კი განხილულია 886 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 801. ეს მონაცემები მოიცავს როგორც ფარულ სატელეფონო მოსმენებს, ისე ვიდეო-აუდიომიყურადებას.

## ურთიერთბრალდებები და შიდა კონტროლის მექანიზმები





**პიროვნება შესაბამის დაცულ ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ ბიომეტრიული კონტროლის სისტემით, ანუ თითის ანაბეჭდების საშუალებით... ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, სადაც დეტალურად იწერება, რა დროს რა მოქმედებები განახორციელა ამ პირმა**








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „საერთოდ არ მაინტერესებს, ნარმანია რას გამორიცხავს და რას ჩარეცხავს“



## my View

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**NDI-ს კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 38%-ს დედაქალაქის მერობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტად დავით ნარმანია მოსწონს, 26%-ს – გია გაჩეჩილაძე. „ნიუსის“ გავრცელების შემდეგ ყველას ერთადერთი კითხვა გაუჩნდა – რომელი გია გაჩეჩილაძე? ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ადასტურებს, რომ ისინი გამოკითხვაში ნამდვილად „მწვანეების“ ლიდერს გულისხმობდნენ. ამაში ეჭვი არც არავის შეჰპარვია, მაგრამ რამდენად სწორად გაიგეს კითხვა გამოკითხულებმა, ეს არავინ იცის. როგორც NDI-ს წარმომადგენლები აცხადებენ, გამოკითხულებთან კითხვის დასმისას დაზუსტება ხდებოდა, ანუ ეუბნებოდნენ, რომ გია გაჩეჩილაძეში იგულისხმებოდა დეპუტატი გაჩეჩილაძე და არა მომღერალი „უცნობი“. თუმცა დასკვნა მაინც ერთი დაიდო – „მწვანეების“ ლიდერმა მოწონება „უცნობის“ ხარჯზე დააგროვა.**

ბუნებრივია, ამის გაგება „მწვანეების“ ლიდერს არ სურს. კითხვის დასრულების უფლებასაც კი არ აძლევს არავის, არათუ ეჭვის გამოთქმისა. დარწმუნებულია, რომ ერთ თვეში ნარმანიას 38%-საც გაუსწრებს და ყველაზე ცუდ ვარიანტად მეორე ტურს განიხილავს. თუმცა იქვე ამატებს, რომ დიდი შანსი აქვს, პირველივე ტურის გამარჯვებულად დასახელდეს.

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი კოალიციას იმ მიზნით გაემიჯნა, რომ თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებლად მიეღო მონაწილეობა. მისი რეიტინგი ციფრებში ზუსტად ასე გამოიყურება: „მწვანეთა პარტიის“ მერობის კანდიდატი გამოკითხულთა 26%-ს მოსწონს. არ მომწონს 30%-ს. პოზიცია არ აქვს ჩამოყალიბებული გამოკითხულთა – 23%-ს, არ სმენია – 16%-ს, 6%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

აქ მთავარი მისი მეორე ადგილია, სწორედ მას მოჰყვებიან რიგითობით კახა კუკავა და ნაციონალების ნიკა მელია. ჩვენ გია გაჩეჩილაძის მეორე ადგილი გვიკვირს, თავად გია გაჩეჩილაძეს კი ჩვენი კითხვები აკვირვებს, ამბობს, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და არ სურს, გაიგოს სიმართლე. სიმართლე კი ის არის, რომ სოციოლოგიაში მოწონების რეიტინგი ავტომატურად არ უდრის პოლიტიკურ რეიტინგს. მაშინ როდესაც „მწვანეების“ ლიდერი წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას, დიდი შანსია, მხარდაჭერის 1%-იც კი ვერ მიიღოს.

**დიმიტრი შაშკინი:**

– კვლევის წაკითხვასაც სჭირდება ცოდნა. ამაზე მუშაობს სოციოლოგია და ეს არის ჩვეულებრივი მეცნიერება, როგორც ფიზიკა, მათემატიკა და ასე შემდეგ. მინდა გითხრათ, რომ მოწონების რეიტინგი არანაირ კორელაციაში არ არის არჩევნების შედეგებთან. ეს არის ადამიანის განწყობის მაჩვენებელი ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. მარტივად რომ ავხსნათ, მაგალითად, როდესაც მამაკაცი 20 დასახელებული სახეობის ლუდიდან ყიდულობს ერთ სახეობას, გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანს არ მოსწონს დანარჩენი 19 სახეობა. ძალიან ხშირად ხდება ისეც, რომ რესპონდენტი წარდგენილ პოლიტიკურ სიას მაღალ შეფასებებს უწერს, რომ მათ არ აწყენინოს.

**– რამდენად შესაძლებელია, მომხდარიყო ერთი და იგივე გვარის არევა, ამ შემთხვევაში „მწვანეების“ ლიდერ გია გაჩეჩილაძესა და „უცნობს“, იგივე გია გაჩეჩილაძეს ვგულისხმობ?**

– მსგავსი რამ ძალიან ხშირად ხდება. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაზე კარგი რეიტინგული მაჩვენებელი არის არჩევნები. არჩევნებზე რეალურად დავინახავთ, ვის რა რეიტინგი აქვს. პოლიტიკოსების მხრიდან რეიტინგების მიმართ დამოკიდებულება ხშირად ნათელს ხდის, რომ მათ კარგად არ ესმით კვლევის დანიშნულება, ბევრმა სწორად წაკითხვაც არ იცის. კვლევების არსი იმაშია, რომ პოლიტიკოსს დაეხმაროს, სწორად დაგეგმოს თავისი საარჩევნო კამპანია.

**– მაგალითად, გია გაჩეჩილაძე არჩევნებზე ელოდება იმ შედეგს, რომელიც ამ შემთხვევაში NDI-მ დადო და იმის იმედიც აქვს, რომ ეს რეიტინგი არჩევნებამდე კიდევ ბევრით გაიზრდება...**

– სწორედ ამიტომ საზღვარგარეთ არის სპეციალური სამსახური, შტატში არის სოციოლოგი, რომელიც პოლიტიკოსებს ეხმარება კვლევების წაკითხვაში. ბუნებრივია, პოლიტიკოსმა ყველაფერი არ იცის, ეს შეუძლებელია. კვლევებს, ბუნებრივია, პროფესიონალური წაკითხვა სჭირდება.

**– მაგალითისთვის, გია გაჩეჩილაძის 26% რომ ავიღოთ, არჩევნებზე ამ მაჩვენებელმა რამდენი პროცენტი შეიძლება მოუტანოს პოლიტიკოსს?**

– სიმპათია-ანტიპათიის რეიტინგი არანაირად არ ერითმება პოლიტიკურ რეიტინგს. საერთოდ არ არის კავშირში არჩევნებთან. როდესაც „გელაპი“ ან „როზველტი“ აკეთებდა კვლევებს, ამ კვლევებში დავით უსუფაშვილს ყოველთვის ჰქონდა სიმპათიის მაღალი მაჩვენებელი, ანუ ხალხს მოსწონდა, მაგრამ ის არჩევნებზე შედეგს ვერასოდეს დებდა. პოლიტიკურ რეიტინგს განსაზღვრავს ერთადერთი კითხვა: ხვალ რომ არჩევნები იყოს, ჩამოთვლილი კანდიდატებიდან რომელს მისცემდით ხმას?

მთელი ეს მსჯელობა და ლოგიკა აბსოლუტურად მიუღებელია გია გაჩეჩილაძისთვის. მისთვის მოწონების 26% ავტომატურად პოლიტიკურ 26%-ს უდრის. შესაბამისად, იგივეს ელოდება არჩევნების შედეგად და განსხვავებული მოსაზრების გაგებაზე ღიზიანდება. საკუთარ დამსახურებას წლების მიხედვით ალაგებს და ამ ყველაფერს ერთ-ერთ მთავარ დაპირებას აყოლებს.

26%-იანი მერობის კანდიდატის მთავარი დაპირება ქალაქის უფასოდ გამწვანებაა. დაახლოებით იგივე პროექტია, რაც ნარმანიას მილიონი ხე, ოღონდ ფინანსური დანახარჯის გარეშე. მეტიც, „მწვანეების“ ლიდერის გათვლებით პროექტი ბიუჯეტში შემოსავალსაც კი გაზრდის. გეგმის მიხედვით, თბილისში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანება 15 კვადრატულ მეტრს მიაღწევს და ის პირდაპირ არის დაკავშირებული საქორწინო ცერემონიალთან. გია გაჩეჩილაძის გამარჯვების შემთხვევაში ყველა წყვილს, რომელიც ჯვარს ეკლესიაში დაიწერს, სადღესასწაულო სუფრამდე მინიმუმ ერთი ხის დარგვის ვალდებულება დაეკისრება. გაჩეჩილაძე პირობას დებს, რომ გამწვანების სამსახური ქალაქში სპეციალურ ადგილს გამოყოფს, სადაც ახლად შეუღლებულებს ამოთხრილი ორმო, ნიჩაბი და გასაყიდი ნერგი დახვდებათ. ნერგის მიახლოებითი ფასი 10-დან 15 ლარის ფარგლებში იქნება, ანუ ჯიშების მიხედვით დახარისხებული. „მწვანეების“ ლიდერმა საკუთარ პროექტში ისიც კი გაწერა, მოყვრებიდან ვინ აიღებს საკუთარ თავზე ნერგის შეძენის ვალდებულებას – რა თქმა უნდა, ბიჭის მეჯვარე... ეს არ არის გია გაჩეჩილაძის ერთადერთი ორიგინალური დაპირება თბილისელებისთვის.

**გია გაჩეჩილაძე, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი:**

– იმიტომ არ გაგვიკვირდა ჩვენი რეიტინგები, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია, ანალიზს ვაკეთებთ პოლიტიკური ორგანიზაციების შესაძლო გადანაწილებაზე პოლიტიკურ სპექტრში. ამას ჩვენ არ ვაკეთებთ გამოკითხვების საშუალებით, როგორც ყველა.

**– რა მეთოდებს იყენებთ?**

– ეს ჩვენი ტექნოლოგიური საიდუმლოა. ამის მიხედვით ვადგენთ, ვის მიმართ არის დიდი ინტერესი საზოგადოების მხრიდან.

**– და ამ დიდ ინტერესს თქვენ მიმართ რით ხსნით?**

– ვფიქრობ, ინტერესს ვიმსახურებთ პროფესიონალიზმითა და კონკრეტული საქმეებით, რომლებსაც ჩვენი პარტია ყოველთვის აკეთებდა და რომელიც მიმართული იყო საზოგადოების ინტერესების დაცვისკენ.

**– კონკრეტულ საქმეებში რას გულისხმობთ, შეგიძლიათ დაგვისახელოთ? თქვენ აქტიური გახდით მას შემდეგ, რაც კოალიციაში გაწევრიანდით...**

– შეგახსენებთ, ეს იყო 2009 წელს კრიმინალურ დაჯგუფებაზე – საკაშვილი-მერაბიშვილი-კირკიტაძე. ეს იყო საერთაშორისო მონაცემები, რომელიც ჩვენ მოგვაწოდეს და რომლის მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ ნაციონალებმა საქართველო გადააქციეს ჰეროინის ტრასად. ავიღოთ 2008 წელი – მაშინ ჩვენ პარლამენტი ვაიძულეთ, გენმოდიფიცირებული პროდუქტების აკრძალვის, „კარტახენას ოქმი“ მიეღო. ამაზე ბრძოლა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. მორიგი მაგალითი – საქართველოში ატომური სადგურების მშენებლობის შესახებ. სააკაშვილმა საფრანგეთში ჩუმად მოაწერა ხელი საქართველოში ატომური სადგურების მშენებლობის შესახებ დოკუმენტს. დაახლოებით ჩერნობილის სიდიდის სადგურებზე იყო საუბარი. ესეც ჩვენ გამოვიტანეთ სააშკარაოზე და ჩავუგდეთ ნაციონალებს. დაახლოებით 4-მილიარდიან პროექტზე იყო საუბარი. სწორედ ამიტომ 2007 წელს ჩვენ ზურაბ ჟვანიას მიერ დაარსებული ოფისიდან გამოგვაგდეს. ამერიკული სიმინდის საკითხი გახსოვთ? ჩვენ ამ საკითხის გატანით გადავარჩინეთ გლეხობის უდიდესი ნაწილი...

**– ბატონო გია, არის ვერსია რომ თქვენი რეიტინგი იმის დამსახურებაა, რომ...**

– არ დამისვათ ეს კითხვა, თორემ შევწყვეტ თქვენთან საუბარს... ვიცი, რასაც გულისხმობთ და რის თქმასაც აპირებთ, ისიც ვიცი, საიდან მოდის ეს კითხვა.

**– საიდან მოდის?**

– საიდან მოდის და ნაციონალებიდან. იმიტომ მოდის, რომ ჩვენი დისკრედიტაცია მოახდინონ და ჩვენი რეიტინგი გააბაიბურონ. ნაციონალებს „მწვანეთა პარტიაზე“ დიდი მტერი არ ჰყოლიათ, ვერ დამისახელებთ მათთან „მწვანეთა პარტიაზე“ მეტად დაპირისპირებულ ძალას.

**– თუმცა ნარმანია აცხადებს, რომ მეორე ტური არ იქნება...**

– საერთოდ არ მაინტერესებს, ნარმანია რას გამორიცხავს და რას ჩარეცხავს. მე ვიცი, რომ რეიტინგების მიხედვით მეორე ადგილზე სწორედ „მწვანეთა პარტიაა“ და იქნება მეორე ტური.

**– იგივე NDI-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მოწონების ეს ციფრი არ ნიშნავს არჩევნებზე იგივე რაოდენობის მხარდამჭერს...**

– ეს ჩემი მოწონების რეიტინგია, სხვისი ხომ არა? ეს მინიმუმ იმას ნიშნავს, რომ რიგითობა მაინც არის სწორი. ანუ მეორე ვარ მე. გარდა ამისა, არჩევნებამდე კიდევ ერთი თვეა და ჩვენ გეგმაში გვაქვს, რომ ნარმანიას რეიტინგს გავუსწროთ და მეორე ტური საერთოდ აღარ გახდეს საჭირო.

**– ფიქრობთ, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვებთ?**

– რატომაც არა? სხვაობა ჩემსა და ნარმანიას შორის რეიტინგებითაც ჩანს, რომ ძალიან მცირეა, გარდა ამისა, ჩვენი რეიტინგი ძალიან მზარდია და ვიცით, კიდევ როგორ გავზარდოთ ისე, რომ ერთ თვეში რადიკალურად განსხვავებული იყოს. ჩვენ პროფესიონალები ვართ და ძალიან კარგად ვიცით მათემატიკური ანგარიშიც.

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, ერთ თვეში მაქსიმუმ რამდენი პროცენტით შეიძლება გაზარდოთ რეიტინგი?**

– არა, ამას ვერ ვეტყვით.







## დიმიტრი შაშკინი: „პოლიტიკოსების მხრიდან რეიტინგების მიმართ დამოკიდებულება ხშირად ნათელს ხდის, რომ ბევრმა კვლევის სწორად წაკითხვაც არ იცის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ოქროს ფრთის“ რიგით მე-12 დაჯილდ





















## my View



**თამარ გონგაძე**

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ რიგით მეთორმეტე დაჯილდოების ცერემონიალი 6 მაისს შედგა. წელიწადში ერთხელ ტრადიციად ქცეული ერთადერთი მედიადაჯილდოების დღე გაზაფხულობით ახარებს ჟურნალისტებს. ეს დღე ამჯერად გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა. ფონდის შექმნის იდეას კი 12 წლის წინ ჟურნალისტ ეთერ ჯიშკარიანამდე მივყავართ. მას შემდეგ ეს საპატიო ჯილდო მედიის წარმომადგენლებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს დიდ სიხარულს ანიჭებს. ამჯერად ცამეტმა ნომინანტმა დაიმშვენა მკერდი „ოქროს ფრთით“. ფონდის პრეზიდენტი თამარ ფხაკაძე, ჟიურის წევრებთან ერთად, წლიდან წლამდე აჯამებს მედიის წარმომადგენელთა მუშაობას და ამ საპატიო ჯილდოთი აჯილდოებს. ჟიურის თავმჯდომარე წელს გახლდათ ზაზა შენგელია - „ოქროს ფრთის“ 2008 წლის ლაურეატი, პირველი სატელევიზიო ფესტივალის „მანას“ დამაარსებელი, მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რეკორდსის“ პრეზიდენტი, 2000 წლიდან დღემდე ტელეაკადემიის აკადემიკოსი. ჟიურის შემადგენლობა კი ასე გამოიყურებოდა: ნუგზარ რუხაძე („ოქროს ფრთის“ 2005 წლის ლაურეატი), ეთერ ჯიშკარიანი, თამარ ცაგარეიშვილი („ოქროს ფრთის“ 2003 წლის ლაურეატი), ეთერ თათარაიძე („ოქროს ფრთის“ 2013 წლის ლაურეატი), ქეთი მატაბელი, ნიკუშა შენგელაია, თეონა დოლენჯაშვილი, გიორგი კალანდია („ოქროს ფრთის“ 2009 წლის ლაურეატი), ნეკა სებისკვერაძე და „ოქროს ფრთის“ პრეზიდენტი თამარ ფხაკაძე.**

წლევანდელი ლაურეატების გამოსავლენად ჟიურიმ ბევრი იმსჯელა. ეს ცამეტი ადამიანი საკუთარი საქმის უდავო პროფესიონალია, რომლებიც კადრში, კადრს მიღმა და პრესის ფურცლებზე ქმნიან პროდუქტს. მათ წელს ჟიურის გადაწყვეტილებით მედიის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს.

მაშ ასე, წელს ოქროს ფრთოსნები გახდნენ: 1. მარიკა დარჩია - ჟურნალისტი, რომელიც 80-იანი წლებიდან აქტიურ ჟურნალისტიკაშია, არის სხვადასხვა ტელე და რადიო გადაცემების ავტორი და წამყვანი. უამრავი მედიაპროექტის ხელმძღვანელი, ჟურნალის გამომცემელი და დღემდე საკუთარი საავტორო გადაცემის წამყვანი. ყოველივე ეს სანდოობის მაღალი ხარისხით, საზოგადოების ნდობითა და სიყვარულით. 2. ბაია გადაბაძე - განახლებული „მაესტროს“ გენერალური დირექტორი. მედიასფეროში უკვე მოასწრო სახელის დამკვიდრება, როგორც ობიექტურმა ჟურნალისტმა. ის არაერთი ცნობილი, ხმაურიანი და მაღალრეიტინგული სატელევიზიო პროექტის პროდიუსერი და ჟურნალისტი ყოფილა. 3. ვახტანგ კახიძე - „ოქროს ფრთის“ წლევანდელი საპატიო ლაურეატი. შარშან სპეციალური ჯილდოს მფლობელი გახდა კახი კავსაძე. ჟიურის გადაწყვეტილებით „ოქროს ფრთა“ ვატო კახიძეს გადაეცა სამშობლოსა და ერის წინაშე, ქართული სულიერების გადარჩენაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის. 4. ნინო შუბლაძე - ჟურნალისტი, რომელსაც ჟიურიმ „ოქროს ფრთა“ სწორედ მისი ჟურნალისტური კარიერისთვის მიანიჭა, რომელიც ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან, „პირველ არხზე“ იწყება. 5. ქეთი ქარდავა - ერთ-ერთი ყველაზე ოპერატიული, ყველაზე კომპეტენტური ქართველი ჟურნალისტი საგარეო პოლიტიკაში. კიევის მაიდანიდან გაკეთებული რეპორტაჟებითა და ჩართვებით, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არის პროფესიონალი ჟურნალისტი, რის გამოც ის ჟიურის რჩეული გახდა. 6. დავით კოვზირიძე - ახალი ტელესახე საკმაოდ დიდი ჟურნალისტური გამოცდილებით. სანამ საზოგადოება ტელეეკრანზე ნახავდა, მკითხველი მას ბეჭდური მედიიდან იცნობდა. გაზეთები - „არგუმენტი“, „სარბიელი“, „ოლიმპი“, ჟურნალები - „ფეხბურთი“, „ანაბეჭდი“, „ათიანი“ და „ტაბულა“ - მისი სტატიები სწორედ ამ გამოცემების ფურცლებზე იბეჭდებოდა. 2010 წელს კი მისი რომანი „გელუჩა“ გამოიცა. უკვე მეორე წელია საავტორო გადაცემა მიჰყავს, „მძიმე კაცთან“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და განსხვავებული გადაცემაა ქართულ ტელესივრცეში. 7. ვასიკო ოდიშვილი - ადამიანი, რომელმაც პოლიტიკური სატირით მაღალრეიტინგული შოუ გააკეთა. 8. ნიკოლოზ რაჭველი - ბოლო პერიოდში რამდენიმე სატელევიზიო პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელი და ჟიურის წევრი გახლდათ. მათ შორისაა „ჯეოსტარი“, „ნიჭიერი“ და „საქართველოს ვარსკვლავი“, რომლებმაც იმ პერიოდში ყველა სატელევიზიო რეიტინგი მოხსნეს. ნიკოლოზს ეკუთვნის „მაესტროსა“ და „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებების ქუდებისა და ტიხრების მუსიკა. 9. „ღამის შოუს სტუდია“ - სტუდია 2007 წელს შეიქმნა და დღემდე მის სახელს თითქმის ყველა რეიტინგული შოუ და სერიალი უკავშირდება. 2014 წლიდან კი მას საკუთარი არხი - „TV 11“ აქვს და მიუხედავად იმისა, რომ ეს არხი სულ ცოტა ხნის წინ შეიქმნა, მისი პოპულარობა უკვე სახეზეა. 10. კახა თოლორდავა - „უცნობი მუსიკის“ თანაავტორი და წამყვანი, თავისუფალი ჟურნალისტი, მთარგმნელი. 2010 წლიდან კი „პირველ არხზე“ გიორგი ხადურთან ერთად იმ სატელეზიო პროექტს აკეთებს, რისთვისაც ის ჟიურის რჩეული გახდა. 11. გოგა ჩანადირი - 14 წელი თავისუფალი ფოტორეპორტიორი, რომლის ფოტოები მსოფლიოს უამრავ ქალაქში გამოფენილა. მისი ფოტოებით ილუსტრირებულია სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოები და სასკოლო სახელმძღვანელოები. 12. გვანცა კილასო-























© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოების ცერემონიალი 13 ლაურეატით

















ნია - რადიო „ფორტუნას“ წამყვანობიდან „პროფილის“ პროდიუსერობამდე მივიდა, ჯილდო კი გადაეცა, როგორც „ერთი ერთში“ მუსიკალურ პროდიუსერს. 13. ლევან ჯავახიშვილი - საინფორმაციო გამოშვების უცვლელი და ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახე.

**მარიკა დარჩია:** - ძალიან გახარებული ვარ. მართლა ფრთები მაჩუქეს. მსგავსი ჯილდო არასდროს მიმიღია. საინტერესო და მრავალფეროვანი ჟიური იყო. როდესაც არჩევანს ასეთი ჟიური აკეთებს, უნდა გასწორდე და იფიქრო, კიდევ რამდენი რამ უნდა გააკეთო მომავალში.

**ნინო შუბლაძე:** - დიდი მადლობა ჟიურის, ორგანიზატორებს. ჟურნალისტებს მადლობას იშვიათად გვეუბნებიან ხოლმე. სასიამოვნოა ვიღაც ამ შრომას რომ დააფასებს. ეს ჯილდო ჩემ ყველა კოლეგას ეკუთვნის. ხანდახან კრიტიკის ქარცეცხლში ვეხვევით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პროფესიონალები ვართ.

**ნიკოლოზ რაჭველი:** - ჩემი ცხოვრება და მედია ერთმანეთთან ძალიან დაკავშირებულია. ძალიან ვგულშემატკივრობ მედიის წარმომადგენლებს. პროფესიითაც ვალდებული ვარ მედიასთან კონტაქტის და ადამიანურადაც. მათი დახმარების გარეშე არ მექნება საშუალება ველაპარაკო ხალხს.

**დათო კოვზირიძე:** - სასიამოვნოა ადამიანებს რომ მოსწონთ და აფასებენ იმას, რასაც აკეთებ. სტიმულია. ჯილდო მოულოდნელია, რადგან ტელევიზიაში ახალბედა ვარ.

**კახა თოლორდავა:** - სამი წლის განმავლობაში მესმის ფრაზა - შენ გადაცემას დაბალი რეიტინგი აქვს. მაგრამ იმდენად შეკრული და ერთგული მაყურებელი გაუჩნდა, მხოლოდ მათ გამო ღირდა ყულფში თავის გაყოფა. ეს ჯილდო პატივია, მადლობა.

**ვახტანგ კახიძე:** - დიდი მოულოდნელობა იყო და დიდი დაფასებაა. მადლობა ფონდს, ჟიურის. ვულოცავ ყველა ლაურეატს. ვაგრძელებთ შრომას.

**ბაია გადაბაძე:** - მადლობა ყველას და მადლობა ისეთ ადამიანს, რომელსაც ჟურნალისტიკაში განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი, გაგიკვირდებათ და გოჩა ცქიტიშვილს, ვინც ჩემ შრომას ასე აფასებს.

**ლევან ჯავახიშვილი:** - მადლობა ყველას, ვინც ხელი შემიწყო კარიერაში - მათ შორის ზაზა შენგელიას, გიორგი თარგამაძეს, ზვიად ქორიძეს.

**გვანცა კილასონია:** - ძალიან მღელვარე მომენტია, მადლობა „ოქროს ფრთას“ იმისთვის, რომ მე ცხოვრებაში პირველად მივიღე ჯილდო.

**დათო გოგიჩაიშვილი:** - 12 წლის „ოქროს ფრთამ“ დააჯილდოვა ორ თვე-ნახევრის „ტვ 11“-ი. მადლობა ჯილდოსთვის. „ოქროს ფრთა“ ყველაზე მეტად მოუხდება ადამიანს, რომელსაც ოქროს ხელები აქვს, ეს დავით ლაბაძეა.

**ვასიკო ოდიშვილი:** - ჩემთვის არასოდეს არავის არაფერი გადმოუცია. მადლობა ამ დაფასებისთვის. მწყინს ის, რომ მსახიობი ვარ და მინდოდა, როგორც მსახიობი მეტად დაფასებული ვყოფილიყავი. მაგრამ ჯილდო გადმომეცა როგორც მედიის წარმომადგენელს. ვიიიშ.

**ქეთი ქარდავა:** - ნუგზარ რუხაძემ ისეთი შესავალი გაუკეთა ჩემ წარდგენას - საგარეო პოლიტიკაში შეტანილი წვლილისთვისო, რომ თავი უხერხულად ვიგრძენი. ძირითადად ბრიუსელში ვმუშაობ. მიხარია, რომ დამაფასა მაყურებელმა, ჟიურიმ. ჯილდოს გასამართლებლად ეს დამატებითი მოტივაციაა ჩემთვის. ჟურნალისტები არ ვართ ჯილდოებით განებივრებულნი და მნიშვნელოვანი ჯილდოა.

ლაურეატებს წარმდგენები ჰყავდა, რომელთა შორის ჟიურის წევრებიც იყვნენ. დაჯილდოების ცერემონიალი, წელს უკვე მეორედ, დიდუბის საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ შედგა. ღონისძ-



იებას ბევრი ცნობილი სახე ესწრებოდა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, სპორტსმენები, ექსპერტები... საღამოს სტუმართა რანგიდან და ორგანიზებიდან გამომდინარე სოლიდური ელფერი დაჰკრავდა. მისი დახვეწილობა და სოლიდურობა ასევე გამოწვეულია წლების განმავლობაში შეძენილი მეგობრისა და პარტნიორის დახმარებით. წელსაც „ოქროს ფრთის“ ტრადიციული წარმდგენია კომპანია „ჯეოსელი“, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია თავისი კრეატიულობითა და საუკეთესო სერვისით საქართველოში. „ოქროს ფრთის“ მხარდამჭერი და გენერალური სპონსორი წელს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი გახდა. დღევანდელ ღონისძიებას გენერალურ სპონსორობას უწევს ასევე - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, „თბილისი 2015“ საორგანიზაციო კომიტეტი ბატონ ალექსანდრე ახვლედიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც „ოქროს ფრთის“ ყველა ნომინანტისთვის სიმბოლური საჩუქრები მოამზადა, ხოლო საკუთარ რჩეულს - გვანცა კილასონიას ბროლის თასი გადასცა. „ოქროს ფრთის“ ოქროს სპონსორი იყო კომპანია „არ-ემ-ჯი გოლდი“, რომლის ისტორიაც ათეულ წლებს ითვლის. ტრადიციულად, ღონისძიების მხარდამჭერია, კომპანია „ბორჯომი“, რომელსაც წარდგენაც არ სჭირდება. წელს ჩვენი სპონსორების და მეგობრების რიგებს შემოუერთდა სამშენებლო კომპანია „მონოლით ჯგუფი“ პროექტით - „ნუცუბიძის ტყუპები“. „მონოლით ჯგუფი“ ერთადერთი კომპანიაა, რომელიც მშენებლობისას ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებს იყენებს, რაც შენობის ენერგოდანაკარგებს 50%-ით ამცირებს. ჩვენი სპონსორი გახდა ასევე საკონდიტრო „ნარცისი“, ახალი პროდუქტი ქართულ ბაზარზე და „ოქროს ფრთის“ ახალი მეგობარი.

ჯეოსელი
Monoliths group
RMG
Rich Metals Group
ბორჯომი
ნარცისი







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერის მიზნით 11 საგრანტო პროექტი დააფინანსა

**„სიცოცხლის ხე“ - ასე ჰქვია „საქართველოს ბანკის“ ახალ სოციალურ პროექტს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“, რომელიც 2008 წელს დაარსდა, პირველი საგრანტო კონკურსი მიმდინარე წლის თებერვალში გამოაცხადა.141 განაცხადიდან, შესაბამისი მიმართულების ექსპერტებით დაკომპლექტებულმა დამოუკიდებელმა ჟიურიმ 11 პროექტი შეარჩია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი 11-ვე პროექტის განხორციელებისთვის, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“, 250 ათასი ლარი გამოყო. როგორც სოციალური პროექტის „სიცოცხლის ხის“ ხელმძღვანელი, თორნიკე გურული ამბობს, ყველა პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, საგანმანათლებლო აქტივობაზე და ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისკენაა მიმართული.**



**თორნიკე გურული:** - „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ პირველ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტებია: დედა ენისა და მათემატიკის განმავითარებელი კრებულის გამოცემა, სენსორული სათამაშოებისა და სახელმძღვანელოს შექმნა, ასევე სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის ჟესტური ენის ლექსიკონის შექმნა; მძიმე აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური სასწავლო კლასის მოდელის შექმნა. ამ პროექტის ფარგლებში სოფელ გრემში არსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ჩატარდება. ასევე, ანიმაციური ფილმების გახმოვანება უსინათლო ბავშვებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების გადამზადება ინკლუზიური ტურიზმის მიმართულებით მათი მომავალი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. გამარჯვებულ პროექტებს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ „სიცოცხლის ხის“ სტატუსს მიანიჭებს. „სიცოცხლის ხე“ არის სიმბოლო ზრუნვისა და კეთილი საქმის კეთებისა. ხსენებული გამარჯვებული პროექტების განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“.

**- უკვე დაწყებულია ამ პროექტების განხორციელება?**

- დიახ, ამ პროექტების განხორციელება უკვე დაიწყო. „სიცოცხლის ხე“ ძირითადად ორი მიმართულებით იმუშავებს. ერთი მიმართულება, როგორც უკვე მოგახსენეთ, საგრანტო კონკურსებია, ხოლო მეორე მიმართულება, შშმ პირთა მხარდაჭერის და მათი ნიჭის განვითარების მიზნით, ღია კარის პრინციპით დაფინანსება გახლავთ. ამის, პირველი მაგალითი უკვე გვაქვს, ეს არის მაკა ნათელაური, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონაა. მას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, რამის გაკეთება და ვერ მეტყველებს. თავზე დამაგრებული ჯოხით, წერს მოთხრობებს. სწორედ მისი დაწერილი მოთხრობები გამოვეცით წიგნად. ეს წიგნი, „საქართველოს ბანკის“ ყველა ფილიალშია და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც 5 ლარის შემოწირულობას გაიღებს, ამ წიგნს მიიღებს საჩუქრად. ეს თანხა მოხმარდება მაკას და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ნიჭიერ ადამიანებს.

**- საგრანტო კონკურსში, პროექტის შემოტანა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია?**

- საგრანტო კონკურსში პროექტის შემოტანა შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ.

**- შემდეგი საგრანტო კონკურსი როდის გამოცხადდება?**

- საგრანტო კონკურსს მაისის თვეშიც გამოვაცხადებთ. ეს არის დასტური, იმისა, რომ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები, არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გარემო. „სიცოცხლის ხე“ კი არის სწორედ იქ, სადაც ადამიანებს ზრუნვა სჭირდებათ. ყველა პროექტი, რომელსაც „სიცოცხლის ხე“ ახორციელებს, არის მდგრადი.

**- რას ნიშნავს მდგრადი პროექტი?**

- ეს ნიშნავს იმას, რომ პროექტი, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში, კონკრეტული პრობლემის გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს და არ უნდა იყოს გათვლილი რამდენიმე ადამიანზე მხოლოდ. ასევე, პროექტი არ უნდა იყოს მოკლე ვადიანი. თუ მოკლე ვადაში მთავრდება, რაღაც განგრძობითი შედეგი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის გაკეთებული ადაპტირებული საქანელა პარკში, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში გაკეთდება, სულ იქნება. ასევე დედა ენისა და მათემატიკის სახელმძღვანელო და ა.შ.

**- დაფინანსებული პროექტები, რამდენ ხანში სრულდება?**

- ექვსი თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ხნის განმავლობაში ვახორციელებთ მონიტორინგს. „სიცოცხლის ხე“- ეს არის პლატფორმა. ორგანიზაციებს, რომლებსაც უნდათ კეთილი საქმე აკეთონ, შემოგვიერთდნენ.

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ მიზანია, მხარდაჭერა გაუწიოს საქართველოს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და ხელი შეუწყოს ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნას. ფონდის პრიორიტეტები ყალიბდება საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე „საქართველოს ბანკმა“ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდში“ წელს 2 მილიონ 150.000 ლარი გადარიცხა, საიდანაც 1 მილიონი ლარი სწორედ შშმ ბავშვებს მოხმარდება. Ⓐ

# Flabour - ქართველი დიზაინერების მაღაზია, კაფე და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეში







**შარდენის 1 ნომერში ორი დღის წინ ახალი მაღაზია Flabour გაიხსნა. ეს ნაცნობი სახელწოდება ახალი სულაც არ იქნება იმათთვის, ვინც ქართველი დიზაინერების ნამუშევრების მოყვარულია. ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე გვანცა ჯანაშიას ცნობილმა მაღაზიამ, სადაც მხოლოდ ქართველი დიზაინერების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი რებრენდინგი განიცადა და უფრო გაფართოვდა. მაღაზია ამჯერად ქართველი დიზაინერების გარდა, ცნობილ უცხოელ დიზაინერებსაც გააერთიანებს. გარდა ამისა, მაღაზია კაფე-ბარის და ბიბლიოთეკის ფუნქციასაც შეითავსებს. ასე რომ, თუ შოპინგისთვის ემზადებით, შეგიძლიათ საყიდლებისგან უფრო მეტი სიამოვნება მიიღოთ. ბიბლიოთეკაში მოდის შესახებ ყველა ის უცხოურენოვანი წიგნია წარმოდგენილი, რომელიც თქვენ დაგაინტერესებთ. შეგიძლიათ მყუდროდ მოწყობილ გარემოში ყავის თანხლებით ახალი მოდის ტენდენციებს გაეცნოთ და სასურველი სამოსი ამის შემდეგ შეარჩიოთ. გარდა ამისა, დარწმუნებული იქნებით, რომ მაღაზიაში ნაყიდ სამოსს სხვაზე ჩაცმულს ნამდვილად ვერ ნახავთ. აქ ძირითადად 15 ქართველი დიზაინერის სამოსი იქნება წარმოდგენილი: თამუნა ინგოროყვა, ავთანდილი, გოლა, ატელიე „კიკალა“ და ა.შ. დიზაინერები Flabour-თვის სამოსს ექსკლუზიურად დაამზადებენ. ტანსაცმელების გარდა „შუზოფრენიის“ (ქეთევან მაისაია და ირაკლი ბოჭორიშვილი) ფეხსაცმელებსაც შეხვდებით. მსგავსი ტიპის მაღაზია თბილისში პირველად გაიხსნა. მსგავსი მყუდრო გარემოს შექმნის იდეა მარიამ ღამბაშიძეს ეკუთვნის და გვანცა ჯანაშიასთან ერთად გაერთიანდა. განახლებული მაღაზიის პრეზენტაცია 5 მაისს პომპეზურად აღნიშნეს. კანაპეების და ფეიერვერკების ფონზე ღია ცის ქვეშ ქართული შოუ ბიზნესის და მოდის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ახლა Flabour-ში შოუ-რუმისთვის ემზადებიან. თბილისის მოდის კვირეულის ოფიციალური შოუ-რუმი შემდეგი 2 კვირის განმავლობაში სწორედ აქ განთავსდება და ყველა მსურველს ეძლევა საშუალება პოდიუმიდან გადმოტანილი კოლექციები ექსკლუზიურად ამ მაღაზიაში დაათვალიეროს და შეიძინოს.**

**მარიამ ღამბაშიძე:** ეს ყველაფერი ჩემი იდეა იყო, რომ ამდენი რამ ერთ შენობაში გამეერთიანებინა. მსგავსი მაღაზია თბილისში არ არსებობს და მინდოდა აქაც ყოფილიყო, ისევე როგორც ევროპაშია. მაღაზია მხოლოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი და მათთვის ყველანაირი კომფორტია შექმნილი. ჯერჯერობით მხოლოდ ქართველ დიზაინერებს წარმოვადგენთ, უცხოელ დიზაინერებს არ დავასახელებ,რადგან მათთან ჯერჯერობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ბიბლიოთეკაში ფეშენის და არტის ყველა ის წიგნი იქნება, რაც საქართველოში არ არის და ჩვენი მომხმარებლები ექსკლუზიურად გაეცნობიან.


















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რის გამო დაუპირისპირდებიან ერთმანეთს კახი კალაძე და ლევან ყიფიანი

# ლევან ყიფიანი: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთის განვითარების პროგრამას არ ვიცნობ“



EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა და ყოფილმა ფეხბურთელმა, კახი კალაძემ, სულ ცოტა ხნის წინ, განცხადება გააკეთა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ლევან კობიაშვილი იყრის კენჭს, რომელმაც საფეხბურთო კარიერა შაბათს დაასრულა. არავისთვის უცნობი არ არის, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრს, ლევან ყიფიანს, რომელსაც კალაძისნაირი გავლენა არ აქვს ხელისუფლებაში, თავისი ფავორიტი ჰყავს, ეს მიხეილ ყაველაშვილია. თუკი გავლენებს გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ იქნება, რომ საპრეზიდენტო რბოლაში ლევან კობიაშვილი გამოკვეთილი ფავორიტი იქნება. მოხდება თუ არა დაპირისპირება კახი კალაძესა და ლევან ყიფიანს შორის, რაზე შეთანხმდნენ მინისტრები და შეეწირება თუ არა ლევან ყიფიანის მინისტრის პორტფელი ამ ინტერესების გადაკვეთას - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანთან.

**- ფეხბურთის განვითარების პროგრამის პრეზენტაცია გამართეთ. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო კომისია უკვე მუშაობს ფეხბურთის ფედერაციის პროექტზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ თქვენი პროექტი განიხილება, შეფერხებები ექნება კომისიას მუშაობაში და რა პრინციპებს ეყრდნობა თქვენი პროექტი?**

- პირველ რიგში, ამ პროექტის და სხვა პროექტებისა და წინადადებების შეჯერება უნდა მოხდეს. სწორი შერჩევა, აკუმულირება და სტრატეგიის დადება სამთავრობო კომისიის წინაშე, რომელიც იქნება ფუძემდებელი ფეხბურთის განვითარების პროგრამისა. აქ, ჩემპიონატში გუნდების რაოდენობის გაზრდა, კონტექსტიდან არის ამოვარდნილი.

**- ანუ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის 16 გუნდამდე გაზრდას მხარს არ დაუჭერთ?**

- ადრეც მითქვამს და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ეს არარეალურია, გამომდინარე იმ სიტუაციიდან და იმ ტენდენციებიდან, რაც არსებობს ფეხბურთის განვითარებისთვის ქვეყანაში, ეს არარეალურია, შესაბამისად, სხვა მხარესაც აქვს თავის არგუმენტები. ეს ყველაფერი განხილვის პროცესია. ცალსახად ასე არ არის, რომ ასეა. ვამბობ, რომ განხილვის თემაა და არგუმენტები უნდა ვანახოთ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, შევეცდებით, დავდოთ თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული ფეხბურთის განვითარების ის სტრატეგია, რომელიც საქართველოსთვის მისაღები იქნება.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის განვითარების სამთავრობო კომისიაზე საკუთარი პროგრამა წარმოადგინა. რა განსხვავებებია თქვენსა და სფფ-ს პროექტს შორის?**

- ჩვენ ფეხბურთის ფედერაციას არ ვიცნობთ, პროექტს, მათ პროგრამას... კომისიაზე ჩვენი პროგრამა იქნება წარმოდგენილი. იქნება სჯა-ბაასი. მივიღებთ, არ მივიღებთ, შემდეგ იქნება საზოგადოებისთვის ცნობილი.

**- სფფ-მ რამდენიმე დღის წინ იმ გუნდების სია გამოაქვეყნა, რომლებმაც ლიცენზირება უნდა გაიარონ. საჩხერის „ჩიხურას“, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუ“ ინახავდა, გაირკვა, რომ სპორტის სამინისტრო აფინანსებს. იქნებ განმარტოთ, რატომ?**

- არა, სპორტის სამინისტრო არაფრის დიდებით არ აფინანსებს საჩხერის „ჩიხურას“. მის დაფინანსებას განაგრძობს ის ფონდი, რომელიც აქამდე აფინანსებდა.

**- მაშინ სპორტის სამინისტრო რა შუაშია?**

- ჩვენი მეშვეობით ხდება თანხის გადაცემა. ეს არის მიზნობრივი გრანტი, რომლითაც ფინანსდება, როგორც სპორტსმენების სტიპენდიები, პენსიები, სხვადასხვა ფედერაციები და ა.შ.

**- ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს ლევან კობიაშვილი იყრის. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ თქვენ მიხეილ ყაველაშვილთან მეგობრობთ და სწორედ მის კანდიდატურას უჭერთ მხარს ამ პოსტზე. თუკი ლევან კობიაშვილიც და მიშა ყაველაშვილიც ერთდროულად გააკეთებენ განაცხადს სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე, მოხდება თუ არა თქვენი და კალაძის დაპირისპირება და ინტერესთა კვეთა?**

- არა, ეს გამორიცხულია. მე არაფრის დიდებით არ მინდა, ინტერესების გადაკვეთა იმ საკითხზე, რაზეც უკვე შეთანხმებულები ვართ. ამიტომ, ყველას ჩვენი საქმეები გვაქვს...

**- ანუ თქვენც კობიაშვილის კანდიდატურას დაუჭერთ მხარს?**

- ვინც იქნება ღირსი, ყველას, ლევანსაც, მიშასაც დავუჭერ, მაგრამ აქ თვითონ სუბიექტებზეა საუბარი. იმაზე, რომ მოვიდეს ჯანსაღი ძალები, რომლებიც ფეხბურთის განვითარებაზე იქნებიან ორიენტირებული. საერთო საფეხბურთო ძალების გაერთიანებაზეა საუბარი, რომელმაც შემდეგ ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე უნდა დააყენოს. ამიტომ, ეს თემა გადაწყვეტილია და არანაირი პრობლემა კონკრეტულ პიროვნებებთან არ გამაჩნია და არც მექნება.



„მე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე? - გამორიცხულია“

**- კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ თქვენ მინისტრის პორტფელს დატოვებთ და სწორედ თქვენ იბრძოლებთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად...**

- მე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე? - გამორიცხულია.

**- ცოტა ხნის წინ „პრაიმტაიმმა“ ყოფილ ფეხბურთელზე, ნიკა სიხარულიძეზე დაწერა, რომელიც ავარიაში მოყვა და მძიმე ტრავმები მიიღო. მის ამბავს თქვენ გამოეხმაურეთ, მოინახულეთ და დახმარებას დაპირდით. რა ეტაპზეა, მისი დახმარების საკითხი?**

- ნიკა სიხარულიძის მშობლებისგან მივიღეთ ინფორმაცია, თვითონ რა პრობლემები აქვს ბავშვს. შესაბამისად, ვეძებთ იმ ფონდებს, რომლის მიხედვითაც შევძლებთ ამ ბავშვის დახმარებას და მკურნალობის გაგრძელებას. ცოტა გაჭიანურდა ეს საქმე, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. შევეცდებით, უმოკლეს ხანში, ის დავაკმაყოფილოთ და იმ პრობლემების მოგვარებას შევეცადოთ, რაც ამ ბავშვს აქვს. მაქსიმალურად, შესაძლებლობების ფარგლებში ბოლომდე მივხედავთ მას.

## ლევან ყიფიანი: „არაფრის დიდებით არ მინდა, ინტერესების გადაკვეთა იმ საკითხზე, რაზეც უკვე შეთანხმებული ვართ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რამდენი ათასი ევრო დ
# მიკაილ კადიევის რუსე

## my View
### მირიან ბოქოლიშვილი

**ეს საქმე შესაძლოა, საქართველოსთვის სანქციის დაწესების საფუძველი გახდეს... და ეს იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე 2013 წლის 13 ივნისს დაკავებულ მიკაილ კადიევს რუსეთის ფედერაციას გადასცემს. კადიევს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის ორწლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი, თუმცა ჩეჩენი ეროვნების ახალგაზრდას რუსეთი საკმაოდ მძიმე დანაშაულისთვის 2010 წლიდან ეძებს. მას მოსკოვში დაღესტნელი მაღალჩინოსნის, უმახანოვის ლიკვიდაციაში სდებენ ბრალს. თავად კადიევი დანაშაულს არ აღიარებს და მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლებისგან იდევნება. მან საქართველოს მთავრობას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით დაპატიმრების შემდეგ მიმართა, თუმცა დარახველიძის უწყებიდან უარი მიიღო. მეტიც, როგორც „პრაიმტაიმს“ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განუმარტეს, შესაძლოა, კადიევი უახლოეს ხანში მოსკოვს გადასცენ.**

იგეგმება თუ არა მიკაილ კადიევის რუსეთში ექსტრადირება? რა ელის მას რუსულ საპყრობილეში? რატომ არ მიანიჭეს საქართველოში ლტოლვილის სტატუსი და რა დაუჯდება სახელმწიფოს კადიევის ექსტრადირება? ამაზე ოდნავ ქვემოთ წაიკითხავთ, მანამდე კი მოდით, ვნახოთ ჩეჩნების ექსტრადირების პრეისტორია და სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოსთვის დაწესებული სანქციები.

2002 წლის 27 ივლისს, სტავროპოლში რუსეთის არმიის შენაერთზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. თავდასხმიდან ცოტა ხანში საქართველოში საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით აიყვანეს 13 პირი (ძირითადად ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეები). ეს კი რუსეთის მთავრობას აფიქრებინებდა, რომ საქმე ეხებოდა სწორედ ზემოხსენებული თავდასხმის ავტორებს. რუსეთის გენპროკურატურა მათ ტერორიზმსა და ბანდიტიზმში სდებდათ ბრალს, რაც უვადო პატიმრობას, ან სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. მოსკოვი შევარდნაძის ხელისუფლებას დაკავებულთა დაუყოვნებლივ ექსტრადირებას სთხოვდა. გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდებები სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, ქართულმა მხარემ რუსეთისგან მოითხოვა, რომ ექსტრადირების შემთხვევაში ეს სასჯელი გამოყენებული არ იქნებოდა. რუსეთის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლმაგოროვი 2002 წლის 26 აგვისტოს, წერილით, ქართველ კოლეგას ატყობინებს, რომ დაკავებულებს (შამაევსა და სხვა 12 პირს) სიკვდილით არ დასჯიდნენ. 2002 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ხელი მოაწერა 5 პირის ექსტრადიციის გადაწყვეტილებას. 2002 წლის 3 ოქტომბერს ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან მიტინგი გამართეს და გზა გადაკეტეს. ისინი ითხოვდნენ, საქართველოს არ დაეშვა შამაევისა და სხვების ექსტრადიცია, თუმცა ამის მიუხედავად, 4 ოქტომბერს, 22:10 საათზე, 13-დან 5 პატიმარი ქართველმა სამართალდამცველებმა თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე „ფეესბეს“ წარმომადგენლებს გადასცეს, თვალებახვეული პატიმრები, გაძლიერებული დაცვის თანხლებით, მოსკოვის გზას გაუყენეს. მაშინ მედიაში ეს ფაქტი შეფასდა, როგორც „პუტინისთვის გაკეთებული საჩუქარი დსთ-ს წევრი ქვეყნების სამიტის წინ“.




**„კადიევისთვის ლტოლვილის სტატუსი რომ მიგვენიჭებინა, ჟენევის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მას უნდა დაესაბუთებინა დევნის შიში, წარმოდგენილი 5 კომპონენტიდან ერთ-ერთის შესაბამისობა მაინც უნდა დადგენილიყო“**

## დარახველიძის უწყებამ კადიევს ლტოლვილის სტატუსზე უარი უთხრა და განგვიმარტა: „მისი საქართველოში ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძვლები არ იქნება. ვფიქრობ, ექსტრადირება მოხდება“

# EXCLUSIVE

მოსკოვი ამას არ დასჯერდა და საქართველოში დარჩენილი პირების ექსტრადირებასაც მოითხოვდა, თუმცა იმის გამო, რომ საქმემ დიდი რეზონანსი ჰპოვა, შევარდნაძის ხელისუფლებამ შემდგომი „საჩუქრისგან“ თავი შეიკავა.

საქმე „შამაევი და კიდევ სხვა 12 პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრდა. მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ არანაირ ტერორიზმში მათ ბრალი არ მიუძღვით და მათი ექსტრადირება უკანონოდ განხორციელდა. უფლებადამცველები კი ექსტრადირების შემდეგ მათ მიმართ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მიუთითებდნენ. მოსარჩელეები ამბობდნენ, რომ ჩეჩნეთი 10-წლიანი ომის გამო დატოვეს და საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მისაღებად, მშვიდი ცხოვრებისთვის გადმოვიდნენ.

2005 წლის 12 ოქტომბერს ამ საქმეზე ევროსასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა, სადაც ვკითხულობთ:

„სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მომჩივანებმა მიიღეს მორალური ზიანი, რომელიც არ ანაზღაურდება ძალადობის უბრალო კონსტატაციით. დადგენილი ძალადობის სერიოზულობიდან გამომდინარე და ზიანის ანაზღაურების მიზნით სასამართლო ადგენს, რომ მომჩივანებს გამოეყოთ ქვემოთ მოყვანილი თანხები: შამაევს, აზაევს, ხაჯიევსა და ვისტოვს 8-8 ათასი ევრო, ხოლო ადიევს 6 ათასი ევრო“.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, ზიანის ანაზღაურების სახით სხვადასხვა ოდენობის თანხები მიიღეს იმ პირებმაც, რომელთა ექსტრადირებაც, მცდელობის მიუხედავად, ვერ განხორციელდა.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოს, ჩეჩნების რუსეთში ექსტრადირება ერთხელ უკვე დაუჯდა საკმაოდ სოლიდური თანხა. რას გადაწყვეტს 2013 წელს დაკავებული მიკაილ კადიევის შემთ-

**„თუ კადიევს რუსეთს გადასცემენ, მას იქ ელის არაადამიანური მოპყრობა, წამება და შესაძლო ლიკვიდაცია“**




**ექსტრადირების მოთხოვნით რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ საქართველოს მთავარ პროკურატურას პირადად მიმართა**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აუჯდება საქართველოს თუ ექსტრადირება?

ხვევაში ქართული მხარე? მას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრა, რაც იმთავითვე გამორიცხავდა მის ექსტრადირებას. სწორედ ამიტომ, კადიევის ადვოკატს ეჭვი აქვს, რომ საქმე ექსტრადირებისთვის მზადდება. ამას ჩვენთან საუბარში დავით დარახველიძის უწყებაშიც არ უარყოფენ.

**რატომ არ მიანიჭეს მაკაილ კადიევს ლტოლვილის სტატუსი? ამის გასარკვევად ჩვენ ლტოლვილთა და რეპატრიაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ირაკლი კოკაიას მივმართეთ:**



– კადიევისთვის ლტოლვილის სტატუსი რომ მიგვენიჭებინა, ჟენევის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მას უნდა დაესაბუთებინა დევნის შიში, წარმოდგენილი 5 კომპონენტიდან ერთ-ერთის შესაბამისობა მაინც უნდა დადგენილიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მან ჯერ პოლიტიკური დევნით დაიწყო საუბარი, შემდეგ საუბრობდა რელიგიურ დევნაზე და ა.შ. ვერანაირად ვერ შეძლო ამის დასაბუთება. გადაწყვეტილება ამჟამად გასაჩივრებული აქვთ სასამართლოში და ჩვენც სასამართლოს გადაწყვეტილებას ველოდებით. მეორე მიზეზი იყო ის, რომ ის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის იდევნება რუსეთის ფედერაციაში. ყურადსაღებია ისიც, რომ, ვინც კადიევთან ერთად იძებნებოდა ამ დანაშაულის ჩადენისთვის, გერმანიაში მოითხოვა თავშესაფარი, რაზეც უარი ეთქვა და გერმანიამ განახორციელა მისი ექსტრადირება. ამანაც დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმის გადაწყვეტაში.

**– შესაძლებელია, რომ საქართველომაც მიიღოს ექსტრადირების გადაწყვეტილება?**

– რა თქმა უნდა. ამ ადამიანმა ვერ შეძლო, დაესაბუთებინა, რომ მართლაც იდევნებოდა რელიგიური, პოლიტიკური, ეროვნული, ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. მასზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული მძიმე დანაშაულის გამო, ამ საქმეში კადიევის მეგობარს უარი უთხრა გერმანიამ თავშესაფარზე. თუკი კადიევი მიმდინარე სასამართლო პროცესებსაც წააგებს, მისი საქართველოში ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძვლები არ იქნება. ვფიქრობ, მისი ექსტრადირება მოხდება. მან საქართველოში დაპატიმრების შემდეგ, 2013 წელს მოგვმართა სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

არგუმენტი, რომ გერმანიამ კადიევის მეგობრის ექსტრადირება მოახდინა და შესაძლოა, საქართველომაც იგივე გადაწყვეტილება მიიღოს, აბსოლუტურად მიუღებელია ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილისთვის, რომელიც სასამართლოში კადიევის ინტერესებს იცავს. მისი თქმით, მიკაილ კადიევის რუსეთისთვის გადაცემის შემთხვევაში, მას წამება, არაადამიანური მოპყრობა და შესაძლო ლიკვიდაცია ელის.

**გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:**

– არგუმენტი, რომ გერმანიამ გადასცა რუსეთს ერთ-ერთი პიროვნება, აბსოლუტურად მიუღებელია. ჯერ ერთი, კადიევი სხვაა და ის პიროვნება – სხვა. გერმანია რუსეთს არ აქვს ოკუპირებული და არ იმყოფება საომარ მდგომარეობაში, ჩვენგან განსხვავებით. და რაც მთავარია, გერმანიის მხრიდან გადაცემა მოხდა თვითონ იმ პიროვნების მოთხოვნით, რადგან შეჰპირდნენ, რომ საქმის გაუკეთებდნენ და გარკვეული თანხის სანაცვლოდ გაათავისუფლებდნენ. მოგეხსენებათ, მსგავსი კორუფციული გარიგებები რუსეთისთვის უცხო არ არის. ეს ყველაფერი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კადიევის წინააღმდეგ. კადიევის, რომელსაც აქვს უამრავი ალიბი, რომ იმ დროს ის მოსკოვში საერთოდ არ იმყოფებოდა.

**– დარახველიძის უწყებაში დაგვიდასტურეს, რომ სამართლებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ, კადიევს, სავარაუდოდ, რუსეთს გადასცემენ... თქვენთვის თუ არის ოფიციალურად ცნობილი ეს პოზიცია?**

– სამარცხვინოა ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება. ვინ ეკითხება მაგათ ექსტრადირებას, მაგათ მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მინიჭება ეხებათ. ეს კიდევ უფრო ბევრ კითხვას ბადებს და კარგად ხსნის, რეალურად რატომ არ მისცეს კადიევს ლტოლვილის სტატუსი. ამ საკითხზე, სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია არ დაუფიქსირებია. პროკურატურაში განმარტავენ, ჩვენ ამას არ განვიხილავთო. ყველა მაღალჩინოსანი, ვისთანაც პირადი საუბარი მქონდა, ამბობს, რომ გამორიცხულია რუსეთისთვის გადაცემა. არ ვიცი, მე მატყუებენ, თუ მამშვიდებენ, მაგრამ ისინი ამას ამბობენ. რაც შეეხება ლტოლვილთა სამინისტროს, უცნაურია, რომ ეს უწყება ძალიან აგრესიულად მოქმედებს ამ საკითხთან მიმართებაში.

**– რაც შეეხება უშუალოდ იმ საქმეს, რაზეც რუსეთი კადიევს ედავება... გამორიცხავთ მის ბრალეულობას?**

– მას ედავებიან ერთ-ერთი დაღესტნელი მაღალჩინოსნის, გვარად უმახანოვის მკვლელობას. ის მოკლეს მოსკოვში, როდესაც დაცვასთან ერთად იმყოფებოდა. ეს იყო 2009 წლის 27 სექტემბერი. დაცვის წევრმა დაასახელა, რამდენიმე პიროვნება ვიცანი და ერთ-ერთი კადიევი იყოო. შემდეგ ამ პიროვნებამ უარყო ეს ჩვენება, დაწერა, მაიძულეს, ამ ჩვენების მიცემაო. წერილი დატოვა და საერთოდ გაუჩინარდა ეს პიროვნება. ამავე დროს კადიევს აქვს უამრავი ადამიანის ალიბი, რომ იმ დღეს ის დაღესტანში თავის სამსახურში იმყოფებოდა.

**– რა საფრთხეებთანაა დაკავშირებული კადიევის რუსეთში ექსტრადირება?**

– იმ შემთხვევაში, თუ კადიევს რუსეთს გადასცემენ, მას იქ ელის არაადამიანური მოპყრობა, წამება და შესაძლო ლიკვიდაციაც კი. სხვათა შორის, ერთ-ერთ არგუმენტად ლტოლვილთა სამინისტროს ისიც აქვს მოყვანილი, რომ რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე იძლევა გარანტიას, არ ვაწამებთო და ეს უნდა დავიჯეროთ? როდის შეუსრულებია რუსეთს პირობა, რომ ამ შემთხვევაში შეასრულოს?

**– საქართველოში ჩამოსვლამდე სად იმყოფებოდა?**

– ის 2010 წლიდან იძებნებოდა ამ მკვლელობისთვის. ცხოვრობდა თურქეთში, დუბაიში, შემდეგ ის შემოვიდა საქართველოში, რადგან რუსეთში იდევნებოდა. აქ ვარჯიშობდა „ფალავანთა კლუბში“, მოჭიდავეა. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ახლობლებმა ურჩიეს, საქართველო დაეტოვებინა. 2012 წლის 13 დეკემბერს ჩავიდა ბათუმში, თურქეთში გადასვლის მიზნით, მაგრამ ბათუმში დააკავეს. თბილისში გადმოყვანისას, გზად სადღაც შეჩერდნენ, რა დროსაც კადიევმა გაქცევა მოახერხა. ჩამოვიდა თბილისში, 6 თვის განმავლობაში ის ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში ცხოვრობდა. მასთან ჩამოდიოდნენ ნათესავები სანახავად, ერთ-ერთი ვიზიტის დროს მისი ბიძაშვილი უმაროვი ჩამოვიდა და ამ დროს ორივე, თბილისში, საცხოვრებელ სახლში აიყვანეს. სასამართლომ ორწლიანი პატიმრობა შეუფარდა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის, რომელიც გასაჩივრებული გვაქვს სააპელაციო სასამართლოში. ამასთანავე, ვასაჩივრებთ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2014 წლის 16 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც კადიევს უარი ეთქვა ლტოლვილის სტატუსზე.

**P.S. მიკაილ კადიევის ექსტრადირების მოთხოვნით რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ საქართველოს მთავარ პროკურატურას პირადად მიმართა. მაშინ საქართველოს მთავარ პროკურატურაში განაცხადეს, რომ ექსტრადირების საკითხის განხილვა მას შემდეგ მოხდება, რაც საქართველოს ლტოლვილთა სამინისტრო გადაწყვეტს, მიანიჭოს თუ არა კადიევს ლტოლვილის სტატუსი. ეს სტატუსი კადიევს არ მიენიჭა, შესაბამისად, ის ახლა პროკურატურის გადაწყვეტილების მოლოდინშია. მიიღებს თუ არა საგამოძიებო ორგანო ექსტრადირების გადაწყვეტილებას? ეს კითხვა ჯერჯერობით კვლავ ღიად რჩება.**

**ბოლო ერთი წლის განმავლობაში რუსეთმა კადიევის ექსტრადირება უკვე მეორედ მოითხოვა. 2013 წლის ივნისში, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა კადიევი დააკავეს, მოსკოვის ინტერპოლმა მაშინვე მისწერა თბილისის ინტერპოლს, რომ რუსეთის შესაბამისი უწყებები მზადყოფნას გამოთქვამდნენ კადიევის ექსტრადირებისთვის.**




**საქართველოს სახელმწიფოს, ჩეჩნების რუსეთში ექსტრადირება ერთხელ უკვე დაუჯდა საკმაოდ სოლიდური თანხა. რას გადაწყვეტს 2013 წელს დაკავებული მიკაილ კადიევის შემთხვევაში ქართული მხარე?**

**გელა ნიკოლაიშვილი: „სამარცხვინოა ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება. ვინ ეკითხება მაგათ ექსტრადირებას... უცნაურია, რომ ეს უწყება ძალიან აგრესიულად მოქმედებს ამ საკითხთან მიმართებაში“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნიკოლოზ რაჭველის სინანუ



my View

თამარ გონგაძე

**ამ ინტერვიუზე მე და ნიკა რამდენიმე თვის წინ შევთანხმდით, დედის გარდაცვალების შემდეგ. ამისკენ გულში ჩამწვდომმა მისმა ემოციურმა სიტყვებმა მიბიძგა, რომელსაც სოციალურ ქსელში წერდა. „უკვე 40 დღე გავიდა, რაც დედა წავიდა... მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია ახლა, გარდა იმისა, რომ ძალიან მენატრება... ალბათ, არაფერი განსაკუთრებული ამაში არ არის, მაგრამ ჩვენ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ორნი ვიყავით, მე და დედა, დედა და მე... ახლა კი პირველად ვარ მარტო, მის გარეშე. დედა კი არის სხვაგან, სხვა სამყაროში... და თუკი ის გამუდმებით მელოდებოდა (ხან სასწავლებლად მყოფს, ხან გასტროლზე მყოფს და ხან საქმისაგან მისთვის მოუცლელს), ახლა ჩემი ჯერი დადგა. მეც სხვა რა გზა მაქვს, ჩემთვის, უჩუმრად, გულის სიღრმეში დასადგურებული სამუდამო სევდით გაჟღენთილი დაველოდები მასთან შეხვედრას...“ მერე იყო საქართველოდან წასვლაზე გაკეთებული განცხადება. ვიცოდი, რომ ეს ინტერვიუ ძალიან განსხვავებული გამოვიდოდა. ასეც არის. ვეცადე ის ემოციური ჟრჟოლვა, რაც ინტერვიუს ჩაწერისას მქონდა, თქვენამდეც მომეტანა.**




„ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ყველა ის სირთულე, რაც გამოვიარე, კანონზომიერად მივიჩნიე. პროფესიის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა მმართებდა, მაგრამ ხანდახან სიზარმაცე წამძლევდა, დროის არასწორად გამოყენებას ვნანობ. ადამიანს ყველა განსაცდელი დასკვნების გამოსატანად ეძლევა“

### „ბავშვობის შთაბეჭდილება მარადიულად შემოდის სულში“

**ნიკოლოზ რაჭველი:** - ახლა განსაკუთრებით დიდი სიხშირით ვიხსენებ მომენტებს, რაც დედასთან არის დაკავშირებული. ბავშვობიდან რაც მახსენდება, ყველაზე მკაფიოდ, ეს გაჭირვების წლებია, სკოლის ბოლო პერიოდი და სტუდენტობა. ვიხსენებ იმ საოცარ წერილებს, რომელსაც ერთმანეთს ვწერდით, როდესაც მე ვენაში ვსწავლობდი. მახსოვს მისი ჯანმრთელობის დამძიმება, რაც დიდი ტრავმით იყო გამოწვეული. მან ჯერ უმცროსი და, შემდეგ მეუღლე დაკარგა... დეიდა მუსიკისმცოდნე იყო. მისი დიდი დამსახურებაა მე რომ მუსიკოსი ვარ. ის ჩემი მესაიდუმლე გახლდათ. 40 წლის ასაკში, ყველასთვის მოულოდნელად, ინფარქტით გარდაიცვალა. ექვს თვეში მამაც დავკარგე, როდესაც მხოლოდ 13 წლის ვიყავი. დედა სტრესისგან ლოგინად ჩავარდა, ვერ დგებოდა. 1993-94 წლები მძიმე პერიოდი იყო. შვილმკვდარი ბებია ჩვენთან ცხოვრობდა და მისი გოდება ჩემს სმენით მეხსიერებას დღემდე არ ტოვებს. დედაჩემმა რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად მარტომ მოუარა ჩავარდნილ მოხუცს და მისი გარდაცვალების შემდეგ თავადაც მოტყდა.

**- გოდერძი ჩოხელის სიტყვები მახსენდება, სანამ დედა გყავს, შენსა და სიკვდილს შორის ის კედელია. დედა რომ კვდება, სიკვდილთან პირისპირ რჩებიო.**

- ჩემთვის სიკვდილი მახლობელია. შემოქმედს სიკვდილთან „მეგობრული“ დამოკიდებულება აქვს. ბავშვობიდან არც დისტანცია მქონია მასთან, არც შიში. ამას წინათ ინტერნეტში დედას ინტერვიუ აღმოვაჩინე. ჩემზე ყვება, ბავშვობიდან კუბოებს ხატავდაო. ის ნახატები ყუთში მაქვს, არც მინახავს. როგორც მახსოვს, ჩემს ნახატებში მართლაც უხვად იყო დაკრძალვის ცერემონიები. ვხატავდი გუაშით, აკვარელით. ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ჩემი დაწერილია, სევდიანი და ტკივილის მატარებელია. ბავშვობის შთაბეჭდილება მარადიულად რჩება სულში და ამიტომ, ალბათ, ჩემს შემოქმედებას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება სევდა და ტკივილი.

### „ეს უბრალო დამთხვევა არ იყო“

„დედას სიარული უჭირდა და ბოლო წლებში მუდამ სახლში იყო. 23 ნოემბერს ცუდად გახდა და საწოლიდან ვერ ადგა. სტუმრად ჰყავდა მეგობარი, რომელმაც სასწრაფო გამოიძახა. საავადმყოფოში ინსულტის ნიშნებით გადაიყვანეს, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მესამე დღეს უწმინდესმა რამდენიმე ადამიანი მიიღო, საქმიანი საუბარი იყო, მეც იქ ვიყავი. ერთ-ერთმა სტუმარმა თავის ახლობელზე უთხრა, ავარიაში მოყვა და მძიმედ არისო. პატრიარქმა გახედა და უთხრა: ნუ გეშინია, კარგად გახდებაო. მეც ვისარგებლე შემთხვევით და დედას ამბავი ვუთხარი. არაფერი არ მიპასუხა, დიდი პაუზა ჰქონდა. მივხვდი, რომ აქ რაღაც ისე არ იყო, როგორც მინდოდა. უცებ მომიგო, შვიდგზის ზეთისცხება ჩაუტარეო, თავადვე სთხოვა მამა ანდრიას, რომელმაც მეორე დღესვე საავადმყოფოში ჩაუტარა დედას ეს მსახურება. დედა გამოკეთებისკენ წავიდა, მეტყველება აღუდგა, საწოლზე წამოჯდა. სუნთქვის აპარატიდან გამოთიშეს. ჩანთის და ფეხსაცმლის მიტანა მთხოვა. 19 დეკემბერი, ნიკოლოზობა დადგა. დილით მამა ანდრია შემეხმიანა და მითხრა, უწმინდესმა კურთხევა მომცა - ნიკას დედა დღეს უნდა აზიაროო. გამოდის, აქაც წინათგრძნობას აქვს ადგილი. მივიდა იგი, დედისგან აღსარება ჩაიბარა და ჩემი წმინდანის დღესასწაულზე აზიარა. დედა ამით ძალიან ბედნიერი ყოფილა. მორწმუნე და ეკლესიური გახლდათ. სიხარულის ცრემლით გააცილა მამა ანდრია, შემდეგ კი დაიძინა. ეს იყო მომენტი, რომლის შემდეგაც დედამ გონება სამუდამოდ დაკარგა. სამი-ოთხი დღის განმავლობაში მხოლოდ მაშინ რეაგირებდა, როცა ჩემი ხმა ესმოდა, თვალს ახელდა და ხელს მიჭერდა. ექიმებთან კი კონტაქტში სრულებით აღარ შედიოდა. 24 დეკემბერი რომ თენდებოდა, ათონის მთიდან მეუფე გერასიმე და მისი თანმხლები ჯგუფი დაბრუნდა საქართველოში. აეროპორტიდან საავადმყოფოში გაიარეს და დედა მოინახულეს, დალოცეს. ჩემი ინაუგურაცია (რაც ეწოდება სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემდეგ პირველ კონცერტს) 28 დეკემბერს იყო დანიშნული და მე ყოველდღიური რეპეტიციები მქონდა. მორიგი რეპეტიციის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, წავედი საავადმყოფოში მის მოსანახულებლად, იმ იმედით, რომ გამოვიდოდა მდგომარეობიდან და კვლავაც შევძლებდი მისი ხმის გაგებას, მაგრამ მითხრეს, საკვებსაც ვეღარ იღებსო. თვალიც ვერ გაახილა, თუმცა მსუბუქი სიძლიერით ხელი მომიჭირა და მაგრძნობინა, რომ ესმოდა ჩემი. სწორედ ამ დროს აპარატზე, რომელზეც ის იყო მიერთებული, მოულოდნელად დაიწყო პულსისა და წნევის უჩვეულოდ სწრაფი ვარდნა. მოცვივდნენ ექიმები, მე კი მათ პალატაში ჩვენ ორის მარტო დატოვება ვთხოვე. დედას ჩემი ხელით მოვხსენი სუნთქვის ნიღაბი. მივხვდი, რომ მტოვებდა და მინდოდა ჩემი იქ ყოფნით ძალა მიმეცა, რომ შიში არ ჰქონოდა. დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა მისი ამქვეყნიდან იმ ქვეყანაში გადაბრძანება... დღეს ვხვდები, რომ დიდი საჩუქარი გამიკეთა იმით, რომ ეს ჩემ თვალწინ მოხდა. ხომ შეიძლებოდა ეს რეპეტიციის დროს ან ჩემი სახლში ყოფნისას მომხდარიყო. საკრალურია, დედა დაელოდა ჩემ მისვლას და მაშინ აღესრულა, როდესაც მის გვერდით ვიყავი. ცხადია ეს უბრალო დამთხვევა არ იყო. ჩვენ მხოლოდ ორნი ვიყავით მთელი ჩემი ცხოვრების შეგნებული ნაწილის განმავლობაში. თითქოს არასოდეს გვყავდა ვინმე მესამე. მისი ცხოვრების ბოლო წამებშიც ისევ ორნი ვიყავით... მგონია, რომ დღესაც ასე ვართ, ორნი. ახლა მას ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ. პანაშვიდების დროს რომ მოდიოდნენ მეგობრები, ნაცნობები და მათ შორის ისინი, ვისაც დედის და მშობლის გარდაცვალება გამოცდილი აქვთ და მეუბნებოდნენ, აუცილებლად მკაფიოდ იგრძნობ მის არსებობასო, მაშინ ეს უბრალოდ გასამხნევებელი სიტყვები მეგონა. ხელს მიწყობს რწმენის მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც და დარწმუნებული ვარ, რომ მან, თავისი ცხოვრებით სამუდამო სასუფეველი დაიმსახურა. იმ კრიტიკულ მომენტებში, რომელიც ხელოვანის ცხოვრებას ახასიათებს, ვგრძნობ, დედა გვერდით მიდგას და ყველა ის თხოვნა, რომელიც მე მას შინაგანად შევთხოვე, შემისრულდა. როდესაც ღმერთსა და წმინდა ნიკოლოზს შევთხოვ რამეს, დაკონკრეტებული არ მაქვს - როგორც უკეთესი იქნება, ისე იყოს-მეთქი. ის, რაც ხდება, უბრალოდ და შემთხვევით არ ხდება, კანონზომიერია. თუნდაც ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში რაც გამოვიარე, კანონზომიერი იყო. მივიჩნევ, რომ ეს სირთულეები დავიმსახურე. საზოგადოებისა და პროფესიის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა მმართებდა, მაგრამ ხანდახან სიზარმაცე წამძლევდა, დროის არასწორად გამოყენებას ვნანობ. ადამიანს ყველა განსაცდელი დასკვნების გამოსატანად ეძლევა. განსაცდელი მისი სრულყოფილებისათვის ევლინება. შეიძლება გეჩვენებოდეს, რომ შენი ჯვარი ზედმიწევნით მძიმეა. სწორედ ამაშია ჯვრის ზიდვის საიდუმლოება. რაც შენთვის მძიმეა, უნდა გადალახო და ამით მეტად გაძლიერდე“.

„იმ კრიტიკულ მომენტებში, რომელიც ხელოვანის ცხოვრებას ახასიათებს, ვგრძნობ, დედა გვერდით მიდგას და ყველა ის თხოვნა, რომელიც მე მას შინაგანად შევთხოვე, შემისრულდა“




### „დღის პირველი ნახევარი რეპეტიციაზე ვიყავი, მეორე ნახევარი - პანაშვიდზე“

ნიკამ წარმოუდგენელი რამ მოიყვა. სახლში დედა ესვენა, ის კი ყოველდღე რეპეტიციებს ატარებდა. ამას რამხელა ძალა სჭირდება... არაამქვეყნიური რამაა. დედის გარდაცვალების მეორე დღეს პატრიარქის აღსაყდრების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მუსიკალურად უხელმძღვანელა. კონცერტი მთლიანად მასზე იყო აწყობილი. სხვანაირად არ შეეძლო. ნიკას ინაუგურაციის მოხსნაზე იყო საუბარი, რადგან ის დედის დაკრძალვის დღეს ემთხვეოდა. მაგრამ მუსიკოსმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ ის ამ დღეს ორკესტრს უდირიჟორებდა, მხოლოდ შეცვლილი რეპერტუარით და პირველ რიგში დედისთვის. სადღესასწაულო უვერტიურების ნაცვლად, რაჭველმა, ამ მისთვის მძიმე დღეს, გია ყანჩელის მეშვიდე სიმფონია შეასრულა, რომელსაც „გამოთხოვება“ ჰქვია.

„დედას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, მე თუ შენი დედა ვარ და მამაშენი იყო შენი მამა, შემოქმედებაში შენი მშობელი უდაოდ გია ყანჩელიაო. დედაჩემი ხარობდა გია ყანჩელის ჩემს ცხოვრებაში არსებობით. ალბათ, ყველაზე ზუსტი გადაწყვეტილება იყო, რომ დედა სწორედ გია ყანჩელის მუსიკით გავაცილე. არ დამავიწყდება ის, რაც კონცერტის დასასრულს მოხდა. მე რომ ტაშის დროს თავის დასახრელად გამოვედი, დარბაზში ყველას ანთებული სანთელი ეჭირა ხელში. ეს კადრები სიცოცხლის ბოლო წუთამდე მემახსოვრება. ზუსტად ვიცი, დედა კონცერტს ესწრებოდა“.




**- როგორ შეძელი კონცერტის ჩატარება?**

- არ ვიცი, უფრო რთული იყო რეპეტიციებზე სიარული, ეგ როგორ შევძელი. როდესაც ქირისუფალი ხარ, ის პერიოდი ამით ცხოვრობ. უცნაურად მქონდა გაყოფილი დღე, დღის პირველი ნახევარი რეპეტიციაზე ვიყავი, მეორე ნახევარში პირდაპირ პანაშვიდის დროს მოვდიოდი სახლში. პანაშვიდის დასრულების მერე სამზარეულოში ვიჯექი და ვმეცადინეობდი. შინაგანად ძალიან ძლიერად ვიყავი. ვღელავდი ქირის სუფრაზე მისვლას როგორ შევძლებდი, რადგან სუფრის მერე გენერალური რეპეტიცია მქონდა, მერე კი კონცერტი. რეპეტიციის და კონცერტის დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს, ემოცია საერთოდ არ გამაჩნდა. თითქოს ცივსისხლიანი ვიყავი. ემოცია შიგნით იყო, მაგრამ ცნობიერებამ ეს ვერ აღიქვა. იცით, რას მივხვდი, ჩემი ცხოვრება ბავშვობის ასაკიდან ორად გაიყო - ცხოვრება საზოგადოებაში და ცხოვრება სახლში. საზოგადოებრივმა სახლის ცხოვრებას აჯობა. დედა მუდამ ჩემ უზარმაზარ დეფიციტს განიცდიდა. გასტროლები, კონცერტები და მასთან ურთიერთობას ვერ ვახერხებდი. ძალიან მინიმალურ დროს ვუთმობდი, რასაც ახლა არანორმალურად განვიცდი და ვნანობ. ეს გაჰყვა მის გარდაცვალების პერიოდსაც. იქაც, ღვთის ნებით, დროს შემოქმედებით გზას ვუთმობდი და გარდაცვლილსაც ვაკლებდი ყურადღებას. ამ ყველაფერს მეორე ხედვა აქვს: რა გაუხარდებოდა? მას გაუხარდებოდა ის, რომ მე წარმატებული ვყოფილიყავი. დედები არიან ერთადერთნი, ვისაც შეუძლია შვილს ყველაფერი აპატიონ. მჯერა, რომ დედა ყველაფერს მაპატიებს... მე მინდა საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც ამბობდა - დედა მკვდარი ჰყავს, რა ეკონცერტებოდაო, მივმართო, რომ ტოლერანტულად შეხედოს ჩემ გადაწყვეტილებას. კონეცერტი ჩემთვის გართობა არ არის. შეიძლება მსმენელისთვისაა კონცერტი გართობა. თუმცა ამას კლასიკურ მუსიკაზე ვერ იტყვით. მუსიკა ჩემთვის სიცოცხლის ძალა და ცხოვრების არსია, პროფესიული ვალდებულებაა. ყველაზე მძიმე მომენტში შეიძლება ის შენთვის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყოს. 25 დეკემბერს პატრიარქთან დაკვრა და 28-ში იმ შეცვლილი რეპერტუარის შესრულება ჩემთვის წყალივით საჭირო იყო და მიხარია, რომ ისე მოხდა, როგორც ალბათ ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო.

ბავშვობაში დედა მიმღეროდა „იავნ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი და გულწრფელი აღიარება









„დედას ჩემი ხელით მოვხსენი სუნთქვის ნიღაბი. მივხვდი, რომ მტოვებდა და მინდოდა ჩემი იქ ყოფნით ძალა მიმეცა, რომ შიში არ ჰქონოდა“

„ბავშვობის შთაბეჭდილება მარადიულად რჩება სულში და ამიტომ, ალბათ, ჩემს შემოქმედებას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება სევდა და ტკივილი“

EXCLUSIVE

ანას“ თავისი დაწერილი ტექსტით. მინდა ჩემი მისდამი მიძღვნილი დიდი სიმფონიური ნაწარმოების მთავარი თემა ეს იყოს. ჯერჯერობით არ გამომდის. რამდენჯერმე მივუჯექი ინსტრუმენტს მუსიკის დასაწერად და ფიქრი დავიწყე, მაგრამ ამას დრო და სხვა გააზრება უნდა. როდესაც მუსიკა მიკარნახებს, საით უნდა წავიდე და გონება მხოლოდ შემსრულებელი იქნება, მაშინ დავასრულებ მასზე მუშაობას.

### დაბრუნება

**- როგორ დაიწყო ეს წელი შენთვის?**

- სამ მარტს „ივანანას“ ათი წლის იუბილეს მუსიკალურად ვუხელმძღვანელე. 4 მარტს შეერთებულ შტატებში გავემგზავრე, სადაც ანიტა რაჭველიშვილთან ერთად ახალი პროგრამა წარმოვადგინეთ. საერთაშორისო ტური გვქონდა. აპრობაცია სწორედ ნიუ-იორკელი მაყურებლის წინაშე გავიარეთ - დასავლეთი როგორ მიგვიღებდა. კარგი გამოხმაურება გვქონდა. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ანიტას, როგორც საოპერო მომღერლის გვარი დიდ ინტერესს იწვევს, შედგება ამ პროგრამის პრეზენტაცია. დაგეგმილია პროგრამის დისკზე ჩაწერა და საერთაშორისო გამომცემლობის მიერ გამოცემა. უკვე ვიცით, 2015-2016 წლებში სად გვექნება კონცერტები. აგრეთვე ლოს ანჯელესში ოფიციალური შეხვედრა მქონდა წამყვან მუსიკალურ პროდიუსერთან ბობი ქოლუმბისთან, რომელთანაც მომავალი თანამშრომლობის შესახებ ვისაუბრეთ. ის კრის ბოტის პროდიუსერია. ჩემ საერთაშორისო კარიერასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რჩევები მომცა.

შემდეგ იყო ტურნე ნინო ქათამაძესთან და ჩვენი ორკესტრის ლითონის ჩასაბერი საკრავების მუსიკოსებთან ერთად უკრაინის იმ ქალაქებში, სადაც ოპერის თეატრებია. დაუვიწყარი და ძალიან ემოციური კონცერტები ჩავატარეთ. რამდენიმე დღე ოდესაში დავრჩი. თბილისიდან ველოდებოდი - თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რეაგირებას მოახდენდნენ თუ არა საბიუჯეტო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით ჩვენი ცენტრის უკვე სასოწარკვეთილ თხოვნაზე. შემდგომი მუშაობის ზუსტი სტრატეგია მქონდა შემუშავებული. კარს მომდგარი იყო ფესტივალი... ამასობაში თბილიდან მაცნობეს, რომ საქართველოს მთავრობამ ჩვენი ორკესტრის ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. მეც გახარებული დავბრუნდი. ფესტივალისთვის განახლება გავუკეთე ყველა იმ სოლისტსა და დირიჟორს, ვინც მაის-ივნისის თვეში მოწვეული მყავდა და ვაცნობე, რომ ფესტივალის ჩატარებას უკვე საფრთხე არ ემუქრებოდა.

**- როდის მიიღეს ბიუჯეტის გაზრდის გადაწყვეტილება?**

- აღდგომის წინა დღეებში, მთავრობის სხდომაზე, პრემიერის ინიციატივით რიგგარეშე განხილვა შედგა. მე როგორც ვიცი, პრემიერ-მინისტრმა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელს უსაყვედურა კიდეც - თუ რატომ მივიდა საქმე იქამდე, რომ იძულებული გავხდი ასეთი გულდაწყვეტილი განცხადება გამეკეთებინა სოციალურ ქსელში. კულტურის სამინისტრომაც ირეაგირა.

**- ნიკოლოზ, ვინც არ იცის იმისთვის განვმარტოთ, რას ითხოვდი კულტურის სამინისტროსგან და რა იწვევდა შენ უკმაყოფილებას?**

- ჩვენ - ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრი - ვითხოვდით, ჩვენი ხელფასების საქართველოს სხვა მოქმედი ორკესტრების წევრთა ხელფასებთან გათანაბრებას. ჩვენ ქალაქში სამი ორკესტრი მოღვაწეობს. ესენი არიან - 90 წლის ისტორიის მქონე ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრი (რომელსაც მე ვხელმძღვანელობ), 20 წლის ისტორიის მქონე თბილისის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც ვახტანგ კახიძე ხელმძღვანელობს და ოპერის თეატრის ორკესტრი, რომლის უპირველესი ამოცანა ოპერისა და ბალეტის სპექტაკლების თანხლებაა, თუმცა, ცხადია, სიმფონიური კონცერტების გამართვაც. ბოლო ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ სახელფასო დანამატით, თეატრების მსგავსად, ორკესტრებსაც ეხმარებოდა, თუმცა ჩვენი ორკესტრის გარდა. როგორც აღმოჩნდა, ფონდის სახელოვნებო კომისიაში იყვნენ ის ადამიანები, მათ შორის ჩვენი კოლეგებიც, ვისაც ჩვენი ორკესტრის წარმატება არ სურდათ. პრემიერ-მინისტრობის დროს ბატონ ბიძინა ივანიშვილს მე, ნატო მეტონიძე და ლიზა ბაგრატიონი პატრიარქთან სტუმრობისას გავესაუბრეთ და აღმოჩნდა, რომ შეცდომაში იყო შეყვანილი და იცოდა, თითქოს ჩვენ ვიღებდით ფონდიდან დახმარებას სახელფასო დანამატების სახით. ძალიან გაუკვირდა, სიმართლე რომ შეიტყო. სამი წლის წინ, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, სახელმწიფო სახელოვნებო ორგანიზაციათა მიმართვების საფუძველზე ფონდმა თეატრებთან ერთად იმ ორი ორკესტრის დაფინანსებაც შეაჩერა. სახელმწიფო ბიუჯეტმა კი მათ სანაცვლოდ დაუმატა დაფინანსება. ჩვენ კი სახელმწიფომ არ დაგვიმატა ხელფასები და ჩვენ კოლექტივსა და იმ ორ კოლექტივს შორის ხელფასების კუთხით პრინციპული სხვაობა გაჩნდა, ჩვენი ორკესტრი სხვებთან შედარებით ძალზედ დაბალანაზღაურებადი დარჩა. მაშინაც ბევრი ვიდავე, საქმე იქამდე მივედა, რომ გადადგომის შესახებ განცხადება დავწერე. შემხვდა პრეზიდენტი, დამარწმუნა დარჩენა და გამოყო თანხა ორკესტრისათვის ინსტრუმენტების შესაძენად, ხოლო საბიუჯეტო სახელფასო დანამატის ჩვენთვის გამოყოფა არ დასცალდა, რადგან არჩევნებში მისი პოლიტიკური პარტია დამარცხდა. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე კულტურის სამინისტროში დავიწყეთ სიარული, რომ ეს უსამართლობა გამოსწორებულიყო. მაგრამ რატომღაც, იქ ჩემი წინა წლების დროს მიღწეული წარმატებები მიიჩნიეს, რომ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. ახლა ვგრძნობ, რომ ზოგიერთ მაღალჩინოსანს გარკვეული დრო დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ მე არც ერთი პოლიტიკური პარტიის დამსახურებით არ ვუყვარვარ ჩვენს საზოგადოებას, რომ არანაირი კავშირი ჩემ შემოქმედებით წარმატებასთან პოლიკურ პარტიებს არ გააჩნიათ. ყოველთვის ვიხსენებ, თუ როგორ ვუყვარდი ზვიად გამსახურდიას, თითქმის ყველა ჩემს კონცერტს ესწრებოდა. მახსოვს, პირველად რომ მომისმინა, 10 წლის ასაკში ხელში ამიყვანა და ასე დამატარებდა ფილარმონიის დარბაზის კულისებში. ყოველთვის ვგრძნობდი პატივისცემასა და უთბილეს დამოკიდებულებას ედუარდ შევარდნაძის მხრიდან. მისი დანიშნული სტიპენდიით სუდლგმულობდა ჩემი ოჯახი საერთო გაჭირვების დროს. თავადვე გამოსცა განკარგულება, რომ ჯარში არ წავეყვანე. ასეთივე პატივისცემას და აღიარებას ვგრძნობდი მიხეილ სააკაშვილისგანაც. მას მოსწონდა, რასაც ვაკეთებდი და ცდილობდა დიდი შემოქმედებითი პროექტები მუსიკალურად მე გამეფორმებინა. ასე იყო ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემთხვევაში და შემდგომაც, როდესაც ჯერ „ქეთო და კოტეს“, მოგვიანებით კი „ვერის უბნის მელოდიების“ ახლებური საორკესტრო ვერსიების შექმნა დამიკვეთა. დარწმუნებული ვარ იგივე განწყობა აქვს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას, როდესაც საქართველოში წარმატებულ შემოქმედებით ღონისძიებას ვახორციელებ. და ახლაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ჩემი, როგორც მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის, პირველი ოფიციალური შეხვედრის დროს პატივისცემა და თანადგომა მკაფიოდ ვიგრძენი.

**- როგორ რეაგირებდი, როდესაც შენზე ამბობდნენ, ნაციონალების მუსიკოსიაო?**

- ვინც ამას ამბობდა, როგორც ჩანს, არასოდეს ჩემს კონცერტს არ დასწრებია. ცხადია მსგავსი შეხედულება გულს მწყვეტს, რადგან დიდ სიყვარულს განვიცდი ყოველი ჩემი მსმენელის მიმართ და მინდა მათაც იგივე განცდა ჰქონდეთ ჩემი მისამართით. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ის, ვინც პოლიტიკური ნიშნით მაფასებს, ძალიან ცოტაა. ციხის კადრების დროს, სანამ „ვერის უბნის მელოდიებს“ მოვხსნიდი, ასობით წერილს ვიღებდი, სიყვარულით მოწერილს და თხოვნით - გამეჩერებინა სპექტაკლი. ასეც მოხდა. მეორე დღის ბოლოს შევუერთდით მომიტინგეებს. და მაინც, მაშინაც და დღესაც ყველა კუთხეში, ყოველ წამს, ყველა ასაკის ადამიანებისგან ვგრძნობ სიყვარულს. ახლა უკვე ხშირად მიწევს საბურთალოს სასაფლაოზე შერბენა, სადაც მესაფლავეები და საფლავის მომვლელები ისე არ გამატარებენ, განსაკუთრებული სითბო რომ არ გამოხატონ ჩემ მიმართ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. არასოდეს მექნება იმის უფლება, რომ ამ ადამიანებს, ჩვენ ხალხს ვუღალატო.

სახელმწიფო სტრუქტურას (როგორიცაა ჩვენი მუსიკალური ცენტრი) მთავრობასთან თანამშროლობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის მოუწევს. ორკესტრიც და კაპელაც სახელმწიფოს ეკუთვნის. ჩემ პოზიციაზე მყოფმა ხელოვანმა კი ყველა დროის ხელისუფლება იმაში უნდა დაარწმუნოს, რომ ჩვენი საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მნიშვნელოვანი და აუცილებელია. პოლიტიკას რაც შეეხება, მე მხოლოდ ერთი აპოლოგეტი მყავდა. უმაღლესში სწავლის დრო რომ დამიდგა, დედამ ზურაბ ჟვანიას მიმართა. მან იმდროინდელ ბიზნესმენებთან გვიშუამდგომლა, რომ ვენაში ჩემი სწავლის პერიოდში ჩემი საცხოვრებელი და საჭმლის ფული დაეფინანსებინათ. ოჯახებით დავმეგობრდით. „ვარდების რევოლუციის“ მერე, მე, ვენაში სწავლა-განათლება მიღებულს, ბატონმა ზურაბმა საქართველოში დაბრუნება მთხოვა, უნდოდა ჩემი განათლება ჩემი ქვეყნისთვის მომეხმარა. დარწმუნებული ვარ, რომ დასცლოდა, არც რკინიგზელთა სახლის შენობა, რომელიც მისი წყალობით დღეს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს ეკუთვნის, დარჩებოდა უყურადღებოდ. ჩემი დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში ის გარდაიცვალა. პირველყოვლისა მისი პოლიტიკური ნიჭი და ინტელექტი საქართველოს დააკლდა, მაგრამ ასევე ძლიერად დააკლდა კულტურას და ჩვენს მუსიკალურ ცენტრს. ძლიერი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე კი, როგორც ადრე მოგახსენეთ, ძნელია კლასიკურმა მუსიკამ ისულდგმულოს.

**- ბიუჯეტის გაზრდაზე თანხმობა რომ არ მიგეღო, მართლა ფიქრობდი საქართველოს მიტოვებასა და ევროპაში ან ამერიკაში დარჩენას?**

- ცხადია ასე იოლად ვერ ვუღალატებდი ჩემთვის ძვირფას მუსიკოსებს, ორკესტრის წევრებს, რომლებიც და-ძმებივით, შვილებივით და მშობლებივით მიყვარს. დედის გარდაცვალებამ შინ ყოფნის პასუხისმგებლობა მომიხსნა, ასეთ დროს ადვილია მიიღო გადაწყვეტილება და გადასახლდე დედამიწის ნებისმიერ წერტილში. თანაც ჩემი სპეციალობითა და შემოქმედებითი ისტორიით. იმ განცხადებაში ორი გზა მქონდა აღნიშნული, ან აღარ უნდა დავბრუნდე, ან უნდა ვიბრძოლო-მეთქი. ამ განცხადებას მოყოლილმა შედეგმა მაგრძნობინა, რომ მუსიკალური ცენტრი არ უნდა მივატოვო. მით უფრო ახლა, როდესაც არჩევნების წესით დამტკიცებული სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ და არა რომელიმე მინისტრის დანიშნული, როგორც ეს ადრე ხდებოდა. როცა ნდობის მანდატი გამომიცხადა ორკესტრის სრულმა უმრავლესობამ და სამხატვრო საბჭომ, რომელშიც გია ყანჩელი, პაატა ბურჭულაძე, ლექსო თორაძე, სოსო ბარდანაშვილი და შალვა მოსიძე შედიან. ბუნებრივია, ჩემი გადაწყვეტილება არ ნიშნავს იმას, რომ მე უარს ვამბობ დასავლეთში ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების გაგრძელებაზე. ეს ერთმანეთთან თანაბარი შეთავსებით მოხდება. ვეცდები ორკესტრის შემოქმედებითი ცხოვრება ისე დავგეგმო, რომ პერიოდულად საკომპოზიტორო შემოქმედებისთვის მქონდეს დრო, რათა ვიმუშაო ახალ ნაწარმოებებზე. ამ პერიოდში კი ორკესტრს მაღალი რანგის მოწვეული დირიჟორები დირიჟორობდნენ, როგორც ეს ცივილიზებულ საკონცერტო სამყაროში ხდება.

17 მაისს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრი საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს ხსნის, რომელსაც „ჩელოს სეზონი“ ჰქვია. ფესტივალს რუსთაველის თეატრი მასპინძლობს, რადგან მუსიკალური ცენტრის შენობა უკიდურესად დაზიანდა და ექსპერტთა შეფასებით იქ ყოფნა სასიცოცხლოდ საშიში გახდა. ორკესტრმა პრემიერ-მინისტრს წერილით მიმართა. პრემიერი შეტყობინებას მყისვე გამოეხმაურა და ნიკოლოზ რაჭველს შეხვდა. გადაწყდა, რომ არქიტექტორთა ჯგუფი პროექტს გააკეთებს, რის მერეც გახდება ცნობილი, რა თანხები იქნება მის გასაკეთებლად მოსაძიებელი.

**- შენი ცხოვრების ამ პერიოდს რას დაარქმევდი?**

- ნავსის გატეხვას. პირველად ვარ სხვაგვარად დამოუკიდებელი. ბოლომდე მეამაყება სიმფონიური ორკესტრის დღევანდელი შემადგენლობა. ძალიან მეამაყება სამხატვრო საბჭო! ახლაც კი ვიგრძენი, რომ სახელმწიფო გვერდში უდგას იმ საქმეს, რასაც მე და ჩემი გუნდი ვემსახურეთ. კულტურის სამინისტროსთანაც კონსტრუქციული მუშაობის, ურთიერთ თანამშრომლობის ჯანსაღ რეჟიმზე გადავედით. ჩავთვალეთ, რომ წყენებისა და გაუგებრობების გადავიწყება საქმისთვისაა უპირველ ყოვლისა სასარგებლო.

**- ცხოვრება რა არის?**

- მუსიკაა.

**- სიყვარული?**

- სიყვარული - ცხოვრებაა. ცხოვრების ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, შეყვარებული ისევ და ისევ არ გახლავართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის დრო მოვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს მუსიკაში გაჩნდება რომანტიკული ნოტები, რაც, ალბათ, ახალი ნავსის გატეხვა იქნება.

**„მე მინდა საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც ამბობდა - დედა მკვდარი ჰყავს, რა ეკონცერტებოდაო, მივმართო, რომ ტოლერანტულად შეხედოს ჩემ გადაწყვეტილებას. კონცერტი ჩემთვის გართობა არ არის. 25 დეკემბერს პატრიარქთან დაკვრა და 28-ში იმ შეცვლილი რეპერტუარის შესრულება ჩემთვის წყალივით საჭირო იყო და მიხარია, რომ ისე მოხდა, როგორც, ალბათ, ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თინა მახარაძე - კომპლექს

**my View**
თამარ გონგაძე



„ჩემს ბიჭს ძალიან ვევასები ისეთი, როგორიც ვარ. გაოგნებულია გამოხმაურებებით, რა გაუკვირდათ, რა თქვი ახალიო. ეგეთი სიბნელეც არ მეგონა ამ ქვეყანაშიო. გიომ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ვილაცები აზრზე მოეყვანა“

**ვერ მიტანენ, მაგრამ მაინც სულ მისმენენ, ჩემი სიტყვები ზეპირად იციანო, თინა მახარაძემ მითხრა. გამოსვლების გამო დიდმა ნაწილმა გაკიცხა, დაკომპლექსებულ გოგონად მოიხსენია, მეორე ნაწილმა გაიხარა, ძლივს ვილაცამ ხმამაღლა გაბედა იმაზე ლაპარაკი, რაზეც აქამდე საჯაროდ ვერავინ საუბრობდაო. მახარაძემ ორალური სექსის მოყვარული გოგონას იარლიყი მიიკრა. „გოგონამ გარეუბნიდან“ რებრენდინგი განიცადა. თუმცა, თვითონ ასე არ თვლის: „არანაირი რებრენდინგი არ განმიცდია, ყოველთვის ასეთი გათახსირებული და საძაგელი ვიყავი. აი, სიტყვა ბოზის რებრენდინგი კი მოვახდინე, გავბრენდე“. თავს „კაი ტიპად“ თვლის. აქვს სამოსის ხაზი, რომელსაც „კაი ტიპები“ იცვამენ. ხაზს „მემე არტისანია“ ჰქვია. მალე მაღაზიის გახსნას გეგმავს. ნაჭუჭში ჩაკეტვას არ აპირებს, კიდევ ბევრი „საგანმანათლებლო“ თემების წამოჭრას გეგმავს. თემებს რა გამოლევსო, ამბობს. იცის, რომ ძირითადად სუსტი სქესი „ერჩის“, ეს აოცებს, რადგან როგორც ამბობს, ამ სატელევიზიო ინტერვიუებით მათი კეთილდღეობისთვის საუბრობს. „ქრისტე ამბობს, ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინოს. მე გამოვედი და ხმამაღლა ვთქვი, ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინოს. კიდევ ბევრი რამის თქმას ვაპირებ. ალბათ, დროთა განმავლობაში ჩემი ნათქვამები შედეგს გამოიღებს“, - ამბობს თინა.**

### კაი ტიპი

**- სულ დროის დეფიციტი გაქვს. სერიალის გარდა რას საქმიანობ?**

- ბევრ რამეს ვარ მოდებული. ჩემს სახელოსნოში ძალიან საინტერესო პროდუქტს ვქმნით, არამხოლოდ საქართველოსთვის. დაინტერესებაა უცხო ბაზრიდან, განსაკუთრებით ხელნაკეთ სამკაულებზე. კონტაქტები მაქვს, კომუნიკაბელური ვარ და უცხოელებთან ადვილად გამომდის ურთიერთობა და საერთო ენის გამონახვა არ მიჭირს. სახელოსნოში მე ვარ კრეატორი და კონცეფციის ავტორი. მყავს ორი არაჩვეულებრივი მხატვარი, სოფო კირთაძე და ზურა მჭედლიშვილი. აბსოლუტური ვირტუოზები არიან და შედევრებს ქმნიან. ეს არის ისეთი სახის გრაფიკა და ფერწერა, რასაც შეიძლება საგამოფენო სივრცეში შეხვდე. ამ შემთხვევაში მასალა, რაზეც იხატება - ტანსაცმელია. სამი წლის წინ პირველები ვიყავით, ვინც ხელნახატი ტანსაცმლის ხაზი შექმნა, მერე მოგვყვა ბევრი მიმბაძველი. ტრენდებს ჩვენ ვავრცელებთ, რომელსაც მერე იტაცებენ. გვაქვს სლოგანი - „ამაყები ვართ, რომ ვქმნით, ამაყები ვართ, რომ გვაცვია“. ჩვენმა მომხმარებელმა თვითონ გააჟღერა ფრაზა - „კაი ტიპებს აცვიათ მემე“. ჩვენ თუ გვაცვია მემე, ეს ნიშნავს, რომ ერთი რამ გვაერთიანებს, ერთნაირი გემოვნება გვაქვს. შენიანს რომ ცნობ „მემეს“ ლოგოთი, ეს ნიშნავს, რომ „კაი ტიპებს გვაცვია მემე“. მე ყოველთვის ჩემი შექმნილი ტანსაცმელი მაცვია და ჩემი შექმნილი სამკაული მიკეთია. იმ გახმაურებულ გადაცემაში მეკეთა სამკაული - „კაი პონტი“. ხუმრობდნენ - მემეს ილუმინატების სიმბოლო ეკეთაო. ჩემს სამკაულებს ჰქვია „მემეს ვერცხლის სიტყვები“. ოქროს სიტყვები ხომ გვაქვს, მე დადებითი ენერგეტიკის მატარებელ ქართულ სიტყვებს, რომლებსაც სამკაულების დასამზადებლად ვიყენებ, ასე დავარქვი.

**- ვინ არიან კაი ტიპები ანუ შენი მომხმარებლები?**

- ადამიანები, რომლებიც კარგ მუსიკას უსმენენ, ადამიანები, რომლებიც აზროვნებენ, სხვა პრიორიტეტები აქვთ ცხოვრებაში და ისინი, ვისთვისაც იდეა, თავისუფლება, თვითგამოხატვა და დეტალებში აღქმული ესთეტიკა მნიშვნელოვანია. ისინი, ვისაც უნდა ექსკლუზიური, მხოლოდ ერთ ეგზემპლარად დამზადებული ნამუშევარი ეცვას. კოლექციებზე ახლა ვიწყებთ მუშაობას. ახალ კოლექციაში ტანსაცმელსაც თვითონ შევქმნით. მანამდე აქცენტი მხატვრობაზე და კონცეფციაზე გვქონდა. ექსპერიმენტი რომ ჩავატარეთ, აღმოჩნდა, რომ ტანსაცმლის შექმნაც არაჩვეულებრივად გამოგვდის.

„სასაცილოა, ისეთი პრიმიტიული წინადადებებით, როგორითაც მე ვილაპარაკე, ყველაზე დიდი სელებრიტი რომ გახდები. ეს კიდევ უფრო მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან ძალიან ბნელა“

„ჩემი ტიპის ფორმირებაში რუსთავმა დიდი როლი ითამაშა. მე ძველ რუსთავში დავიბადე-გავიზარდე და ეზოებში დავრბოდი. ძველი აფთიაქის სუნს ვსუნთქავდი მთელი ჩემი ბავშვობა. ამის გამო გემოვნება ბევრად დამეხვეწა“

**- სიტყვა კაის ხშირად ხმარობ?**

- როგორც უკვე ბევრჯერ ვთქვი, ჩემი აზრით, სლენგი და ჟარგონი კარგი ასახვა იმისა, როგორ ვითარდება ერი. კაი - ასე ტრანსფორმირდა თანამედროვე ქართულ სალაპარაკო ენაში ეპითეტი „კარგი“ ანუ ჩვენთვის ტიპური და დამახასიათებელი მეტყველების მანერაა. კაი გამოხატავს კონკრეტულ განწყობას. მიყვარს ასეთ სიტყვებს როცა ვიყენებ. კაი იმ მუღამს ზუსტად გამოხატავს.

**- თვითონ კაი ტიპი ხარ?**

- რატომაც არა, მე ვთვლი, რომ მე კარგი ტიპი ვარ. ამას საკუთარ თავში დარწმუნებული ვამბობ. ბევრი დებილური თვისებაც მაქვს. თვითკმაყოფილი იდიოტი არ ვარ, პირიქით, ძალიან თვითკრიტიკული ვარ. ეს მუშაობაში მიშლის ხელს. როგორც მსახიობმა და პროფესიონალმა ვცდილობ, ნაკლებ ემოციურად ვისაუბრო. ხშირად ზედმეტად გულწრფელი ვარ. ამის მიუხედავად, ვთვლი, კაი ტიპი ვარ, პირველ რიგში იმიტომ, რომ არ მიყვარს ადამიანების განკითხვა, ჭორაობა. მაქვს საკუთარი ცხოვრება და სხვისი ცხოვრებით არ ვინტერესდები. მინდა ადამიანებმა თავისუფლად და ბედნიერად ვიცხოვროთ, ვიყოთ ზრდილობიანები, ღიმილიანები, მოვუფრთხილდეთ ჩვენს სივრცეს და პატივი ვცეთ სხვისას.





თინა და გიორგი






### კომპლექსები

**- გულწრფელობის გამო გინანია?**

- არასდროს არაფერს ვნანობ. რაც მოხდა და ითქვა, საჭირო იყო.

**- ინტერვიუების დროს არ თამაშობ?**

- ბოლომდე გულწრფელი, როგორიც დილით საწოლში ვარ, ვერ ვიქნები ადამიანებთან. არის რაღაც, რაც ძალიან მაღიზიანებს, მაგრამ ვცდილობ აგრესია ნაკლებად გამოვხატო, დავწმინდო ემოცია. ამ დროს არ ვარ გულწრფელი, კონფორმიზმისკენ ვიხრები. კომფორმიზმი კი ძალიან სახიფათო და დამღუპველია. ვილაცას ტაქტიანად და შეფარვით ვუთხრა რაღაც, მიშლის ხელს ვიყო იმდენად მართალი, რამდენადაც მინდა. წინასწარ არ ვფიქრობ იმაზე, რა ვთქვა. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველას უყვარდე.

**- ეს არ გინდა?**

- არ მინდა ყველას ვუყვარდე. ჰომოფობი რომ გამოდის ქუჩაში და ვილაცას თავში ტაბურეტს ურტყამს, არ მინდა მას ვუყვარდე. ჩვენ შორის მკაცრი მიჯნა უნდა იყოს. კარგი იქნება ასეთი ადამიანები საერთოდ არ იყვნენ, მაგრამ მსოფლიოში ყველა ტიპის ადამიანი არსებობს. არ ვამბობ, რომ ყველაზე კარგი ვარ, ჩემზე ბევრად მართლები და ჭკვიანებიც არსებობენ, რომლებიც არ საუბრობენ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებებზე და მართლა შეუძლიათ ახალი თქვან. მე ჯერჯერობით ახალი არაფერი მითქვამს, საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება ვთქვი, რომელიც საქართველოში მიუღებელი აღმოჩნდა. ადამიანი თუ სიძულვილის ენას არ იყენებს, მაშინ აქვს უფლება თქვას, რასაც ფიქრობს, თუ ამით სხვას მორალურ შეურაცხყოფას არ აყენებს. ზღვარი მორალურ შეურაცხყოფასა და მორალურ თავისუფლებას შორის ჩვენთან არასწორად არის გავლებული. აქ ამბობენ, რომ არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირებს არ აქვთ უფლება გამოვიდნენ და საჯაროდ გამოხატონ სიყვარული. არადა მათ აქვთ ამის უფლება, მათი ქმედება სიძულვილის ენას არ შეიცავს. სიყვარული პროპაგანდით არ გადადის. ლატენტურ ადამიანებს ეშინიათ სიმართლის. სიმართლის და სიახლის.

**- შენ რისი გეშინია?**

- სიკვდილის მეშინია, ოღონდ არა საკუთარის და რატომღაც ბამბას ვერ ვეკარები. ბამბის მინიმალურ შეხებაზეც ცუდად ვხდები. სხვა რამე ფობია არ მახსენდება.

**- რისი კომპლექსი გაქვს?**

- ჩემი ზედმეტი თვითკრიტიკულობა კომპლექსია, მაგრამ ზოგადად მე რომ ჩავუღრმავდე, რა კომპლექსი მაქვს, მაშინ ჩემი ცხოვრება, ჩემ გარეშე, გვერდით ჩამივლის. ვცდილობ, მარტივად ვიცხოვრო. უნდა გავთავისუფლდეთ კომპლექსებისგან, რომ ჩვენი კომპლექსების გამო სხვები არ გვძულდეს.

**- ცნობილი რომ ხარ ქუჩაში, არ გაკომპლექსებს?**

- კი, ეს ხელს მიშლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაში. თუ ძალიან არ მეჩქარება, ტაქსში პრინციპულად არ ვჯდები. როცა ძალიან ბევრი ადამიანი მიყურებს, ვიძაბები. რიგში თუ ვდგავარ და „შენ ვინ დაგაყენა რიგში, ურიგოდ გაიარეო“ მეუბნებიან, ძალიან მაკომპლექსებს. ჩემთვის მოქალაქეობრივი თვითშეგნება მნიშვნელოვანია. რიგი ყველამ უნდა დავიცვათ და მსგავსი სამოქალაქო და პიროვნული ვალდებულებები ყველამ უნდა შევასრულოთ გამონაკლისის გარეშე. შეიძლება, არ უნდა მძაბავდეს ყურადღება, მაგრამ მძაბავს და შეიძლება ესეც, გარკვეულწილად, კომპლექსია.

**- თინა გლდანელია და უნდა გლდანელის კომპლექს გაექცეს და ამიტომ გამოდის ასეთი განცხადებებითო, ამბობენ.**

- საინტერესო ინფორმაციას მაცნობთ. მეტსაც გეტყვით, რუსთავში დავიბადე და მეშვიდე კლასამდე იქ ვცხოვრობდი. მიყვარს რუსთავი თავისი ბათქაშჩამოყრილი ძველი სახლებით. ჩემი ტიპის ფორმირებაში რუსთავმა დიდი როლი შეიტანა. მე ძველ რუსთავში დავიბადე-გავიზარდე და ეზოებში დავრბოდი. ძველი აფთიაქის სუნს ვსუნთქავდი მთელი ჩემი ბავშვობა. ამის გამო გემოვნება ბევრად დამეხვეწა და ფაქიზი ნიუანსების შეგრძნება შემიძლია. მიყვარს ბაძუნგალა ჯიხურები, სადაც გაცრეცილკოლოფიანი „ვაისროი“ იყიდება.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იანი გოგონა გარეუბნიდან



ამაში სულ სხვა ესთეტიკას ვხედავ.

**- ხარ გოგონა გარეუბნიდან?**

- ხო, გარეუბანში ვცხოვრობ. სხვა ადგილებშიც მიცხოვრია. ჩემი ოჯახი ცხოვრობს გლდანში და დროის დიდ ნაწილს იქ ვატარებ. დიდი პერიოდი ვცხოვრობდი სხვაგან, ჩემთვის, დამოუკიდებლად. ლოკაციას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ძალიან მიხარია, რომ გლდანში ვცხოვრობ. ეს იმხელა სიამოვნებაა, როდესაც დილას ჩემს აივანზე გავდივარ და ვხედავ თვითმფრინავები როგორ მოფრინავენ ერთნაირი, მაღალი შენობების თავზე. ირგვლივ ბევრი კორპუსია, აზერბაიჯანელი ქალი ბოსტნეულს ყიდის და მე შემიძლია ყოველდღე ჩავიდე მასთან. ჩემს უბანთან დაკავშირებით საინტერესო ფოტოპროექტს ვაპირებ. მინდა საინტერესო რამეები ვაკეთო იმ ადგილას, რომელ ადგილსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ლესელიძეზე ისედაც ბევრი საინტერესო დაწესებულებაა, გლდანში - არაფერი.




**„ძალიან მიხარია, რომ გლდანში ვცხოვრობ. ეს იმხელა სიამოვნებაა, როდესაც დილას ჩემს აივანზე გავდივარ და ვხედავ თვითმფრინავები როგორ მოფრინავენ, ერთნაირი, მაღალი შენობების თავზე. ირგვლივ ბევრი კორპუსია. ჩემს უბანთან დაკავშირებით საინტერესო ფოტოპროექტს ვაპირებ“**

### „ამის გამო ადამიანები ბოზები და გარყვნილები არ არიან“

**- თინა, რას იტყვი იარლიყის მოკრობაზე - ორალური სექსის მოყვარული გოგონა?**

- გააჩნია ვისგან მომეკრა ეგ იარლიყი. დღეს საქართველოში მე ვარ ფიგურა, ვისაც ყველა განიხილავს და განსჯის. თანამედროვე საქართველოს უახლეს ისტორიაში აქამდე ჯერ არ ყოფილა მსგავსი სკანდალური ქალი ფიგურა, რომელიც გამოვიდა, რაღაც თქვა და ამ ყველაფერს ასეთი ღაწვების ხოკვა მოჰყვა.

იმ ორმა პროცენტმა, ვისაც ერთნაირი გემოვნება და ფასეულობა გვაერთიანებს, გადასარევად იცის, რას ვლაპარაკობ. მათეროვნული გამოცდების გამსვლელი ქულები გადალახეს და წაკითხულ-მოსმენილიდან რაციონალური შინაარსის გამოტანა შეუძლიათ. იმ ადამიანების მოკერებული იარლიყი, ვინც ვერ გადალახეს ეროვნული გამოცდების გამსვლელი ქულები, არ მაღელვებს.

**- დედა შენით ამაყობს, შოუში თქვა. მამა მტკივნეული თემაა, მასზე არაფერს გვეტყვი?**

- მამაზე არ ვსაუბრობ. ის არის ყველაზე კარგი ადამიანი, ვისაც ვიცნობ. ცალკე პოზა მგონია, საკუთარ ტრაგიკულ ამბებზე სახალხოდ საუბარი. ვის მოვუყვე? ინტიმური თემაა. ინტიმური ხომ მარტო სექსი არ არის. ესეც იმდენად ინტიმურია, რომ მირჩევნია ჩემთან დავიტოვო.

**- სექსის ნაირსახეობაზე საუბარი არ იყო ინტიმური?**

- კარგით რა, ისევ იგივეს გამეორება მიწევს - მე არ მილაპარაკია საკუთარ სექსზე. მე ადამიანებს მარტივად ვუთხარი, რომ ეს არ ტეხავს! ამის გამო ადამიანები ბოზები და გარყვნილები არ არიან და ორალური სექსის გამო ჯოჯოხეთში არ მოვხვდებით-მეთქი.

**- როგორია შენი შეყვარებულის დამოკიდებულება საზოგადოების გამოხმაურების მიმართ?**

- ჩემს ბიჭს ძააან მოვწონვარ ისეთი, როგორიც ვარ. გაოგნებულია გამოხმაურებით, რა გაუკვირდათ, რა თქვი ახალიო. ეგეთი სიბნელეც არ მეგონა ამ ქვეყანაშიო. გიომ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ვილაცები აზრზე მოეყვანა. „სალვე“ - ჩემი შეყვარებულის კაფე არის ადგილი, სადაც თაობები გაიზარდნენ. მეც „სალვეს“ თაობა ვარ, ერთ-ერთი ყველაზე პატარა თაობა. ეს კაფე იმ დროისთვის უტოპიური მიზნებისა და იდეების სამშობიარო იყო, საიდანაც მერე ეს იდეები ხორციელდებოდა. დღეს თუ თბილისში რაიმე კარგი წერტილი არსებობს, „სალვეს“ ექოა. გიორგიმ თქვა, რომ დაიღალა, ბევრი აკეთა ამ ადამიანების სწავლებისგან. მე გადავწყვიტე, კაი ტიპად მხოლოდ საკუთარი თავისთვის და სამეგობროსთვის არ დავრჩენილიყავი და ჩემი აზრი მეთქვა საზოგადოებისთვის. ქრისტე ამბობს, ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინოს. მე გამოვედი და ხმამაღლა ვთქვი, ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინოს. ალბათ, დროთა განმავლობაში თავის შედეგს გამოიღებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვერ მიტანს, მაინც მისმენენ. ყველა ჩემი სიტყვა ზეპირად იციან. აინტერესებთ, აკრძალული ხილის ამბავია - აბა რა არის? ეშინიათ იმის დაშვება, იქნებ რამე სწორს ამბობს. ეს ერთხელაც დაუშვან და აგრესიით არ განეწყონ და მომისმინონ, მერე მიხვდებიან, რომ მათ ვიცავ. ჩემ მიმართ ქალებისგან მოდის აგრესია. ამ დროს მე ვიცავ ქალებს, ვინც შეიძლება მსხვერპლნი გახდნენ. ადამიანებს აუცილებლად ერთხელ არ გვიყვარს. შეიძლება შეუყვარდეს ერთი, მერე მეორე... ამის გამო ვილაცამ მაგრად გალანძღოს. მათ დასაცავად გამოვდივარ. კიდევ ბევრი რამის თქმას ვაპირებ.

**- რისი თქმა გაქვს დაგეგმილი?**

- დაგეგმილი არ მაქვს, უბრალოდ, არ ვაპირებ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას. ჩვენთან პრობლემატური თემები არ ილევა. წინასწარ განსაზღვრა რომ შემეძლოს, ამას შევაგდებ და ეს მოყვება-მეთქი, ისეთ თემებს შევაგდებდი, რომელიც ჩემ მიმართ მაგრად განაწყობდა საზოგადოებას. საქართველოში დადებით დამოკიდებულებას მეტი ფული და მეტი ცნობადობა მოაქვს. სულაც რომ ასეთი მერკანტილური ზრახვები მამოძრავებდეს, საქართველო ამ მხრივ მაინც არ მაინტერესებს.

### სელებრითი

„როდესაც ანონსი გავიდა, რომ „მე ჩემი ცოლის დაქალებში“ უნდა ვყოფილიყავი, ხალხისგან ძალიან პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. ზუსტად ერთ კვირაში გავიდა „მძიმე კაცთან ინტერვიუ“ და აბსოლუტურად შეიცვალა ჩემ მიმართ დამოკიდებულება. მე შემეძლო ჩემი როლით კიდევ უფრო დიდი სიყვარული მომეპოვებინა და ფურორი მომეხდინა ნეგატიური ბექგრაუნდი რომ არ ყოფილიყო“.

**- სერიალის ახალი სეზონის წინ გასაპიარებლად თქვა ასეთი ფრაზებიო, ამბობენ.**

- ეგ აბსურდულია. ერთ პერიოდს დაემთხვა უბრალოდ. ჩემი აზრით, „ფორმულა კრეატივისთვის“ უკეთესიც კი იქნებოდა, რომ მე ასეთი სკანდალური ფონი არ მქონოდა. საქართველოში ბევრად მეტად უყვარდებათ პერსონაჟი. ახლა, ამ ეტაპზე, როგორი დადებითი პერსონაჟიც არ უნდა ვითამაშო, კიდევ დიდი ხანი მაინც იმ გადაცემებს გაიხსენებენ. მე პრესაში სელებრითებზე აგებულ ისტორიებს არ ვკითხულობ. თუ ასეთი კაი ტიპია, რატომ აძლევს ინტერვიუებს ყვითელ პრესასო, შეიძლება თქვან. მე რომ ფსევდო კაი ტიპი და პოპულისტი ვიყო, ჩემს წრეში დავრჩებოდი და იქ ვიქადაგებდი იმას, რაც ყველამ ისედაც ძალიან კარგად იცის. მე თუ მართლა რაღაცის შეცვლა და ფართო მასებში სინათლის სხივის შეტანა მსურს, ზუსტად თქვენი საშუალებით უნდა ვისაუბრო. სწორი მესიჯები უნდა მივაწოდო ხალხს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. იმედია, ბევრ ადამიანს გადმოვიყვან სწორ, ადამიანურ და დემოკრატიულ რელსებზე. მე ყველა დაჩაგრულ ადამიანს ვიცავ. საქართველოში ქალები უამრავი სტერეოტიპით იჩაგრებიან.




**- სელებრითი ხარ?**

- დღეს საქართველოში ჩემზე დიდი სელებრითი, მგონი, არ არსებობს. ძალიან სასაცილოა, ისეთი პრიმიტიული წინადადებებით, როგორითაც მე ვილაპარაკე, ყველაზე დიდი სელებრითი რომ გახდები. ეს კიდევ უფრო მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან ძალიან ბნელა.

### „ერთმანეთის თავისუფლებას დიდ პატივს ვცემთ“

**- შენ გმირს რითი ჰგავხარ?**

- აბსოლუტურად არაფრით. მსგავსი ტიპაჟები ჩემს სამეგობროში არ მოიძებნებიან. არც ერთი ინტერესით არ ვემთხვევით. ღრმად მოაზროვნე გოგო არ არის, ზედაპირულია. ტიპაჟურად საინტერესოა, მსუბუქი და ინფანტილური.

**- ცოტნე ცოტაშვილის მსგავს ახალგაზრდა პოლიტიკოსებზე რა აზრის ხარ?**

- ძალიან მეუცნაურება, როდესაც ახალგაზრდა კაცს მოგზაურობის და ათასი სხვა ინეტერესის ნაცვლად ასეთი მდაბალი ზრახვები და ფასეულობები აქვს. გიორგი არაჩვეულებრივად თამაშობს ამ როლს. ნიუანსები დაიჭირა და პოლიტიკოსების კრებითი სახე შექმნა. მეც თბილისელი გოგონების კრებითი სახე მაქვს გაკეთებული. კარგი გუნდი ვართ.

**- თმა ანკას როლისთვის შეიჭერი?**

- არა. ახალ წელს 12 საათზე სარკეში ჩავიხედე და გადავწყვიტე, რომ უნდა შემეჭრა და ასეც მოვიქეცი. მინდა კიდევ შევიჭრა.

**- თაყვანისმცემლები მოგიმრავლდნენ?**

- ერთი ასად.

**- გიორგი ეჭვიანი არ არის?**

- ჩვენ დღის წესრიგში არ დგას ეჭვიანობა. ჩვენ-ჩვენი საკუთარი ცხოვრება გვაქვს ორივეს. ვინტერესდებით, ამბებს ვიგებთ, მაგრამ ერთმანეთის პირად სივრცეში არ ვიჭრებით. ორივესთვის მნიშვნელოვანია თავისუფლება. ერთმანეთის თავისუფლებას დიდ პატივს ვცემთ.



სახელოსნოში



მემეს მაისურები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „X ფაქტორის“

**my View**
**თამარ გონგაძე**

**მეგაშოუ „X ფაქტორში“ მეორე ეტაპი დაიწყო. მენტორებს საიმონ ქოუელმა აცნობა, თუ რომელი კატეგორიის კონკურსანტები იქნებოდნენ მათ ჯგუფებში. ბრიტანეთიდან საიმონის ზარი მენტორებისთვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო. თამთა გოდუაძის გარდა, რომელმაც საიმონს ჰკითხა, დარწმუნებული ხართ, ჩემი გუნდი 25 წელს ზევით დაკომპლექტებული კონკურსანტებისგან შედგებაო, ყველას ძალიან გაუხარდა თავისი გუნდის შემადგენლობა. სტეფანეს გოგონების კამანდა სურდა, სოფო ტოროშელიძე თვითონ ჯგუფის წევრია და მისი სურვილიც ის იყო, ჯგუფები შეხვედროდა, გიორგი გაბუნიას ბიჭების მენტორობა სურდა. დაძაბული ეტაპი იწყება. იცხრილება ეს ჯგუფები და თითოეულ მენტორს ევალება დიდი ძალისხმევის შედეგად შოუს გამოამშვიდოს ჯგუფის უდიდესი ნაწილი. ამჯერად ორი მენტორის - სტეფანესა და სოფოს ჯგუფებიდან თითო-თითო მონაწილეს გაგაცნობთ. თამუნა შავერდაშვილი სტეფანეს გუნდშია, „Sensi Girls“ კი სოფოსი.**

# თამუნა შავერდაშვილი: „ეკრანზე იმხელა გამოვჩნდი, გაოგნებული დავრჩი, ძალიან გამიტყდა. რეალურად არ ვარ ასეთი მსუქანი“ EXCLUSIVE







20 წლის თამუნა შავერდაშვილის გამოსვლა შოუს ყველა მაყურებელს ახსოვს. კონკურსანტს „X ფაქტორის“ სცენაზე ნამღერით მოხიბლული სტეფანე აუვარდა და მოეხვია. თამუნამ თავისი ვოკალით ნამდვილად შეძლო ყველას მოხიბვლა. დიდი ენერგეტიკის მატარებელია და სცენაზე თავს ძალიან თავისუფლად გრძნობს.

ვოკალში ბავშვობიდან ემზადება. რამდენჯერმე ესპანეთში საერთაშორისო კონკურსში აქვს მონაწილეობა მიღებული. მიჰყავდა კონცერტები, ივენთები. წლების მანძილზე ნაცნობ-სამეგობრო წრე გაზარდა. სწავლობს საერთაშორისო ურთიერთობებზე შავი ზღვის უნივერსიტეტში. ამბობს, რომ შოუს ქასთინგზე მეგობრების დაძალებით მოხვდა.

**თამუნა შავერდაშვილი:** - გია ფეიქრიშვილი მისი ცოლის ბარში გავიცანი. ამ ბარში ერთხელ, ძალიან შემთხვევით ვიმღერე. ამ ფაქტის მერე ძალიან მჭიდრო მეგობრობა დავიწყეთ. მე და გია კონცერტებზე ერთად გამოვდიოდით. ასე შემთხვევით და „ნაძალადევად“ მივედით „X ფაქტორამდე“. მე მყარად ვიდექი აზრზე, რომ კონკურსის კასტინგზე არ გამოვიდოდი. არასდროს არ უნდა თქვა - არასოდეს. იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ არ გამოვიდოდი, ეჭვიც არავის ეპარებოდა. კასტინგის ბოლო დღეს გია ფეიქრიშვილთან მივედი სახლში. მისი ცოლი მეჩიჩინა, აუცილებლად გადიო. ხელები ჩავკიდეთ ერთმანეთს და წამოვედით კასტინგზე. ძალიან მიხარია, რომ ჩემ მიმართ პოზიტივი დიდი დოზით წამოვიდა. იმედი მაქვს, ჩემი ცხოვრება პოზიტივში გაგრძელდება. ძალიან ვცდილობ ნეგატივი არ მოვუშვა. კარგი ცუდის გარეშე არ არსებობს. მაგრამ უკეთესი იქნება კარგი თუ ბევრად მეტი იქნება.

**- რას ფიქრობდი სცენაზე, როდესაც დარბაზი შენმა ნამღერმა აახმაურა?**

- ვერაფერს ვერ ვფიქრობდი, ტვინზე ბინდი მქონდა გადაკრული. ვხედავდი, რომ ხალხი ფეხზე იდგა, მე მიკროფონი მეჭირა და ენერგიების გაცვლა-გამოცვლა მიდიოდა. როდესაც ვმღერი შესრულების გარდა ვერაფერზე ვფიქრობ. ვუყურებ ხალხს და ამით შინაგანად ვტკბები.

**- დიდმა სცენამ არ შეგაშინა?**

- არა, პირიქით. ძალიან მიყვარს ბევრი ხალხი, თან აქტიური და გიჟი. ტაში და ოვაცია მსახიობისთვის და მომღერლისთვის მთავარი რამაა.

**- სტეფანეს სცენაზე ამოვარდნა მოულოდნელი იქნებოდა.**

- სტეფანეს რეაქციამ ჩემზე ძალიან დადებითად იმოქმედა.

**- ვინ იქნებოდა შენი მენტორი, ფიქრობდი წინასწარ ამაზე?**

- რატომღაც მყარად ვფიქრობდი იმაზე, რომ სტეფანესთან მოვხვდებოდი. გული მიგრძნობდა.

**- სტეფანე კადრს მიღმა როგორია?**

- უბრალო, უშუალოა და ყველანაირად ცდილობს, რომ მოგვეხმაროს.

**- ნერვიულობა გაქვს?**

- ნერვიულობა არის, ეს არის პასუხისმგებლობის ნერვიულობა, რომელიც იმხელა დოზით მაქვს, რომ მაწუხებს. მაგრამ იმედია, გადავლახავ და ყველაფერი მშვიდ კალაპოტში ჩადგება.

**- რა მოიტანა ამ პროექტმა?**

- თაყვანისმცემლები ყოველთვის მყავდა. როცა ცნობადი სახე ხდები, მეტ ადამიანს უჩნდება ინტერესი და ეს კარგია. შეყვარებული არ ვარ. ყველაზე სასიამოვნოა ქუჩაში რომ მიდიხარ და ხალხი გაბრუნებს იმისთვის, რომ თავისი დადებითი განწყობა გამოხატოს შენ მიმართ. ძალიან მაგარი გრძნობაა. ამისთვის ნამდვილად ღირდა ამ კონკურსში მოსვლა. კონკურსი ყველას ბოჭავს. მნიშვნელობა არ აქვს, კარგი პერფორმერი ხარ თუ - არა. თითქოს შენი თავის წარმოჩენას ვერ ახერხებ. კონცერტი ეს არის ის, რაც ყველა ხელოვანს ასულდგმულებს.

**- იმიჯს ხომ არ იცვლი?**

- მე იმიჯს ისეთი სისწრაფით ვიცვლი, გაოცდებით. კონკურსში ვარ, საზღვარგარეთ მივდივარ თუ მეზობელთან, შემიძლია სხვადასხვანაირი ვიყო. ჩემგან არასდროს არაფერი უნდა გაუკვირდეთ. უპროგნოზო ვარ - ერთ დღეს შეიძლება მწვანე თავით მოვიდე, მეორე დღეს ძალიან ქალური ვიყო, ან ბომჟურ „ვიდზე“ გამოვჩნდე. ეს ბუნებრივად მომდის, კომპლექსი არ მაქვს.

**- როგორი უნდა იყო, შოუში დაგისახეს?**

- ძახილის ნიშნიანი წინადადებები არ მიმიღია. იყო შეცვლაზე საუბარი. აუცილებლად შეიცვლება ჩემი იმიჯი და ის ჩემს რეპერტუარზე იქნება მორგებული. თმის ფერი და ვარცხნილობა კი ჩემს ხასიათზე იქნება დამოკიდებული.

**- დიეტაზე ხომ არ ხარ?**

- მე ბევრს ვვარჯიშობ. ვცდილობ ფორმაში მოვიდე. რამდენიმე თვის წინ მოვიმატე წონაში. ძველი ფორმის დასაბრუნებლად ბევრს ვვარჯიშობ. დიეტას ვერ ვიცავ. ისე მიყვარს ტკბილეული მისი სიყვარული დიეტის ნებისყოფას მიქრობს.

**- სტეფანესგან წონასთან დაკავშირებით დირექტივა ხომ არ მიგიღია?**

- ეკრანზე იმხელა გამოვჩნდი, გაოგნებული დავრჩი, ძალიან გამიტყდა. რეალურად არ ვარ ასეთი მსუქანი. გრძელი კაბის ჩაცმა მიყვარს, გრძელი კაბა კი ასუქებს.

**- რას ელოდები შოუდან?**

- ჩემი მიზანი არ არის გამარჯვება. ვეცდები მაქსიმუმი დავდო. ვიცი, ეს მომიტანს წარმატებას.

**- მობილიზებული გყავს მხარდამჭერთა არმია?**

- ჩემი მეგობრები მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით დგანან. მათი მხრიდან არაფერი შეცვლილა. მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, გავიმარჯვებ თუ - არა. ჩემი წარმატება მხოლოდ მე არ მეკუთვნის.

**- რა შეიცვლა?**

- არაფერი შეცვლილა. ერთადერთი, რაც შეიცვლა, არის ის, რომ ხალხი მცნობს. შოუმ ბევრად მეტი ნაცნობი შემძინა. ახალ წრეში მოვხვდი.



**„ვხედავდი, რომ ხალხი ფეხზე იდგა, მე მიკროფონი მეჭირა და ენერგიების გაცვლა-გამოცვლა მიდიოდა“**

**„უპროგნოზო ვარ - ერთ დღეს შეიძლება მწვანე თავით მოვიდე, მეორე დღეს ძალიან ქალური ვიყო, ან ბომჟურ „ვიდზე“ გამოვჩნდე“**



**გია ფეიქრიშვილთან ერთად**

**„ჩემი წარმატება მხოლოდ მე არ მეკუთვნის“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მეორე ეტაპი



**my View**
**თამარ გონგაძე**

**„Sensi Girls" ასე ჰქვია ჯგუფს, რომელიც ქერათმიანი, სექსუალური ლამაზმანების სახელით სარგებლობს „X ფაქტორში." ეს შეფასება ტრიოს სოფო ტოროშელიძემ გაუკეთა. მახსოვს, გიორგი გაბუნიამ გოგონებს ხისგან გამოთლილი პინოქიოები უწოდა, სცენაზე ვერ მოძრაობთო. გოგონების სასცენო მოძრაობაზე მეორე ტურისთვის აჩიკო სოლოღაშვილი ზრუნავს. იმედია, გიორგი უკან წაიღებს სიტყვებს.**

ჯგუფის შემადგენლობა ასეთია: სოფია ალაპიშვილი, თაკო ვადაჭკორია და ნინი კერვალიშვილი. თაკო „საქართველოს ვარსკვლავში" მონაწილეობდა, სოფია რეალითიში სახელად „მაგთიფანი". სხვათა შორის, „მაგთიფანის" რამდენიმე კონკურსანტი აღმოჩნდა „X ფაქტორში". მათ შორისაა გიორგი ბერიძე. სოფია ბავშვობიდან მღერის, ელექტრო გიტარაზე უკრავს. ის ჩვენ მკითხველს თავს აცნობს.

**სოფია ალაპიშვილი:** - პრეკასტინგზე აღმოვაჩინეთ „მაგთიფანელებმა" ერთმანეთი. ზოგს დაურეკეს, ზოგს - არა. „მაგთიფანში" ჩემი შესაძლებლობების რეალიზება ვერ მოვახდინე. „მაესტროს" ისეთი რეიტინგი არ ჰქონდა, როგორც „რუსთავი 2"-ს აქვს. თუმცა იმ რეალურმა შოუმ გამოცდილება მომცა. მორიდებული ვიყავი. მაშინ თუ კითხვების დასმა ზედმეტად მიმაჩნდა და მერიდებოდა, ახლა, რაც მაინტერესებს, ყველაფერს ვკითხულობ და კონტაქტიც მიადვილდება. „X ფაქტორში" პოპულარობისთვის არ მოვსულვრ. საინტერესო ფორმატი აქვს. ეს შოუ ბევრ საინტერესო სიურპრიზს ჰპირდება მაყურებელს.

**- ჯგუფი როგორ შექმენით?**

- გოგონები სამი წელია ვმეგობრობთ. გაერთიანება „X ფაქტორისთვის" ექსპრომტად გადავწყვიტეთ და ჯგუფიც შევქმენით. ზოგადად ჯგუფი საქართველოსთვის ახალი პროდუქტია, მისი მეშვეობით მეტი და საინტერესო შოუ შეიძლება დაიდგას. სამივე ტიპაჟურად განსხვავებულები ვართ. ვფიქრობ, ეს უფრო საინტერესოს ხდის ჯგუფს. ახლა სხვა სტანდარტებია, ეს ის არ არის, ტრიო გაუნძრევლად რომ მღეროდა. ქორეოგრაფიას დიდი ნაწილი უჭირავს. სხვა დონეზე აჰყავს ჯგუფი.

**- ვისი შეფასება გახსოვს?**

- სოფო ტოროშელიძის ფრაზაა, „ესენი არიან ქერათმიანი სექსუალური ლამაზმანები".





„გვინდა პროექტის მერე გავაგრძელოთ მოღვაწეობა. გვაინტერესებს სადამდე გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი"

EXCLUSIVE

# „Sensi Girls" - ქერათმიანი სექსუალური ლამაზმანები სოფო ტოროშელიძის გუნდიდან

**სოფია ალაპიშვილი: „გიორგი გაბუნია მართალი იყო. მე სცენაზე მოძრაობის გამოცდილება არ მქონია. ფეხებში ვუყურებდით ერთმანეთს და მართლა პინოქიოებივით ვიყავით. მეორე ტურში თავისი აზრი გიორგიმაც შეიცვალა. რობოტის მოძრაობები და დაძაბულობა მოგვეხსნა. ყველაფერი გამოცდილებაა"**

**- ეს სახელი დღემდე მოგყვებათ?**

- გამოგვყვა და ასე მოგვიხსენიებენ.

**- გიორგი გაბუნიას ფრაზა გახსოვს?**

- გიორგი მართალი იყო. მე სცენაზე მოძრაობის გამოცდილება არ მქონია. ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი - თან უნდა იმოძრაო, თან სიმღერაზეც იფიქრო და ყველაფერი კარგად უნდა გამოგივიდეს. ჩვენ ფეხებში ვუყურებდით ერთმანეთს და მართლა პინოქიოებივით ვიყავით. მეორე ტურში თავისი აზრი გიორგიმაც შეიცვალა. რობოტის მოძრაობები და დაძაბულობა მოგვეხსნა. ყველაფერი გამოცდილებაა.

**- რომელ მენტორთან ვარაუდობდით მოხვედრას?**

- ბევრს ვმსჯელობდით და ორი მენტორისკენ ვიხრებოდით, ან სოფო იქნება ჩვენი მენტორი, ან სტეფანე-მეთქი. ძალიან გაგვიხარდა სოფო რომ აღმოჩნდა. მასთან შეხება მანამდე გვქონდა, სიმღერას ხმებში გვაშლევინებდა. მოკლედ, გაგვიმართლა და გაგვიხარდა.





**- სოფო როგორი მენტორია?**

- მხიარული და საყვარელი ადამიანია. აუცილებლად დაგეხმარება და საჭიროებისამებრ რჩევებს მოგცემს.

**- კონკურსანტები ერთმანეთს ხომ არ „ესწერვებით"?**

- არა, ჩვენ შორის დაძაბულობა არ არის. ჩვენ ყველასთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. რატომ უნდა შეიზიზღო სხვა ადამიანი რაღაცის გამო, მით უმეტეს კონკურსის გამო. მარტივად უნდა შეხედო და არ უნდა გადაიმტერო კონკურსანტი.

**- როგორ მიდის მომზადება?**

- დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ დონე აგვემაღლებინა და მეორე ტურისთვის კარგი გამოსულიყო ჩვენი ნომერი. სამივე კმაყოფილი ვართ ჩვენი გამოსვლით.

**- იმიჯში ცვლილება გაქვთ?**

- მე კასტინგზე სათვალე მეკეთა, სამოსს უხდეობა. მეორე ტურში ერთნაირი ფორმები გვაცვია.

**- ვინ დაგიმესიჯებთ, რა კატეგორია?**

- ვისაც მოვეწონებით. გვყავს ფანკლუბი, თაყვანისმცემლები. კატეგორიას ვერ განვსაზღვრავთ.

**- პროექტის მერე გააგრძელებთ სიმღერას?**

- გვინდა პროექტის მერე გავაგრძელოთ მოღვაწეობა. გვაინტერესებს სადამდე გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი.





„სამივე ტიპაჟურად განსხვავებულები ვართ. ვფიქრობ, ეს უფრო საინტერესოს ხდის ჯგუფს"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „სანამ ადამიანი მუშაობს, ბედნიერია და





რეზო შატაკიშვილი

**ბედს არ ემდურის და ვერც დაემდურება, ღიმილის ბიჭის ასაკში იყო, 20 არც გადაეხადა, რომ რუსთაველის თეატრის რეჟისორი გახდა. დღემდე ორ დაბადების დღეს აღნიშნავს - 10 ნოემბერს, როცა დაიბადა ტირილით და 29 სექტემბერს, როცა მეორედ დაიბადა - ისევ ტირილით. მისთვის პრაიმტაიმია, როცა დგამს. დგამს 16 წლიდან. აღმოჩნდა, რომ 80 სპექტაკლზე მეტი აქვს დადგმული.**

**ავთო ვასრიმაშვილი:**

- ჩემთვის ყველაზე კარგი დრო მაშინაა, როცა ვმუშაობ, ვდგამ სპექტაკლებს. იმის გამო, რომ პრაქტიკულად სულ ვდგამ, შემიძლია ვთქვა, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება პრაიმტაიმია. ცხადია, იყო რაღაც პერიოდები, რომელიც უფრო უკეთესი იყო, ვიდრე ის პერიოდები, როცა ნაკლებად ვმუშაობდი, თორემ მე არ მქონია პერიოდი, რომ არ მემუშაოს. მე, პრაქტიკულად, სპექტაკლებს 16 წლის ასაკიდან ვდგამ.

**- თქვენ ჯერ კიდევ სტუდენტი მიხვედით თეატრში, თან რუსთაველის თეატრში.**

- რუსთაველის თეატრში რომ მოვხვდი, მეოთხე კურსზე ვიყავი, მაგრამ იმ დროისთვის უკვე დადგმული მქონდა 5 სპექტაკლი. პირველი კურსიდან მოყოლებული ვდგამდი სპექტაკლებს და ესეც არაჩვეულებრივი პერიოდი იყო, სანამ მოვხვდებოდი რუსთაველის თეატრში. სამწუხაროდ, კმაყოფილი არ ვიყავი პედაგოგებით, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლებით და ყველაფერს მე თვითონ ვსწავლობდი, თვითონ ვაკეთებდი ყველაფერს იმისთვის, რომ ეს პროფესია შემესწავლა. პირველივე კურსიდან ჩემი გუნდი მყავდა, მსახიობების, რომლებიც მომყვებოდნენ, მათთან ვმუშაობდი და ეს იყო ბედნიერება, რეპეტიციებზე გათენებული ღამეები, მტკიცება იმის, რომ რაღაცას წარმოადგენ... იმიტომ რომ, ჩემი კოლეგებისგან განსხვავებით, მე არ ვიყავი თეატრალური, ანდა საერთოდ ხელოვანთა ოჯახიდან და ძალიან ბევრ რამეს მაშინ ვიგებდი, თვითონ აღმოვაჩენდი ხოლმე ისეთ რაღაცას, რაც იმ ჩემს კოლეგებს ბავშვობიდან ესმოდათ და მათთვის ისედაც ნაცნობი იყო.

**- ეს ეხებოდა შემოქმედებითი კანონების ხელახლა აღმოჩენასაც და კულისების კანონების აღმოჩენასაც?**

- ყველაფერს ერთად, იმიტომ რომ თეატრი ხომ მარტო შემოქმედება არაა, მთლიანად ცხოვრების წესია, რომელსაც უნდა ჩასწვდე. მიხვდე რა წესებით უნდა იცხოვრო, ალღო უნდა აუღო მსახიობთან მუშაობას, ურთიერთობას, საერთოდ სიტუაციას, რომ რამენაირად გაიტანო თავი. მე, მიუხედავად იმისა, რომ არ ვემდური ჩემს ბიოგრაფიას, სულ მიწევდა რაღაცების გარღვევა, რაღაცების მტკიცება - სხვებისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც. ამიტომაც იყო, მესამე კურსზე რომ გავხსენი პირველად თეატრი და მართლა თეატრი იყო, დასით, რეპერტუარით. ბარათაშვილის ხიდში, სადაც ახლა კლუბია, იქ იყო კლუბი „ამირანი“, კომკავშირის ცეკას ეკუთვნოდა, ჩვენ შორს ვიყავით კომკავშირისგან, იმ ფართს ვიყენებდით, მთლიანად იქ ვიყავით შეკეტილები, თვეობით არ მივდიოდით ინსტიტუტში, ჩვენი თეატრალური სექტა გვქონდა. დავდგით „კაცია ადამიანი“, რომლითაც

**„სტურუა რეპეტიციიდან გამოვიდა, მითხრა, ადით კაკო ბაქრაძესთან, მე უკვე ველაპარაკე, გღებულობთ თეატრში რეჟისორადო და უკან შებრუნდა რეპეტიციაზე. მე დავჯექი კიბეზე და ცრემლები წამომივიდა, სიხარულისგან ავტირდი“**

ავალაპარაკეთ იმდროინდელი თეატრალური საზოგადოება და ამიტომ მომაქცია პირადად მე ყურადღება რობერტ სტურუამ, მოვიდა და ნახა ჩვენი სპექტაკლი.

**- რამდენადაც ვიცი, გურამ საღარაძის მეუღლემ, ტანია ბუხბინდერმა ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ სტურუას ორბიტაზე მოხვდით.**

- კი, იმიტომ რომ ტანია ბუხბინდერი ძალიან გვგულშემატკივრობდა, ძალიან ვუყვარდი და მან ურჩია სტურუას. უფრო სწორად, იცი როგორ მოხდა, 1979 წელს, თბილისში ტარდებოდა პირველი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ჩვენც გვინდოდა მონაწილეობის მიღება, არადა, ისეთი მონსტრები იყვნენ წარმოდგენილნი... საქართველოდან მონაწილეობდა თემურ ჩხეიძე სპექტაკლით „მეუფება წყვდიადისა“, ადოლფ შაპირო თავისი ლეგენდარული თეატრით, სპესივცევი მოსკოვიდან, იყვნენ პოლონეთიდან... მეც მინდოდა ჩემს თეატრს მიეღო მონაწილეობა, უარი მითხრეს - ჯერ კიდევ გაუგებარია ვინ ხართ, პროფესიონალები ხართ თუ არაპროფესიონალებიო. მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტები ვიყავით. მაშინ თავხედურად შევედი კულტურის მინისტრთან, ოთარ თაქთაქიშვილთან, დღესაც მიკვირს როგორ შევაღწიე, მაგრამ შევაღწიე და ვთხოვე, რომ ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა. არ ვიცი, თაქთაქიშვილი დიპლომატი იყო, ალღო ჰქონდა, თუ მე დავარწმუნე, მითხრა, კომისიას გამოვყოფ და კომისიამ გადაწყვიტოს, უნდა მიიღოთ თუ არა მონაწილეობაო. მართლაც, მოვიდნენ სპექტაკლზე ალეკო შალუტაშვილი, სანდრო მრევლიშვილი და ვაჟა ბრეგაძე. მათი გადაწყვეტილებით მოვხვდით ფესტივალზე. ლიტერატურის მუზეუმში ვთამაშობდით „კაცია ადამიანს“. ლუარსაბ თათქარიძე იყო გია ბურჯანაძე. ეს იყო მისი პირველი როლი ცხოვრებაში. სპექტაკლზე მოსული იყო თეატრალური საზოგადოება, საერთაშორისო ჟიური. ფესტივალი გრძელდებოდა, ჩვენ ვისარგებლეთ იმით, რომ ფართი გქონდა გამოყოფილი და ყოველდღე ვთამაშობდით. დახურვის ცერემონიალზე არც მივსულვარ, თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ რამეს მომცემდნენ და სპექტაკლიც კი დავნიშნე ზუსტად იმ დროს, როდესაც რუსთაველის თეატრში დახურვის ცერემონიალი იყო. მახსოვს, სპექტაკლის შემდეგ, ლიტერატურის მუზეუმიდან რუსთაველზე ამოვდიოდით, სწორედ მაშინ გამოდიოდნენ რუსთაველის თეატრიდანაც. მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, მაია ტატიშვილი გადამეხვია, გილოცავო, თურმე მე ავიღე პრიზი საუკეთესო რეჟისურაში. შაპირო იყო ჟიურის თავმჯდომარე და მან გადაწყვიტა ასე. ეს მართლაც მოულოდნელი იყო ყველასთვის, მათ შორის ჩემთვის. მახსოვს, მაშინვე გამაცნეს სპესივცევი, რომელიც მაშინ ძალიან იყო მოდაში, წავედით საქეიფოდ, მსახიობის სახლში იყო დიდი ბანკეტი. გვიან, სახლში რომ დავბრუნდი, დედაჩემმა მითხრა, მთელი საღამოა ტანია ბუხბინდერი გირეკავსო. დავურეკე ტანიას და მითხრა, სტურუამ მითხრა, რა სპექტაკლი იყო ამისთანა, ნახვა უნდაო. ვითამაშეთ სტურუასთვის. მოვიდნენ რობერტ სტურუა, თათული დოლიძე და გია ძნელაძე. სამნი იყვნენ სულ, დღისით ვითამაშეთ. სპექტაკლის შემდეგ მითხრა, მე ახლა გავრბივარო, ხვალ მოდი თეატრში და ვილაპარაკოთო. კარგად მახსოვს, 29 სექტემბერი იყო ის მეორე დღე, როცა მივედი. დღემდე აღვნიშნავ ამ დღეს, როგორც ჩემ მეორე დაბადების დღეს. მივედი იმ განწყობით, რომ დიდი მაესტრო დამელაპარაკება სპექტაკლზე, თავის შენიშვნებს მეტყვის. მახსოვს, რეპეტიციაზე იყო. რეპეტიციიდან გამოვიდა, მითხრა, ადით კაკო ბაქრაძესთან, მე უკვე ველაპარაკე, გღებულობთ თეატრში რეჟისორადო და უკან შებრუნდა რეპეტიციაზე. მე დავჯექი კიბეზე და ცრემლები წამომივიდა, სიხარულისგან ავტირდი. შევედი აკაკი ბაქრაძესთან, ბატონმა კაკომ ამხედა, დამხედა, გაჩხიკინებული ვიყავი, ძალიან პატარად გამოვიყურებოდი... მითხრა განცხადება დაწერეო. დავიწყე წერა და მეუბნება, ხვალ დიპლომი მოიტანეო. მე ვუთხარი, არა მაქვს დიპლომი მეთქი. როგორ თუ არა გაქვსო. სტუდენტი ვარ მეთქი. მეოთხე კურსზე ვიყავი, ჯერ მეოთხე უნდა დამემთავრებინა, შემდეგ მეხუთე... მოიცადე, სტურუასთან გავარკვევო, ჩავიდა, დაელაპარაკა, ამობრუნდა, დაწერეთ, დაწერეთო და იმ დღიდან, 1979 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც 13 წელიწადი გაგრძელდა... ბედნიერებაა იმ მხრივ, რომ ეს იყო რუსთაველის თეატრი და ეს მგონი ყველასთვის გასაგებია და კიდევ ის, რომ ეს პერიოდი იყო რუსთაველის თეატრის ოქროს ხანა.

**- არა მარტო თქვენი, არამედ რუსთაველის თეატრის პრაიმტაიმი.**

- დიახ, ასეთი ტრიუმფი, საერთაშორისო აღიარება, რუსთაველის თეატრს არ ჰქონია, არც მარჯანიშვილის დროს, არც ახმეტელის დროს, არც ალექსიძის დროს და არც თუმანიშვილის დროს. თეატრში იყო არანორმალურად ჯანსაღი, კეთილგანწყობილი ატმოსფერო, ყველას უხაროდა, უნდოდა მუშაობა, ყველა ვღელავდით ერთმანეთის სპექტაკლებზე. როდესაც ვფიქრობ, როგორი უნდა იყოს იდეალური თეატრი, ვფიქრობ იმ პერიოდზე... გარდა იმისა, რომ დამოუკიდებლად ვმუშაობდი და დავდგი 9 სპექტაკლი ამ 13 წლის მანძილზე, მე ვესწრებოდი რობერტ სტურუას რეპეტიციებს და მისი უამრავი სპექტაკლის დაბადების მომსწრე ვარ და ეს თავისთავად იყო ბედნიერება, პრაიმტაიმი. 13 წელიწადი რუსთაველის თეატრში - ეს იყო ჩემი 13 წლიანი პრაიმტაიმი.

**- იმ თქვენი 9 სპექტაკლიდან, რომელს გამოარჩევთ? რომელმა მოგიტანათ ყველაზე დიდი შემოქმედებითი სიხარული? ხან ეს პირადი დამოკიდებულება სულაც არ ემთხვევა გარე აღიარებას, მაყურებლის, კრიტიკის აღიარებას.**

- აბსოლუტურად მართალი ხარ. გეტყობა რომ თეატრი კარგად იცი... მიუხედავად იმისა, რომ პირველივე სპექტაკლს, რომელიც დავდგი რუსთაველის თეატრში, „მშვენიერ ქართველ ქალს“ წარმატება ხვდა და დიდხანს იყო რეპერტუარში, მე არ ვთვლი, რომ ის სპექტაკლი იყო ჩემი... საერთოდ არ ვთვლი, რომ ჩემი სპექტაკლი იყო. ის სპექტაკლი იყო მთლიანად რობერტ სტურუას გავლენის ქვეშ დადგმული, თუმცა ამაში დასაძრახს ვერაფერს ვხედავ, გავლენიანი რომ გახდე, ვიღაცის გავლენას უნდა განიცდიდე თავის დროზე. ჩემი პირველი დიდი სიხარული დაკავშირებულია სპექტაკლთან „ათვინიერებენ მიმინოს“, რადგან სწორედ აქ მოხდა უკვე შეგნებულად ცოტათი გვერდზე გასვლა იმისგან, რასაც ჰქვია სტურუას თეატრი. როდესაც მსახიობებს ვეუბნებოდი, რომ არა, ესე ხომ რობიკოც აკეთებს, მოდი დავანგრიოთ და სხვა გზით წავიდეთ, როცა უკვე ეს ტერმინები გაჩნდა ჩემს მეტყველებაში რეპეტიციაზე... ფარაჯანოვი ამბობდა კარგად, რეჟისორი მუდამ ძიებაში უნდა იყოს, მაგრამ უნდა იცოდეს რას ეძებსო. აბსტრაქტულად ძიება არაა ძიება... ძიებით მანამდეც ძიებაში ვიყავი, მაგრამ „მიმინოში“ მე უკვე ვიცოდი რასაც ვეძებდი და დღემდე განვაგრძობ იმის ძებნას. „მიმინოს“ ჰქონდა წარმატება, მაგრამ აღიარება არ ჰქონია „კვაჭი კვაჭანტირაძეს“, რომელიც ჩემთვის ასევე ძვირფასია, რადგან ეს იყო ძიების ლოგიკური გაგრძელება.

**- „ტიტუს ანდრონიკუსი“?**

- „ტიტუს ანდრონიკუსი“ ასევე ძვირფასია ჩემთვის, ჯერ ერთი ეს არის ჩემი ბოლო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში, მეორე ის, რომ ეს არის ჩემი პირველი შექსპირი და მესამე ის, რომ იქაც ძალიან ლოგიკური გაგრძელება იყო იმ ძიებების.

**- საკმაოდ გვიან შებედეთ შექსპირს, თუმცა მე ვიცი, რომ როცა რუსთაველის თეატრში მიხვედით, მაშინვე გქონდათ „ჰამლეტის“ დადგმის სურვილი და სტურუამ გადაგაფიქრებინათ. შემდეგ თქვენ თვითონ იკავებდით თავს შექსპირის დადგმისგან თუ კვლავ უარს გეუბნებოდათ?**



- მოდი პირდაპირ ვთქვათ, ეს იყო რობერტ სტურუას გადაწყვეტილება, რომ ჯერ არ დამედგა შექსპირი. სულ მინდოდა შექსპირის დადგმა და სხვადასხვა პიესებით მივდიოდი, მაგრამ არ მადგმევინებდა, შეიძლება სწორადაც იქცეოდა. მაშინ ვამტყუნებდი, აი, როგორ არ მადგმევინებს, მაგრამ დღეს ვთვლი, რომ შეიძლება სწორიც იყო. მანამდე რომ დამედგა შექსპირი, შეიძლება ისე წამეტეხა კისერი, აღარც მომნდომებოდა რეჟისორობა... მართალია ეჭვი მეპარება ჩემივე სიტყვებში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დღეს აღარ ვამტყუნებ. მაშინ ვამტყუნებდი და დღეს არ ვამტყუნებ, ახლა უკვე ჩემთან რომ მოდიან ახალგაზრდა რეჟისორები, მეც იგივეს ვეუბნები, იქნებ ჯერ სხვა რამ დადგათ და მერე შექსპირი, იქნებ ჯერ ხელობა დაიჭიროთ ხელში...

**- სწორედ რუსთაველის თეატრის პერიოდს უკავშირდება თქვენი პირადი ბედნიერებაც.**

- დიახ, ჩემი მომავალი მეუღლე, სწორედ რუსთაველის თეატრის გასტროლებზე გავიცანი, რიგაში. ჩემი მეუღლის მამა გახლდათ მუსიკადმცოდნე გივი ორჯონიკიძე. გივი ორჯონიკიძე, გია ყანჩელი და რობერტ სტურუა ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ და როდესაც გივი ორჯონიკიძე გარდაიცვალა, ელისო გასტროლებზე წამოიყვანეს, რომ ცოტა გადართულიყო იმ უბედურებისგან. იქ გავიცანი ელისო, რომელიც ჩემზე 7 წლით უმცროსი იყო და ერთ წელიწადში გახდა ჩემი მეუღლე...

13-წლიანი პრაიმტაიმის შემდეგ, ავთო ვარსიმაშვილი რუსთაველის თეატრიდან მიდის და შემდგომ პერიოდს თავისი ცხოვრების ყველაზე შავ პერიოდად იხსენიებს.

**ავთო ვარსიმაშვილი:** - მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ძალიან მიყვარს









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როცა ბედნიერია, მას აქვს პრაიმტაიმი“

და ძალიან დიდ პატივს ვცემ რობერტ სტურუას, მაშინ უკიდურესად დაიძაბა ჩვენ შორის ურთიერთობა და მე სრულიად შეგნებულად წამოვედი თეატრიდან და დღესაც ვთვლი, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო ჩემი მხრიდან. მსახიობების გარკვეული ჯგუფი მე მიჭერდა მხარს, დღეს შეიძლება ვინმესთვის დაუჯერებელიც იყოს, მაგრამ თეატრი რევოლუციის ზღვარზე იდგა და ვინ ვის მოუგებდა, ვინ ვის აჯობებდა, კიდევ საკითხავია. საკმაოდ ძლიერი ძალა იდგა ჩემ გვერდითაც, მაგრამ მე არ ვისურვე.

**- ნატაშა ჩხიკვაძე თქვენ გიჭერდათ მხარს?**

- დიახ, რა თქმა უნდა! ამ გადასახედიდან შეიძლება არც ისე გამჭვირვალედ ჩანდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს 1992 წელს ხდებოდა და გადავხედავთ სტურუას იმდროინდელ რეპერტუარს, ვნახავთ, რომ საკმაოდ დაბალხარისხოვანი სპექტაკლებია. მას „მეფე ლირის“ შემდეგ დაეწყო საკმაოდ სერიოზული კრიზისი და ზუსტად ამ პერიოდამდე მოაღწია ამ კრიზისმა. გარკვეული პერიოდი საერთოდ წავიდა თეატრიდან, ლონდონში წავიდა, პრაქტიკულად წავიდა საქართველოდან. მოგეხსენებათ, მას უთანხმოება ჰქონდა ზვიად გამსახურდიასთან. 6 თვის მანძილზე სრულიად მარტო დავრჩი რუსთაველის თეატრში და ჩემი გუნდი სერიოზულად გაიზარდა, მით უმეტეს, რომ მაშინ არავის ეგონა, რომ სტურუა დაბრუნდებოდა თეატრში და დასის დიდი ნაწილი შეგუებული იყო იმას, რომ მე ვიყავი სამხატვრო ხელმძღვანელი. ამის გარდა, როგორც კი შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში, მე დამიძახა და დამავალა, მიმეხედა რუსთაველის თეატრისთვის, რომ ფეხზე დამდგარიყო თეატრი და სასწრაფოდ დაგვეწყო სპექტაკლების თამაში. რაღაცნაირად ვიშოვე ფული, ჩავსვით შუშები, აღვადგინეთ რეპერტუარი და ამ პერიოდში ჩამოდის სტურუა საქართველოში. სტურუა როგორც კი დაბრუნდა, რა თქმა უნდა, კონფლიქტი დაიბადა და არც შეიძლებოდა არ დაბადებულიყო... თუ გაიხსენებ, რა მსახიობები იყვნენ „ტიტუს ანდრონიკუსში“ ჩემ გვერდით, პლუს ახალგაზრდობაც მე მიჭერდა მხარს, იქ თავისუფლად შეიძლებოდა რევოლუციის მოწყობა... იყო კიდეც კრება, სადაც იყვნენ მსახიობები, რომლებმაც პირდაპირ მითხრეს, რომ დამიდგებოდნენ გვერდით, რომ მე გავმხდარიყავი სამხატვრო ხელმძღვანელი, მაგრამ მე მაშინ ვთქვი, რომ ამას არ ვიზამ, რომ მე რობერტ სტურუამ მასწავლა ტრადიციების დარღვევა და რომ ამ შემთხვევაში მე დავარღვევ რუსთაველის თეატრის ტრადიციას და მოწაფე არ გააგდებს თავის მასწავლებელს და ჯობს მე წავიდე თეატრიდან მეთქი. მაშინ, იმ კრიტიკულ სიტუაციაში, მე ვთქვი ფრაზა, რომელმაც მაშინაც რაღაც ისე გაიჟღერა, ამბიციურად და დღესაც ასე ჟღერს, მაგრამ მე არ ვნანობ, რომ ასე ვთქვი, მე ვთქვი, რომ ორი არწივი ერთ მწვერვალზე ვერ გაჩერდება მეთქი. წამოვედი ძალიან ამაყად, მაგრამ დაიწყო ძალიან შავბნელი პერიოდი. იმიტომ რომ წამოვედი, წავედი არსად. რუსთაველის თეატრიდან სად შეიძლება წახვიდე? ვერ ვიტყვი, რომ სხვა თეატრები არ მეძახდნენ, ვერ დავუკარგავ ოთარ მეღვინეთუხუცესს, დამიძახა, მოდი ჩვენთანო. მცდელობაც გვქონდა, რომ რაღაც დამედგა ბატონ ოთართან, რამდენიმე რეპეტიციაც ჩავატარეთ, მაგრამ შემდეგ უარი ვთქვი. რაღაცას მივედმოვედებოდი, მოვიგონე ის საშინელი ტელესერიალი, „სახლი ძველ უბანში“ და დავიწყე გადაღება. შემდეგ რამაზ ჩხიკვაძემ, რომელიც ასევე წამოსული იყო თეატრიდან, შემომთავაზა, მოდი რამე დავდგათო. ეს ძალიან დიდი ბედნიერება იყო, იმიტომ რომ, მაშინაც კი, როცა რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი, რამაზ ჩხიკვაძეზე ტაბუ იყო დადებული, ვერავინ დააკავებდა, მარტო რობერტ სტურუას შეეძლო მისი დაკავება. ჩვენ დავდგით „სიკვდილის როკვა“, დავდგით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვერსად ვერ ვთამაშობდით. ერთადერთი, ისევ მარჯანიშვილის თეატრი გვთავაზობდა სცენას, მაგრამ ბატონმა რამაზმა არ ისურვა, გამოვა, რომ რუსთაველიდან წავედი და გადავედი მარჯანიშვილის თეატრში, მოდი სხვა სივრცე ვიპოვოთო. სხვა სივრცე ვიპოვეთ გრიბოედოვის თეატრში, დავიწყეთ რეპეტიციები, მაგრამ ძალიან დელიკატურად გვითხრეს, რომ ვერ ვითამაშებდით სპექტაკლს... აღმოჩნდა, რომ ვერც რუსთაველის თეატრში ვითამაშებდით, აქედან მივუდექით სტურუას, იქიდან, მაგრამ არ შეგვიშვა რომ გვეთამაშა. მერე რუსთაველის თეატრს ჰქონდა გასტროლები ვახტანგოვის თეატრში და რაკი ყველა იქ იყვნენ, გადავწყვიტეთ იქ გვეთამაშა, ჩავედი კიდეც მე, მაგრამ ულიანოვმა უთხრა რამაზ ჩხიკვაძეს, რომ ვერ გვათამაშებდა... აღმოჩნდა, რომ გვაქვს სპექტაკლი, სადაც თამაშობს მსოფლიო რანგის მსახიობი და არ გვაქვს სცენა. სპექტაკლის პრემიერა იტალიაში გავმართეთ, ტურნე გვქონდა 7 ქალაქში, შემდეგ ვითამაშეთ პრაღაში, ლვოვში, კიევში, მაგრამ თბილისში ვერ ვთამაშობდით. მაშინ დაგვებადა იდეა, რომ ალტერნატიული სივრცე გვეპოვა. მაშინ დავიწყე თეატრალური სარდაფის კეთება, რეალურად, თეატრალური სარდაფი შეიქმნა იმიტომ, რომ არსებობდა ეს სპექტაკლი და გვინდოდა ადგილი, სადაც ამ სპექტაკლს ვითამაშებდით. ცხადია, მე ამას ვერ გავაკეთებდი და მივმართე ყველა რეჟისორს, ჭოლას, ეგაძეს, ყველას, რომ მოდი გავაკეთოთ თეატრი, სადაც ყველანი ვიმუშავებთ. ვერ დავუკარგავ, მართლა საკუთარი ხელებით ვაკეთებდით სარდაფს, გავხსენით და აქედან იწყება ჩემი კიდევ ერთი პრაიმტაიმი, თეატრალური სარდაფის პერიოდი, რომელმაც 2 წელიწადს გასტანა. თეატრალური სარდაფის გახსნისას მე ვთქვი, ჩვენ ვხსნით თეატრს, რომლის დევიზი იქნება, დე ცუდი, ოღონდ ბევრი. იმ პერიოდში თეატრალური სივრცე დახურული იყო, უზურპირებული იყო თეატრების ხელმძღვანელების მიერ, არ უშვებდნენ ახალგაზრდა რეჟისორებს და მინდოდა ყოფილიყო სივრცე, სადაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა რეჟისორი დადგამდა სპექტაკლს. ამ დევიზმა ძალიან კარგად იმუშავა, პირველივე წელს 12 სპექტაკლი გამოვუშვით, მაგრამ ამ დევიზმა ქნა ის, რომ მე აღმოვჩნდი ძალიან ბევრი ცუდი სპექტაკლის პროდიუსერი. ეს სპექტაკლები მიუღებელი იყო ესთეტიკურადაც, მოქალაქეობრივადაც, მიწევდა თვალის დახუჭვა, თან სირბილი მათ დეკორაციებზე, ჩაქუჩზე, ლურსმანზე, ეს უკვე ძალიან დამთრგუნველი აღმოჩნდა ჩემთვის. ამას დაემატა ისიც, რომ სივრცე არ მომწონდა, მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ძალიან ბევრმა ჩათვალა, რომ ისიც ამ თეატრის ხელმღვანელია. შეუძლებელია კონფლიქტი არ მომხდარიყო სხვადასხვა გემოვნებისა და მოქალაქეობრივი მრწამსის ხალხს შორის, ან ყველა უნდა გამეშვა და გადამეხვია იმ პრინციპისთვის, რისთვისაც გაიხსნა ეს თეატრი, ან მე უნდა წავსულიყავი და წავედი. სარდაფიდან რომ წამოვედი, გრიბოედოვის თეატრს ჩავუდექი სათავეში და როგორც კი მოვედი გრიბოედოვის თეატრში, ეგრევე დავადგი თვალი ამ გვერდით ტერიტორიას და უკვე მაშინვე ვიცოდი, რომ მე აქ თეატრს გავაკეთებდი, ქართულ თეატრს. 2001 წელს გავხსენით კიდეც და ჩემთვის ყველაზე კარგი პერიოდი, სწორედ თავისუფალი თეატრის პერიოდია, ეს ბოლო 13 წელიწადი.

**- წელს რა ხდება?**

- ახლა ბათუმის თეატრში ვდგამ სპექტაკლს, ემილ ზოლას „ტერეზა რაკენის“ მიხედვით, ხაზს ვუსვამ „მიხედვით“, პრაქტიკულად თავიდან დავწერე პიესა, სათაურსაც კი ვუცვლი, ალბათ, ერქმევა „სამყაროს დასალიერში“. წელს უკვე სამჯერ ვიყავით სტამბულში სხვადასხვა სპექტაკლებით ჩასული. წინ გველოდება პოლონეთი, „რიჩარდ მესამით“ ვართ მიწვეული შექსპირულ ფესტივალზე. „რიჩარდ მესამის“ შემდეგ, მინდა ცოტა ხნით გამოვემშვიდობო ჩემს დასს და მეტი ვიმუშავო ქვეყნის გარეთ, თავი გადავიხალისო, იცი შენ რაც არის საზღვარგარეთ სპექტაკლის დადგმა, გარდა ყველაფრისა, გადახალისებაა საკუთარი ტვინის. ესტონეთში უნდა დავდგა „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“, შემდეგ ჰელსინკში უნდა დავდგა დოსტოევსკის „ეშმაკები“.

**- ანუ წელსაც პრაიმტაიმი გაქვთ.**

- მინდა წელსაც პრაიმტაიმი მქონდეს და სანამ ადამიანი მუშაობს, ის არის ბედნიერი, როცა ადამიანი ბედნიერია, მას აქვს პრაიმტაიმი...



> **„თეატრი რევოლუციის ზღვარზე იდგა და ვინ ვის მოუგებდა, ვინ ვის აჯობებდა კიდევ საკითხავია. საკმაოდ ძლიერი ძალა იდგა ჩემ გვერდითაც, მაგრამ მე არ ვისურვე“**



> **„სტურუა გარკვეული პერიოდი საერთოდ წავიდა თეატრიდან, საერთოდ საქართველოდან. მას უთანხმოება ჰქონდა ზვიად გამსახურდიასთან. არავის ეგონა, რომ სტურუა დაბრუნდებოდა თეატრში და დასის დიდი ნაწილი შეგუებული იყო იმას, რომ მე ვიყავი სამხატვრო ხელმძღვანელი...“**

EXCLUSIVE

# ავთო ვარსიმაშვილის პრაიმტაიმი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური რეპო

ხუან ბაგრატიონმა და ქრისტინე ძიძიგურმა ხელი 10 მაისს მოაწერეს. ცერემონია ესპანეთში ქალაქ რონდაში შედგა. წყვილმა ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები რონდას ვილაზე შეკრიბა.

ქრისტინე ძიძიგურს ხელისმომკიდედ მისი ფრანგი მეგობარი სენდი ტრებუილი ჰყავდა. ხუანმა ხელისმომკიდედ ბავშვობის მეგობარი მადრიდიდან გონფალო სალგადო ასენსიო აირჩია.

წყვილი ქორწილს საქართველოში შემოდგომაზე გეგმავს.

ქორწილში პატარძალს კრისტიან დიორის თეთრი კაბა, ხოლო ხუანს არმანის სამეული ეცვა.

ქრისტინეს, ხუანის დედამ მარია დელ კარმენ დე ულოა სუელვესმა, ხუანის ბაბუის, ირაკლი ბაგრატიონის მიერ ნაჩუქარი ბეჭედი უსახსოვრა, რომელიც ბაგრატიონების ოჯახის რელიკვიაა.

ხელისმოწერის შემდეგ წყვილი მადრიდში მიემგზავრება ხუანის ბიძაშვილის ქორწილში, ხოლო თაფლობის თვეს მონაკოში გეგმავენ.

რონდა ხუანის მშობლიურ ქალაქ მარბელასთან ახლოს მდებარეობს, ისტორიული ქალაქია და როგორც ხუანი ამბობს, მისი საუკეთესო მეგობრისა და ცნობილი ესპანელი მატადორის, გაეტანო რივერას ქალაქია, ამიტომ გადაწყვიტა ცერემონია სწორედ რონდაში ჩაეტარებინა.









ეს ბეჭედი ქრისტინეს უსახსოვრა ხუანის დედამ, რომელიც ირაკლი ბაგრატიონმა აჩუქა და ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენს




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რტაჟი ბაგრატიონთა ქორწილიდან





ქრისტი და ხუანის დედა მარია დელ კარმენ დე ულოა სუელვესი



ქრისტის და ხუანის დედები, ლალი და კარმენი



ხელისმომკიდეებთან და ოჯახის წევრებთან ერთად





ქრისტი თავის ხელისმომკიდესთან ერთად



GENTE

La boda rondeña del príncipe georgiano Juan de Bagration

- Es pariente del Rey y amigo de Cayetano Rivera. Se casa en la «Ciudad Soñada» con una modelo en una ceremonia íntima

ABC

El príncipe Bagrat de Bagration y su prometida, la modelo Kristine Dzidziguri

Es hijo del príncipe Bagrat de Bagration y de María del Carmen de Ulloa y Suelves. El príncipe Juan Bagration de Georgia (36) se casa este

წყვილის შესახებ ესპანური მედიაც წერს



ხელისმომკიდეებთან ერთად



ფიცის დადების დროს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქველმოქმედო ფონდმა „ლიბერალური კვალი“ ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო



თეა ხომერიკი

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ცნობილ ქართველ ფოტოხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენის ორგანიზატორი იყო საქველმოქმედო ფონდი „ლიბერალური კვალი“. საქველმოქმედო საღამოზე მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და გამოფენაში მონაწილე ფოტოგრაფები. გამოფენაზე დასწრება უფასო იყო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.**

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ათამდე ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანის 40 -მდე ნამუშევარი. ისინი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახების დასახმარებლად გაერთიანდნენ: იური მეჩითოვი, გოგა ჩანადირი, ბადრი ვადაჭკორია, ანა ციციშვილი, ივანე გოგოლაძე, მირიან კილაძე, რომან თოლორდავა, ანრი აბაშელი, მარი ნაკანი-მამასახლისი, გიორგი აბდალაძე. გამოფენიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ფონდის მიერ შერჩეული 4 ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

როგორც ფონდის დირექტორმა ქეთი სიჭინავამ განაცხადა, ღონისძიების მიზანია, საქართველოს მოსახლეობა აქტიურად ჩაერთოს საქველმოქმედო პროცესში.

მისივე განმარტებით, საქველმოქმედო ფონდი „ლიბერალური კვალი“ მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას და ყოველ წელს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გააფართოებს საქველმოქმედო საქმიანობის არეალს.

“ღონისძიება ტარდება საქველმოქმედო ფონდი “ლიბერალური კვალის”ორგანიზებით. ღონისძიების მიზანია ფონდის შერჩეული 4 ოჯახისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. გამოფენიდან შემოსული თანხა სრულად გადაეცემა ამ ოჯახებს, გადაირიცხება ამ ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით.ვაპირებთ, რომ მომავალშიც ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ სხვა ოჯახებსაც”,- განაცხადა ფონდის დირექტორმა.

„საერთოდ ყველა საქველმოქმედო აქცია ძალიან მნიშვნელოვანია.სულისთვის პირველ რიგში, ვინც ამ აქციაში მონაწილეობს.ვერც დავითვლი რამდენჯერ მიმიღია მინაწილეობა საქველმოქმედო აქციაში. ეს სულ ახალი ორგანიზაციაა, რომელსაც ძალიან საინტერესო ხალხი უდგას სათავეში.აქ წარმოდგენილი ფოტოები სიმბოლურ ფასად 30 ლარად იყიდება.30 ლარზე მეტი მარტო ჩარჩო ღირს.ვცდილობთ, რომ ამ პატარა 30-30 ლარით ვიღაცას რაღაცით დავეხმაროთ.ასე რომ, ყველა საქველმოქმედო აქციაში დავუდგები გვერდში ყველას”,- განაცხადა აქციის მონაწილე ბადრი ვადაჭკორიამ.

ცნობისთვის, საქველმოქმედო ფონდი “ლიბერალური კვალი“ 2013 წელს დაარსდა. საქმიანობის პირველი დღიდან ფონდი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებსა და იმ ადამიანებს ეხმარება, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. ფონდი მიზნად ისახავს მოიძიოს ინფორმაცია იმ ოჯახებზე, რომლებსად არსებობისთვის უკიდურესად მძიმე პირობები აქვთ, გაეცნოს იმ აუცილებელ საჭიროებებს, რომლის დეფიციტსაც ისინი განიცდიან, შემდეგ კი დაეხმაროს მათ კეთილმოსურნე ადამიანებთან ერთად.



# აკაკი ბობოხიძე: „მე არ ვიცი, რატომ უნდა დარჩნენ კოალიციაში რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები, რადგან „ქართული ოცნება“ მათთვის მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის რაიმე წილის გადამგდები არ არის“



EXCLUSIVE



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ნაციონალები ირაკლი ალასანიასა და რესპუბლიკელების დამოუკიდებელ რეიტინგებს იკვლევენ. აინტერესებთ, ალასანიას 67% სადამდე დავარდება მაშინ, როდესაც ის კოალიციას დატოვებს. ინტერესის მიზანია ერთი – ახალი კოალიცია ძლიერი ძალების მქონე პარტიებისგან უნდა შეიქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციონალების 12% ვერავის გაქაჩავს.**

**ყოფილი მმართველი პარტიის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ დავით უსუფაშვილის, ისევე როგორც ალასანიას, მაჩვენებელი ბევრად დაბალი იქნება, თუ მას სახელისუფლებო ზურგს ჩამოაცილებენ. ამ ზურგის ჩამოცილებას კი ორივე პარტიას ყველა უწინასწარმეტყველებს. აკაკი ბობოხიძის განცხადებით, „ქართული ოცნება“ არანაირ წილს არ დაუთმობს არც უსუფაშვილის გუნდს და არც ალასანიას მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის.**

**აკაკი ბობოხიძე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

– საინტერესოა, ირაკლი ალასანიას, როგორც დამოუკიდებელი ლიდერის, რეიტინგი, რადგან დღეს ის „ოცნებასთან“ არის გაიგივებული. ჯერჯერობით ის არის მინისტრი, თან იმ სფეროში მოღვაწეობს, რომელიც საზოგადოებისთვის ღია არ არის და წარმატებულ სფეროდ ითვლება. თუმცა მიმაჩნია, რომ ცალკე თემაა, რამდენად წარმატებული სფეროა თავდაცვა. ასევე, ითვლება, რომ ჩვენი ქვეყნის პროდასავლურ კურსს საფრთხე არ ემუქრება; ითვლება, რომ ნატოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით გვაქვს წინსვლა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი ალასანიას აქვს მაღალი რეიტინგი. ალასანიას პასუხს მხოლოდ კონკრეტულ სფეროზე სთხოვენ, მაშინ როდესაც, მაგალითად, ღარიბაშვილი მთლიანად ქვეყანაზეა პასუხისმგებელი. შესაბამისად, ბევრად მნიშვნელოვანია, როგორი რეიტინგი ექნება ალასანიას დამოუკიდებლად.

**– მიგაჩნიათ, რომ დამოუკიდებელი რეიტინგი დღევანდელისგან ბევრად განსხვავებული იქნება?**

– ალასანიას დამოუკიდებელი რეიტინგი ბევრად ნაკლები იქნება, ალბათ. ამის ახსნა მარტივად შეიძლება: უსუფაშვილი, რომელიც ნულოვანი რეიტინგის პოლიტიკოსი იყო, როგორც კი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, მაშინვე გადაიქცა ერთ-ერთ რეიტინგულ პოლიტიკოსად. ანუ საქართველოს მოსახლეობამ უსუფაშვილში პოსტისთვის შესაბამისი უნარჩვევები და შესაძლებლობები მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინა, როდესაც ის კონკრეტულ პოსტზე დაინიშნა. გარკვეული თვალსაზრისით რეიტინგი პოსტთანაც არის მიბმული. არ ვიცი, როგორი იქნება იგივე უსუფაშვილის, ან ალასანიას რეიტინგი, როდესაც ისინი პოსტს დატოვებენ. არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ნულოვანი იქნება ეს რეიტინგი და მათი პარტიები ისევ ერთპროცენტიან პარტიებად გადაიქცევიან, მაგრამ, როცა დამოუკიდებელი მოთამაშეები გახდებიან, სწორედ ამის შემდეგ შევაფასებთ მათ. თუმცა მეცინება ხოლმე, როდესაც ამბობენ, თითქოს ჩვენ, ნაციონალები, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები რაღაც კოალიციას ვქმნით.

**– რატომ არის ეს სასაცილო?**

– ბევრის რამის გამო. თუ რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიის რეიტინგი „ოცნებიდან“ გამოსვლის შემდეგ დავა ნულზე, მაშინ გამოდის, ამ გაერთიანების პოლიტიკური წონა და უზრუნველყოფა მთლიანად ნაციონალებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე.

**– არც ნაციონალებს გაქვთ შესაშური რეიტინგი...**

– მით უფრო, თუ ისინი კოალიციიდან გამოვლენ და ამის გამო მთელი მათი გავლენები განულდება, ჩვენი ისედაც დაბალი რეიტინგი აღარ ეყოფა კოალიციის შესაქმნელად. კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, 12%+0=12-ს.

**„ხალხი 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ ინერციით აძლევს ხმას „ოცნებას“**

**– თუმცა მათი რეიტინგი ნული არ იქნება...**

– ეს არავინ იცის. კოალიციიდან გამოსვლის შემდეგ უნდა ვისაუბროთ ამ დეტალებზე და არა მანამდე. ამ შემთხვევაში სახელისუფლებო პასუხისმგებლობა აკისრია „ქართულ ოცნებას“ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ამ წლების განმავლობაში. ქართველ ხალხს ორი წელიწადი მოუწევს „ქართული ოცნების“ ატანა. თუმცა მე არ ვიცი, რატომ უნდა დარჩნენ კოალიციაში საპარლამენტო არჩევნებამდე რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები, რადგან „ქართული ოცნება“ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მათთვის რაიმე წილის გადამგდები არ არის. ამიტომ, თუ მათ სურთ, დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის შენარჩუნება, ყველა პოლიტიკური ლოგიკით უნდა გაემიჯნონ „ოცნებას“.

**– იგივენაირად, როგორც თქვენ ემიჯნებით მერაბიშვილს?**

– ჩვენ არ ვემიჯნებით მერაბიშვილს, არ არის ეს სიმართლე. ბუნებრივია, რომ პროცესები უფრო ცხელი იყო მაშინ, როდესაც მერაბიშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. როცა ამბობენ, რომ ჩვენ მერაბიშვილს გავემიჯნეთ, გვაჩვენონ, სად ჩანს ეს გამიჯვნა? ჩვენი გენერალური დირექტორი არის ვანო მერაბიშვილი დღესაც და ყველა შესაძლო შანსს ვიყენებთ იმისთვის, რომ საქმის კურსში ჩავაყენოთ, რა ხდება პარტიაში. ასევე, ყოველთვის ვცდილობთ, მისი აზრი გავითვალისწინოთ. თუმცა გარემოებებიდან გამომდინარე, მერაბიშვილი ვერ ფლობს სრულ ინფორმაციას, რადგან ანალიზის გაკეთება არ არის შესაძლებელი მხოლოდ მშრალი ინფორმაციის საშუალებით.

**– ანუ ავტომატურად მოხდა ჩამოშორება?**

– არა, მერაბიშვილი იმ დოზით არის ჩართული პროცესებში, რა დოზითაც შეიძლება პატიმრობაში მყოფი კაცი იყოს ჩართული პარტიულ ცხოვრებაში. რაც შეეხება პლაკატს, არავის არ სიამოვნებდა, მას საღებავებს რომ ასხამდნენ.

**– ეს უფრო მიზეზს ჰგავდა თქვენი მხრიდან...**

– არა, არანაირად. სანამ ვანოს პლაკატი იქნებოდა გაკრული ნაციონალების ოფისზე, მანამდე, როგორც ჩანს, მოვიდოდნენ მსგავსი ვანდალური საქციელის ჩასადენად. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ და დროებით ჩამოვხსენით.

**– აცხადებთ, ჩვენ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად კი არა, გამარჯვებისთვის ვიბრძვითო... რატომ უნდა დაუჭიროს მხარი ამომრჩეველმა „ნაციონალურ მოძრაობას“?**

– მე არ ვამბობ, რომ საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ დროა, შეაფასოს და ჭკუა ასწავლოს სახელისუფლებო პარტიას. საზოგადოებამ „ოცნება“ ნაციონალებს კი არ უნდა შეადაროს, არამედ არჩევანი უნდა გააკეთოს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსწონს თუ არა დღევანდელი ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი. ხალხი 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ ინერციით აძლევს ხმას „ოცნებას“. ასეთივე ინერციით მიიღებენ ხმებს თვითმმართველობის არჩევნებზეც, თუმცა შემდეგი ორწლიანი პაუზა, დარწმუნებული ვარ, კრახით დასრულდება „ქართული ოცნებისთვის“. ქართველები უნდა დაფიქრდნენ ერთ რამეზე – პრეზიდენტი, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით აირჩიეს, აღმოჩნდა, რომ ნულოვანი რეიტინგისაა. ეს არ არის მარტო „ოცნების“ ბრალი, ეს არის იმ ქართველი ამომრჩევლის ბრალიც, რომლებიც ბრმად, ემოციის ფონზე იღებენ გადაწყვეტილებას.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გულიკო ზუმბაძე: „სიასთან დაკავშირებით პრობლემა უკვე მოიხსნა, ვფიქრობ, ახალ ადამიანებს უნდა მივცეთ შანსი, ეს არის მთავარი არგუმენტი“

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

ჯაბა სამუშიამ თანაგუნდელებს პოლიტიკური სიურპრიზი მოუწყო. ის ერთადერთი დაპორტირებულია, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მოხვდა და კითხვების გრძელი სიაც ავტომატურად მასთან გადამისამართდა. თავად სამუშია საკითხს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს და აცხადებს, რომ სიის მიღმა დარჩენის შემთხვევაშიც იგივე მონდომებით შეეცდებოდა დაპირებების შესრულებას. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს პიარგანცხადება უფროა ან წინასაარჩევნოდ საჭირო იმიჯის შექმნის მცდელობა. რომ არა კანდიდატობა, ის „ოცნებაზე“ ისეთივე განაწყენებული იქნებოდა, როგორც ირაკლი შიხიაშვილი. საკრებულოს ჯერ კიდევ მოქმედი თავმჯდომარე იმდენად არის განრისხებული, რომ მედიას ახლოს არ ეკარება, შემთხვევით რაიმე ზედმეტი რომ არ წამოსცდეს. ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მისი პოლიტიკური მომავალი. ერთადერთი, რასაც დაპორტირებულები ადასტურებენ, არის ის, რომ საკუთარ „ოცნებებსა“ თუ სურვილ-გეგმებს გუნდის ხელმძღვანელობას უთანხმებენ.





# ჯაბა სამუშია: „მე არ ვყოფ ადამიანებს ყოფილ ნაციონალებად და ყოფილ ქრისტიან-დემოკრატებად“

**ჯაბა სამუშია:**

– ჭორებზე ვერაფერს გეტყვით, ვიცი, რომ აღნიშნული საკითხი ჩემს კანდიდატობასთან დაკავშირებით დაახლოებით რამდენიმე კვირის წინ იყო განხილული და პოლიტსაბჭომ მხარი დაუჭირა. თუმცა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ კოალიციას პრობლემები დაეძლია. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. მე არ ვყოფ ადამიანებს ყოფილ ნაციონალებად და ყოფილ ქრისტიან-დემოკრატებად.

**– თუმცა უმრავლესობის მხრიდან სწორედ ეს მინიშნება იყო, რომ ყოფილ სახელისუფლებო გუნდთან და მის პირად ოპოზიციასთან არ უნდა ეთანამშრომლათ...**

– მოდით, ასე ვთქვათ, ჩვენ ვართ მოქალაქეები ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის და ვინც აღმშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას, ბუნებრივია, დასაფასებელია.

**– მაშინ რა ნიშნით ვერ მოხვდა შიხიაშვილი სიაში?**

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, არ ყოფილა ეს საკითხი განხილული. თავად ირაკლისთან შეთანხმებით მოხდა გადაწყვეტილების მიღება. ირაკლის სხვა პოზიცია და სხვა მოსაზრება აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. მას არ სურდა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა. მე ასე ვიცი.

იგივე პოლიტიკური შეთანხმებით გადაწყდა, რომ ჯაბა სამუშია საარჩევნო მარათონში ერთვება, ხოლო ზაზა გაბუნია არჩევნებს ეთიშება. სამუშია უკვე როლშია და აქტიურად განიხილავს, რომელი პრობლემა უნდა მოუგვაროს თემქელებს, ნარმანიას გუნდთან ერთად. ის უკვე ოპონენტებთან დაკავშირებითაც ფლობს ინფორმაციას და მიაჩნია, რომ ყველას, მათ შორის ნაციონალებსაც, მარტივად დაამარცხებს.

ირაკლი შიხიაშვილისგან განსხვავებით, გაბუნიას, როგორც ამბობენ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანენ. უფრო კონკრეტულად კი ის მოღვაწეობას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე გააგრძელებს. გაბუნია საკუთარ როტაციას „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ადასტურებს. ამბობს, რომ საქმიანობას იქ გააგრძელებს, სადაც უფრო მეტი საქმის კეთების საშუალება ექნება.



**ზაზა გაბუნია:**

– რას ნიშნავს, მხოლოდ ჯაბა სამუშია დარჩა სიაში? მე და ჯაბა სამუშია ყოველთვის აქტიურად ვიყავით ჩართულები ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, ბატონი ჯაბა განაგრძობს საკრებულოში მოღვაწეობას, მას ასე სურს და ასე მიაჩნია სწორად. მე კი გავაგრძელებ მოღვაწეობას იქ, სადაც უფრო მეტი საქმის კეთების საშუალება მომეცემა.

**– ანუ გამოდის, ჯაბა სამუშიას საქმის კეთების საშუალება არ ექნება?**

– მე კითხვას ასე არ დავსვამდი. ყველას გვაქვს ჩვენი სუბიექტური ხედვა პოლიტიკური პროცესების მიმართ, მე მიმაჩნია, რომ საქმე სხვაგან უნდა ვაკეთო, ჯაბას გადაწყვეტილება საკრებულოში დარჩენაა, ბუნებრივია, გუნდთან და მის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. მე სად განვაგრძობ მოღვაწეობას, ამას არჩევნების შემდეგ გეტყვით.

**– თუმცა ფაქტია, რომ შიხიაშვილთან დაკავშირებით დაპირისპირება იყო გუნდში, ამას არც არავინ უარყოფს... რა კრიტერიუმებით მოხდა სამუშიას სიაში დატოვება, როგორ ფიქრობთ?**

– არ გიდასტურებთ ამ ინფორმაციას არანაირად, ეს რომ სიმართლე იყოს, მაშინ არც ჯაბა სამუშია მოხვდებოდა სიაში და არც მე გეტყოდით ასე ღიად, რომ სხვაგან ვაპირებ საქმიანობის გაგრძელებას.

**– ისიც ითქვა, რომ შიხიაშვილი საერთოდ მიდის პოლიტიკიდან...**

– ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ. მე ამ დრომდე თბილისის საკრებულოში ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე, ჩვენ გვაქვს სუბორდინაციული დამოკიდებულება, გვაქვს ჩვენი ხედვები და სურვილები, მაგრამ არის გუნდი, სადაც უნდა შეჯერდეს პოზიციები. სწორედ ამ შეჯერების პროცესში გამოიკვეთა, რომ ჯაბა რჩება და მე სხვაგან გადავდივარ.

**– არჩევნებიდან მალევე გაირკვევა თქვენი კონკრეტული საქმიანობა?**

**ზაზა გაბუნია: „ეს რომ სიმართლე იყოს, მაშინ არც ჯაბა სამუშია მოხვდებოდა სიაში და არც მე არ გეტყოდით ასე ღიად, რომ სხვაგან ვაპირებ საქმიანობის გაგრძელებას“**



– კი, მალე. ჩემი პოლიტიკური სამომავლო ბედი უკავშირდება გუნდურ გადაწყვეტილებას.

ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლამ ვერ უშველა შიხიაშვილს. გაბუნიას განცხადებით, ყოფილ ნაციონალსა და ყოფილ ქრისტიან-დემოკრატს შორის დიდი სხვაობაა. თუმცა ეს, ალბათ, უფრო მისთვის. რაც შეეხება „ოცნების“ წევრებს, მათთვის ყოფილი უკვე სტატუსია და არ აქვს მნიშვნელობა, სახელისუფლებო პარტიას ეკუთვნოდი ადრე თუ მის კუთვნილ ოპოზიციას, როგორც ამას თავად აცხადებენ. უფრო შელამაზებულად კი ეს იდეა რესპუბლიკელების წევრმა, გულიკო ზუმბაძემ გამოთქვა. მისი განცხადებით, სიებში ძველი სახეების „დაბლოკვის“ მთავარი არგუმენტი ახალი სახეების გამოჩენაა.

**გულიკო ზუმბაძე:**

– სიასთან დაკავშირებით პრობლემა უკვე მოიხსნა. ვფიქრობ, ახალ ადამიანებს უნდა მივცეთ შანსი და ეს არის მთავარი არგუმენტი. შიხიაშვილის თემაზე საუბარი აღარ მინდა, ჩვენ უკვე საარჩევნო მარათონში ვართ და სჯობია, აპელირებულები ვიყოთ ახალ შემადგენლობაზე და პრობლემების დაძლევაზე.

**„ირაკლის სხვა პოზიცია და სხვა მოსაზრება აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. მას არ სურდა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა. მე ასე ვიცი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ყირიმ-კონგოს ცხელებით ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა



## იწვევს თუ არა ლეტალობას ახალი აღმოჩენილი ვირუსი?

**„ინფექციურში მივიყვანეთ, მაგრამ მათ არ მიიღეს, ჩვენი პაციენტი არ არისო და გაგვიშვეს ფონიჭალაში. იქ გაირკვა, რომ სხვა რაღაც სჭირდა და ისევ ინფექციურში გადაიყვანეს. უკვე ძალიან ცუდად იყო. გონზე იყო. ბოლო დღეებში საშინელი ტკივილები ჰქონდა, სისხლდენა, პირველ აპრილს, გამთენიისას გარდაიცვალა“**

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში 35 წლის თეა ჭიკაძე ყირიმ-კონგოს ცხელების დიაგნოზით გარდაიცვალა. პაციენტი ხაშურის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან იყო, მას 3 შვილი დარჩა. ინფექციურ საავადმყოფოში იგი დამძიმებული მდგომარეობით მიიყვანეს. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.**

„პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის სიძეს ესაუბრა. როგორც ალეკომ გვიამბო, სავარაუდოდ, მის რძალს ტკიპამ გასული წლის შემოდგომაზე უკბინა. დაავადებამ თავი გაზაფხულზე იჩინა.

„თვითონაც არ ახსოვდა, შეიძლება ძროხას ტკიპას აცლიდა და იმ დროს უკბინა, მერე ხელი მოისვა ჭრილობაზე და სისხლში გადავიდა. როგორც ექიმებმა აგვიხსნეს, ზამთარში ეს ვირუსი ინკუბაციას განიცდის და გაზაფხულზე რეაქციაში მოდის, თეას ეს ახლა რომ მოსვლოდა, მაშინვე დაუსივდებოდა და უფრო მალე გავიგებდით. თავის ტკივილები დაეწყო და მაღალი სიცხე. როგორც გრიპის დროს იცის. ჩემთან ჩამოიყვანეს, მე ზესტაფონში ვცხოვრობ. ძალიან ცუდად გახდა. გამოვიძახეთ სასწრაფო. მათ გვითხრეს, ჩვეულებრივი ვირუსია და ოთხ-ხუთ დღეში თავისით გაუვლისო. მდგომარეობა დამძიმდა, ღებინება დაეწყო. წამოვიყვანეთ თბილისში. ჩვენ არ ვიცოდით, ეს დაავადება იწვევს სისხლჩაქცევებს. ჯერ კუჭი გაუსკდა. ინფექციურში მივიყვანეთ, მაგრამ მათ არ მიიღეს, ჩვენი პაციენტი არ არისო და გაგვიშვეს ფონიჭალაში. იქ გაირკვა, რომ სხვა რაღაც სჭირდა და ისევ ინფექციურში გადაიყვანეს. უკვე ძალიან ცუდად იყო. გონზე იყო. ბოლო დღეებში საშინელი ტკივილები ჰქონდა, სისხლდენა, პირველ აპრილს, გამთენიისას გარდაიცვალა“, - გვიამბო გარდაცვლილის სიძემ.

წელს ყირიმ-კონგოს ცხელებით გარდაცვალების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც მედიკოსები ამბობენ, პირველ ეტაპზე ამ ვირუსის სიმპტომები ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი გრიპის ვირუსებს. დროული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, შესაძლოა, პაციენტი გადარჩენილიყო.

მომხდართან დაკავშირებით ვესაუბრეთ ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების უფროსს ანა ლაღიძეს.

„უმძიმესი ფორმით მოიყვანეს. სისხლში ძალიან მძიმე ცვლილებები იყო. ძროხას ტკიპებს აცლიდა და ამ დროს უკბინა. ჩვენთან ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ მოიყვანეს. თუმცა, მდგომარეობის სირთულე მხოლოდ გვიან მოყვანით არ იყო განპირობებული. თვითონ დაავადების ფორმა იყო უმძიმესი. როცა ანალიზი ჩავუტარეთ, სისხლში ვირუსი დიდი რაოდენობით იყო. სამწუხაროდ, ამ დაავადებას მაღალი ლეტალობა ახასიათებს. პაციენტი ძალიან უმწეო ოჯახიდან იყო. სამი შვილი დარჩა. სისხლჩაქცევები ჰქონდა. სისხლდენა პირიდან, ღრძილებიდან. პირველი დღიდან ახასიათებს ისეთი სიმპტომები, რომ ადამიანმა შეიძლება ჩათვალოს, ჩვეულებრივი გრიპია. თუმცა, ორი-სამი დღის შემდეგ სისხლჩაქცევები ვითარდება. სისხლჩაქცევები არამარტო კანზე, არამედ შინაგან ორგანოებზეც. ანემია მკვეთრად განვითარებული ჰქონდა. იმდენად მძიმედ მიმდინარეობდა დაავადება, რომ, ალბათ, თავიდანვე განწირული იყო“. - ამბობს ანა ლაღიძე.



პაატა იმნაძე

მისივე თქმით, ანალოგიური დიაგნოზით 22-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა, ლეტალური შედეგით მხოლოდ კონკრეტული შემთხვევა დასრულდა. დანარჩენი პაციენტები გამოჯანმრთელდნენ.

ყირიმ-კონგოს ვირუსი ადამიანზე ტკიპის მეშვეობით გადადის. ასევე, იმ ცხოველებიდან, რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ (თაგვები, ზღარბები, კურდღლები, ძროხები, ცხვრები და თხები), ისინი ვირუსის დროებითი რეზერვუარები არიან. დაინფიცირებულებს ახასიათებთ მაღალი ტემპერატურა, სისხლჩაქცევები, სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან, ლეტალობის მაჩვენებელი მაღალია.

საქართველოში ამ ვირუსის ძირითადი კერა ორ რეგიონშია - სამცხე-ჯავახეთსა და ხაშურში. ვირუსით დაინფიცირების საშიშროება ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე არსებობს.

დაავადებათა კონტროლის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის თქმით, მსოფლიოში ყირიმ-კონგოს ვაქცინა არ არსებობს.

„შარშან 13 ასეთი შემთხვევა გვქონდა და ყველა მათგანი გამოჯანმრთელდა. დიაგნოზი ადრეულ ეტაპზე დაისვა. ადრე ჩვენთან დიაგნოზის დასმა არ ხდებოდა. ბოლო სამი წელია, რაც დიაგნოზის დასმა ხდება ლუგარის ცენტრის საშუალებით. სამწუხაროდ, ეს ბოლო შემთხვევა ასე დასრულდა. ზოგადად, ყირიმ-კონგოს ცხელებით ლეტალობა საკმაოდ მაღალია. დაავადება ცხელებით მიმდინარეობს, რომელიც ბევრ დაავადებას ახასიათებს. კლინიკურად ვერ გაარჩევთ. მისი იდენტიფიცირება მხოლოდ ლაბორატორიულად ხდება. საჭიროა დროული დიაგნოსტირება. ამ რაიონებში, სადაც ეს ვირუსია, ექიმების განათლება მიდის, რომ სწრაფად მოხდეს ამ დაავადებაზე ეჭვის მიტანა და დროული რეაგირება“, - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.





### ახალი ვირუსი

გასულ კვირას საზოგადოება შეშფოთებული განიხილავდა ახალი ვირუსის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. დაუდგენელი ვირუსი უკვე იდენტიფიცირებულია. რაც მთავარია, ის ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში არ არის.

როგორც „პრაიმტაიმს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, ე.წ. უცნობი ვირუსი ორთოპოქს ვირუსის ჯგუფს განეკუთვნება. ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის და მსუბუქი სიმპტომები ახასიათებს. ამჟამად, ახალ ვირუსზე მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს.

ამ დრომდე ახალი ვირუსით დაინფიცირების მხოლოდ სამი შემთხვევაა გამოვლენილი. სამივე შემთხვევაში პაციენტები გამოჯანმრთელდნენ.

„აღმოვაჩინეთ უძველესი ვირუსი, რომელიც ათასეული წლებია, რაც არსებობს. უბრალოდ, აქამდე ნაპოვნი არ იყო. ეს არის ორთოპოქს ვირუსების ოჯახის ახალი წარმომადგენელი. რაც მთავარია, ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის. რაც შეეხება ორთოპოქს ვირუსს, ამჟამად, კვლევებს ვატარებთ, რომ დავადგინოთ რომელ ცხოველებშია გავრცელებული. შესაძლოა, მღრღნელები იყოს რეზერვუარი. იშვიათად პირუტყვში. ძალიან მსუბუქად მიმდინარე დაავადებაა. მწველავებს ემართებათ. ხელებზე მცირე ზომის წყლულები ჩნდება. იშვიათად თან ახლავს დაბალი ტემპერატურა. გართულება არ მოჰყვება. სულ სამი შემთხვევაა დაფიქსირებული, დასავლეთ საქართველოში, ახმეტის რაიონში. იმდენად იშვიათია, რომ ჩვენც გვიკვირს როგორ „დავიჭირეთ“. თავიდან ეგონათ, რომ ჯილეხით იყო ინფიცირებული. ამიტომ გამოუშვეს თბილისში. თუმცა, შემდეგ გამოვიკვლიეთ და ორთოპოქს ვირუსი აღმოჩნდა. დიდი ალბათობით, ძროხასთან ჰქონდათ კონტაქტი და ასე დაინფიცირდა. ძველი ვირუსია, რომელიც ჩვენს წინაპრებსაც ჰქონდათ, მაგრამ იმდენად მსუბუქი იყო, რომ ყურადღებას არ იქცევდა“, - ამბობს იმნაძე.

მისივე თქმით, გამორიცხულია რძის მეშვეობით დაინფიცირება.

„ამის მსგავსი ვირუსი, როგორც ვაქცინა გამოიყენებოდა, იმუნიტეტს იძლევა. ამ ვირუსით დაინფიცირებული ყველა ავადმყოფი გამოჯანმრთელდა. ჰოსპიტალიზაციაც კი არ დასჭირდა არც ერთს“, - აღნიშნა პაატა იმნაძემ.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე: „ეს ვირუსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში არ გახლავთ. ორი შემთხვევა იყო, საკმაოდ მსუბუქი. მესამე პოსტ-ფაქტუმ გავშიფრეთ. აქამდე დაუდგენელი გენეტიკური ქვეტიპი არის, რომელიც შორს დგას ჩვეულებრივი ორთოპოქ ვირუსების ჯგუფისგან. როგორიც არის მაიმუნის, ძროხის, ხარის ვირუსები. ახლა ამაზე მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა. ადამიანისთვის ორივე შემთხვევა საკმაოდ მსუბუქი იყო. ვაქცინის საჭიროება არ არის. ეს ვირუსი ცხოველიდან ადამიანზე გადადის“.



ამირან გამყრელიძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N18 (268) ორშაბათი, 12 მაისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



ოქროს ფრთა
GOLDEN FEATHER
2014

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი
exclusive
დაჯილდოების მე-12 საზეიმო ცერემონია

# „Sensi Girls“ - ქერათმიანი სექსუალური ლამაზმანები სოფო ტოროშელიძის გუნდიდან



„გვინდა პროექტის მერე გავაგრძელოთ მოღვაწეობა. გვაინტერესებს სადამდე გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი“

EXCLUSIVE



# Flabour - ქართველი დიზაინერების მაღაზია, კაფე და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეში



ISSN 1987-7404

9 771987 740005



# თინა მახარაძე - კომპლექსიანი EXCLUSIVE გოგონა გარეუბნიდან

„ჩემს ბიჭს ძააან ვევასები ისეთი, როგორიც ვარ. გაოგნებულია გამოხმაურებით, რა გაუკვირდათ, რა თქვი ახალიო. ეგეთი სიბნელეც არ მეგონა ამ ქვეყანაშიო. გიომ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ვილაცები აზრზე მოეყვანა“

# ავთო ვარსიმაშვილის პრაიმტაიმი EXCLUSIVE

„სანამ ადამიანი მუშაობს, ბედნიერია და როცა ბედნიერია, მას აქვს პრაიმტაიმი“



# EXCLUSIVE





exclusive

# ნიკოლოზ რაჭველის სინანული და გულწრფელი აღიარება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება